საზოგადოებრივ-პოლიტიკური გამოცემა

www.geworld.net

28 დეკემბერი, 2011 – 10 იანვარი, 2012

№47 (138)

# საქართველო და მსოფლიო

ფასი 1 ლარი

info@geworld.net

**«საქართველო და მსოფლიო» გილოცავთ დამდეგ 2012 წელს**



# მსოფლიოს პირველი ბანი «ნაციონალური მოძრაობის» პირველი ვიოლინო გახდება?

„არაოფიციალურად ამის შესახებ ნამდვილად საუბრობენ და, ბუნებრივია, ამის საფუძველი გახდა ხელისუფლებასთან მისი დამოკიდებულება. და კიდევ: არც ისაა გამორიცხული, რომ ბატონი პაატა საერთოდ არ იყოს ამ საქმის კურსში. პაატა ბურჭულაძეს დღეს ყველა პატივს სცემს. მას ნამდვილად არ დაუმსახურებია ქართველი ხალხის მხრიდან რაიმე საყვედური. ის ქართულ საქმეს ყოველთვის ღირსეულად აკეთებდა. ამდენად, რომელ ორგანიზაციაშიც არ უნდა იყოს, მე გამიჭირდება მისი უარყოფით კონტექსტში მოხსენიება“.

15

**«ეს იმიტომ გააკეთეს, რომ სწორედ კეზერაშვილმა უნდა მოახდინოს არა მარტო ფინანსების მობილიზება, არამედ იმ შემოქმედი ადამიანების თავმოყრაც, რომლებიც ხელისუფლებას დაუჭერენ მხარს»**



20

## ვოვა გუცაევი ქართულ ფეხბურთზე, «ალანიასა» და კახი კალაძეზე

## «სააკაშვილის დემოკრატია», თუ ნაყრუებული ტოტალიტარიზმი



6

# Novus Ordo Seclorum, ანუ ძია სემი სააკაშვილის წინააღმდეგ



„რამდენად რაციონალური იქნება ამერიკელებისთვის ასეთ ვითარებაში სააკაშვილის ხელისუფლების შემდგომი მხარდაჭერა, მითუმეტეს, რომ ის მხოლოდ არსებობის გახანგრძლივებისთვის იბრძვის და სხვას თითქმის ვეღარაფერს აკეთებს? პრაქტიკულად ერთადერთი რამ, რაც ჩვენმა უხეირო ოპოზიციამ ბოლო წლების განმავლობაში მოახერხა, სააკაშვილის ხელისუფლების ანტიეროვნულ ძალად წარმოჩენაა“

4

## მე ვარ ქართველი, მაშასადამე – ევრაზიელი...

8

## «დაიჭირე, დააპატიმრე, მოკალი, ოღონდ შეინარჩუნე ძალაუფლება»

11



## მეუფე გერასიმე: ხელისუფლებამ ამ ვიზიტის შესახებ იცოდა და, თუ ხედავდა, რომ არ იყო მიზანშეწონილი პატრიარქის გამგზავრება, მაშინ, რა თქმა უნდა, ეს უნდა ეთქვა

16

მინდა, ყველას მივულოცო შობა-ახალი წელი და ბედნიერება, ჯანმრთელობა ვუსურვო საქართველოს. ღედა ღვთისმშობელი იყოს ჩვენი ქვეყნის მფარველი. დაე, ღმერთმა გაამთლიანოს საქართველო.

## არჩევნებში ოპოზიცია ათით ნოლს წააგებს ხელისუფლებასთან

12

## რა სიებს ფლობს სამოქალაქო რეესტრი და რა კავშირი აქვს ამ სიებს არჩევნებთან

23

ნანა დევდარიანის საავტორო გვერდი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



ისევე, როგორც 2008 წელს ოპოზიციის მიერ მოთხოვნილი საპარლამენტო მოდელი სააკაშვილმა სათავისოდ გამოიყენა და 2010 წელს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით პრემიერ-მინისტრის სავარძელი მოიმზადა, ახლაც, ოპოზიციის მოთხოვნით, „ხალხის აზრს შეისმენს“ და არჩევნებს მაისში ჩაატარებს.

# დაცენტრილი საქართველო, ანუ მადლობა ამხანაგ სააკაშვილს ჩვენი ბედნიერი ღიმილისთვის!

**ბათუმის, ქუთაისის, ანაკლიის, კახეთის, სვანეთისა და ლაზიკის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა ახლა უკვე ახალციხე გამოაცხადა „საქართველოს მთავარ ცენტრად და სიამაყედ“.**

**უკვე მივეჩვიეთ იმას, რომ ზესტაფონში ჩასვლისას „ზესტაფონი ყველაზე მაგარია“, კახეთში ყოფნისას კახეთია „ყველაზე ნამდვილი საქართველო“, ბათუმი „ნიცასა და კანზე უკეთესია“, ანაკლია „უმნიშვნელოვანესი რეგიონული ცენტრია (თან „პიცუნდასაც“ სჯობია)“, ახლა კი „ახალციხე უნდა გახდეს საქართველოს მთავარი ცენტრი და სიამაყე“.**



მოსახლეობასთან შეხვედრისას მან ახალციხის ისტორიულ წარსულზეც ისაუბრა. კერძოდ, როგორ აღწერა მან ეს წარსული, საზოგადოებისთვის უცნობია, მაგრამ ზოგადი შეფასებით, უკანასკნელი 800 წელი მისთვის რომ უქმად არის დაკარგული, ეს კი დაადასტურა (სტილი დაცულია): **„ბოლო ეპოქა იყო აქ თამარის ეპოქა. გუშინ სამების ეკლესიაში პატრიარქმა დამათვალიერებინა „საქართველოს იმედის“ ხატი. ახალი ხატი გაკეთდა, უზარმაზარია, ძალიან კარგად არის გაკეთებული და მე ვესაუბრებოდი ჩვენს მეუფეს, ნიკოლოზს და მან მითხრა, რომ იცით, არ არის ჩვეულებრივი მოვლენა, რომ ასეთი ხატი ახლა გაკეთდა. რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ძალიან დიდი გაჭირვება და უბედურებაა, მაგრამ გავიხსენოთ, როდის კეთდებოდა ბოლოს საქართველოში ასეთი ხატები, როდის იყო საქართველოში ასეთი აღმშენებლობა, როდის იყო ასეთი პირობები შექმნილი იმ პირობებში, როცა მტერი ჯერ კიდევ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზეა.**

**ქართველ ხალხს ნიჭი სხვა საუკუნეებში არ ჰქონდა? ჰქონდა. რატომ არ კეთდებოდა, რატომ არ შენდებოდა? როდის იყო ბოლოს, როცა ეს კეთდებოდა? ეს იყო საქართველოს ოქროს ხანაში, ეს იყო დავითის და თამარის დროს და მე მინდა გკითხოთ, როგორც ხალხს, რომელსაც ძალიან კარგად ახსოვს ეს ეპოქები, როდისმე, თამარის ეპოქის შემდეგ ყოფილა თუ არა ახალციხეში და აქ, გარშემო, ასეთი აღმშენებლობა, როგორც არის დაწყებული დღეს.**

თუ ასეა, მე მინდა დაადასტუროთ, რომ ნამდვილად, ჩვენს ეპოქაში იქმნება ის, რაც არ შექმნილა რვა საუკუნის განმავლობაში და ამას ვქმნით ჩვენ. ამას თქვენ აკეთებთ, ამას არ აკეთებს ვინმე ცალკე აღებული მეფე, მით უმეტეს, მეფე აღარ არსებობს. დღეს ეს არის ხალხის მიერ გასაკეთებელი და დღეს ხალხი კოლექტიურ დავით აღმაშენებლად არის ქცეული“, — განუცხადა მიხეილ სააკაშვილმა ახალციხის მოსახლეობას (უკაცრავად, „კოლექტიურ დავით აღმაშენებელს“).

კოლექტიური დავით აღმაშენებელი კი, ალბათ, იდგა და ფიქრობდა, თუ რატომ ვერ გრძნობს დღევანდელ „ოქროს ხანას“, რატომ ვერ მიდის საავადმყოფოში სამკურნალოდ, რატომ უჭირს თავის გატანა ამ „აღმშენებლობის ქვეყანაში“? „ცალკე აღებული მეფე“ კი კვლავ თავის ქებას განაგრძობდა: **„დღეს ისეთი საავადმყოფო გავხსენით, რომელზე ადრე ვერც კი ვიოცნებებდით“**. ბატონო პრეზიდენტო, ვერც ახლა ვოცნებობთ, ისეთი ძვირია! **„საქართველოში ყველაფერი კეთდება ხალხის სახელით. ახლა გადავწყვიტეთ, ბიბლიოთეკები ვაშენოთ. პირველი ბიბლიოთეკა აქ აშენდება. აწი საავადმყოფოების ნაცვლად კრიტიკოს პოლიტიკოსებს ჩვენი აშენებული ბიბლიოთეკების გახსნას ამოვუყვან ყელში“**. მთავარი ხომ არც ბიბლიოთეკაა და არც საავადმყოფო; მთავარია, სააკაშვილმა ოპოზიციას „ამოუყვანოს ყელში“.

**„ახალციხე, ჩვენი გადაწყვეტილებით, უნდა გახდეს საქართველოს მთავარი ცენტრი და სიამაყე.**

ჩვენ დავიწყეთ ახალციხის ციხის განახლება. ამ დრომდე დაგროვილი გამოცდილებით ჩვენ ავაშენებთ ახალ ახალციხეს“, — განაცხადა პრეზიდენტმა. გაურკვეველი რჩება, რა იგულისხმა მან ახალციხის ციხეში — ისტორიული ძეგლი თუ ციხე პირდაპირი გაგებით (ანუ საპატიმრო დაწესებულება), დანამდვილებით ცნობილია ერთი რამ: **სააკაშვილი ახალციხის ახალ ციხეს აშენებს.**

ახალი ციხე კი საჭიროა, რადგან ჯერაც ბევრი გვყავს მტერი და არაკეთილმოსურნე. **„ჩვენ მაინც ავაშენებთ, მიუხედავად იმისა, რომ მათ აღიზიანებთ ჩვენი შუშის სასახლეები, მათ არ მოსწონთ ჩვენი გაკეთებული გზები, მათ არ მოსწონთ ჩვენი გაკეთებული თბილისის შუშის ხიდი, ან სხვა ლამაზი შენობები. რატომ, იცით? როცა ეს ყველაფერი შენდება ბევრად უკეთესად, ვიდრე იმ იმპერიაში, რომელსაც ისინი ემონებიან, რომლის *ფეხსაცმლის ლოკვაშია მათი ყველაზე საუკეთესო პირის გემო,***

მერე ვეღარ იტყვიან, რომ უნდა დავბრუნდეთ უკან, იმათ საფარქვეშ იმიტომ, რომ საქართველოს უფრო უკეთესად შესძლებია, საქართველო უფრო მიმზიდველი შეიძლება რომ ყოფილიყო, საქართველოს სხვანაირად შესძლებია ყველაფრის გაკეთება, ამიტომ ჩვენ არასდროს ჩამოვწევთ ჩვენს ხუთჯვრიან დროშას. ჩვენ არასდროს არ დავიცლებით ენერგიისაგან და ვიბრძოლებთ ჩვენი ქვეყნის საბოლოო გათავისუფლებისთვის და ჩვენ არასდროს შევაჩერებთ თქვენთან ერთად აღმშენებლობას“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

პირის გემო ვის რაში აქვს, ეს ცალკე და დიდი საკითხია, მაგრამ დროშებს, „გაკეთებულ“ ხატებს და ციხეებს რაც შეეხება, **სააკაშვილს იმაზეც ეკუთვნის მადლობა, რომ ამ ჩამონათვალის გარდა, სამშობიაროებსა და საზოგადოებრივ ტუალეტებსაც შუშისგან არ გვიშენებს.** გასული საუკუნის 60–იან წლებში, როცა ევროპა „მინის ბუმმა“ მოიცვა, ფრანგებმა კომედია გადაიღეს, რომელშიც სააკაშვილივით ჭკვიანი ქალაქის მერი სწორედ მინის საპირფარეშოს ხსნის. ასე რომ, სენი, რომელიც ფრანგებმა 50 წლის წინ მოიხადეს, საქართველოს ახლა წამოეწია „ოლვეის ულტრასა“ და „გამჭვირვალე პოლიციის“ სახით.

**ვიდრე ბიძინა ივანიშვილის გუნდი სიმშვიდეშია გარინდული, სააკაშვილი ყოველდღე ახალ-ახალ ობიექტებს ხსნის და სიტყვაწყლიანობს.** დიღომში სკვერის სკამებზეც კი წითელი ლენტებია შებმული და გამჭრელს ელის, ხოლო ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ წევრი თამაზ დიასამიძე მომავალი საპარლამენტო არჩევნების კანონიერ კონსტიტუციურ ვადაში — 2012 წლის მაისში და პრეზიდენტის — 2013 წლის იანვარში ჩატარებას ითხოვს. 2006 წლის 27 დეკემბრის საკონსტიტუციო ცვლილებით დადგინდა, რომ საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების თარიღად ერთდროულად გამოცხადდა 2008 წლის ოქტომბერ-დეკემბერი. პარლამენტი თვითნებურად ცდილობდა ვადის 7-9 თვით გახანგრძლივებას, მაგრამ მოსახლეობამ პლებისციტზე არჩევნების 2008 წლის გაზაფხულზე ჩატარებას დაუჭირა მხარი.

პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევის ახალი ვადები კონსტიტუციაში უნდა ასახულიყო. **„2010 წლის 15 ოქტომბერს პარლამენტმა არჩევნების ვადების ძველი ნორმა პლებისციტამდე ჩანაწერი აღადგინა, რითაც ვადა გაუგრძელდა პრეზიდენტსაც. პარლამენტს ვადა მომავალი წლის მაისში ეწურება, მაგრამ დადგენილია ოქტომბერი და ე.ი. მას 6 თვით, პრეზიდენტს კი 10 თვით უგრძელდება ვადა, რადგან მისი უფლებამოსილება 2012 წლის ინვარში იწურება“,** — მიაჩნია დიასამიძეს.

დეპუტატის შეფასებით, აუცილებელია კონსტიტუციაში დროულად შეიცვალოს უკანონო ნორმები და არჩევნები კანონიერ ვადებში ჩატარდეს. დიასამიძე აღნიშნული მოთხოვნით მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს და ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერს. მისი თქმით, კონსტიტუციის კანონიერ ფარგლებში მოქცევა თვენახევარშია შესაძლებელი. **ისევე, როგორც 2008 წელს ოპოზიციის მიერ მოთხოვნილი საპარლამენტო მოდელი სააკაშვილმა სათავისოდ გამოიყენა და 2010 წელს კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებებით პრემიერ-მინისტრის სავარძელი მოიმზადა, ახლაც, ოპოზიციის მოთხოვნით, „ხალხის აზრს შეისმენს“ და არჩევნებს მაისში ჩაატარებს.**

„ბევრი ვეცადე შენთვისა, ძლივს გამოვიდა ჩემთვისაო“, – ამაზეა ზუსტად ნათქვამი. ჩვენი ოპოზიცია ამ რეჟიმში მოქმედებს: სწორედ იმას მოითხოვს ხოლმე, რაც ასე ძალიან სჭირდება სააკაშვილს. მოითხოვს და რომ შეუსრულებენ, მერე გაოცებული უყურებს საკუთარი მოთხოვნის შედეგებს. სააკაშვილი კი მთელ საქართველოს არის მოდებული და ხან ვაუჩერებს არიგებს, ხანაც მშობიარეებს ეუბნება მადლობას. **„მადლობა, რომ დროზე გააჩინეთ ბავშვი,“** — ესეც მისი ერთ-ერთი „შედევრალური“ გამონათქვამია, თითქოს მშობიარობის დრო ან იმ ქალზე იყო დამოკიდებული, ან სააკაშვილზე. ფორუმებზე მასხრობის მსურველს რა გამოლევს და აკი გამოეპასუხენ კიდეც: **„აბა, ის იყო კაი, შევარდნაძის დროს 10-11 თვე რომ სჭირდებოდა ბავშვის გაჩენას? აცალეთ ამ კაცს და 5 თვემდე დაიყვანს პროცესს“!**

თუმცა სააკაშვილს თვით მშობიარემ აჯობა და უპასუხა: **„მადლობა თქვენო“!** მემატიანე დუმს იმაზე, თუ რა წვლილი მიუძღვოდა ბავშვის „დროზე გაჩენაში“ სააკაშვილს, მაგრამ ამირანის შესახებ ქართული თქმულების არ იყოს, იმ ბავშვმა, რომ წამოიზრდება, შეიძლება დედას ძუძუზე კბილი დააჭიროს, მითხარი, მამაჩემი ვინ არისო! ბოლო დროს ძუძუს და კბილის თემატიკა საქართველოში აქტუალურია. რას იზამ, ზოგი ძუძუს ლოკავს და ზოგი ფეხსაცმელს, ზოგისთვის კი უფასო სასადილოა სანატრელი.

**საკუთარ დაბადების დღეს სააკაშვილი სწორედ ამგვარ ადამიანებს შეხვდა ბათუმის სათნოების სახლში. ხელცარიელი როდი მივიდა, უცხოელი მეგობრების ნაჩუქარი ხიზილალა და ესპანური ყველი მიუტანა. ვიდრე დელიკატესებით უმასპინძლდებოდა, როგორც ჩანს, შენიშნა, რომ მოხუცებს უსახსრობასა და უჭმელობასთან ერთად, უკბილობაც აწუხებთ და იქვე მოიფიქრა ახალი ინიციატივა — „ღიმილიანი საქართველო“.**

„ის ადამიანები, რომლებიც სათნოების სახლის მომსახურებით სარგებლობენ და ყველაზე მეტად სჭირდებათ დაცვა, მთელი ქვეყნის მასშტაბით უნდა აღვრიცხოთ. მათთვის გამოვყოფთ თანხას, რათა სტომატოლოგიური პრობლემები მოვუგვაროთ. მინდა ყველა ასაკოვანი ადამიანი იღიმებოდეს... ახალმა პროგრამამ „ღიმილიანი საქართველო“ ყველა ქალაქი და სოფელი უნდა მოიცვას“, – ბრძანა ჯანსაღი კბილების მქონე სააკაშვილმა. იმდენ ხალხში კი არავინ მოიძებნა, რომ ეთქვა: კბილების ჩასმას ის სჯობს, რომ საპროტესტო აქციაზე გამოსულ ხანდაზმულებს საკუთარი კბილები სააღლუმე რუსთაველზე არ დაატოვებინო. ისე კი, ხიზილალას და ესპანურ ყველს უკბილოდაც გასინჯავდა კაცი.

ამირანი, რომელიც დედის ძუძუზე კბილის დაჭერას ვერ გადააჩვია სააკაშვილმა, ბორჯომში გაასახლეს. ბორჯომი ჯერ არ არის რეგიონული ცენტრი, მაგრამ არჩევნებამდე დარჩენილ თვეებში (თუნდაც, თუ მართლაც მაისში ჩაატარებენ), საქართველოში კიდევ არაერთი ცენტრის გახსნას უნდა ველოდეთ. **საქარველოში ყველგან ცენტრი იქნება, თბილისის გარდა. ითვლება, რომ თბილისელებს კბილები აქვთ. მხოლოდ შალვა რამიშვილს აკლია ერთი კბილი და იმასაც პრინციპული პოზიციის გამო არ იკეთებს. მაგანაც, ვინმეს თითზე (ან ძუძუზე) არ უკბინოს! ჩვენ კი სულ მალე ერთხმად შევძახებთ: „მადლობა ამხანაგ სააკაშვილს ჩვენი ბედნიერი ღიმილისთვის“!**

**დროის იმ მონაკვეთში, რომელსაც, როგორც წესი, „ამას წინათ“ მოიცავს, საქართველოში, მათ შორის მაღალმთიან სოფლებში, თანაც დილის რვის ნახევარზე ჰაერის დაბალი ტემპერატურა იყო. ადამიანი, რომელიც ასეთ დროს გარეთ შორტებით და მაისურით გამოდის, შეიძლება ფსიქიატრიულიდან გაქცეულ პაციენტად ჩათვალონ, რამეთუ დილის ვარჯიში ასეთ ამინდში სპორტული კოსტუმის ჩაცმას მოითხოვს.**



**დიმიტრი მონიავას საავტორო გვერდი**

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# შამბალამდე გზა გქონიათ!

**„დიდი მადლობა, რომ დროზე გააჩინეთ ბავშვი“, — უთხრა მიხეილ სააკაშვილმა ქალბატონს, რომელსაც სამშობიაროს პალატაში ეწვია. ვერაფერს ვიზამთ, ჩვენი ქვეყნის ისტორია დალხენილი ნამდვილად არ ყოფილა: შევარდნაძის მმართველობის წლებში ბავშვის გაჩენას ხომ 11-12 თვე სჭირდებოდა, იმპერიის ჯურღმულებში — წელიწად-ნახევარი და იმის გახსენებაც კი არ ღირს, თუ რამდენ დროს ანდომებდნენ ამას ფეოდალურ საქართველოში, თუმცა ხელისუფლებაში სააკაშვილი მოვიდა და ყველაფერი შეიცვალა; მაგრამ, თუ ვაცლით, ორსულობის პერიოდი, სავარაუდოდ, 5 თვემდე შემცირდება.**



**მიხეილ სააკაშვილი:** „დიდი მადლობა, რომ დროზე გააჩინეთ ბავშვი“

სტოპ! გასაგებია, რომ ირონიული საუბარი ამ თემაზე უსასრულოდ შეიძლება, მაგრამ გადავახვიოთ ფირი და სააკაშვილს კიდევ ერთხელ მოვუსმინოთ. აგერ დგას, პალატაში, ახალნამშობიარები ქალის საწოლთან, ჩვილის სიახლოვეს ხალათის გარეშე, რაც, თავისთავად, საყოველთაოდ გავრცელებული ნორმების უხეში დარღვევაა, და სიტყვა-სიტყვით ამბობს: **„დიდი მადლობა, რომ დროზე გააჩინეთ ბავშვი“. ამ ფრაზის გაშიფრვა ათიოდე კომპეტენტურ ადამიანს ვთხოვე, მაგრამ ხელები გაასავსავეს და მითხრეს, რომ ეს სრული არაადეკვატურობის გამოვლინება იყო და სხვა კომენტარს სააკაშვილის ნათქვამზე, ძალიანაც რომ მოინდომონ, ვერ გააკეთებენ.** მსგავს ეპიზოდს სააკაშვილის ბიოგრაფიაში ადგილი უკვე ჰქონდა, როდესაც დაჭრილი სამხედროს შვილების ფოტო ნახა და იკითხა: „რამდენი წლის არიან?“. „ექვსი წლის ერთია და ოთხი წლის — მეორე,“ — უპასუხა დაჭრილმა. „ტყუპები არიან?“ — იკითხა სააკაშვილმა მოკლე პაუზის შემდეგ. ერთი შეხედვით, ამ ორ ეპიზოდს ერთმანეთთან არაფერი აკავშირებს, თუმცა ყურადღება ერთ ნიუანსს მივაქციოთ: ორივე შემთხვევა სამკურნალო დაწესებულებაში მოხდა.

ის, რომ გარემო ქცევაზე გარკვეულ ზეგავლენას ახდენს, ალბათ, თითოეულ ჩვენგანს შეუმჩნევია. მაგალითად, როდესაც 30-40 წლის ადამიანები თავის ძველ სკოლას სტუმრობენ, მათ ქვეცნობიერში რაღაც იღვიძებს და, მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ თავზე კონტროლს ინარჩუნებენ, მათი ქცევა ოდნავ იცვლება, მასში „ბავშვური“ ელემენტები ჩნდება. იცვლება მოხუცებულთა წყვილის საუბრის მანერა და განწყობა, როდესაც ისინი პირველი პაემნების ადგილს უახლოვდებიან; მათი დაკვირვება ამ დროს ძალზე საინტერესოა და უაღრესად თბილ გრძნობებს აღძრავს. ერთხელ კი იმის ნახვა მომიწია, თუ როგორ ამოქმედდა გაზის ბალონის აფეთქებისა და თანმდევი ხანძრის დროს მეორე მსოფლიო ომის ვეტერან — რამდენიმე წუთით ამ ღრმად მოხუცებულ ადამიანში ძველმა უნარ-ჩვევებმა გაიღვიძა, ისევ ჯარისკაცი გახდა და გაცილებით ადეკვატურად იქცეოდა, ვიდრე ყველა დამსწრე; დაბნეულობა არ ემჩნეოდა, თანაც გეგონებოდა, რომ ახალგაზრული ჯანღონე დაუბრუნდა.

უხეშად რომ ვთქვათ, ამა თუ იმ გარემოში (სიტუაციაში) მოხვედრისას, ადამიანის შესაბამისი „პროგრამა“ ამუშავდება ხოლმე. ვიდეოჩანაწერებიდან ჩანს, რომ **სამკურნალო დაწესებულებაში ყოფნისას მიხეილ სააკაშვილი გამორჩეულად არაადეკვატურ განცხადებებს აკეთებს;** ორი შემთხვევა უკვე სახეზეა. ამაზე დაყრდნობით, გარკვეული დასკვნების გაკეთება ნამდვილად შეიძლება, თუმცა ენაზე მომდგარი ვარაუდების გამყარებისთვის, ალბათ, მესამე შემთხვევასაც უნდა დაველოდოთ. ან კიდევ, შეგვიძლია სხვა გზით წავიდეთ და ჩავთვალოთ, რომ საკაშვილი გასხივოსნებულია, რომ ის ხედავს რაღაცას, რასაც ჩვენ ვერ ვხედავთ, და იმ რეალობაში, რომელშიც მას შეღწევა ძალუძს, 6 და 4 წლის ბავშვები, გამორიცხული არაა, ტყუპები იყვნენ, ხოლო ნახევარმილიონიანი ქალაქი ლაზიკა შეიძლება 10 წელიწადში აშენდეს.

დეპუტატმა ლევან ვეფხვაძემ ხელისუფლებას შესთავაზა, ლაზიკასთან ერთად ბარემ შამბალაც ააშენოს, რათა ინდოელი ინვესტორების ფული მოიზიდოს. ვფიქრობ, ეს ორი პროექტი უნდა გაერთიანდეს. შამბალას მთავარი პლუსი ისაა, რომ, გადმოცემის თანახმად, ის უხილავია და მასში შეღწევა მხოლოდ ფრიად გასხივოსნებულ ადამიანებს შეუძლიათ და, ალბათ, აჯობებს, ლაზიკაც უხილავი იყოს, რათა ის მხოლოდ სააკაშვილმა და მისმა სულიერმა მოწაფეებმა დაინახონ. თავად განსაჯეთ: **ეკონომისტებმა უკვე ახსნეს, რომ ლაზიკა იმ ვადებში და ისეთი სახით, როგორითაც სააკაშვილს წარმოუდგენია, ვერ აშენდება; ეს ისეთივე შეუძლებელია, როგორც 5 თვეში ბავშვის გაჩენა.** მაგრამ

**ამ ფრაზის გაშიფრვა ათიოდე კომპეტენტურ ადამიანს ვთხოვე, მაგრამ ხელები გაასავსავეს და მითხრეს, რომ ეს სრული არაადეკვატურობის გამოვლინება იყო და სხვა კომენტარს სააკაშვილის ნათქვამზე, ძალიანაც რომ მოინდომონ, ვერ გააკეთებენ**

თუ ამ ქალაქს აპრიორი უხილავის სტატუსი ექნება, სააკაშვილსა და მის სამწყსოს შესაძლებლობა მიეცემათ, თქვან, რომ ის მართლაც ააშენეს, ოღონდაც ჩვენ მას ვერ ვნახავთ, სანამ მესამე თვალი არ აგვეხილება. „დავიღალეთ თქვენი უმადურობით, — გვეტყვიან ხოლმე ისინი, — ლაზიკაში მივდივართ“. „წადით, — მორცხვად ვუპასუხებთ ჩვენ, — შამბალამდე გზა გქონიათ!“.

შეგვიძლია პრობლემის სამხედრო ასპექტიც განვიხილოთ; რუკაზე ერთი დახედვაც კი საკმარისია იმის დასანახად, რომ ლაზიკა-შამბალას (რა საჭიროა ეს ორი სათაური?!) დაცვას ზღვიდან, ჰაერიდან და ხმელეთიდან მომავალი საფრთხისგან უზარმაზარი სამხედრო და ფულადი რესურსის მოზიდვა დასჭირდება; ის კენიგსბერგის ერთგვარ ანალოგად უნდა გადაიქცეს (თუ სააკაშვილის ხელისუფლება ომის შემთხვევაში, ისევე, როგორც გორს 2008-ში, მიტოვებას უპირებს?). მაგრამ თუ ქალაქი უხილავი იქნება, მოწინააღმდეგე მას გვერდს აუვლის; მთავარსარდალი ამალითურთ მას შეაფარებს თავს. ეს, ისევ გორის გამოცდილების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ტელეკამერების წინ მის გამოჩენას ნამდვილად სჯობს, ოპერაციების ხელმძღვანელობაზე რომ არაფერი ვთქვათ; ხოლო როდესაც ომი დასრულდება, ისინი ისევ გამოჩნდებიან, როგორც მაშინ, აგვისტოში, და ლოგიკურ კითხვაზე „თქვენ სადღა იყავით?“ ამაყად გვიპასუხებენ: „უხილავი შამბალას (თუ ლაზიკას) დაცვას ვამაგრებდით“!

შამბალურ ლაზიკას თუ ლაზიკურ შამბალას უდავოდ ავტონომიური სტატუსი უნდა მიენიჭოს. არის ამქვეყნად პოლიტიკური ავტონომიები, კულტურულიც არის, ეს კი პირველი ფსიქიატრიული ავტონომია იქნება.

ამ ქალაქს ჰიმნიც უნდა ჰქონდეს. ძალიან მიყვარს სიმღერა „ტუმბალალაიკა“, სააკაშვილისთვის არ მემეტება, თუმცა ჯანდაბას, ამაზეც თანახმა ვარ. გავიხსენოთ ის მშვენიერი მელოდია და წარმოვიდგინოთ, თუ როგორ შემოდის ავანსცენაზე ძლიერ გასხივოსნებული სააკაშვილი (სოლო): „Meydl, meydl, khvil bay dir fregn: vos ken vaksn, vaksn on regn?“ (თარგმანი იდიშიდან: „გოგოვ, გოგოვ, მინდა გკითხო: რა შეიძლება გაიზარდოს წვიმის გარეშე?“). ამის შემდეგ კი სცენის სიღრმიდან გუნდი ერთხმად (საპარლამენტო უმრავლესობა სრული შემადგენლობით და მთავრობა მთელი თავისი აქსესუარებით) მის კითხვას ერთგვარ პასუხს გასცემს: „შამბალა, შამ-ბალა, შამბალა-ლაიკა! შამბალალაიკა, freylekh zol zayn!“ (ბოლო სიტყვების შედარებით თავისუფალი თარგმანია: „შენ დაუკარ! დაე, მხიარულება იყოს!“). ტექსტის საბოლოო გადათარგმნისა და ქართული რეალიების მიმართ ადაპტირების საქმე, ალბათ, ნუგზარ წიკლაურმა უნდა ითავოს, რადგან ამ საქმეს განსაკუთრებული, გამორჩეული, მართლაც რომ უპრეცედენტო გასხივოსნებულობა სჭირდება.

**შამბალურ ლაზიკას თუ ლაზიკურ შამბალას უდავოდ ავტონომიური სტატუსი უნდა მიენიჭოს. არის ამქვეყნად პოლიტიკური ავტონომიები, კულტურულიც არის, ეს კი პირველი ფსიქიატრიული ავტონომია იქნება**

ამ „გოგოვ, გოგოვ...“-მა ერთი პასაჟი გამახსენა, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ. სააკაშვილი (ისევ სოლო): **„ეს არის ერთგვარი კულტურული შოკი. წარმოიდგინეთ, ამას წინათ ვიყავი ერთ-ერთ მაღალმთიან სოფელში, ჰყავთ ამერიკელი მასწავლებელი, ძალიან სიმპატიური ახალგაზრდა. გამოვიდა დილით ეს გოგონა რვის ნახევარზე ორღობეში მოკლე შორტებში, მაისურში სარბენად, ყურში აიპოდით და მთელი სოფლის ძაღლები მისდევდნენ უკან. რა თქმა უნდა, ეს არის კულტურული გამოცდილება მათთვის“** („ინტერპრესნიუსი“).

დროის იმ მონაკვეთში, რომელსაც, როგორც წესი, „ამას წინათ“ მოიცავს, საქართველოში, მათ შორის მაღალმთიან სოფლებში, თანაც დილის რვის ნახევარზე ჰაერის დაბალი ტემპერატურა იყო. ადამიანი, რომელიც ასეთ დროს გარეთ შორტებით და მაისურით გამოდის, შეიძლება ფსიქიატრიულიდან გაქცეულ პაციენტად ჩათვალონ, რამეთუ დილის ვარჯიში ასეთ ამინდში სპორტული კოსტუმის ჩაცმას მოითხოვს. მსგავსი სანახაობა მართლაც შოკისმომგვრელია. თუმცა დავუშვათ, რომ სააკაშვილის „ამას წინათ“ უფრო ადრეულ, თბილ პერიოდზე მიანიშნებდა, ან კიდევ, ის გოგონა ალასკიდან იყო და შესაბამისად გაკაჟებული გახლდათ, ან ადრე აშშ-ის საზღვაო ქვეითთა კორპუსში მსახურობდა და შემდეგ, რატომღაც, ქართულ მაღალმთიანეთში მოხვდა... (Болтун — находка для шпиона. Не так ли, Михаил Николаевич?). თუმცა ეს უკვე შპიონომანიაა, ჩავთვალოთ, რომ ის ამერიკელი, უბრალოდ, „спортсменка, комсомолка и, наконец, просто красавица“ არის. ერთი ასეთი ჯერ კიდევ მაშინ გავიცანი, როდესაც ბერლინს ის დასაქცევი კედელი ჰყოფდა. ხომ გესმით: „ცივი ომი“, ცხელი გულები, ნელ-თბილი წვიმა ალექსანდერპლაცზე...

პრობლემა შორტებში როდია; ბოლოს და ბოლოს, ძაღლების გარდა, ვინ მიაქცევდა ყურადღებას სადღაც ორღობეში მორბენალ დედაკაცს, როდესაც სოფელში ამავე დროს ისეთი შოკისმომგვრელი კულტურული, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ფენომენი ბრძანდებოდა, როგორიცაა მიხეილ სააკაშვილი. პრობლემა ყურსასმენშია, მცირე დეტალში, რომლის უკან, საკმაოდ საინტერესო ფსიქოლოგიური პრობლემა დგას.

ფსიქოლოგების აზრით, ადამიანი, რომელსაც ქუჩაში ყურსასმენი უკეთია, გარშემომყოფებში, როგორც მინიმუმი, ფარულ უკმაყოფილებას იწვევს. ეს ერთგვარი (ცხადია, გაუცნობიერებელი) მესიჯია იმის თაობაზე, რომ ის გარემოსგან იზოლირებულია: „არაფერი მესმის; არ შემეხოთ“. კომუნიკაციის შესაძლებლობის მოსპობა სხვა ადამიანებს აღიზიანებს, ისინი მუსიკის მოყვარულის მიმართ ქვეცნობიერად აგრესიულად განეწყობიან და მას „უცხო სხეულად“ აღიქვამენ. სადმე მეგაპოლისში, საზოგადოებრივ ტრანსპორტში, ეს პრობლემას არ წარმოადგენს, რადგან ბევრისთვის აბსოლუტურად სულერთია, თუ რას იფიქრებენ მასზე უცნობი თანამგზავრები, რომელთაც პირველად შეხვდა და მათ დიდ უმრავლესობას მომავალში აღარასოდეს გადაეყრება. მაგრამ პატარა სოფელში, სადაც გარკვეული დროის გატარება და მუშაობა მოგიწევს, ეს ადგილობრივებისგან დისტანცირების დაფიქსირების ერთ-ერთი ყველაზე გამაღიზიანებელი საშუალებაა, რომელიც (უხილავად, გაუცნობიერებლად) ხელს უშლის ერთმანეთის მიმართ ნდობის გაჩენას. უწყინარი ყურსასმენი ორივე მხარეს, ფაქტობრივად, ურთიერთდაშორების სურვილს უღრმავებს. ორღობეში შორტებით ნაწილობრივ დაფარული ქვედა კიდურების დემონსტრირება ამ ფსიქოლოგიური მექანიზმის მუშაობას ხელს ვერ შეუშლის, მიუხედავად იმისა, რომ ხსენებული კიდურები, ალბათ, სავსებით ნორმალურად გამოიყურება (დაკვირვების ობიექტი პირადად არ მინახავს; ვისაც დეტალები აინტერესებს, შეუძლია უშუალოდ სააკაშვილს ჰკითხოს).

ახლა ყოველივე თქმულს თავი დავანებოთ და მარტივი კითხვები დავსვათ: რაში მდგომარეობს ის კულტურული გამოცდილება, რომელზეც სააკაშვილი საუბრობს? რამდენად გამოადგა ის მაღალმთიანი სოფლის მცხოვრებლებს? იქნებ ჯობდეს, რომ ფიგურანტმა თავისი ფსიქოლოგიურ-პედაგოგიური ექსპერიმენტები შიგ შამბალაში (თუ ლაზიკაში) გააგრძელოს?

**იმის ნაცვლად, რომ რეალურ ქალაქებს მიხედოს, თავის წარმოსახვაში რაღაც მითოლოგიურ დასახლებებს აარსებს, იმის ნაცვლად, რომ რეალურ ადამიანებს თვალებში შეხედოს, ტელეკამერების წინ საგანგებოდ მომზადებული სტატისტების ჯგუფებს ხვდება და უაღრესად გასხივოსნებული გარბის იმ რეალობისგან, რომელშიც ჩვენი ბედკრული ქვეყანა ცხოვრობს, ისე სწრაფად, გეგონება, „მთელი სოფლის ძაღლები მისდევენ“. არა უშავს; გამორიცხული არაა, რომ დამდეგ წელს ამ მარათონის ფინიშს თითოეული ჩვენგანი იხილავს.**

პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რამდენად რაციონალური იქნება ამერიკელებისთვის სააკაშვილის ხელისუფლების შემდგომი მხარდაჭერა, მითუმეტეს, რომ ის მხოლოდ არსებობის გახანგრძლივებისთვის იბრძვის და სხვას თითქმის ვეღარაფერს აკეთებს? პრაქტიკულად ერთადერთი რამ, რაც ჩვენმა უხეირო ოპოზიციამ ბოლო წლების განმავლობაში მოახერხა, სააკაშვილის ხელისუფლების ანტიეროვნულ ძალად წარმოჩენაა...**
**კიდევ ერთი აუცილებელი ნაბიჯი იმისთვის, რომ ვაშინგტონმა სააკაშვილის მხარდაჭერაზე საბოლოოდ უარი თქვას, იმის მკაფიო დაფიქსირებაა, რომ მას არა ერთი პოლიტიკური ჯგუფი, არამედ სრულიად საზოგადოება უპირისპირდება.**

# Novus Ordo Seclorum,
# ანუ ძია სემი სააკაშვილის წინააღმდეგ

**წინასაახალწლოდ ქართველი პოლიტიკოსები ერთობ დაშოშმინდნენ და გასულ კვირას ისეთი არაფერი ჩაუდენიათ, რაც საგანგებო კომენტარს საჭიროებს. ალბათ, მიზანშეწონილია, ეს პაუზა იმისთვის გამოვიყენოთ, რომ ყურადღება შედარებით სერიოზულ პროცესებს მივაქციოთ. გასული წლის მთავარ მოვლენად უდავოდ „არაბული გაზაფხული" იქცა; მას საქართველოში დიდი ინტერესით აკვირდებოდნენ. დაპირისპირება საზოგადოებასა და მარაზმატულ რეჟიმს შორის ჩვენთვის ნაცნობი და მეტად აქტუალური რამ არის, თუმცა გამორიცხული არაა, ამ ინტერესს კიდევ ერთი, ნაკლებად გამოკვეთილი ასპექტი ჰქონოდა. ბევრ ქართველ დამკვირვებელს აინტერესებდა, რა პოზიციას დაიკავებდა ვაშინგტონი, რათა შემდეგ ეცადა, გამოეთვალა მისი შესაძლო რეაქცია ანალოგიურ პროცესებზე საქართველოში. ამერიკელების მოქმედებამ „არაბული გაზაფხულის" დროს ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა წარმოშვა და ჩვენი ამოცანა ამჯერად ზოგიერთ მათგანზე პასუხის მოძებნა იქნება.**




## ჩირაღდანს ხომ ვერ გააშვებინებ...

ვაშინგტონის ფარულმა, ზოგჯერ კი სავსებით ხილულმა მხარდაჭერამ არაბული რევოლუციების მიმართ, ხელისუფლებისკენ გზა ისლამისტებს გაუხსნა. საუბარი იმაზე, რომ თეთრმა სახლმა ეს ვერ განჭვრიტა, სასაცილოა, რადგან მოვლენების განვითარება ამ სცენარით „ზედაპირზე იდო". მიუხედავად ამისა, ამერიკელებმა ხელი შეუწყვეს მათდამი სავსებით ლოიალური რეჟიმების დასამარებას და ამით ავანსცენაზე ის ძალები გამოიყვანეს, რომლებიც არცთუ დიდი ხნის წინ რეაქციულობის განსახიერებად და რეგიონში აშშ-ის მთავარ ოპონენტებად განიხილებოდნენ. ყოველივე ეს ფრიად უცნაურად გამოიყურებოდა.

იმისათვის, რომ ამ მიდგომის ქვეტექსტი გავშიფროთ, ალბათ, მიზანშეწონილია, ოდნავ უკან, 2007-ში დავბრუნდეთ, როდესაც ბარაკ ობამა პრეზიდენტობის კანდიდატი გახდა, ხოლო ზბიგნევ ბჟეზინსკიმ გამოაქვეყნა წიგნი „Second Chance: Three Presidents and the Crisis of American Superpower" („მეორე შანსი: სამი პრეზიდენტი და ამერიკული ზესახელმწიფოს კრიზისი"). ამ ნაშრომში ბჟეზინსკიმ ბილ კლინტონისა და ორივე ბუშის ადმინისტრაციის პოლიტიკა მიმოიხილა, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესო ამ წიგნის ბოლო თავი იყო. ის ერთგვარ მოხსენებით ბარათს წარმოადგენდა, რომლის მთავარი ადრესატი აშშ-ის მომავალი პრეზიდენტი იყო. აღსანიშნავია, რომ 2007-ში ობამამ და ბჟეზინსკიმ სრულ ურთიერთგაგებას მიაღწიეს და ერთმანეთის მიმართ კომპლიმენტებს არ იშურებდნენ, 2011-ში კი, „არაბული გაზაფხულის" დროს, გაჩნდა საფუძვლიანი ეჭვი, რომ ობამას ადმინისტრაცია მნიშვნელოვანწილად ბჟეზინსკის ამ წიგნში გადმოცემული იდეებით ხელმძღვანელობს.

საბოლოო ჯამში, ამ პოლიტიკის აღწერა შეიძლება ცნობილი გამონათქვამის ჩარჩოებში ჩაეტიოს: „თუ შეუძლებელია, რევოლუციას წინ აღუდგე, მას სათავეში უნდა ჩაუდგე". თუმცა დასაწყისისთვის ურიგო არ იქნება იმის დადგენა, თუ რა რევოლუციაზეა საუბარი.

„განვითარებადი მსოფლიოს დიდი ნაწილი პოლიტიკური დუღილის მდგომარეობაში იმყოფება. მოსახლეობა იაზრებს უკიდურესობამდე მიყვანილ სოციალურ უსამართლობას, ის აღშფოთებულია საკუთარი გაჭირვებით და ღირსების შელახვით. რადიოს, ტელევიზიისა და ინტერნეტის ხელმისაწვდომობამ შექმნა საზოგადოება, რომელიც სავსეა შურითა და მძვინვარებით; ის წარმოადგენს გამოწვევას არსებული სახელმწიფოებისთვის და გლობალური იერარქიისთვის, რომლის მწვერვალზე ჯერჯერობით ამერიკა იმყოფება," — წერს ბჟეზინსკი. მას „გლობალური პოლიტიკური გაღვიძების" ცნება შემოაქვს, რომელიც, მისი თქმით, „ისტორიულად ანტიიმპერიული, პოლიტიკურად ანტიდასავლური და ემოციურად სულ უფრო ანტიამერიკულია". საინტერესოა, რომ ავტორი ამ განწყობის ობიექტურ ხასიათზე მიუთითებს და მის ერთგვარ ლეგიტიმაციას ახდენს: „ანტიდასავლურობა უფრო მეტია, ვიდრე პოპულისტური დამოკიდებულება. ეს გლობალური დემოგრაფიული, ეკონომიკური და პოლიტიკური ბალანსის შეცვლის განუყოფელი ნაწილია".

ამ გლობალური ამბოხის ჩახშობის იდეა მას უპერსპექტივოდ ეჩვენება, რადგან აშშ-ს ამის რესურსი ნამდვილად არ აქვს. ეს შტატებს ბრიტანეთის იმპერიის თანამედროვე, პლანეტარული მასშტაბის ანალოგად გადააქცევდა, რაც, ბჟეზინსკის აზრით, უპერსპექტივო გზაა: „არაფერი იქნება იმაზე უარესი, ვიდრე პოსტიმპერიულ ეპოქაში ამერიკული პოლიტიკის აღქმა, როგორც თავდაჯერებულად იმპერიულის და კოლონიურ წარსულში ჩარჩენილის"...

„დღეს მთავარი მოთხოვნა გლობალური ხელმძღვანელობისადმი განსხვავდება იმისგან, ბრიტანეთის იმპერიის დროს რომ იყო. სამხედრო ძალა, თუნდაც ის ეკონომიკური ძლიერებით და უმაღლესი ელიტის დახვეწილი სტრატეგიით იყოს გამყარებული, უკვე არასაკმარისია იმისთვის, რომ იმპერიული დომინირება უზრუნველყო. ადრე კონტროლის ძალა განადგურების ძალას აღემატებოდა. მილიონი ადამიანის მართვა ნაკლებ ხარჯს და ძალისხმევას მოითხოვდა, ვიდრე მილიონი ადამიანის მოკვდინება. დღეს კი პირიქითაა: განადგურების ძალა მართვის ძალას აღემატება". **ბჟეზინსკის საბოლოო დასკვნა მოკლე და მარტივია: „გლობალური პოლიტიკური გაღვიძების მთავარი გეოპოლიტიკური ეფექტი იმპერიული ეპოქის დასასრულია".**

რაც ყველაზე მთავარია, **შტატების გადაქცევა „გლობალურ ჟანდარმად" გადაულახავ წინააღმდეგობაში შევა (თუ უკვე შევიდა?) ფუნდამენტურ იდეასთან, რომელიც XIX-XX საუკუნეებში მისი პოლიტიკის წარმატებებს უზრუნველყოფდა. აშშ საკუთარ თავს მუდამ „თავისუფლების ჩირაღდნად" წარმოაჩენდა და მილიონობით ადამიანი ბრძოლაში კოლონიალიზმის თუ ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ მას მოკავშირედ აღიქვამდა. ის გარემოება, რომ პარალელურად აშშ საკუთარ გეოპოლიტიკურ ამოცანებს წყვეტდა, ასე თუ ისე შენიღბული იყო, მაგრამ რაღაც მომენტში ვითარება შეიცვალა, განსაკუთრებით საგრძნობი კი უმცროსი ბუშის მმართველობის პერიოდში გახდა.** დაიწყო (მართლაც რომ გლობალური მასშტაბის) მსჯელობა იმაზე, რომ **თავისუფლების და დემოკრატიის მხარდაჭერის ლოზუნგები სინამდვილეში მხოლოდ შირმაა, რომლის მიღმა აღვირახსნილი იმპერიალიზმი იმალება.** აშშ-ს გლობალური რევოლუციის ლოკომოტივად, თავისუფლების მებაირაღედ სულ უფრო ნაკლები ადამიანი აღიქვამდა.

ბჟეზინსკი სთავაზობს აშშ-ს, ეს დაკარგული როლი დაიბრუნოს: „დღევანდელ მშფოთვარე მსოფლიოში ამერიკამ საკუთარი თავი ადამიანის უნივერსალური ღირსების ძიებას უნდა დაუკავშიროს, რომელშიც განსახიერებულია თავისუფლება და დემოკრატია, რომელიც ამავე დროს გულისხმობს კულტურული მრავალფეროვნების პატივისცემას და აღიარებს, რომ არსებული სოციალური უსამართლობა უნდა აღმოიფხვრას".

აქ ჩვენ უაღრესად საინტერესო მომენტს მივუახლოვდით.

**ამერიკელებმა ხელი შეუწყვეს მათდამი სავსებით ლოიალური რეჟიმების დასამარებას და ამით ავანსცენაზე ის ძალები გამოიყვანეს, რომლებიც არცთუ დიდი ხნის წინ რეაქციულობის განსახიერებად და რეგიონში აშშ-ის მთავარ ოპონენტებად განიხილებოდნენ**

## ღირსება, უპირველეს ყოვლისა

ფაქტია, ზბიგნევ ბჟეზინსკი ისეთ რიტორიკას იყენებს, რომელიც „მესამე სამყაროს" ნებისმიერ საპროტესტო მიტინგს დაამშვენებდა: „ადამიანის ღირსება გულისხმობს თავისუფლებასა და დემოკრატიას, მაგრამ ამა-

▶

## ახალ წელს სამშობლოში უნდა შეხვდე!

**ნურსულტან ნაზარბაევმა ყაზახ მოხელეებს ახალი წლის საზღვარგარეთ შეხვედრა აუკრძალა. „დღესასწაულს სამშობლოში უნდა შეხვდე. ეს ახალ წელსაც ეხება და ყველა ეროვნულ თუ სახელმწიფო დღესასწაულსაც,"** — განაცხადა ყაზახეთის პრეზიდენტმა.

ამის შესახებ მან განცხადება საკუთარ ადმინისტრაციაში გამართულ წინასაახალწლო შემაჯამებელ შეხვედრაზე გააკეთა.

## 8 წლის შემდეგ რუსეთი მსოფლიოს მეოთხე ეკონომიკა გახდება

**2020 წელს რუსეთი მსოფლიოს უმძლავრეს ეკონომიკურ ოთხეულში შევა. ამის შესახებ პროგნოზს ლონდონის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის ცენტრი (CEBR) აქვეყნებს. ლიდერის პოზიციებს აშშ, ჩინეთი და იაპონია შეინარჩუნებენ.** ამჟამად რუსეთს მსოფლიო ეკონომიკურ რეიტინგში მეცხრე ადგილი უკავია. ლონდონის ეკონომიკისა და ბიზნესის კვლევის ცენტრი ბრიტანეთის ეკონომიკის პერსპექტივას პესიმისტურად აფასებს. სავარაუდოდ, 2020 წლისთვის ის მერვე ადგილზე ჩაინაცვლებს. გერმანია და საფრანგეთი მე-7 და მე-9 ადგილებზე ჩამოქვეითდებიან მე-4 და მე-5 ადგილებიდან. მათ რუსეთი და ინდოეთი ჩაენაცვლება.

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**თუ მომავალი კრიზისის დროს, რომელიც არჩევნებს უკავშირდება და თითქმის გარდაუვალი ჩანს, აშშ-ის წარმომადგენლები ადეკვატურ პოზიციას დაიკავებენ, გამყალბებლების დაცვას არ დაიწყებენ და, 2008 წლის არჩევნებისგან განსხვავებით, დაუპირისპირდებიან მათ, ეს შესაძლებლობას მისცემთ, ერთი დარტყმით მკვეთრად შეამცირონ ის ანტიამერიკული განწყობა, რომელიც დღეს საქართველოში სუფევს.**




## «ამერიკამ დაუყოვნებლივ უნდა შეიმუშაოს საგარეო პოლიტიკა, რომელიც «ცივი ომის» დასრულების შემდეგ შექმნილ ვითარებას შეესაბამება. მან ჯერ კიდევ შეიძლება გააკეთოს ეს, თუ აშშ-ის მომავალი პრეზიდენტი გააცნობიერებს, რომ «ზესახელმწიფო სუსტდება, როდესაც იდეას აღარ ემსახურება» და ამერიკის ძალას პოლიტიკურად გაღვიძებული კაცობრიობის მისწრაფებებს დაუკავშირებს»

ზე უფრო ფართოა. ის ასევე მოიცავს სოციალურ სამართლიანობას, სქესთა თანასწორობას და, ამას გარდა, პატივისცემას მსოფლიო კულტურული და რელიგიური მოზაიკის მიმართ. ეს კიდევ ერთი მიზეზია იმისა, რომ **გარედან თავსმოხვეული ნაჩქარევი დემოკრატიზაცია განწირულია. მდგრადი ლიბერალური დემოკრატია თანდათან იზრდება და საკუთარ თავს შიგნიდან აძლიერებს“.**

საინტერესოა, რომ ორიოდე კვირის წინ „Terra America“-სთვის მიცემულ ინტერვიუში ბჟეზინსკი კიდევ უფრო შორს წავიდა და შეშფოთებული კორესპონდენტის კითხვაზე, რომ ეგვიპტეს ისლამისტები ეპატრონებიან, ლამის „მერე რა“-ს სტილში უპასუხა: „გლობალური პოლიტიკურ გაღვიძების დოქტრინა არ გულისხმობს, რომ მისი შედეგი აუცილებლად დემოკრატია იქნება. პოლიტიკურ გაღვიძებას შეიძლება უამრავი გამოვლინება ჰქონდეს, რაც ქვეყნის ან რეგიონის ისტორიულ გამოცდილებაზეა დამოკიდებული“.

ერთ-ერთი კომენტატორის ენამოსწრებული შენიშვნის არ იყოს, ბჟეზინსკიმ ჟან-პოლ მარატის მემკვიდრედ მოლა ნასრალა დანიშნა, თუმცა ფაქტი სახეზეა: ობამას ადმინისტრაცია არა მხოლოდ არ უშლის ხელს რევოლუციას, რომლის ლოზუნგები მნიშვნელოვანწილად ანტიამერიკულია, არამედ ეხმარება მას. ამის მიღმა, სავარაუდოდ, არა მხოლოდ იმის გააზრება დგას, რომ ამ ტექტონური ძალებისთვის წინააღმდეგობის გაწევა უპერსპექტივოა, არამედ — რაციონალური გეოპოლიტიკური გათვლაც.

**„ცივი ომის“ დასკვნით ეტაპზე აშშ-ის ფაქტობრივი მოკავშირეები ჩინეთი და ისლამური სამყარო გახდნენ.** ნიქსონის პრეზიდენტობის პერიოდში ჩინეთთან ფარული სტრატეგიული ალიანსის (იდეოლოგიური სხვაობის მიუხედავად) მთავარი არქიტექტორი ჰენრი კისინჯერი იყო; ზბიგნევ ბჟეზინსკიმ კი თავი „ისლამურ ფრონტზე“ გამოიჩინა. მისი იდეა ავღანეთში სსრკ-ისთვის „საკუთარი ვიეტნამის“ მოწყობის შესახებ, წარმატებით რეალიზებულ იქნა. ამ ომის დროს აშშ და ისლამური სამყაროს დიდი ნაწილი ფრონტის ერთ მხარეს აღმოჩნდნენ. საინტერესოა, ბჟეზინსკის ერთი მოგონება: „ოფიციალური ვერსიის თანახმად, ცენტრალურმა სადაზვერვო სამმართველომ მოჯაჰედების მხარდაჭერა ავღანეთში 1979 წლის 24 დეკემბერს საბჭოთა არმიის შეყვანის შემდეგ დაიწყო. სინამდვილეში კი (და ეს დღემდე საიდუმლო იყო) ყველაფერი სხვაგვარად იყო. პირველ დირექტივას ქაბულში პროსაბჭოური რეჟიმის მოწინააღმდეგეებისთვის ფარული მხარდაჭერის შესახებ პრეზიდენტმა კარტერმა ხელი 1979 წლის 3 ივლისს მოაწერა. იმავე დღეს მე წარვუდგინე მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ავხსენი, რომ ეს მხარდაჭერა საბჭოთა კავშირის სამხედრო ჩარევას გამოიწვევს“ („Nouvel Observateur“ 25.12.09.).

**თუმცა „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ „დიდი ტრიუმვირატი“ დაიშალა. აშშ-ის ურთიერთობები ჩინეთთან თანდათან გაუარესდა, ხოლო ბუშის ექსპედიციებმა ერაყსა და ავღანეთში ურთიერთგაგებას ისლამურ სამყაროსთან ბოლო მოუღო. ამასთანავე, სავსებით ნათლად გამოიკვეთა ახალი ალიანსის „ყველა დასავლეთის (აშშ-ის) წინააღმდეგ“ კონტურები. ობამას ადმინისტრაციის ძალისხმევა, მათ შორის, ამ ალიანსის ფორმირების წინააღმდეგ არის მიმართული. მარტივად რომ ვთქვათ, თუ აშშ არ აღმოუჩენდა დახმარებას არაბ მეამბოხეებს დღეს, ხვალ ამას ჩინეთი გააკეთებდა და „გლობალური გაღვიძების“ ლოკომოტივის როლს მოირგებდა.**

„ამერიკამ დაუყონებლივ უნდა შეიმუშაოს საგარეო პოლიტიკა, რომელიც „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ შექმნილ ვითარებას შეესაბამება. მან ჯერ კიდევ შეიძლება გააკეთოს ეს, თუ აშშ-ის მომავალი პრეზიდენტი გააცნობიერებს, რომ „ზესახელმწიფო სუსტდება, როდესაც იდეას აღარ ემსახურება“ და ამერიკის ძალას პოლიტიკურად გაღვიძებული კაცობრიობის მისწრაფებებს დაუკავშირებს,“ — წერს ბჟეზინსკი წიგნში „მეორე შანსი“ და დასძენს, რომ მესამე შანსი მის ქვეყანას აღარ ექნება.

ორი გიგანტის ბრძოლა ისლამური (და არა მხოლოდ) სამყაროსთვის მსხვერპლს მოითხოვს. აშშ-ის მხრიდან ეს, ბჟეზინსკის მიხედვით, ადრინდელი მიდგომის კორექტირებაში, სხვადასხვა ერის კულტურისა და ტრადიციების პატივისცემაში, სამართლიანობისთვის მათი ბრძოლის მხარდაჭერაში უნდა გამოიხატებოდეს, რაც დღეს „მესამე სამყაროში“ სიმპათიის მოპოვების პრაქტიკულად ერთადერთი საშუალებაა. ცვლილებები არაბულ სამყაროში არ ნიშნავს იმას, რომ იქაურები (მაგალითად, ეგვიპტელები) ხვალ „პირველად ეგვიპტის ისტორიაში“ ამერიკული ინსტრუქტორების ზედმხედველობის ქვეშ „ახალი ეგვიპტური სახელმწიფოს“ შექმნას დაიწყებენ, სულაც არა. ეს არ იქნება პირდაპირი კონტროლი და ეგვიპტელებს **ასე თუ ისე შესაძლებლობა მიეცემათ, ქვეყანა საკუთარი გემოვნებით მოაწყონ. მაგრამ ეს არ ნიშნავს უარის თქმას ირიბი კონტროლის მექანიზმებზე ან იმას, რომ რეგიონში არ ჩაიდო „ნაღმები“, რომლებიც ჩინეთს აქ პოზიციების გაძლიერების შესაძლებლობას არ მისცემს.** ამასთანავე, თითქმის გამორიცხულია ახალ მიდგომას ლოკალური, რეგიონული ხასიათი ჰქონდეს. დღევანდელ, საინფორმაციო თვალსაზრისით, შეუძლებელია იხელმძღვანელო გარკვეული პრინციპებით არაბულ სამყაროში და, ამავე დროს, ეს პრინციპები ლათინურ ამერიკაში ან კავკასიაში უგულებელყო. რას ნიშნავს ეს პრაქტიკულად, კერძოდ, საქართველოსთან დაკავშირებით?

## FINITA LA COMEDIA?

ბჟეზინსკის ახალი იდეების ხორცშესხმა, სავარაუდოდ, გულისხმობს უარს იმ ძალების მხარდაჭერაზე, რომლებიც ამა თუ იმ ქვეყანაში საზოგადოების გარდაქმნას ქირურგიული მეთოდებით ცდილობენ და ამით მკვეთრად ნეგატიურ რეაქციას იწვევენ. მაგალითად, ებრძვიან ტრადიციულ რელიგიურ ინსტიტუტებს, ახრჩობენ ეროვნულ კულტურას, გენოციდთან მიახლოებულ სოციალურ პოლიტიკას ატარებენ, „ახალი ტიპის ადამიანებს“ ქმნიან და ა. შ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ძალები შეიძლება ვაშინგტონის მიმართ ლოიალურები იყვნენ და ყველა მოედანზე „თავისუფლების ქანდაკების“ ასლი დადგან.

სააკაშვილის მმართველობა საქართველოში ანტიამერიკანიზმის განუხრელ, ზვავისებურ ზრდას დაუკავშირდა. **ძნელი სათქმელია, უბიძგებდნენ თუ არა ამერიკელები სააკაშვილს ამა თუ იმ ოდიოზური ნაბიჯის გადადგმისკენ, მაგრამ ფაქტია, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ვითარებას სწორედ ასე აღიქვამს.** ამასთანავე, განხილული თემის კონტექსტში აღსანიშნავია, რომ სააკაშვილის წინააღმდეგ დარაზმულ ადამიანებს აერთიანებდა არა სოციალურ-ეკონომიკური შინაარსის ლოზუნგები, არამედ ბრძოლა უსამართლობის წინააღმდეგ, ეროვნული თვითმყოფადობის (თავისი რელიგიური და კულტურული შემადგენლით) და, უბრალოდ, ღირსების დაცვის სურვილი, მოკლედ, ყველაფერი ის, რაზეც ბჟეზინსკი წერს. ნუ წარმოვიდგენთ, რომ ის ქართული (ან არაბული) ტრადიციების ან ეროვნული ღირებულებების გულმხურვალე დამცველი გახდა, უბრალოდ, **მან, როგორც ჩანს, სავსებით რეალისტურად და პრაგმატულად გააცნობიერა, რომ ამერიკა დინების საწინააღმდეგოდ მიცურავს** და ობამას ადმინისტრაციას შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალი შესთავაზა. ეს გამოსავალი კი დღეს ეროვნულთან (ფართო გაგებით) დაპირისპირებაზე უარის თქმას გულისხმობს. „არაბული გაზაფხულის“ მიმდინარეობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, თეთრმა სახლმა მისი იდეები სრულად გაიზიარა.

**რამდენად რაციონალური იქნება ამერიკელებისთვის ასეთ ვითარებაში სააკაშვილის ხელისუფლების შემდგომი მხარდაჭერა, მითუმეტეს, რომ ის მხოლოდ არსებობის გახანგრძლივებისთვის იბრძვის და სხვას თითქმის ვეღარაფერს აკეთებს? პრაქტიკულად ერთადერთი რამ, რაც ჩვენმა უხეირო ოპოზიციამ ბოლო წლების განმავლობაში მოახერხა, სააკაშვილის ხელისუფლების ანტიეროვნულ ძალად წარმოჩენაა,** მითუმეტეს რომ მმართველმა ჯგუფმა თავისი უხეში ნაბიჯებით ამის სრული შესაძლებლობა მისცა. ამ ფართოდ გავრცელებულ დამოკიდებულებას უკვე ვეღარაფერი შეცვლის. **კიდევ ერთი აუცილებელი ნაბიჯი იმისთვის, რომ ვაშინგტონმა სააკაშვილის მხარდაჭერაზე საბოლოოდ უარი თქვას, იმის მკაფიო დაფიქსირებაა, რომ მას არა ერთი პოლიტიკური ჯგუფი, არამედ სრულიად საზოგადოება უპირისპირდება.**

თუ მომავალი კრიზისის დროს, რომელიც არჩევნებს უკავშირდება და თითქმის გარდაუვალი ჩანს, აშშ-ის წარმომადგენლები ადეკვატურ პოზიციას დაიკავებენ, გამყალბებლების დაცვას არ დაიწყებენ და, 2008 წლის არჩევნებისგან განსხვავებით, დაუპირისპირდებიან მათ, ეს შესაძლებლობას მისცემთ, ერთი დარტყმით მკვეთრად შეამცირონ ის ანტიამერიკული განწყობა, რომელიც დღეს საქართველოში სუფევს. ქართული საზოგადოება, რომელიც ასეთ სიტუაციებში ხშირად ემოციებით ხელმძღვანელობს, ბევრი ანტიამერიკული შინაარსის წყენასა და ეჭვს, დიდი ალბათობით, დაივიწყებს (კარგია ეს თუ ცუდი, სულ სხვა საუბრის თემაა).

**დიმიტრი მონიავა**

**ძნელი სათქმელია, უბიძგებდნენ თუ არა ამერიკელები სააკაშვილს ამა თუ იმ ოდიოზური ნაბიჯის გადადგმისკენ, მაგრამ ფაქტია, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ვითარებას სწორედ ასე აღიქვამს**



## დაბალბიუჯეტიანი სასტუმროები — ტურისტების მოსაზიდად

**საქართველოს ეკონომიკის მინისტრის განცხადებით, მომავალ წელს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი დაბალბიუჯეტიანი სასტუმროების მშენებლობა იქნება. ეს განცხადება ვერა ქობალიამ დღეს ტურიზმის სექტორის შემაჯამებელ შეხვედრაზე გააკეთა.**

მინისტრის განმარტებით, ტურისტების მხრიდან ყველაზე მეტი თხოვნა სწორედ იმას ეხება, რომ შედარებით დაბალბიუჯეტიანი სასტუმროები გაიხსნას. მისივე თქმით, ამ მიზნით 2012 წელს აქტიურად იმუშავებენ და ორ-სამ ვარსკვლავიანი სასტუმროების გახსნას დიდ ყურადღებას დაუთმობენ.

მინისტრის განცხადებით, წელს ტურისტების რაოდენობა 40%–ით გაიზარდა, რაც ინფრასტრუქტურის მოწესრიგებამ განაპირობა. მან იმედი გამოთქვა, რომ 2015 წლისთვის ქვეყანაში ტურისტების რაოდენობა 5 მილიონამდე გაიზრდება.

ალბათ, კარგად გვახსოვს მინისტრის ბოლოდროინდელი განცხადებები იმის შესახებ, რომ 2011 წლის ქვეყნის ეკონომიკაში შედარებით წარუმატებელ სფეროდ ტურიზმის სექტორი ითვლება. ვერა ქობალიას განცხადებით, პროგნოზი იმის თაობაზე, რომ 2011 წელს ქვეყანას 3 მილიონი ტურისტი ეწვეოდა, არ გამართლდა. მისი თქმით, ამის ერთ–ერთი ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ქვეყანაში ტურისტის მისაღებად საკმარისი ინფრასტრუქტურა არ არის.

წლის დასაწყისში ხელისუფლების წარმომადგენლები აქტიურად საუბრობდნენ იმაზე, რომ წელს ქვეყანა ტურისტთა რეკორდულ მაჩვენებელს — 3 მილიონს მიიღებდა. „2011 წლის ბოლოსთვის საქართველოში სამ მილიონამდე ტურისტი დაფიქსირდება“, — აცხადებს საქართველოს ტურიზმის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე მაია სიდამონიძე The FINANCIAL-თან ინტერვიუში.

მსოფლიო

## ეგვიპტე ტურისტულად არამიმზიდველი გახდა

**ეგვიპტე უცხოელ ტურისტებს შორის პოპულარობას კარგავს. ეგვიპტის სავაჭრო პალატების ფედერაციაში აცხადებენ, რომ მხოლოდ წლევანდელ საახალწლო დღესასწაულებზე ქვეყნის ეკონომიკას 1 მილიარდი დოლარი დააკლდა.** მიზეზი ტურისტული ნაკადის შემცირებაა. commersant-ის ინფორმაციით, 2010 წელს ქვეყანამ ტურიზმის ინდუსტრიისგან 13 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო. წლის განმავლობაში ქვეყანას საშუალოდ 15 მილიონი ტურისტი სტუმრობს. მაგრამ მიმდინარე წლის დასაწყისიდან ეგვიპტეში დაწყებული არეულობების და სამთავრობო ცვლილებების შემდეგ ტურისტების რაოდენობა საგრძნობლად შემცირდა. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ მარტში, ექსპერტების ნაწილის განცხადებით, ეგვიპტის ეკონომიკა რევოლუციურ 2011 წელს 4 მილიარდ დოლარზე მეტ შემოსავალს დაკარგავდა.



საქართველო და მსოფლიო
პოლიტიკა
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

სახელისუფლო პარტიიდან დაწყებული, პოლიტიკურ სისტემაში წარმოდგენილი ოპოზიციური პარტიებით დამთავრებული, ერთი იდეოლოგიური თუ მსოფლმხედველობრივი ორიენტირის ტოტალური პროპაგანდირებითა და ლიბერალიზმის და მასთან დაკავშირებული ღირებულებითი ასპექტების დანერგვით არის დაკავებული. საზოგადოებას კი პოლიტიკურ პლურალიზმზე განცხადებებით ტვინს ურევენ. მრავალ პარტიას გვთავაზობენ სისტემაში, სინამდვილეში კი მათი იდეოლოგიური პლატფორმა ერთი და იგივეა.

# «სააკაშვილის დემოკრატია», თუ ნაყრუებული ტოტალიტარიზმი

**თანამედროვე საქართველოში დღეს არსებულ პოლიტიკურ რეჟიმს, რომლის შემოქმედიც გახლავთ მიხეილ სააკაშვილი და მისი გუნდი, ხშირად ავტორიტარულ რეჟიმად მოიხსენიებენ. მართალია, საქართველოში პოლიტიკური რეჟიმი ავტორიტარულია, მაგრამ იგი ტოტალიტარიზმის გარკვეულ ნიშნებსაც შეიცავს. ზოგიერთები ავტორიტარულ და ტოტალიტარულ რეჟიმებს ერთსა და იმავე კატეგორიაში განიხილავენ, მაგრამ მათ შორისაც არის სხვაობა და შევეცდები ავხსნა, თუ რა პარამეტრებით ჯდება საქართველო ავტორიტარული ქვეყნების კატეგორიაში და ტოტალიტარიზმის რა ელემენტს შეიცავს ჩვენი ქვეყნის პოლიტიკური სისტემა.**



ბრიტანული გამოცემა Economist-ის ანალიტიკური ცენტრის მიერ ჩატარებულ კვლევაშიც აღნიშნულია, რომ საქართველო არადემოკრატიულია, მაგრამ, შეიძლება ითქვას, ეს დასკვნაც მეტისმეტად შერბილებულია. საქართველოში პოლიტიკური სისტემა არათუ ავტორიტარიზმის ელემენტებს შეიცავს, არამედ, როგორც უკვე აღვნიშნე, ავტორიტარულია ტოტალიტარიზმის ელემენტებით, სადაც მინიმუმამდეა დაყვანილი დემოკრატიულობის ნიშნები. თუ კვლევის ავტორები დემოკრატიულობის ელემენტად მიიჩნევდნენ პერიოდული არჩევნების ჩატარებას, მაშინ ამ კრიტერიუმით საბჭოთა ტოტალიტარული მმართველობის პირობებშიც ადგილი ჰქონდა არჩევნებს.

ქართული პოლიტიკური სისტემის ანალიზის დროს მკაფიოდ ჩანს, რომ ავტორიტარიზმი ყველაზე დიდი დოზით არის წარმოდგენილი. **„ვარდების რევოლუციის“ შედეგად მოსული ქარიზმატული ლიდერი, მიხეილ სააკაშვილი შეეცადა და მიაღწია კიდეც პოლიტიკური სისტემისა და საინფორმაციო სივრცის კონტროლს.**

პრეზიდენტობის საწყის ეტაპზე მკაცრი კონტროლის მექანიზმების გამოყენებით შეეცადა, ძალაუფლების აკუმულირება მოეხდინა ერთპიროვნულად საკუთარ ხელში. პირველ წლებში კონტროლის მექანიზმები შედარებით სუსტი იყო, მაგრამ, როგორც კი ზრდიდა იგი საკუთარ ძალაუფლებას, მით უფრო მეტად აქცევდა გავლენის ქვეშ საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროს, რამაც სრულ აპოგეას მიაღწია მეორე საპრეზიდენტო ვადით არჩევის შემდეგ.

როგორც ნებისმიერ ავტორიტარულ ქვეყანაში ხდება ხოლმე, 2008 წლის არჩევნების გაყალბების შედეგად, პარლამენტი „ნაციონალური მოძრაობით“ (რომლის ლიდერიც სააკაშვილი გახლავთ) და მისი სატელიტი კვაზი ოპოზიციური პოლიტიკური პარტიებით დაკომპლექტდა. ამ პოლიტიკური თამაშის მთავარ მიზანს წარმოადგენდა მრავალპარტიულობის და აქედან გამომდინარე დემოკრატიულობის იმიჯის შექმნა, რაც დამახასიათებელია ნებისმიერი ავტორიტარული რეჟიმის მქონე სისტემისთვის. ხელისუფლების უმთავრეს ამოცანას, პოლიტიკური სივრცის კონტროლთან ერთად, წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს საინფორმაციო ველის სრული კონტროლი. ბეჭდურ მედიასთან დაკავშირებით დღეს მიმდინარე პოლიტიკაც ამას მოწმობს. **თუ პროცესები ასე გაგრძელდება, არ არის გამორიცხული, განსხვავებული იდეოლოგიისა და მსოფლმხედველობის ოპოზიციურ ბეჭდვით მედიას იატაკქვეშეთში მოუწიოს გადანაცვლება. ასეთი პოლიტიკით საქართველო ნელ-ნელა მიექანება ტოტალიტარიზმისკენ, რადგან ავტორიტარული ელემენტების მქონე ქვეყნებში ოპოზიციურ საინფორმაციო საშუალებებს მცირე, მაგრამ გარკვეული თავისუფლება მაინც ახასიათებს. ხოლო ტოტალიტარიზმის ერთ-ერთ უმთავრეს ნიშანს საინფორმაციო სივრცეზე ტოტალური კონტროლის დამყარება წარმოადგენს.**

## ტოტალიტარიზმის ერთ-ერთ უმთავრეს ნიშანს საინფორმაციო სივრცეზე ტოტალური კონტროლის დამყარება წარმოადგენს

რევოლუციის პირველი დღეებიდანვე გამოჩნდა, რომ ახალი რეჟიმი ავტორიტარიზმისკენ იქნებოდა მიდრეკილი. როგორც ნებისმიერ რევოლუციური გზით მოსულ ხელისუფლებას ახასიათებს, მათ დაიწყეს საზოგადოების ტოტალიტარული გარდაქმნის პროცესი. მათ მიზანს წარმოადგენდა დაწყებული რეფორმების შედეგად, საზოგადოების ლიბერალიზაცია და მოდერნიზაცია, რაც ეწინააღმდეგებოდა ქართულ საზოგადოებაში არსებულ არქაულ საწყისებს. **„ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოს ხელისუფლებამაც დაიწყო ქართული საზოგადოების ტოტალური გარდაქმნა და ახალი ტიპის ქართველის ჩამოყალიბება.** ამ პროცესებმა უკმაყოფილება გამოიწვია საზოგადოების უდიდეს ნაწილში. უკმაყოფილება კი იძულებულს ხდიდა ხელისუფლებას, მკაცრი, არადემოკრატიული მეთოდებით ემოქმედა.

**საქართველოში ბევრს საუბრობენ სააკაშვილისა და მისი გუნდის ფსევდოლიბერალობაზე, რასაც კატეგორიულად ვერ დავეთანხმები. მოდერნიზაცია, რომლის ერთი მიმდინარეობაა ლიბერალიზმი, ქართულ საზოგადოებაში ხორციელდება ზემოდან, იძულების მექანიზმის გამოყენებით და ხდება ტოტალურად ერთი იდეოლოგიის დანერგვა.** მართალია, მისთვის ოფიციალური სახე არ მიუციათ, მაგრამ, ფაქტობრივად, ხდებოდა განსხვავებული მსოფლმხედველობის მქონე ადამიანთა გამოთიშვა საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური ცხოვრებიდან, რაც ეწინააღმდეგება პლურალიზმს, მრავალფეროვნებას და ტოტალიტარიზმის ერთ-ერთ ნიშანს წარმოადგენს. ასეთი პოლიტიკის მიზანს წარმოადგენდა და დღესაც წარმოადგენს ერთ იდეოლოგიაზე, კერძოდ, ლიბერალიზმზე დაფუძნებული საზოგადოების ფორმირება. ტოტალიტარული რეჟიმებისთვისაც დამახასიათებელი იყო ერთი იდეოლოგიის აღიარება და სხვების უარყოფა. საქართველოში კი, სააკაშვილის გაპრეზიდენტების შემდეგ ერთადერთ იდეოლოგიას, ანუ ლიბერალიზმს მიეცა ფართო გასაქანი.

**საქართველოში პოლიტიკოსები — როგორც სახელისუფლო, ისე ოპოზიციური სპექტრიდან — ქადაგებენ პლურალიზმს, ანუ მრავალფეროვნებას, მაგრამ ამავე დროს მათი იდეოლოგიური ორიენტირები ერთი და იგივეა და პლურალიზმი მხოლოდ მოჩვენებით სახეს იღებს.** ლიბერალური საზოგადოება გულისხმობს საერთო ღირებულებების ქცევის წესისა და აზროვნების სტილის მქონე ადამიანების გაერთიანებას. თუ ცნობილ ფრანგ ფილოსოფოს ალენ დე ბენუას დავესესხებით, ლიბერალურ საზოგადოებაში **„ადამიანი ყველგან ერთნაირია. ეს კი ეწინააღმდეგება მრავალფეროვნებას“.** აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ მრავალფეროვნება გულისხმობს განსხვავებული იდეების, მსოფლმხედველობის მქონე ადამიანთა შორის ინტელექტუალურ თუ პოლიტიკურ შეჯიბრს, სადაც პოლიტიკური პარტიები განსაკუთრებულ როლს ასრულებენ. პოლიტიკური პარტია კი თავისი არსით წარმოადგენს საერთო პოლიტიკური სიმპათიების, ერთგვაროვანი იდეოლოგიური მრწამსის მქონე ადამიანთა გაერთიანებას, რომელთა მთავარ ამოცანას წარმოადგენს ხელისუფლებაში მოსვლა. პოლიტიკაში კი მხოლოდ სამი იდეოლოგიური მიმდინარეობა არსებობს: **ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი და სოციალიზმი.** ▶ ეს იდეოლოგიები ედებოდა

## ერთადერთი ძალა, რომელსაც საქართველოში დემოკრატიის დამყარება არ სურს, ამერიკის შეერთებული შტატებია

მოკლედ

### გაერო-მ ბიუჯეტი შეამცირა

**გაერო-მ ბიუჯეტი შეამცირა. უცხოური მედიის ინფორმაციით, ორგანიზაციის მომდევნო ორი წლის ბიუჯეტი გასული წლის ფინანსებზე 5 მილიარდი დოლარით ნაკლები იქნება.** გაერო-ს გენერალური მდივანი პან გი მუნი ბიუჯეტის შემცირებას „კოლექტიურ გადაწყვეტილებად“ აფასებს და მას მსოფლიო ეკონომიკური კრიზისით ხსნის. მისივე თქმით, ფინანსების შემცირების მიუხედავად, ორგანიზაცია გამონაკლისის გარეშე შეასრულებს ყველა ვალდებულებას. „ნაკლები ფინანსური რესურსები გვაქვს, მაგრამ ბევრი უნდა გავაკეთოთ, რათა მაქსიმალურად ეფექტურად განვახორციელოთ ის გლობალური ვალდებულებები, რაც გაგვაჩნია,“ — აღნიშნა პან გი მუნმა.



### რეგისტრაციის წესი გამარტივდება

**ფედერალური ბიუროსადმი მიმართვაში რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა გამოთქვა მოსაზრება პოლიტიკური პარტიებისა და საპრეზიდენტო კანდიდატების გამარტივებული წესით რეგისტრაციის შესახებ.** მედვედევის აზრით, უნდა გაუქმდეს რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებში მონაწილეობისთვის ხელმოწერების შეგროვების აუცილებლობა. „შემცირდეს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობისათვის ხელმოწერების რაოდენობა 300 ათასამდე და საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობისათვის — 100 ათასამდე,“ — განაცხადა მედვედევმა.

**არადემოკრატიული მმართველობის სტილის დამკვიდრებას საქართველოში რატომღაც მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის პირველ პირს მიაწერენ, მაგრამ არავინ აქცევს ყურადღებას, რომდეს არსებული პოლიტიკური რეჟიმის წყარო, გენერატორი გარეძალაა, კერძოდ, აშშ, რომელმაც თავზე დაგვასვა ეს მარიონეტული რეჟიმი, უფრო კორექტულად თუ ვიტყვით, მისი ლეგალიზება მოახდინა. ქართველი ამომრჩეველი კი „სანოტარო კანტორის“ როლში გამოვიდა, რომელმაც მოახდინა ამ რეჟიმის ლეგიტიმაცია და გარკვეულ იურიდიულ ჩარჩოებში მოაქცია იგი.**

## პოლიტიკა

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◄ საფუძვლად პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც შემდგომში ცდილობდნენ სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულებისა და იდეოლოგიის მატარებელი ადამიანების მიზიდვას, რომლებიც ერთიანდებოდნენ პარტიების გარშემო და მათი ინტერესების დამცველებად გვევლინებოდნენ. მხოლოდ ასეთი განსხვავებული იდეოლოგიური პლატფორმის პარტიებს შორის მსოფლმხედველობრივი პაექრობა, აზრთა ჭიდილი შეიძლება გახდეს რეალური პლურალიზმის საფუძველი.

საქართველოში კი რა ხდება? **სახელისუფლო პარტიიდან დაწყებული, პოლიტიკურ სისტემაში წარმოდგენილი ოპოზიციური პარტიებით დამთავრებული, ერთი იდეოლოგიური თუ მსოფლმხედველობრივი ორიენტირის ტოტალური პროპაგანდირებითა და ლიბერალიზმის და მასთან დაკავშირებული ღირებულებითი ასპექტების დანერგვით არის დაკავებული. საზოგადოებას კი პოლიტიკურ პლურალიზმზე განცხადებებით ტვინს ურევენ.** მრავალ პარტიას გვთავაზობენ სისტემაში, სინამდვილეში კი მათი იდეოლოგიური პლატფორმა ერთი და იგივეა. როგორც უკვე აღვნიშნეთ პოლიტიკური პარტია საერთო პოლიტიკური მრწამსის ადამიანების გაერთიანებას წარმოადგენს. **თუ ყველა ადამიანი ერთნაირი იქნება და ყველა ერთნაირად იაზროვნებს, რასაც დღევანდელი პოლიტიკური კლასი ცდილობს, მაშინ ვის რაში სჭირდება 300 პარტია და მოჩვენებითი პლურალიზმი? ერთი პარტიაც კი საკმარისი იქნება ამისათვის.** ეს სიტუაცია საბჭოთა კავშირში არსებული მდგომარეობის მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ მაშინ მხოლოდ ერთი პარტია იყო წარმოდგენილი სისტემაში. დღევანდელ საქართველოში, უბრალოდ, პლურალიზმს გვეთამაშებიან. მართალია, ოფიციალური,

**საქართველოში ბევრს საუბრობენ სააკაშვილისა და მისი გუნდის ფსევდოლიბერალობაზე, რასაც კატეგორიულად ვერ დავეთანხმები. მოდერნიზაცია, რომლის ერთი მიმდინარეობაა ლიბერალიზმი, ქართულ საზოგადოებაში ხორციელდება ზემოდან, იძულების მექანიზმის გამოყენებით და ხდება ტოტალურად ერთი იდეოლოგიის დანერგვა**



იურიდიული ხასიათი არ მიუციათ ლიბერალიზმისთვის, მაგრამ ძალიან კარგად ჩანს, როგორ ტოტალიტარულად ცდილობენ ამ იდეოლოგიური მიმართულების დანერგვას საზოგადოებაში.

**ერთი იდეოლოგიური მრწამსის გაბატონებას კი ტოტალიტარიზმის ელემენტად მიიჩნევენ. სწორედ ეს არის ერთი ნიშანი, რომლითაც საქართველოში ტოტალიტარიზმის ელემენტი იკვეთება.**

მართალია, პოლიტიკურ ოპონენტებს ფიზიკურად არ უსწორდებიან და არ ანადგურებენ (საჭიროების შემთხვევაში არც ამაზე ამბობენ უარს), მაგრამ საქართველოში მიმდინარე პროცესების ანალიზისას შეუძლებელია არ გაგახსენდეს ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსის შეფასება, რომელიც მან გააკეთა ამერიკის ლიბერალური საზოგადოების შეფასებისას. შეიძლება ითქვას, რომ იმავეს აქვს ადგილი საქართველოშიც. **„შენ თავისუფალი ხარ განსხვავებულად და შეინარჩუნო შენი სიცოცხლე, შენი ქონება და სხვა ყველაფერი. მაგრამ აწი შენ უცხო ხარ შენს სახლში. შენ შეგიძლია ისარგებლო, ვინაიდან შენ არასდროს აირჩიო სხვების მიერ ... შენ დარჩები სხვებთან ერთად, მაგრამ შენ აღარ გექნება ადამიანურობის უფლება. შენი თანამოქალაქეები მოგექცევიან როგორც უწმინდურს და ისინიც კი, ვისაც შენი უდანაშაულობის სჯერა, გვერდს აგივლიან, ვინაიდან სხვანაირად მათაც იგივე ელით. წადი მშვიდობით, მე გინარჩუნებ სიცოცხლეს, მაგრამ შენი არსებობა სიკვდილზე უარესი იქნება,“** — ეს პასაჟი ალექსის დე ტოკვილის ცნობილი ნაშრომიდან „დემოკრატია ამერიკაში“ იმიტომ მოვიყვანე, რომ ნებისმიერი საზოგადოება, რომელიც ერთ იდეოლოგიურ სისტემას ეფუძნება, თავისი არსით ტოტალიტარულია, საქართველოს პოლიტიკური ელიტაც ხომ (როგორც სახელისუფლო, ასევე ოპოზიციური) საზოგადოების ლიბერალიზმს ახმარს თავის ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, რითაც ხელს უწყობენ ტოტალიტარიზმის ელემენტის გაძლიერებას.

**არადემოკრატიული მმართველობის სტილის დამკვიდრებას საქართველოში რატომღაც მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის პირველ პირს მიაწერენ, მაგრამ არავინ არ აქცევს ყურადღებას, რომ ეს არსებული პოლიტიკური რეჟიმის წყარო, გენერატორი გარეძალაა, კერძოდ, აშშ, რომელმაც თავზე დაგვასვა ეს მარიონეტული რეჟიმი, უფრო კორექტულად თუ ვიტყვით, მისი ლეგალიზება მოახდინა.**

**ქართველი ამომრჩეველი კი „სანოტარო კანტორის“ როლში გამოვიდა, რომელმაც მოახდინა ამ რეჟიმის ლეგიტიმაცია და გარკვეულ იურიდიულ ჩარჩოებში მოაქცია იგი.**

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ კოლონიაში, რომელსაც საქართველო წარმოადგენს, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება შეუძლებელია. დემოკრატია ხომ თავის თავში პლურალიზმს, მრავალფეროვნებას გულისხმობს, განსხვავებული აზრის, პრიორიტეტების თუ ღირებულებითი ორიენტაციების ჭიდილს მოითხოვს. როდესაც ქვეყანა ერთი რომელიმე იმპერიის გავლენის ქვეშ მოექცევა, საქართველოს შემთხვევაში კი ამერიკის გავლენის ქვეშ, იძულებულია, ცენტრიდან წამოსული დავალებები შეასრულოს, განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში, სადაც რამდენიმე გეოპოლიტიკური მოწინააღმდეგე ცდილობს გაბატონებას, რათა გასაქანი არ მისცეს მის მიერ არაკონტროლირებად პოლიტიკურ ძალას.

**პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ დღეს ერთადერთი ძალა, რომელსაც საქართველოში დემოკრატიის დამყარება არ სურს, აშშ-ია. ჩვენმა „პატრონებმა“ ბრწყინვალედ იციან, რომ ხალხის პრიორიტეტები იცვლება, ქვეყნების საგარეოპოლიტიკური ორიენტაციებიც შეიძლება შეიცვალოს, მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე ძალთა ბალანსის ცვლილებების საფუძველზე, ხოლო დემოკრატიული პლურალიზმის დამყარების დროს, შესაძლოა, ისეთი ძალები მოვიდნენ ხელისუფლებაში, რომლებიც მათი მონა „კლიენტები“ არ იქნებიან და საგარეო თუ საშინაო პოლიტიკურ ორიენტირებს ააგებენ ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, რაც ამ იმპერიის პოლიტიკური კლასის ინტერესებში არ შედის. თუ რამდენად ჯდება ჩვენი და ამერიკის ეროვნული ინტერესები ერთმანეთში, მათ მიერ თავსმოხვეული მარიონეტის მაგალითზეც კარგად ჩანს.**

ამერიკელები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ პოლიტიკური სისტემა დახურონ მათ მიერ კონტროლირებადი პოლიტიკური ძალების მეშვეობით, რათა ქართულ პოლიტიკურ სისტემაში არ შეუშვან სხვა, განსხვავებული პოლიტიკური და იდეოლოგიური მსოფლმხედველობის მქონე პოლიტიკური ძალები. ამით ისინი სპობენ პოლიტიკურ მრავალფეროვნებას, რაც აუცილებელია დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებისთვის.

**დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ კოლონიაში, რომელსაც საქართველო წარმოადგენს, დემოკრატიული პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება შეუძლებელია**



**თანამედროვე საქართველოში დემოკრატიული რეჟიმის დამყარებისთვის აუცილებელია, პირველ რიგში, გარე ძალების ტოტალური კონტროლისგან განთავისუფლება, დამოუკიდებლობის მიღწევა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება საუბარი დემოკრატიასა და პლურალიზმზე, რაც ესოდენ აუცილებელია ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისთვის.**

**ირაკლი უბილავა**

## საფრანგეთმა ჰოჯალის მოსახლეობის გენოციდიც უნდა აღიაროს

**„თუკი საფრანგეთს ასეთი პრინციპული მიდგომა აქვს ამგვარი საკითხების მიმართ, მაშინ მან, როგორც ეუთოს მინსკის ჯგუფის თანათავმჯდომარე ქვეყანამ, ასევე უნდა განიხილოს საკითხი ჰოჯალის გენოციდის შესახებ,“** — აცხადებს აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის ხელმძღვანელი ელმან აბდულაევი საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატის მიერ მხარდაჭერილი კანონპროექტის კომენტირებისას, რომელიც სომხების გენოციდის უარყოფის კრიმინალიზაციას ითვალისწინებს. მათი ინფორმაციით, 1992 წლის 25-26 თებერვალს სომხურმა ფორმირებებმა განსაკუთრებული სისასტიკით განახორციელეს ქალაქ ჰოჯალის შვიდიათასიანი მოსახლეობის გენოციდი.

## უკრაინის პრემიერი რევოლუციების წინააღმდეგია

**უკრაინის პრემიერ-მინისტრი ნიკოლაი აზაროვი აცხადებს, რომ იგი კატეგორიულად წინააღმდეგია რაიმე სახის რევოლუციების.** ლარი კინგისთვის მიცემულ ინტერვიუში ნიკოლაი აზაროვმა აღნიშნა, რომ უკრაინაში რევოლუციების ლიმიტი ამოწურა. „ჩვენთან ცოტა ხნის წინ — 7 წლის წინ იყო რევოლუცია. ადამიანებმა იგრძნეს, რა არის ეს. ცალკეულ პოლიტიკოსებს ახლაც სურთ რევოლუცია, მაგრამ მე რევოლუციის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ,“ — განაცხადა აზაროვმა.

## რაულ კასტრო 3 ათას მსჯავრდებულს შეიწყალებს

კუბის ლიდერი რაულ კასტრო 3 ათას მსჯავრდებულს შეიწყალებს. შეწყალებულთა შორის 86 უცხოელია. უცხოური მედიის ცნობით, პატიმართა გათავისუფლება უახლოეს დროში განხორციელდება. ხელისუფლების ოფიციალურ დადგენილებაში საუბარია, რომ ადმინისტრაცია 60 წელს გადაცილებულ პირებს, ქალებსა და სხვადასხვა დაავადების მქონე პატიმრებს შეეხებათ. ის პირები კი, რომლებსაც ბრალი ჯაშუშობასა და სხვა მძიმე დანაშაულში ედებათ, შეწყალებულნი არ იქნებიან.

მოკლედ

## თურქეთში ნატო-ს სარადარო სისტემა მონტაჟდება

**თურქეთის ქალაქ მალათიაში ნატოს სარადარო რადიოლოკაციური სისტემა ამ დღეებში დამონტაჟდება.** ამის შესახებ განცხადება თურქეთის შესაბამისმა ოფიციალურმა პირმა გააკეთა. თურქეთის ხელისუფლების განცხადებით, რადიოლოკაციური სისტემა თავდაცვითი ხასიათისაა და რომელიმე სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული არ არის. შეგახსენებთ, რომ თურქეთში ნატოს რადარების დამონტაჟების გადაწყვეტილებამ რუსეთისა და ირანის ხელისუფლებების უკმაყოფილება გამოიწვია.

## ფილიპინებზე შტორმმა 1200 ადამიანი იმსხვერპლა

ფილიპინებში ტროპიკული შტორმის შედეგად, უკანასკნელი მონაცემებით, 1200-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა. ათასზე მეტი მცხოვრები დაკარგულად ითვლება. 17 დეკემბრის ღამეს სამხრეთ ფილიპინების არქიპელაგზე, კუნძულ მინდანაოს ნაპირებზე, ტროპიკული შტორმი „ვაში“ მოვარდა და იქაური სოფლები წალეკა. საკუთარი სახლების დატოვება 108 ათასზე მეტ ადამიანს მოუხდა, რომელთაგან 69 ათასი 46 საევაკუაციო ცენტრში იქნა განთავსებული. ყველაზე დიდი შტორმი 1991 წელს მოხდა ფილიპინების კუნძულ ლეიტეზე, მაშინ 4 ათასზე მეტი ადამიანი დაიღუპა.

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**რეალობა კი ის არის, რომ რუსეთი, ყოველგვარი ახალი კავშირის გარეშეც, მეტ-ნაკლებად მაინც ინარჩუნებს გავლენას ე. წ. პოსტსაბჭოთა სივრცეზე და, სავარაუდოდ, ეს გავლენები თანდათან უფრო გაძლიერდება. ამიტომაც ჩვენს სახელმწიფოებრივ ინტერესებშია, რომ მაქსიმალურად ახლოს ვიყოთ ამ სივრცესთან, ეკონომიკურ-კულტურული კუთხით მაინც; რადგანაც ამ სივრცეში, ევროპისგან განსხვავებით, რუკების გარეშეც კარგად უწყიან, ვინა ვართ და სად არის საქართველო. უფრო მეტიც: რუსეთთან ჩვენი ორსაუკუნოვანი თანაცხოვრების მანძილზე არასოდეს ვყოფილვართ „ღარიბი ნათესავის“ როლში. ქართველები ყოველთვის ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდნენ კულტურა-ხელოვნება-მეცნიერება-ბიზნესში თუ უმაღლეს სახელისუფლო წრეებში.**

# მე ვარ ქართველი, მაშასადამე — ევრაზიელი...

**მოდით, თავიდანვე შევთანხმდეთ, ჩემი აზრით, ერთ ანბანურ ჭეშმარიტებაზე — სსრკ იქნება ეს თუ ევროკავშირი ან იგივე ჩრდილოატლანტიკური ალიანსი თუ სხვა, ნებისმიერი ტიპის სახელმწიფოთაშორისი გაერთიანება, ფუნდამენტურ განსხვავებებთან ერთად, ყველას ერთი რამ მაინც საერთო აქვთ. ნებისმიერი კავშირი, ალიანსი, იმასაც გულისხმობს, რომ მისი შემადგენელი სუბიექტები რაღაც საერთო თამაშის წესებს აღიარებენ და ემორჩილებიან, ზოგჯერ სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის რაღაც დოზით დათმობამდეც კი...**



სწორედ აქედან გამომდინარე, მინდა, მკითხველთან ერთად განვიხილო და გავაანალიზო ყბადაღებული თემა — რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის, პირადად ვლადიმერ პუტინის მიერ დეკლარირებული ევრაზიული კავშირის შექმნის იდეა, რასაც ამთავითვე, რუსული კალკით თუ ვიტყვით, „ხიშტებით შეხვდა“, გნებავთ — ისტერიკით, მიშნაცების ხელისუფლება: აი, ნახეთ, ახლაც არ გჯერათ, რომ რუსეთს საბჭოთა კავშირის აღდგენა უნდაო? რა თქმა უნდა, ჩვენთვის, ანუ შინაური მოხმარებისთვის არის გამიზნული ეს რიტორიკა, რომელშიც, რომ იტყვიან, სტრიქონებს შორის ამჯერად გარე მოხმარებისთვისაც ადვილად იკითხება — რა დროს დემოკრატიაა, რუსეთი ჩაყლაპვას გვიპირებს და იქნებ დემოკრატიის გარეშე მიგვიღოთ ნატოშიო.

**ამას ვგულისხმობდი „ყბადაღებაში“, თორემ ქვეყნის გარეთ არც ყბადაუღია ვინმეს და არც პირი დაუფჩენია — არიქა, დაჩქარებული წესით მივიღოთ საქართველო ნატოშიო...**

სერიოზულად კი: რაღაც არ მსმენია, რომ ვინმე წონიან პოლიტიკოსს დასავლეთში ოფიციალურად დაეფიქსირებინოს აღშფოთება-შეშფოთება რუსეთის „ახალი იმპერიული ამბიციების“ გამო, არც ახლა — ევრაზიულ ვნებათა მიმართ და მითუმეტეს, არც უფრო ადრე, როდესაც იმავე პუტინმა სინანული გამოხატა სსრკ-ის დანგრევის გამო, რასაც XX საუკუნის უდიდესი გეოპოლიტიკური კატასტროფა უწოდა!

რაც შეეხება ვლადიმერ პუტინის სინანულს, გეოპოლიტიკა იქით იყოს და ისე, სსრკ-ის შემადგენელი რესპუბლიკების უმრავლესობისა რა მოგახსენოთ, რომლებსაც არც კი უოცნებიათ (მაგალითად, შუა აზიის რესპუბლიკებს) სსრკ-ის დაშლაზე და ერთ მშვენიერ დღეს დამოუკიდებელ ქვეყნებად იქცნენ, მაგრამ საქართველოსთვის, მართლაც კატასტროფა იყო! რადგან **პოსტსაბჭოთა სივრცეში ისე არავინ დაზარალებულა, იმდენი სისხლი და ცრემლი არავის დაუღვრია, იმდენი ტერიტორიები არავის დაუკარგავს, რამდენიც ჩვენ — საბჭოთა იმპერიაში კულტურულ-ეკონომიკურად ყველაზე წარმატებულ საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას!**

ასე რომ, სრულიად ვეთანხმები რუსეთის ახლანდელ პრემიერს და მომავალ პრეზიდენტს, ოღონდაც არა მისი, არამედ ჩვენი, საქართველოს გადმოსახედიდან — **საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქართველებმა მართლაც კატასტროფული შედეგი მივიღეთ...**

რუსეთი კი ნელ-ნელა გამოვიდა იმ პოლიტიკურ-ეკონომიკური უძლურებიდან, რომელსაც გასული საუკუნის 90-იანი წლები ჰქვია. და რომ არა ეს უძლურება, ვერც სერბეთის დაბომბვას გაბედავდა აშშ და აქედან გამომდინარე, არც ჩვენთვის საბედისწერო კოსოვოს აღიარების პრეცედენტი დაფიქსირდებოდა!

დიახ, **რუსეთი, ზოგიერთი ჩვენი ტვინგაცხელებული „პოლიტოლოგის“ პროგნოზების მიუხედავად, დაშლას არ აპირებს, ყოველ შემთხვევაში — უახლოეს ისტორიულ პერსპექტივაში. ნამდვილი პოლიტოლოგიის, ანალიტიკის რეალურ თვალსაწიერში ასეთი რამ პრაქტიკულად გამორიცხულია და გონიერი მსოფლიო ამ ობიექტურ მოცემულობაში არსებობისთვის არის მზად!**

სამწუხაროდ, ამ გონიერთა შორის საქართველო არ მოიაზრება, რისი კიდევ ერთი დასტური სააკაშვილის ამასწინანდელი გამოსვლა იყო ზუგდიდში, სადაც მან კიდევ ერთხელ იბჟუტურა რუსეთის სულ მალე დაშლაზე და უფრო მეტიც, ჩვენი მზადყოფნის აუცილებლობაზე ამ მომენტისთვის, რადგან სწორედ მაშინ აპირებს თურმე მიშიკო სოხუმ-ცხინვალის დაბრუნებას.

**რუსეთი, ზოგიერთი ჩვენი ტვინგაცხელებული «პოლიტოლოგის» პროგნოზების მიუხედავად, დაშლას არ აპირებს, ყოველ შემთხვევაში — უახლოეს ისტორიულ პერსპექტივაში. ნამდვილი პოლიტოლოგიის, ანალიტიკის რეალურ თვალსაწიერში ასეთი რამ პრაქტიკულად გამორიცხულია და გონიერი მსოფლიო ამ ობიექტურ მოცემულობაში არსებობისთვის არის მზად!**

**რა არის ან შეიძლება იყოს ეს ევრაზიული კავშირი? მოკლედ თუ ვიტყვით, — ყველაფერი, საბჭოთა კავშირის გარდა!** უფრო ვრცლად კი...

დავიწყოთ იქიდან, რომ თავად იდეა, რუსეთის ეგიდით, გნებავთ ჰეგემონით, ასეთი კავშირის შექმნისა, აბსოლუტურად ლეგიტიმურია და უფრო მეტიც, არანაირ პოლიტიკურ მკრეხელობას არ შეიცავს. ქვეყნად მრავალი ტიპის პოლიტიკურ-ეკონომიკური სახელმწიფოთაშორისი კავშირები თუ ალიანსები არსებობს, თუნდაც არაბთა ლიგა ან, რაღა შორს მივდივართ, იგივე ნატო, ან ევროკავშირი ავიღოთ. იმათთვის რაც შეიძლება, რა, რუსეთს რატომ ეკრძალება?

ახლა მავანი „კუთხეში მიმიმწყვდევს“ იმის გამო, რომ ჩემ მიერ დასახელებული ალიანსები, თანასწორუფლებიან სახელმწიფოთა კავშირებია და არა ისეთი, როგორიც თავის დროზე „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური“, ანუ სსრკ იყო, და მსგავსის შექმნას აპირებს პუტინი თავისი ევრაზიული კავშირის სახით.

ერთი შეხედვით, ისეთ კუთხეში ვარ მიმწყვდეული, საიდანაც გამოსავალი არ მაქვს, მაგრამ მაინც შევეცდები და მკითხველმა განსაჯოს, რა გამომივა...

დავიწყოთ იქიდან, რომ თანასწორთა კავშირი, როგორც ასეთი, ბუნებაში არ არსებობს. თუნდაც კრიმინალური დაჯგუფებები, ბანდები, გნებავთ, როგორც ახლო წარსულში ეძახდნენ, საძმოები ავიღოთ. ესეც ხომ კავშირი იყო, მაგრამ სად არის აქ თანასწორობა? თანასწორად (თანაბრად) აქ შეიძლება ნადავლი გაიყონ, მაგრამ ასეთ დაჯგუფებებს ლიდერი ან ლიდერები ხომ ჰყავთ, ვინც გადაწყვეტილებებს იღებს, რასაც რიგითი წევრები უსიტყვოდ ასრულებენ?!

თუმცა რაღა შორს მივდივართ, ელემენტალურად ყოფით დონეზეც ასე არ არის? მაგალითად, ოჯახიც თანასწორუფლებიანთა კავშირი არ არის? მაგრამ გაგონილა ოჯახი უფროს-უმცროსის, ანუ, ლიდერის, როგორც წესი, უფროსის გარეშე?

დაახლოებით ასეთივე თამაშის წესებია სახელმწიფოთაშორის გაერთიანება-ალიანს-კავშირებშიც — რა, ვინმეს თუ სერიოზულად ჰგონია, რომ ევროკავშირში, სადაც ყოველ 6 თვეში ერთხელ ფორმალურად იცვლება კავშირის თავმჯდომარე, ერთნაირი უფლებები და „წონა“ აქვთ, ერთის მხრივ, საფრანგეთ-გერმანია-ინგლისს და მეორეს მხრივ, თუნდაც საბერძნეთს, ეს მისი პრობლემაა!

განა ერთნაირად გადაიტანეს ე. წ. ფინანსური კრიზისი ჩემ მიერ ჩამოთვლილმა „ევროვეშაპებმა“ და თუნდაც იმავე საბერძნეთმა, რომელიც ჩვენ თვალწინ ლამის დაინგრა?

ევროკავშირის „რიგითებზე“, ანუ აღმოსავლეთ ევროპიდან ევროკავშირის ახალ წევრებზე ხომ ლაპარაკიც არ ღირს, რომლებიც, ისევ რუსული კალკით თუ ვიტყვით, „ღარიბი ნათესავის“ სტატუსით მიიღეს ამ ალიანსში და მათ არავინ უთანხმებს „ბალი ათი შაურია“-ს. განსხვავებით საბჭოეთისგან, სადაც ასევე ბევრი მუქთამჭამელი ჰყავდათ, ევროკავშირში „ევროვეშაპებისგან“ სულ უფრო ხშირად გაისმის უკმაყოფილება „ღარიბი ნათესავების“ მუქთად რჩენის გამო!

**ან ჩვენი, ქართველების „საოცნებო“ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი — ნატო ავიღოთ. ვინ არის ამ „თანასწორთა“ სამხედრო ალიანსის ფაქტობრივი მეფე და გამგებელი, აშშ ხომ არა? და ვინმეს აქ, ჩვენში, ზემოთ ნახსენები ევროკავშირის „თანასწორობის“ არ იყოს, იქნებ ნატო-ს შემთხვევაშიც მსგავსი ილუზიები აქვს?**

ანუ ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ხვალ პუტინი გაგიჟდეს და ევრაზიული, იმავე ახალი საბჭოთა კავშირის შექმნა ყოფილი საბჭოთა და ახლა ნატოს წევრი ბალტიის რესპუბლიკების დაბომბვით დაიწყოს. ვინმეს სერიოზულად სჯერა, რომ ავტომატურად ამუშავდება ნატოს წესდების ის მუხლი, რომელიც ამ ალიანსის წევრ ერთ ქვეყანაზე ვინმეს თავდასხმას ნატოზე თავდასხმად განიხილავს? რომ ბალტიის ზღვაში აშშ-ის ავიამზიდები შემოვლენ და მოსკოვ-ლენინგრადის დაბომბვას, ანუ მესამე მსოფლიო ომს დაიწყებენ?

თუ ასეა, „ნეტარ არიან მორწმუნენი“.

**რეალურად კი ასეთ შემთხვევაში, ბალტიის რესპუბლიკების დახმარება დასავლეთის „მძლავრ შეშფოთება-აღშფოთებას“ არ გასცდება და, როგორც 2008 წლის აგვისტოში შავ ზღვაში, ისე ბალტიის ზღვაშიც პამპერსებითა და გამოხდილი წყლით დატვირთული ამერიკული კრეისერები შევლენ!**

სხვათა შორის, ჩვენგან განსხვავებით, ბალტიელები კარგად აცნობიერებენ ამ რეალობას და ჩვენსავით სამგლე გოჭებივით არ არიან ამტყდარნი, მაქსიმალურად ცდილობენ, რომ დიდი მეზობელი ზედმეტად არ გააღიზიანონ და პარალელურად საკუთარი სახელმწიფო ინტერესების დაცვასაც ახერხებენ.

ეს, რა თქმა უნდა, ისე, რაღაც-რაღაცების უფრო მკვეთრად წარმოსაჩენად ითქვა, თორემ მსგავს სცენარებს მხოლოდ ფანტაზიის სფეროში აქვს არსებობის უფლება.

რა ვიცი, იქნებ გვატყუებდნენ საბჭოთა სკოლების მოსწავლეებს, როცა გეოგრაფიაში გვასწავლეს, რომ ხმელეთის იმ ნაწილს, სადაც „ორ ზღვას შუა საომარი იყო ლელო“, ევრაზია ჰქვიაო, ანუ ქართველები გეოგრაფიულად ევროპელებიც ვართ და აზიელებიცო. რაც შეეხება კულტურას, გნებავთ მენტალობას, აქაც მსგავს სიტუაციაში ვართ. როგორც იტყვიან, „FIFTI-FIFTI“, ანუ ისტორიულად თანაბრად შევითვისეთ აზიურ-აღმოსავლური და დასავლურ-ევროპული კულტურებიდან საუკეთესო და ზედმეტად არც ერთი მხარისკენ არ გადავხრილვართ.

ანუ ქართველებისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, როგორც ისლამურ-აზიური დესპოტიზმი (რასაც მრავალსაუკუნოვანი ქალის კულტი ადასტურებს საქართველოში), ასევე დასავლური ფსევდოლიბერალიზმი, რომელიც ადრეც და მითუმეტეს დღესაც რელიგიური მწვალებლობისა და ხორციელი გარყვნილების პროპაგანდით უპირისპირდებოდა ქართულ ცნობიერებას.

**პირველ შემთხვევაში სხვადასხვა კულტურებიდან საუკეთესოს აღება-შეთვისებაში, ანუ, როგორც დიდი ჭაბუა ამირეჯიბი ამბობს, გაქართულებაში ჩვენი მართლმადიდებლური აღმსარებლობა დაგვეხმარა და იმავე რელიგიამ დაგვიცვა ზედმეტად გააზიურება-გაევროპელებისგან. ასე რომ, თუ იქით არა, აქეთ ნამდვილად არაფერი გვაქვს განათლებული ევროპისგან სასწავლი, რადგანაც, რაც იყო ღირებული, ჩვენმა სულგანათლებულმა წინაპრებმა აღმოსავლეთ-დასავლეთისგან ისწავლეს და გააქართულეს. ჩვენ კი მათი დანატოვარის, ნაანდერძევის გაფრთხილება და** ▶

**რა თქმა უნდა, არ მინდა, ეს წერილი მავანმა რუსების გაფეტიშებად ჩამითვალოს. ბევრი სიმწარეც გვახსოვს ქართველებს ერთმორწმუნე რუსეთისგან, მაგრამ ისტორიული წარსული ხომ ავ-კარგის აწონ-დაწონვაც არის. ჰოდა, ეს ავ-კარგი აწონა თავის დროზე დიდმა ილია ჭავჭავაძემ და რუსეთთან საქართველოს შეერთება საბოლოოდ ცალსახად დადებით მოვლენად მიიჩნია!**

პოზიცია
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ **გათვალისწინება გვმართებს.**

მოკლედ რომ ვთქვათ, ცნობილი ფრაზა: „მე ვარ ქართველი და მაშასადამე, ვარ ევროპელი", ჩემის აზრით, მთლად სწორი არ უნდა იყოს. ჯერ ერთი, ზემოთქმულიდან გამომდინარე, აზიელებიც ვართ და ევროპელებიც. ეგეც არ იყოს, მე ვარ ქართველი, ამას არავითარი „მაშასადამე" აღარ სჭირდება, რადგანაც ქართველები უნათესავო, ღვთის განგებით და მის მიერვე მხოლოდშობილი, ობოლი ერი ვართ და ისედაც, ყოველგვარი გეოგრაფიის გარეშე, ცხადია, ვისზე და რაზეა ლაპარაკი.

ახლა მესმის მავანი ოპონენტის ხმა: ევროპაში ბევრმა რომ არ იცის, ქართველები ვინ არიან და საქართველო სად ოხრობაშიაო? რასაც ერთი ცნობილი ფილმიდან ფრაზით ვუპასუხებ: „თვალი დაუდგა ევროპას"! მითუმეტეს, რომ იქ არავინ გვეპატიჟება და გველოდება.

და აი, მივადექით ამ წერილის მთავარ სათქმელს:

არავინ იცის, ევრაზიული კავშირი რეალური პოლიტიკურ-ეკონომიკური პროექტია თუ წინასაარჩევნო პიარი. მაგრამ ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რეალობის შემთხვევაში რას მიიღებს მსოფლიო.

რას და ახალ უმძლავრეს პოლიტიკურ-ეკონომიკურ, გნებავთ, სამხედრო ალიანსს, დიახაც რუსეთის, ამ უმდიდრესი ქვეყნის ჰეგემონიით, ანუ ეს იქნება ყოფილ საბჭოთა კავშირს მინუს ბალტიის ქვეყნები. ოღონდ ეს ვერ იქნება და არც იქნება ყოფილი საბჭოთა კავშირის ზუსტი ასლი, ანუ ერთი უნიტარული სახელმწიფო, ადრე რომ იყო „თავისუფალ ერთა მძლე კავშირი ძმური", რადგან რუსებმაც ჭკუა ისწავლეს და აღარ დააპირებენ საკუთარი მოსახლეობის კეთილდღეობის ხარჯზე სხვების, თუნდაც პოლიტიკური მოკავშირეების, მუქთად რჩენას. ეს იქნება მართლაც თავისუფალ ერთა თუ არა, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი კავშირი, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი რამ არ გამოვა არა მხოლოდ იმიტომ, რომ დღეს XXI საუკუნეა, არამედ იმიტომაც, რომ ყოფილ საბჭოეთის ქვეყნებში 20 წლის მანძილზე დამოუკიდებლობის გემოც გაიგეს და შესაბამისად, სახელისუფლო და სამხედრო ელიტებიც ჰყავთ.

ასეთ „რასკლადში" კი ჩვენი სამაჩაბლო და აფხაზეთიც ამ ევრაზიის შიგნით მოექცევა და თუნდაც ამიტომ ჩვენი ადგილიც ასეთ ალიანსში იქნება, რა თქმა უნდა, თუ კიდევ ვფიქრობთ ქართველები ამ ტერიტორიების დაბრუნებას...

ალბათ კმარა, სავარაუდო და ნაკლებად შესაძლებელ ევრაზიულ კავშირზე საუბარი და, რაც არის, იმ რეალობიდან ამოვიდეთ. **რეალობა კი ის არის, რომ რუსეთი, ყოველგვარი ახალი კავშირის გარეშეც, მეტ-ნაკლებად მაინც ინარჩუნებს გავლენას ე. წ. პოსტსაბჭოთა სივრცეზე და, სავარაუდოდ, ეს გავლენები თანდათან უფრო გაძლიერდება. ამიტომაც ჩვენს სახელმწიფოებრივ ინტერესებშია, რომ მაქსიმალურად ახლოს ვიყოთ ამ სივრცესთან, ეკონომიკურ-კულტურული კუთხით მაინც; რადგანაც ამ სივრცეში, ევროპისგან განსხვავებით, რუკების გარეშეც კარგად უწყიან, ვინა ვართ და სად არის საქართველო. უფრო მეტიც: რუსეთთან ჩვენი ორსაუკუნოვანი თანაცხოვრების მანძილზე არასოდეს ვყოფილვართ „ღარიბი ნათესავის" როლში. ქართველები ყოველთვის ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდნენ კულტურა-ხელოვნება-მეცნიერება-ბიზნესში თუ უმაღლეს სახელისუფლო წრეებში.**

ასე რომ, ჩვენი ბუნებრივი ადგილი სწორედ პოსტსაბჭოთა სივრცეშია, რადგანაც მხოლოდ იქ მიგველიან, ჯერ კიდევ მიგველიან, როგორც იტყვიან გაშლილი ხელით. ეს რომ ასეა, ამაზე ისიც მეტყველებს, რომ დღემდე ასიათასობით ქართველი ცხოვრობს და იღვწის რუსეთში, მათ შორის — დიდ ბიზნესში. აღარაფერს ვიტყვი შოუბიზნესზე. და ეს ყველაფერი აგვისტოს ომისა და შემდგომი აგრესიული სახელისუფლო რიტორიკის ფონზე გრძელდება.

ეს სხვათაშორის იმაზეც მეტყველებს, რომ რუსებს დიახაც ვერ წარმოუდგენიათ და არც უნდათ ქართველების გარეშე ცხოვრება. თორემ სხვა შემთხვევაში ერთ-ორ სატვირთო თვითმფრინავს არ გვაკმარებდნენ და დეპორტაციას კი არა, მასიურ გამობუნძულებას მოუწყობდნენ იქაურ ქართველებს.

**რა თქმა უნდა, არ მინდა, ეს წერილი მავანმა რუსების გაფეტიშებად ჩამითვალოს. ბევრი სიმწარეც გვახსოვს ქართველებს ერთმორწმუნე რუსეთისგან, მაგრამ ისტორიული წარსული ხომ ავ-კარგის აწონ-დაწონვაც არის. ჰოდა, ეს ავ-კარგი აწონა თავის დროზე დიდმა ილია ჭავჭავაძემ და რუსეთთან საქართველოს შეერთება საბოლოოდ ცალსახად დადებით მოვლენად მიიჩნია!**

მე ილია მართლის მჯერა და არა იმ ურწმუნო ხლისტების ფარისევლური ვაი-ვიშისა გადაღებილი ფრესკების, გაუქმებული ავტოკეფალიის თუ ბაგრატიონთა სამეფო დინასტიის გაუქმების გამო.

და კიდევ: საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის — ილია მეორის მჯერა, რომელიც, როგორც ჩანს, მის მიერვე კანონიზირებული წმინდა ილია მართალივით ფიქრობს რუსეთ-საქართველოს ტკბილ-მწარე ურთიერთობებზე და ამიტომაც ეწვია ამას წინათ მოსკოვს, რის გამოც ჟურნალ „ლიბერალის" რისხვა დაიმსახურა.

ვისაც ამ წერილის ავტორის არ გჯერათ, უწმინდეს პატრიარქს და ილია ჭავჭავაძეს მაინც დაუჯერეთ: საქართველოს მომავალი ერთმორწმუნე რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობების აღდგენაზე გადის და არა ლიბერასტულ დასავლეთზე, საიდანაც მხოლოდ გარყვნილების, სექტანტობის ახალ-ახალ დახვეწილ ტექნოლოგიებს გვიგზავნიან და სადაც, სხვათა შორის, არც არავინ გვეპატიჟება...

## დანართის მაგიერ



# რამდენიმე შეკითხვა ბატონ ბიძინა ივანიშვილს, ანუ ვიწრო ალიანსი კი არა, საყოველთაო ეროვნული ფრონტი დევიზით: «ყველა მინუს ერთი!»

ბატონო ბიძინა! გარშემო შემოიკრიბეთ რა, აშკარად პროდასავლური ძალები რესპუბლიკელებისა და ალასანიას სახით, რატომ გგონიათ, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის განწყობა პროდასავლურია და ნატოში შესვლის მომხრე?

თუ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების პარალელურად გამართული რეფერენდუმის შედეგებს ეყრდნობით, რომლის მიხედვითაც ამომრჩეველთა 70%-ზე მეტმა ნატოში გაწევრიანებას მისცა ხმა, მაშინ წინააღმდეგობაში ვვარდებით, რადგან, **თუ საპარლამენტო არჩევნები გაყალბდა, რაც საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობისთვის უეჭველია და რასაც, მგონი, თქვენც აღიარებთ, მაშინ გამოდის, რომ არც რეფერენდუმის შედეგებია სარწმუნო.**

ეგეც არ იყოს, იმ რეფერენდუმის შემდეგ აგვისტოს ომი მოხდა, რამაც საზოგადოება იმედგაცრუებული დატოვა, რადგან დასავლეთის დახმარება აღშფოთებული განცხადებებით გამოიხატა მხოლოდ, ნატოსგან კი პამპერსებითა და გამოხდილი წყლით დატვირთული გემები შემოვიდა ფოთის პორტში.

თუნდაც ამის გამო ხომ არ არის უპრიანი იმ რეფერენდუმის შედეგების გადახედვა და ახალი რეფერენდუმის ჩატარება?

**ან რისთვის, ქართველი ხალხის წინაშე რა დამსახურებისთვის გააკეთეთ რესპუბლიკელებზე არჩევანი? პარტიაზე, რომელიც, დიდი ხანია, საზოგადოების აბსოლუტურ უმრავლესობაში ცნობილია როგორც ზედმეტად ლიბერალური, ანტიეროვნული და ანტიმართლმადიდებლური რეპუტაციისა, რის გამოც მრავალი წლის მანძილზე მათი რეიტინგი ვერ ასცდა 2-3%-ს.**

აქედან გამომდინარე, რატომ უკეთებთ იგნორირებას ნინო ბურჯანაძეს? რა, რესპუბლიკელებს მაინც აღარ სჯობია ეს ქალბატონი?

ხომ არ არის ნინო ბურჯანაძის, „ეროვნული ფორუმის", „სახალხო კრების", წინააღმდეგობის მოძრაობისა და სხვა ეროვნული ძალების თუ პიროვნებების იგნორირება სწორედ რესპუბლიკელი „ინტელექტუალების" ზეგავლენის შედეგი?

ბატონო ბიძინა! სააკაშვილის წინააღმდეგ უნდა შეიქმნას საყოველთაო ეროვნული ფრონტი დევიზით **„ყველა მინუს ერთი"!!! და არა ის ვიწრო ალიანსი, სადაც პირველ ვიოლინოზე რესპუბლიკელები დაუკრავენ!!!**

სხვანაირად „ქართული ოცნება" ვერ ახდება!!!

რა თქმა უნდა, „ყველაში" არ ვგულისხმობ „ახალ მემარჯვენეებს", „ქრისტიან-დემოკრატებს" და სხვა, თქვენ მიერ სამართლიანად გამორიცხულ პარტიებს...

**პატივისცემით და ყალბი თავმდაბლობის გარეშე,**
**ეროვნული თვითშეგნების ჟურნალისტი**
**დავით მხეიძე**

**რეალობა კი ის არის, რომ რუსეთი, ყოველგვარი ახალი კავშირის გარეშეც, მეტ-ნაკლებად მაინც ინარჩუნებს გავლენას ე. წ. პოსტსაბჭოთა სივრცეზე და, სავარაუდოდ, ეს გავლენები თანდათან უფრო გაძლიერდება**

# «ნაცმოძრაობამ» აქტივისტების მობილიზება დაიწყო

**„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" რაიონულ ორგანიზაციებში აქტივისტთა მობილიზაციას იწყებს. იმ პირებს, რომლებიც გასულ წლებში მმართველი პარტიის სიებით დედაქალაქის მასშტაბით საარჩევნო შტაბების მუშაობაში იყვნენ ჩართულნი, ცოტა ხნის წინ დაურეკეს და თანამშრომლობის გაგრძელება შესთავაზეს. შეთავაზება წინასაარჩევნო საქმიანობას ითვალისწინებს.**

„ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტების ინფორმაციით, რაიონული ორგანიზაციების ლიდერებთან შეხვედრები უკვე ჩანიშნულია, ხოლო რამდენიმე უბანში — გაიმართა.

მსგავსი შეხვედრების 2012 წლის ოქტომბრამდე (კანონის მიხედვით საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის დრო) ათი თვით ადრე გამართვაში განსაკუთრებულს ვერაფერს ხედავს „ნაციონალური მოძრაობის" გენერალური მდივანი ზურაბ მელიქიშვილი: **„რაიონული ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრებს ჩვენ პერიოდულად ვმართავთ",** — განაცხადა მელიქიშვილმა.

თუმცა, როგორც მედიანიუსს ერთ-ერთმა აქტივისტმა უთხრა, მას „ნაციონალური მოძრაობიდან" 2010 წლის ადგილობრივი თვითმართველობის შემდეგ პირველად რამდენიმე დღის წინ სწორედ ზემოხსენებულ საკითხებზე სასაუბროდ დაურეკეს.

„ნაციონალური მოძრაობის" მიერ აქტივისტთა ნაადრევი მობილიზაციის ფონზე ვადამდელი საპარალამენტო არჩევნების დანიშვნას არ გამორიცხავს ბიძინა ივანიშვილის თანაგუნდელი, პოლიტოლოგი ვაჟა ბერიძე. მისი ინფორმაციით, „ნაციონალური მოძრაობის" ხელმძღვანელებს შორის არსებობს მოსაზრება, რომ გამომდინარე რამდენიმე ფაქტორიდან, ხელისუფლება 2012 წლის ოქტომბერს არ უნდა დაელოდოს და საპარლამენტო არჩევნები გაზაფხულზევე უნდა დანიშნოს.

**„აქ თითქოს იგულისხმება ის გარემოება, რომ ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურმა ძალამ, რომელსაც უამრავი პრობლემა შეუქმნეს, მოკლე დროში არჩევნებისთვის სათანადო მომზადება ვერ შეძლოს. ნამდვილად არ გამოვრიცხავ, რომ სახელისუფლო დაჯგუფებაში ასეთი იდეა პოპულარული იყოს და არჩევნები გაზაფხულზე დანიშნონ",** — განაცხადა ბერიძემ და დასძინა, რომ გაზაფხულზე არჩევნების ჩატარება ხელისუფლების წისქვილზე წყალს მაინც ვერ დაასხამს.

ამ განცხადების არგუმენტად ბერიძე იაგო კაჭკაჭიშვილის კვლევითი ცენტრის მიერ ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის შედეგებს და იმ ეფექტს ასახელებს, რაც მოსახლეობაში ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში გამოჩენამ გამოიწვია. ექსპერტის აზრით, ივანიშვილის გადაწყვეტილების ეფექტი, 2012 წლის შემოდგომაზე მეტად, გაზაფხულზე უფრო მაღალი იქნება.

**„ოღონდ ეს იმ შემთხვევაში, თუ შევთანხმდებით იმაზე, რომ გაყალბება მინიმალურ დონეზე მოხდება, რადგან არც დასავლეთი და არც ქართული საზოგადოება აღარ მოითმენს ისეთ გაყალბებას, რომელსაც ბოლო არჩევნებზე ჰქონდა ადგილი და პროტესტის მუხტი იქნება გაცილებით მწვავე, ვიდრე ჩვენ ამას ვხედავთ რუსეთში",** — აღნიშნა პოლიტოლოგმა.

მისი თქმით, დღევანდელი პარლამენტის პირობებში არჩევნების გაზაფხულზე დასანიშნად ხელისუფლებას საკანონმდებლო მხარდაჭერის მოპოვება არ გაუჭირდება.

საპარლამენტო არჩევნების ჩატარების თარიღის დადგენასთან დაკავშირებით საქართველოს კონსტიტუციაში არსებულ კოლიზიაზე ყოფილი ე.წ. ექვსიანი ჯერ კიდევ რამდენიმე თვის წინ საუბრობდა. „ექვსიანის" წევრები აცხადებდნენ, რომ არჩევნების კანონიერი ვადით ჩატარების თარიღი არა 2012 წლის ოქტომბერი, არამედ მაისია.

მათი თქმით, პარლამენტის უფლებამოსილების ვადა სრულდება 2012 წლის 7 ივნისს და, ბუნებრივია, მომდევნო საპარლამენტო არჩევნები უნდა ჩატარდეს 2012 წლის მაისის დასაწყისში, მაგრამ გასულ წელს საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილ იქნა ცვლილებები, სადაც გაჩნდა დებულება, რომ მომავალი საპარლამენტო არჩევნები 2012 წლის ოქტომბერში ტარდება, ანუ კონსტიტუციაში ერთგვარი კოლიზია იქმნება; არის ორი მუხლი, ერთში წერია, რომ პარლამენტის უფლებამოსილება განისაზღვრება ოთხი წლის ვადით, მეორე მუხლში კი წერია, რომ არჩევნები ტარდება 2012 წლის ოქტომბერში.

იმის შესახებ, რომ ხელისუფლება ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას 2012 წლის გაზაფხულზე გეგმავს, ბოლო დროს განცხადებები რამდენიმე ოპოზიციური პარტიის წევრმა, მათ შორის „ქართული პარტიის" თანათავმჯდომარემ ეროსი კიწმარიშვილმაც გააკეთა.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**„ჩვენ ვემხრობით რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას და არა რუსეთთან „ჩახუტებას“ ან დაქვემდებარებას. ბიძინა ივანიშვილის პოზიცია ჩვენს პოზიციას არ ეწინააღმდეგება... ჩვენი, „თავისუფალი დემოკრატებისა“ და კოალიციაში გაერთიანებული პოლიტიკური ძალების პოზიცია და მსოფლმხედველობრივი პოსტულატი შემდეგია: ჩვენი ქვეყანა წარმოგვიდგენია როგორც ევროატლანტიკური კოალიციის, ევროკავშირის წევრი; უსაფრთხოების საკითხებში კი ჩვენი პრიორიტეტი ნატოში გაწევრიანებაა, მაგრამ ჩვენი ეს სტრატეგია არანაირად არ გულისხმობს, რომ რუსეთთან დაპირისპირებულები უნდა ვიყოთ.“**

## დავით ზურაბიშვილი:

# საააკაშვილს იმის დამტკიცება უნდა, რომ ამერიკელებზე უფრო ამერიკელია

**რას აპირებენ ახალ პოლიტიკურ სტრუქტურაში გაწევრიანებული პოლიტიკური პარტიები და როგორია მათი საშინაო თუ საგარეო პოლიტიკური მიმართულება, ასევე რესპუბლიკური პარტიის გეგმებსა და ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებზე, „საქართველო და მსოფლიოს“ რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, დავით ზურაბიშვილი ესაუბრება.**

**— რესპუბლიკელები, „თავისუფალი დემოკრატები“ და ბიძინა ივანიშვილის გუნდი ერთიან პოლიტიკურ სტრუქტურაში გაწევრიანდნენ, რომელიც, როგორც ითქვა, ხელისუფლების ალტერნატიული პოლიტიკური ცენტრი იქნება. თუ გაქვთ უკვე სამოქმედო გეგმა და ნიშნავს თუ არა ეს გაერთიანება, რომ ამიერიდან თქვენი მოსაზრებები ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით ერთნაირი იქნება?**

— ცხადია, ასე იქნება. ყველა საკითხი — იდეოლოგიური, მსოფლმხედველობრივი თუ პოლიტიკური — იქნება შეჯერებული და, რა თქმა უნდა, ჩვენი მოქმედება ერთიანი გეგმის მიხედვით წარიმართება. რაც შეეხება ჩვენს სამოქმედო გეგმასა და კონკრეტულ ნაბიჯებს, ეს გამოცხადდება, ხოლო კონკრეტულ თარიღებს, როდის რას გავაკეთებთ, ჯერ ვერ გეტყვით. ინტენსიურ, აქტიურ მოქმედებას ახალი წლის შემდეგ დავიწყებთ. როგორც იცით, მალე ბიძინა ივანიშვილის პარტიაც ოფიციალურად დაფუძნდება, საკმაოდ აქტიურები ვიქნებით და მხოლოდ განცხადებებით არ შემოვიფარგლებით.

**— საგარეო პოლიტიკურ კურსს რაც შეეხება, ბიძინა ივანიშვილმა განაცხადა, რომ ის რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების მომხრეა, IRI-ს მიერ ჩატარებული ბოლო კვლევის მიხედვითაც, გამოკითხული მოსახლეობის 75% რუსეთთან დიალოგის აღდგენას უჭერს მხარს. რესპუბლიკური პარტია სხვებთან შედარებით ყოველთვის უფრო პროდასავლური ორიენტაციის იყო. თუ იზიარებთ რუსეთთან დაკავშირებით ივანიშვილის მოსაზრებას?**

— ჩვენ ვემხრობით რუსეთთან ურთიერთობის დალაგებას და არა რუსეთთან „ჩახუტებას“ ან დაქვემდებარებას. ბიძინა ივანიშვილის პოზიცია ჩვენს პოზიციას არ ეწინააღმდეგება, პირიქით, ჩვენც ეს პოზიცია გვაქვს. ჩვენი, „თავისუფალი დემოკრატებისა“ და კოალიციაში გაერთიანებული პოლიტიკური ძალების პოზიცია და მსოფლმხედველობრივი პოსტულატი შემდეგია: **ჩვენი ქვეყანა წარმოგვიდგენია, როგორც ევროატლანტიკური კოალიციის, ევროკავშირის წევრი, უსაფრთხოების საკითხებში კი ჩვენი პრიორიტეტი ნატოში გაწევრიანებაა, მაგრამ ჩვენი ეს სტრატეგია არანაირად არ გულისხმობს, რომ რუსეთთან დაპირისპირებულები უნდა ვიყოთ.**

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ეს რთული პრობლემაა, მითუმეტეს, როცა ჩვენი ტერიტორიების ნაწილი ოკუპირებულია და პრაქტიკულად, „სამხრეთ ოსეთისა“ და აფხაზეთის საელჩოები გახსნილი, მაგრამ ჩვენ ვალდებულები ვართ, ყველაფერი გავაკეთოთ და ურთიერთობის ნორმალიზება შევძლოთ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: ეს არ იქნება ადვილი, მაგრამ უნდა ვცადოთ.

**— როგორ წარმოგიდგენიათ, თან ნატო-სკენ ისწრაფვოდეს ქვეყანა და თან რუსეთთან ალაგებდეს ურთიერთობას? როდესაც აცხადებთ, რომ ნატო-ში ინტეგრაცია უნდა იყოს ქვეყნის მთავარი პოლიტიკური კურსი, ოღონდ რუსეთთან ურთიერთობის ნორმალიზების შემდეგ. რუსეთი ყოველთვის წინააღმდეგია საქართველოს ნატო-ში ინტეგრაციის და როგორ მოახერხებთ ამას? ხომ არ არის თქვენი პოზიცია ამ შემთხვევაში ურთიერთგამომრიცხავი?**

— ეს არ არის ურთიერთგამომრიცხავი პოზიცია. როდესაც ამხელა მეზობელი ქვეყანა გყავს, გინდა თუ არა, მასთან ურთიერთობა გიწევს. ჩვენ კარგად გვესმის, რომ, თუ რუსეთთან ერთი-ერთზე დავრჩით, ეს იქნება უთანასწორო ურთიერთობა, ის ყოველთვის გადაგვიგრიხავს ხელს და მოგვერევა, მაგრამ ბუნებრივია, ამ შემთხვევაში, ჩვენ დასავლელი მოკავშირეების იმედი გვაქვს. ვინაიდან რუსეთს ძალიან სჭირდება ევროკავშირი, ამერიკასთან ნორმალური ურთიერთობა. ამიტომ მათი მხარდაჭერით ჩვენ უნდა შევძლოთ, რუსეთი ვაიძულოთ, პირველ რიგში, ეკონომიკურ-კულტურულ ურთიერთობაზე წამოვიდეს. მაგალითად, ბალტიისპირეთის ქვეყნების ევროკავშირში გაერთიანებაც არ უნდოდა რუსეთს, მაგრამ დღეს სხვა რა გზა აქვს და ახლა მათთან ურთიერთობს. ამიტომ ჩვენ თუ ქვეყნის შიგნით დემოკრატიას მივაღწევთ და დასავლეთის უფრო მეტი მხარდაჭერა გვექნება, რა თქმა უნდა, რუსეთი იძულებული იქნება, დაგვთანხმდეს. ჩვენ შევთავაზებთ რუსეთს ისეთ წინადადებებს, თუნდაც ეკონომიკურ ან სხვა სფეროში, რაზეც მას უარის თქმა გაუჭირდება.

დღეს მათ ერთადერთი სათქმელი აქვთ, რომ სააკაშვილს არ ელაპარაკებიან, რასაც დასავლეთი არ უწონებს რუსეთს, მაგრამ ამის გამო მაინც და მაინც თავს არ იკლავს. ჩვენ ამ სიტუაციის შეცვლას ვაპირებთ, თუმცა კონკრეტული ვადები ბუნდოვანია. ზუსტ ვადებს ვერავინ იტყვის და, ვინც იტყვის, ის, უბრალოდ, იტყუება. ჩვენ ვიქნებით ახალი გუნდი, ვიქნებით ბევრად დემოკრატიულები და რეალურად შევეცდებით, საქართველო ევროპული ტიპის დემოკრატიულ ქვეყნად ვაქციოთ. ჩვენ მოვიპოვებთ გაცილებით დიდ მხარდაჭერას დასავლეთიდან, მოვიპოვებთ რუსების, აფხაზების მხარდაჭერას და ამით ვაიძულებთ რუსეთს, გარკვეულ დათმობებზე წამოვიდეს.

**— ბიძინა ივანიშვილმა 4 პოლიტიკურ პარტიას გადაურიცხა 4 მილიონ 400 ათასი ლარი, მათ შორის რესპუბლიკურმა პარტიამ საკმაოდ სოლიდური თანხა მიიღო. როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორი იყო თქვენი მხრიდან ამ თანხის მიღება?**

— არ უნდა გვქონდეს მიღებული ეს თანხა? როგორც იტყოდა დიადი ქართველი მინისტრი გიგა ნასარიძე — რამე კანონი დაირღვა? საინტერესოა, აბა ასე უნდა ვიყოთ და მარტო მაგათ უნდა ჰქონდეთ ფული? თან ჩვენი ჯიბიდან აღებული ფული? თუ პარტია კანონის ფარგლებში დაფინანსებას იღებს, ეს სალაპარაკო უნდა იყოს? დიახ, ავიღეთ ბიძინა ივანიშვილისგან თანხა და კვლავაც ავიღებთ იმდენს, რამდენიც კანონმდებლობით იქნება განსაზღვრული და ვერავინ ვერაფერს მოგვედავება. თქვენ წარმოიდგინეთ, ბიძინა ივანიშვილთან პოლიტიკურ გაერთიანებაში ვიყოთ და უფულოდ ვიყოთ? ეს ხომ სასაცილო იქნებოდა და არც არავინ დაგვიჯერებდა; მაშინ იდიოტები უნდა ვყოფილიყავით. ჩვენ ვაპირებთ, სერიოზული კონკურენცია გავუწიოთ ხელისუფლებას. ის დრო დამთავრდა, როცა მარტო ხელისუფლებას ჰქონდა გინდ ფინანსური, გინდ ადამიანური რესურსი და სხვა არავის. ასეთი არაადეკვატური და პანიკური ბრალდებები ხელისუფლების შიშის გამოხატულებაა. მათ ძალიან ეშინიათ ივანიშვილის პოლიტიკური ძალის და ხელისუფლებიდან წასვლის.



**— გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბიძინა ივანიშვილი პრეზიდენტობის კანდიდატად პაატა შევარდნაძის დასახელებას აპირებს. სიმართლეს შეეფერება თუ არა ეს ინფორმაცია და ამ შემთხვევაში დაუჭერდით თუ არა თქვენ მის კანდიდატურას მხარს?**

— მათივე შეთხზული ჭორია. რა შუაშია საერთოდ პაატა შევარდნაძე? ის არანაირ კავშირში არ არის ამ საქმესთან.

**— ეროსი კიწმარიშვილის განცხადებით, „ქართული პარტიის“ ირგვლივ დიდი პოლიტიკური გაერთიანების შექმნა იგეგმება, რომელსაც, სავარაუდოდ, ირაკლი ოქრუაშვილი უხელმძღვანელებს. თქვენ თუ აპირებთ მათთან რაიმე სახის თანამშრომლობას?**

— ჩვენ თავიდანვე ვთქვით, რომ ჩვენი კარი ღიაა, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის მორალურ თუ პოლიტიკურ რეპუტაციას, მის მსოფლმხედველობას. ბიძინა ივანიშვილმა პირველივე დღეს განაცხადა, რომ „ქართული პარტია“ მისთვის მიუღებელია და მათთან პარტნიორობის საკითხი არ განიხილება.

**ერთი რამ უნდა იცოდეს ყველამ, ამ სიტუაციაში ვერავითარი მესამე ძალა ვერ შეიქმნება. ბოლო დროს ჩატარებული ყველა კვლევა აჩვენებს, რომ ქვეყანაში მომხდარია პოლარიზაცია. არის სააკაშვილი და მისი „ნაცმოძრაობა“ და ივანიშვილი და მისი პოლიტიკური ძალა. დანარჩენებმა ეძებონ ადგილი, ეს მათი საქმეა, მაგრამ არა მგონია, სერიოზულ წარმატებას მიაღწიონ.**

**— პრეზიდენტმა ახალი ქალაქის — ლაზიკის აშენების იდეა წამოჭრა. რამდენად პერსპექტიულად და რეალურად გესახებათ ახალი ქალაქის მშენებლობა და რას მოუტანს ეს ქვეყანას?**

— სააკაშვილმა გამოაცხადა, ქალაქი უნდა ავაშენოო. ქალაქი ხუშტურით არ შენდება. არ ხდება ასე: რომ გაიარ-გამოიარო და აქ ერთი კაი ქალაქი ამიშენეთო, ბრძანო. ქალაქის მშენებლობა საჭიროებიდან გამომდინარე ხდება, როცა პეტრე პირველმა პეტერბურგი ააშენა. მას სჭირდებოდა ზღვაზე გასასვლელი, ევროპასთან კონტაქტი. როცა სტალინი და სხვები აშენებდნენ ქალაქებს, მათ ჰქონდათ კონკრეტული მიზანი. ასე ხდება ევროპაში, აშშ-ში. შეიძლება სააკაშვილს დაესიზმრა შუშის ქალაქი, გაეღვიძა და მოინდომა სიზმრის ასრულება, მაგრამ მის სიზმრებს ვერ აჰყვება ქვეყანა. წლევანდელ ბიუჯეტში ერთი კაპიკიც კი არ არის გათვალისწინებული ლაზიკის ასაშენებლად და რით აპირებს აშენებას? ერთი ჭკუათმყოფელი ინვესტორი მანახეთ, ვინც იქ ინვესტიციას განახორციელებს და სადღაც გაურკვეველ ადგილებში, ჭაობებში ფულს დახარჯავს. სრულიად შეუსწავლელია, რა კლიმატური პირობებია და შეიძლება თუ არა საერთოდ იქ ქალაქის აშენება. ამ ყველაფერს შესწავლა უნდა. ამიტომ მე ასე ვიტყოდი: ლაზიკა სააკაშვილის სიზმარია, რომელსაც ახდენა არ უწერია.

**— ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ერაყიდან ბოლო სამხედრო კოლონა გაიყვანა, საქართველო კი კვლავ ზრდის კონტინგენტს. რას ემსახურება ხელისუფლების ეს ნაბიჯი?**

— სააკაშვილს უნდა, დაამტკიცოს, რომ რომის პაპზე მეტად კათოლიკეა, ანუ ამერიკელებზე უფრო ამერიკელია. როგორც კი საფრთხეს იგრძნობს, პირველ რიგში, ავღანეთში სამხედრო კონტინგენტს ზრდის. ამით სურს, ამერიკელებს უთხრას, რომ ჩემნაირ პროამერიკელს ვერ ნახავთო. მისი ნაბიჯი მეტს არაფერს ემსახურება. ყოველთვის, როცა სააკაშვილი დაინახავს, რომ დასავლეთი მის ქმედებებს კრიტიკულად აფასებს, ასე იქცევა. მან კარგად დაინახა, რომ კარტ-ბლანში აღარ აქვს. **ორჯერ შეხვდა აშშ-ის ელჩს ბიძინა ივანიშვილი და ეს პოლიტიკური ძალა ამერიკის მხრიდან უკვე განიხილება როგორც სერიოზული ძალა და სერიოზულად მიმდინარეობს მასთან დიალოგი. სააკაშვილს ამერიკელების მხარდაჭერა იმისთვის სჭირდება, რომ აქ დაგვერიოს, ანგარიში გაგვისწოროს და თავად ღრმა სიბერემდე ქვეყნის მმართველი იყოს.**

**თავისთავად ჩვენ ასეთი ტიპის ოპერაციებში ჩვენი ჯარისკაცების მონაწილეობას საჭიროდ ვთვლით, მაგრამ გააჩნია რა რაოდენობით. როგორც ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებისთვის არის საჭირო, ისე უნდა მოვიქცეთ და არა ისე, ვიღაცას რომ ვასიამოვნოთ.**

**— თქვენ Facebook-ის ჩანაწერს დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ტელეკომპანია „იმედმა“ სიუჟეტიც კი მოგიძღვნათ და გაგაკრიტიკათ უხამსი ლექსიკის გამოყენების გამო.**

— ძალიან სასაცილოა, თან ამას აკეთებს მოდელირებული „ქრონიკის“ შემოქმედი ჯგუფი. ვფიქრობ, კარგი რეკლამა გამიწიეს, იმიტომ, რომ, ვინც Facebook-ი არ იცის, რა არის და სოციალურ ქსელებში არ არის დარეგისტრირებული, ის საერთოდ ვერ გაიგებდა, რა დავწერე. კიდევ თუ გაუშვებენ ასეთ სიუჟეტს, ძალიან დამავალებენ. ხელისუფლების ზოგიერთი წევრისა თუ მათთან დაახლოებული პირისგან განსხვავებით, მე კონკრეტული ადამიანისთვის არ შემიგინებია და, როცა ლიტერატურულ პაროდიაზეა საუბარი, შეიძლება ასეთი უხამსი ენით საუბარი. ეს იყო პაროდია იმ აბსოლუტურ იდიოტობაზე, რომელიც ამ დღეებში სოციალურ ქსელებში გაჩნდა, სადაც ზებრა და ჟირაფი ინგლისურად და რუსულად საუბრობენ ბიძინა ივანიშვილზე. ვის მოუვიდა ასეთი იდიოტობა თავში, არ ვიცი, მაგრამ მივიჩნიე, რომ პაროდიისთვის კარგი მასალა იყო.

**— როგორ შეაჯამებთ გასულ 2011 წელს?**

— პოლიტიკური თვალსაზრისით, ეს წელიწადი საკმაოდ მძიმე იყო. იყო იმედგაცრუება, იყო 26 მაისი, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დღე იყო, რადგან დაიხოცნენ ადამიანები. ხელისუფლებამ დანაშაული ჩაიდინა. თუმცა ეს წელი იმითაც უნდა დაგვამახსოვრდეს, რომ მაინც გაჩნდა იმედი. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მოსვლამ გააჩინა იმედი, რომ ამ კოშმარს ექნება დასასრული და მომავალ წელს ჩვენ ყველანი ერთად ქართულ ოცნებას თუ ვერ ავისრულებთ, ოცნების ასრულების დასაწყისი მაინც დაიწყება. დავიწყებთ ნორმალური სახელმწიფოს მშენებლობას — ახალ წელს ამ იმედით ვეგებებით.

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**

**«როგორც კი საფრთხეს იგრძნობს, პირველ რიგში, ავღანეთში სამხედრო კონტინგენტს ზრდის. ამით სურს, ამერიკელებს უთხრას, რომ ჩემნაირ პროამერიკელს ვერ ნახავთო»**

**«დიახ, ავიღეთ ბიძინა ივანიშვილისგან ფული და კიდევ ავიღებთ!»**

„დღეს თუ ვინმეს მართლა სურს, წარმოჩინდეს სერიოზულ ძალად და მიაღწიოს რამე დადებით შედეგს, უპირველესი მისი ამოცანა უნდა იყოს პოლიტიკური სუბიექტების მაქსიმალური კონსოლიდაცია და ერთ ბირთვად, ცენტრად ჩამოყალიბება. სხვანაირად მე პირადად, შეუძლებლად მიმაჩნია არსებული რეჟიმის შეცვლა, ვინაიდან ამ ხელისუფლებასთან უკვე აღარ ჭრის არანაირი ბრძოლის წესები. მისი ერთადერთი პრინციპია, დაიჭირე, დააპატიმრე და მოკალი, ოღონდ შეინარჩუნე ძალაუფლება...“

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# დაიჭირე, დააპატიმრე და მოკალი, ოღონდ შეინარჩუნე ძალაუფლება

**ბოლო დროს განვითარებულ მნიშვნელოვან მოვლენებზე „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება „სამოქალაქო ფრონტის“ დამფუძნებელი და ერთ-ერთი ლიდერი ჯაბა ჯიშკარიანი.**

**— ჯაბა, რამდენიმე დღის წინათ ერთ-ერთ თქვენს აქტიურ თანამებრძოლს, აკაკი დარასელიას სასამართლომ ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. როგორ წარიმართა გამოძიება მის საქმეზე და, თქვენი აზრით, ეს დაპატიმრება ხომ არ იყო ხელისუფლების მიერ თქვენი ერთგვარი გაფრთხილება?**

— დავიწყოთ იმით, თუ როგორ და რა ფორმით დააპატიმრეს აკაკი დარასელია: 7 ივლისს, ღამის 4 საათზე, „თავისუფალი საქართველოს“ ოფისთან მას დახვდა ოთხი პოლიციელი, რომლებმაც ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე დააკავა იგი და დაუყოვნებლივ გადაიყვანა დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ განყოფილებაში. შემდეგ მას ბრალად წაუყენეს ნარკოტიკული ნივთიერების შენახვა (ანუ თითქოს ჩხრეკის დროს აღმოაჩნდა ნარკოტიკი ე. წ. მეტაამფიტამინი) და 260-ე მუხლის მეორე ნაწილით გაუშვეს ორთვიან წინასწარ პატიმრობაზე.

პირველი დარღვევა, რაც აკაკი დარასელიას მიმართ დაკავების დროს განხორციელდა და რაც გარკვეულწილად მის უდანაშაულობასაც ამტკიცებს, იყო ის, რომ მას არ მიეცა საშუალება, დაერეკა ადვოკატთან. ამასთან, ჩხრეკის დროს მას არ მისცეს დამსწრე პირის ყოლის უფლება, რაც ასევე ადასტურებს იმას, რომ ეს საქმე იყო თავიდან ბოლომდე შეთითხნილი.

გარდა ამისა, იმ ორი თვის განმავლობაში, რაც აკაკი წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა, თითქმის ყოველდღე მასთან პირადად შედიოდა პროკურორი ივანე კაკალია და პირდაპირ ეუბნებოდა: თუ ხელს მოაწერ აღიარებით ჩვენებას, მოგისჯით მხოლოდ ერთწლიან პატიმრობას ან საპროცესო შეთანხმებით გაგათავისუფლებთო. მოკლედ, **ათასგვარი ბინძური მეთოდებითა და ფსიქოლოგიური ზემოქმედებით ცდილობდნენ მის დაყოლიებას, მაგრამ, როცა დარწმუნდნენ, რომ ამას აზრი არ ჰქონდა, სააკაშვილის ჯიბის სასამართლომ მიიღო წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება და აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანს, აკაკი დარასელიას, რომელსაც ცხოვრებაში შეხება არ ჰქონია არანაირ ნარკოტიკთან, ნარკოტიკის შენახვის ბრალდებით ცხრა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.**

ამით ჩვენს ქვეყანას შეემატა კიდევ ერთი პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ადამიანი და კიდევ ერთხელ დავრწმუნდით იმ მარტივ ჭეშმარიტებაში, რომ **სააკაშვილის რეჟიმი უკვე სიგიჟის უკანასკნელ სტადიაშია, პიკზე იმყოფება.**

რაც შეეხება თქვენს კითხვას: არის თუ არა ეს ყველაფერი გაფრთხილება ჩვენთვის, მეტსაც გეტყვით: მეორე დღეს, როცა გავიგეთ, რომ აკაკი დააკავეს და ვცდილობდით, გაგვერკვია, რა და როგორ მოხდა სინამდვილეში, პოლიციის თანამშრომელმა ერთ-ერთ ჩვენს მეგობარს პირდაპირ უთხრა, ეს არ იქნება უკანასკნელი, თუ ჭკვიანად არ იქნებით, თქვენც იგივე მოგელითო, ანუ, რა თქმა უნდა, იყო გაფრთხილებაც, მუქარაც და ამით, ფაქტობრივად, **მიგვანიშნეს, რომ, თუ ჩუმად არ ვიქნებით, ციხეში კიდევ უამრავი ადგილია და ხვალ და ზეგ ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება იქ აღმოჩნდეს...**

**— პოლიტიკური ნიშნით დაკავებულთა საქმეების გამოძიების დროს უამრავი დარღვევა ფიქსირდება ხოლმე. აკაკი დარასელიას შემთხვევაში თუ იყო რამე მსგავსი ფაქტი იმის გარდა, რაც საუბრის დასაწყისში აღნიშნეთ?**

— აკაკის საქმემ პირველ ინსტანციაში სამი მოსამართლის ხელში გაიარა და ბოლოს ეს საქმე ანდერძად ერგო **ნაირა გიგიტაშვილს**. ეს ის მოსამართლეა, რომელმაც ხორცი შეასხა „ნაცმოძრაობის“ იდეას ნულოვანი ტოლერანტობის შესახებ და გახსოვთ, ალბათ, 2007 წლის 19 მარტს თოთხმეტი წლის გიორგი ზერეკიძეს ათი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.



**«მიგვანიშნეს, რომ, თუ ჩუმად არ ვიქნებით, ციხეში კიდევ უამრავი ადგილია და ხვალ და ზეგ ნებისმიერი ჩვენგანი შეიძლება იქ აღმოჩნდეს...»**

ამ ქალბატონმა, რომელიც ცნობილია როგორც სააკაშვილის ხელის მოსამართლე, აკაკი დარასელიას შემთხვევაშიც იმოქმედა ანალოგიურად, არ დააკმაყოფილა არც ერთი შუამდგომლობა, არ დაჰკითხა ის ადამიანები, რომლებიც იმ საღამოს იმყოფებოდნენ აკაკისთან ერთად და გამოიტანა ის განაჩენი, რომელიც აწყობდათ მის ზურგს უკან მდგომ ხელისუფლების ჩინოვნიკებს. პირადად ჩემთვის ეს ყველაფერი, ცხადია, მოულოდნელობა არ ყოფილა, ვინაიდან **ამ რეჟიმის წყალობით, დიდი ხანია, ქვეყანაში არ არსებობს სასამართლო და ეს სისტემა უკვე მთლიანად იქცა „ნაცმოძრაობის“ დანამატად, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ ვამბობთ, რომ არ ვაპირებთ, შევეგუოთ სააკაშვილის პირსისხლიან რეჟიმს და ჩვენი რამდენი თანამებრძოლიც არ უნდა აღმოჩნდეს ციხეში, მათ შორის მეც, ჩვენი ბრძოლა უსათუოდ გაგრძელდება...**

**— ბრძოლა ახსენეთ და აკაკი დარასელიასთვის განაჩენის გამოტანის დღეს სასამართლოს შენობასთან სულ რამდენიმე ადამიანი იყავით შეკრებილი. რატომ უფრო მეტმა თქვენმა თანამებრძოლმა ან რიგითმა მოქალაქემ არ გააპროტესტა სასამართლოს გადაწყვეტილება?**

— თავის დროზე, როცა სააკაშვილის ჯალათებმა სანდრო გირგვლიანი მოკლეს, მეგონა, მინიმუმ ნახევარი თბილისი მაინც ფეხზე დადგებოდა, მაგრამ მერე აღმოჩნდა, რომ ასი და ორასი კაცის გამოყვანაც კი პრობლემა იყო. ეს არის ზოგადად ქართველი ხალხის, ერისა და საზოგადოების პრობლემა, — არ ვიცით ჩვენი უფლებების ფასი და ვერ ვიცავთ ამ უფლებებს. აი, ესაა პრობლემა და ამით გვჯობნის ჩვენ რეალურად ეს ხელისუფლება, თორემ საზოგადოება რომ ერთიანი იყოს და სოლიდარობა ერთმანეთის მიმართ ესოდენ სანატრელი არ გვქონდეს, მერწმუნეთ, ეს რეჟიმი იმის მეასედსაც ვერ გაგვიბედავდა, რასაც დღეს გვიბედავს და გასდის კიდეც ყველაფერი.

**— ისე, სოლიდარობის დეფიციტი პოლიტიკურ სპექტრშიც საკმაოდ თვალში საცემია. არ მეთანხმებით?**

— გეთანხმები და ამიტომაც ვამბობ, რომ ის პოლიტიკური მოცემულობა, რაც დღესაა ჩვენს ქვეყანაში, დამღუპველია. არ შეიძლება, საზოგადოების დაყოფა, რაღაც ერთპიროვნულ ძალად ჩამოყალიბებისკენ მუდმივად ქაჩვა და იმის მტკიცება, რომ მე ვარ პოლიტიკური სპექტრის ბირთვი, ცენტრი და ა. შ. ეს იწვევს პოლიტიკურ ძალთა დაქსაქსვას, დაქსაქსულობა კიდევ ყოველთვის მიმართულია დამარცხებისკენ; ამაში არაერთხელ დავრწმუნდით, ამიტომ მიმაჩნია, რომ **დღეს თუ ვინმეს მართლა სურს, წარმოჩინდეს სერიოზულ ძალად და მიაღწიოს რამე დადებით შედეგს, უპირველესი მისი ამოცანა უნდა იყოს პოლიტიკური სუბიექტების მაქსიმალური კონსოლიდაცია და ერთ ბირთვად, ცენტრად ჩამოყალიბება. სხვანაირად მე პირადად, შეუძლებლად მიმაჩნია არსებული რეჟიმის შეცვლა, ვინაიდან ამ ხელისუფლებასთან უკვე აღარ ჭრის არანაირი ბრძოლის წესები. მისი ერთადერთი პრინციპია, დაიჭირე, დააპატიმრე და მოკალი, ოღონდ შეინარჩუნე ძალაუფლება...**

**— ჯაბა, შენ თქვი, რომ არსებული პოლიტიკური რეალობა დამღუპველია, თუმცა პოლიტიკური სპექტრის დიდი ნაწილი 2012-13 წლების არჩევნებს იმედით შეჰყურებს...**

— ყოველთვის ვამბობდი და ახლაც ვიმეორებ, რომ, სანამ სააკაშვილი იქნება ხელისუფლების სათავეში, ცნება — არჩევნები საერთოდ უნდა დავივიწყოთ, რადგან ამ გზით ასი წელი ვერაფერს მივაღწევთ. არჩევნები შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ საბაბად, ანუ იმისთვის, რომ დაანახო ცივილიზებული სამყაროს — მიშა აყალბებს შედეგებს და სხვა გამოსავალი, გარდა ქუჩაში გასვლისა, არ გვაქვს. აი, ამ შემთხვევაში შეიძლება ჩვენ გაგვიწიონ ანგარიში და მოგვაქციოს ყურადღება დასავლეთმა, თორემ სხვანაირად, მერწმუნეთ, არავის არაფერში ვჭირდებით და არავინ ჩვენი პრობლემების გამო აუტკივარ თავს არ აიტკივებს.

**— ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, მომავალი არჩევნებისგან არაფერს ელი?**

— ნამდვილად არა, ვინაიდან ჯერჯერობით მიმდინარე პროცესებში კარგსა და საიმედოს ვერაფერს ვხედავ. ერთადერთი, რაც აშკარაა, ის არის, რომ ხალხს სჯერა, ბიძინა ჩამოაგდებს მიშას, იმას კი არავინ ფიქრობს, რომ ეს ბიძინა, ბოლოს და ბოლოს, ჯადოქარი არ არის, რომელიც ჯოხს აიქნევს და ერთ წამში გააქრობს ხელისუფლებას. ვერ გააქრობს: ჯერ ერთი — იმიტომ, რომ ესენი უკვე ყველაფერზე არიან წამსვლელები და მეორეც — **საზოგადოების მხრიდან სოლიდარობა თუ არ იქნება, ივანიშვილი კი არა, ვახტანგ გორგასალიც რომ გაცოცხლდეს, ამ რეჟიმის წინააღმდეგ ვერაფერს გახდება.**

**— მოკლედ, როგორც გატყობთ, თქვენთვის ივანიშვილის სტრატეგია მიუღებელია.**

— მიუღებელი, ცოტა არ იყოს, კატეგორიული ნათქვამია. მე ვიტყოდი, რომ კი, რა თქმა უნდა, კარგია პოლიტიკაში ახალი ძალის გამოჩენა, მაგრამ მას კონკრეტიკა აკლია, ეს აშკარაა. მე ბრმად ვერავის გავყვები, აქამდე სადაც ვყოფილვარ, ვიცოდი ჩემი ადგილი და დანიშნულება; ისეთ რაღაცას ხელს არასოდეს მოვკიდებ, რისი გაკეთებაც არ შემიძლია. მარჯვენის მოქნევა კიდევ შემიძლია, კაცო, და დამაცადეთ-მეთქი, ამას ვამბობ, მეტს კი არაფერს...

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ თქვენ, როგორც ამ შემთხვევაში რიგით მოქალაქეს, როგორ და რა გზით მიგაჩნიათ ყველაზე რეალურად ხელისუფლების შეცვლა?**

— ერთადერთ რეალურ გამოსავალს ვხედავ სამოქალაქო და პოლიტიკურ ერთობაში და რა სტრატეგიასაც შემდეგ ეს ერთობა დახვეწავს, ჩემთვის მისაღებია. **მე ვერ მივემხრობი იმ კატეგორიის ადამიანებს, რომლებიც იჩემებენ, მე ვარ მთავარი და ჩემ გარშემო უნდა დაირაზმოს ყველაო; მე ვარ ერთი რიგითი მოქალაქე, ამიტომ მინდა, სამოქალაქო და პოლიტიკური ერთობა და ამ პოლიტიკურმა ერთობამ უნდა აიღოს შემდეგ პასუხისმგებლობა სისხლზეც, გამარჯვებაზეც, დამარცხებაზეც, პრობლემებზეც და ზოგადად ყველაფერზე, ყველა დაბრკოლებაზე, რაც დღეს გვაქვს და რაც წარმოიშვება მომავალში.** სხვანაირად, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, პოლიტიკური სპექტრი ყოველთვის იქნება დაქსაქსული და ასეთ პირობებში ვერასოდეს შევძლებთ, ღირსეული წინააღმდეგობა გავუწიოთ არსებულ რეჟიმს, თვითმპყრობელობას, რომელიც დღითიდღე სულ უფრო სახიფათო ხდება და თითოეული მოქალაქისთვის, თითოეული ჩვენგანისთვის საფრთხეს წარმოადგენს...

ესაუბრა
**ჯაბა ჟვანია**

მოკლედ

## რუსეთში საზოგადოებრივ მაუწყებელს გახსნიან

**რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა პარლამენტს საზოგადოებრივი მაუწყებლის შექმნა შესთავაზა.** მედვედევის თქმით, საზოგადოებრივი მაუწყებელი ერთ-ერთი ფედერალური არხის ბაზაზე უნდა შეიქმნას. იგი დარწმუნებულია, რომ არხის პოლიტიკაში არც სახელმწიფო და არც კერძო მესაკუთრე არ ჩაერევა. „ასეთი ტელევიზია საინფორმაციო გარემოს უფრო კონკურენტულს და საინტერესოს გახდის,“ — აღნიშნა მედვედევმა. ქვეყნის მეთაურმა იდეა საზოგადოებრივი მაუწყებლის შექმნის შესახებ პირველად 2011 წლის ზაფხულში გერმანიაში წამოაყენა. მაშინ მან განაცხადა, რომ მზადაა ექსპერტების აზრის მოსასმენად.

## მედვედევი გუბერნატორების პირდაპირი არჩევის მომხრეა

**რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის — დიმიტრი მედვედევის განცხადებით, ის მხარს უჭერს პრემიერ-მინისტრ ვლადიმერ პუტინის ინიციატივას, რომელიც რუსეთის გუბერნატორების პირდაპირი წესით არჩევას გულისხმობს.** ამის შესახებ მედვედევმა ფედერალური ბიუროსადმი მიმართვაში განაცხადა. „უნდა მივცეთ ყველა აქტიურ მოქალაქეს კანონიერი უფლება, მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. აუცილებლობად ვთვლი შემდეგს: რეგიონის მცხოვრებლებმა გუბერნატორი პირდაპირი წესით აირჩიონ,“ — აღნიშნა მედვედევმა.

მოსაზრება

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ეს არჩევნები არაფრით განსხვავებული არ იქნება წინა არჩევნებისგან და სააკაშვილის რეჟიმი ისევ შეეცდება შედეგების გაყალბებას, ჩემი აზრით, გარდაუვალია, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ხელისუფლების შეცვლა შესაძლებელი იქნება, თუ ოპოზიცია შეძლებს კონსოლიდირებას, შეჯერებას და თითოეული პარტია თუ ცალკეული პოლიტიკური სუბიექტი იმოქმედებს ერთმანეთთან კოორდინირებულად.**



## ვახუშტი ფარცვანია:

# ნებისმიერ არჩევნებში ოპოზიცია ათით ნოლს წააგებს ხელისუფლებასთან

**მიმდინარე მოვლენების შესახებ „საქართველო და მსოფლიოს“ ესაუბრება მოძრაობა „სამშობლოს მაძიებლების“ ერთ-ერთი ლიდერი და დამფუძნებელი, ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ვახუშტი ფარცვანია.**

**— ბატონო ვახუშტი, თქვენ მიერ გავრცელებულ მიმართვაში, რომელიც რამდენიმე დღის წინათ გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ უნდა ჩამოყალიბდეს ადგილობრივი თვითმმართველობის ინსტიტუტები, რათა ყველაფერი არ კონტროლდებოდეს „ზემოდან“ და მმართველობის ვერტიკალსა და ჰორიზონტალს შორის არსებობდეს სრული ჰარმონია. თქვენი აზრით, რას შეცვლის ეს ყველაფერი არსებულ პოლიტიკურ რეალობაში?**

— სანამ მიმართვაზე გადავიდოდეთ, უპრიანი იქნება, ორიოდე სიტყვით იმაზეც ვისაუბროთ, კონკრეტულად რამ განაპირობა ეს ყველაფერი.

მოგეხსენებათ, უკვე ოცი წელია, საქართველო ვერ გახდა სტაბილური ქვეყანა და დღემდე კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, ვიყავით თუ არა მთელი ამ ხნის განმავლობაში რეალურად დამოუკიდებლები. დღეს კი, როცა მერამდენედ ვიმყოფებით წინასაარჩევნო პერიპეტიებში, ისევ ჩნდება უამრავი კითხვის ნიშანი, ისევ პრობლემებში ვართ ყელამდე ჩაფლული და გაუგებარია, როგორ, რანაირად უნდა წარმოჩინდნენ ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალი და სუფთა სახეები, რომელთა მიმართაც მოსახლეობის დიდი ნაწილი ნდობით შეიძლება განეწყოს.

დღესდღეობით ხელისუფლების ძალადობრივი პოლიტიკის წყალობით საზოგადოება არა თუ გარიყულია მიმდინარე პოლიტიკური პროცესებიდან, არამედ სააკაშვილი და მისი გარემოცვის წევრები ხალხს უკვე აღარც კი მოიაზრებენ ამ პროცესებში მონაწილე რამე სოციალურ სეგმენტად. მით უფრო, ამ ახალმა ე. წ. საარჩევნო კოდექსმა იმდენად დააქვეითა და უფუნქციო გახადა ადგილობრივი თვითმმართველობები, რომ ხალხი ფაქტობრივად ოთხმოცდაცხრამეტი პროცენტით მოსწყდა ყოველგვარი მმართველობის სადავეებს, ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, სოფლის თავკაცის, გამგებლის, მერისა თუ გუბერნატორის — არავის საჯაროდ არჩევა არ ხდება და აბსოლუტურად ყველა მნიშვნელოვან თანამდებობებზე ადამიანები „ზემოდან“ ინიშნებიან. მეტიც, ამ ახალი „სანაქებო“ საარჩევნო კოდექსიდან საერთოდ ამოიღეს მაჟორიტარული პრინციპი, საინიციატივო ჯგუფს კი უფლება არ აქვს, რაიონის ან მხარის რჩეული წარმოადგინოს და კენჭი უყაროს კანდიდატად. აი, ასეთი დარღვევები დღეს უამრავია ზოგადად სისტემაში და ეს ყველაფერი ჯამში ქმნის სწორედ იმ ვითარებას, რომელშიც ხელისუფლებასთან მეტოქეობას, უბრალოდ, აზრი არ აქვს; ამიტომ ჩვენ, საინიციატივო ჯგუფის სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარის სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა მივმართეთ მოსახლეობას, რომ ერთხელ და სამუდამოდ ჩვენს ქვეყანაში დამკვიდრდეს თვითმმართველობის ორგანოები...

ამ მიმართვით ჩვენ რეგიონს რეალურად ვამზადებთ საარჩევნოდ, ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ყველა მხარეს, მათ შორის სამეგრელო-ზემო სვანეთსაც, უნდა ჰყავდეს თავისი რჩეული კანდიდატები, ნდობით აღჭურვილი პირები როგორც ადგილობრივ, ისე სამთავრობო თანამდებობებისთვისაც. როგორ და რა მექანიზმებით უნდა იქნეს ეს ყველაფერი განხორციელებული, ამის შესახებ ჩვენ უკვე ვაცნობეთ ოპოზიციურ პარტიებს და მათ შორის პოლიტიკურ ასპარეზზე ახალგამოჩენილ ბიძინა ივანიშვილსაც, მაგრამ ჯერჯერობით მათი მხრიდან არანაირი ინტერესი და გამოხმაურება არ ყოფილა, როგორც იტყვიან, არსაიდან ხმა, არსით ძახილი, თუმცა იმედს ვიტოვებ, რომ უახლოეს მომავალში ჩვენი ინიციატივით მთელი რიგი პარტიებისა დაინტერესდებიან...

**— ეს ყველაფერი გასაგებია, მაგრამ, რასაც თქვენ ამბობთ, ყველა ოპოზიციური პარტიისთვის რამდენად ხელსაყრელია, როგორ ფიქრობთ?**

— თუ ხელსაყრელი არ არის და თუ არ აწყობთ, მაშინ ტიტული **ოპოზიცია** შეიცვალონ და პოზიციაში ჩაეწერონ. ჩვენ ვამბობთ, რომ ერთხელ და სამუდამოდ უნდა შეწყდეს ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრა. საზოგადოება უნდა იყოს ინფორმირებული, ვის აძლევს ხმას და ვის არა. მე მგონი, ამაში მიუღებელი არაფერია...

**— თქვენ თქვით, რომ თქვენი ინიციატივის მთავარი მიზანია, რეგიონი საარჩევნოდ მოამზადოთ. თქვენი აზრით, დღევანდელი პოლიტიკური მოცემულობის პირობებში, რამდენად დიდი შანსი აქვს ოპოზიციურ სპექტრს, რომ მომავალ არჩევნებში წარმატებას მიაღწიოს.**

— ის, რომ ეს არჩევნები არაფრით განსხვავებული არ იქნება წინა არჩევნებისგან და სააკაშვილის რეჟიმი ისევ შეეცდება შედეგების გაყალბებას, ჩემი აზრით, გარდაუვალია, მაგრამ, მიუხედავად ყველაფრისა, ხელისუფლების შეცვლა შესაძლებელი იქნება, თუ ოპოზიცია შეძლებს კონსოლიდირებას, შეჯერებას და თითოეული პარტია თუ ცალკეული პოლიტიკური სუბიექტი იმოქმედებს ერთმანეთთან კოორდინირებულად. ამაში დარწმუნებული ვარ, ამიტომ, მიმაჩნია, რომ მიუხედავად ოპოზიციური სპექტრის სიჭრელისა და იდეოლოგიური განსხვავებისა, პარტიებმა უნდა შეძლონ გაერთიანება და ერთიანი ფრონტის შექმნა, ვინაიდან, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, უამისოდ ამ ხელისუფლებასთან ბრძოლას აზრი არ აქვს...

**— კი მაგრამ, როგორ წარმოგიდგენიათ ოპოზიციის ერთიანობა, როცა პარტიების უმეტესობას მთელ რიგ საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით ერთმანეთისგან თითქმის კარდინალურად განსხვავებული ხედვები აქვს?**

— ერთიანობას როცა ვამბობ, არ ვგულისხმობ, რომ მთლიანად ოპოზიცია ერთ პოლიტიკურ სუბიექტად უნდა იქცეს. აქ, უბრალოდ, საუბარია ერთგვარ კოალიციაზე, ალიანსზე და ერთიანი ფრონტის შექმნაზე არსებული რეჟიმის წინააღმდეგ. თუ ეს მოხერხდება, მერე შეიძლება ვისაუბროთ რაიმე შედეგსა და წარმატებაზე, თუ არა და, არ მინდა ერთი და იგივე ცხრაჯერ გავიმეორო, მაგრამ ამ მოცემულობითა და მდგომარეობით, რაც დღეს გვაქვს, ნებისმიერ არჩევნებში ოპოზიცია ათით ნოლს წააგებს ხელისუფლებასთან. ეს გარდაუვალია და, სამწუხაროდ, თუ რამე არ შეიცვალა, ამაში ძალიან მალე დავრწმუნდებით.

**— თქვენი აზრით, ოპოზიციის წარმომადგენლები ვერ ხვდებიან, რომ არსებული პოლიტიკური რეალობა მათთვის წამგებიანია?**

— **სამწუხაროდ, ოპოზიციური სპექტრის საკმაოდ დიდი ნაწილი 30 მაისის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ იმდენად გატყდა, რომ ფარხმალი დაყარა და გარკვეულწილად შეეგუა კიდეც მითს ხელისუფლების უძლეველობის შესახებ. შედეგად კი მივიღეთ ის, რომ დღესდღეობით ჩვენი ოპოზიცია სრულიად ინდიფერენტულია და არა თუ ფუნქციას ვერ ასრულებს, არამედ, ნებით თუ უნებლიეთ, ხელისუფლების უკანონო ქმედებებსაც ზედმიწევნით „აპრავებს“. თავის მხრივ, ასეთი ოპოზიციისგან, ცხადია, იმას არ უნდა ველოდოთ, რომ მომავალში რამიე მნიშვნელოვან ცვლილებებს განახორციელებს,** ამიტომაც ვამბობ: უნდა მოხდეს ძალთა კონსოლიდაცია და იქნებ ერთიანობით მივაღწიოთ იმას, რასაც ცალ-ცალკე, არაერთი მცდელობისა და ძალისხმევის მიუხედავად, დღემდე ვერა და ვერ მივაღწიეთ.

**— დასასრულ, ისევ თქვენს მიმართვაზე გკითხავთ: რას აპირებთ იმ შემთხვევაში, თუ კი ოპოზიცია მას არ გამოეხმაურება?**

— ეს მიმართვა არის მხოლოდ და მხოლოდ ინიციატივა და, ბუნებრივია, ჩვენ იმპერატიული ტონით საუბარს ვერ დავიწყებთ. ასე რომ, ვისაც უნდა და ვისთვისაც ეს იდეა მისაღებია, ის შემოგვიერთდება.

ჩვენ ვამბობთ, რომ ჯერ კიდევ არ არის გვიან, დავუძახოთ ყველა ოპოზიციურად მოაზროვნე სუბიექტს და სუფთა ფურცლიდან დავიწყოთ ყველაფერი, ხოლო ვინც არ გამოეხმაურება ამ დაძახილს, მიმაჩნია, რომ ის იქნება თვითლუსტრირებული ძალა საზოგადოების თვალში...

ესაუბრა **ჯაბა ჟვანია**

# რატომ არ მიულოცეს ზუგდიდელებმა პრეზიდენტს დაბადების დღე





**tspress.ge-მ ქალაქ ზუგდიდში ქუჩის გამოკითხვა ჩაატარა. რესპონდენტებს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისთვის დაბადების დღე უნდა მიელოცათ.**

გამოკითხულთა უმრავლესობამ, როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს, სააკაშვილს დაბადების დღე არ მიულოცა. იმ ექვსი ადამიანის მილოცვებს კი აშკარად ეტყობოდა კამერასთან საკუთარი აზრის ღიად დაფიქსირების რიდი. ერთმა მოხუცმა ქალბატონმა გულუხვი მილოცვის შემდეგ ისიც კი იკითხა, ყველაფერს კი აკეთებს, მაგრამ დახმარებები ჩვენამდე როდის მოაღწევსო. **„ჩემ მიხოს, ჩემ ძმას, ჩემ უმცროს ძმას ვულოცავ. ყველაფერი გააკეთა, რაც გვინდოდა,“** — განაცხადა ერთ-ერთმა მიმლოცველმა და თვალი ჩაგვიკრა. ორმა მამაკაცმა კი ჟურნალისტს დაუბარა, ჩემ მაგივრად მიულოცეო.

**„ვულოცავ ბატონ პრეზიდენტს. დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ. მისი წყალობითაა, ასეთ ლამაზ საქართველოში რომ ვცხოვრობთ და ბედნიერი ყოფილიყოს ჩვენი პრეზიდენტი,“** — აღნიშნა ერთ-ერთმა ქალბატონმა.

დანარჩენ გამვლელებს კი პრეზიდენტის დაბადების დღის მილოცვაზე რეაქცია არ ჰქონდათ. რამდენიმემ ისე ჩაიარა კამერის წინ, თითქოს დასმული შეკითხვა არც გაეგონოს, ზოგმა კი აშკარად აარიდა თავი მილოცვას. ჟურნალისტმა ვერც იმ შეკითხვაზე მიიღო პასუხი, თუ რატომ არ სურდათ რესპონდენტებს პრეზიდენტისთვის დაბადების დღის მილოცვა.

# ევროპის ქალაქებს შორის ცხოვრების ყველაზე დაბალი დონე თბილისშია

**ევროპის ქალაქებს შორის ცხოვრების ყველაზე დაბალი დონე თბილისშია. საქართველოს დედაქალაქი პირადი უსაფრთხოების რეიტინგშიც ბოლო ადგილზე აღმოჩნდა. ასეთი შედეგი აჩვენა ადამიანური რესურსების კონსულტირების, კვლევებისა და საგამოძიებო მომსახურების გლობალური კომპანია Mercer-ის კვლევამ.**

Mercer-ის გამოკვლევის თანახმად, ევროპასა და მთლიანად მსოფლიოში ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე ვენაშია. ევროპაში მეორე და მესამე ადგილებზე ციურიხი და მიუნხენი გავიდნენ. შემდეგ კი ჩამონათვალში დიუსელდორფი, ფრანკფურტი, ჟენევა, ბერნი და კოპენჰაგენია. პირველ 30-ეულში ასევე მოხვდნენ ამსტერდამი, ჰამბურგი, ბერლინი, ლუქსემბურგი, სტოკჰოლმი, ბრიუსელი, ნიურნბერგი, დუბლინი და პარიზი. „ევროპის ყველაზე დაბალმაჩვენებლიანი ქალაქი თბილისია – 214-ე ადგილი“, — აღნიშნავს Mercer-ის ვებგვერდი.

**214-ე ადგილზე თბილისი მსოფლიო ქალაქების 221-ადგილიან ჩამონათვალში გავიდა. ამ ჩამონათვალში ბოლო ადგილზე ერაყის დედაქალაქი ბაღდადია. თუმცა ევროპის მასშტაბით ყველაზე დაბალი მაჩვენებელი თბილისმა მიიღო. Mercer-მა ასევე გამოიკვლია ქალაქებში პირადი უსაფრთხოების მაჩვენებელი. პირველ ადგილზე ლუქსემბურგი აღმოჩნდა. მას ბერნი, ჰელსინკი და ციურიხი მოჰყვებიან. აღმოსავლეთ ევროპაში პირადი უსაფრთხოების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ლუბლიანამ და პრაღამ მიიღეს. მოსკოვი ამ ჩამონათვალში 199-ე ადგილზე გავიდა.**

**თბილისი კი პირადი უსაფრთხოების რეიტინგშიც ევროპის ქალაქებს შორის ყველაზე ბოლო ადგილზე მოხვდა, რაც მთელი მსოფლიოს ქალაქების ჩამონათვალში 215 ადგილია.**

Mercer-ი ცხოვრების დონეს შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით ითვლის: პოლიტიკური და სოციალური გარემო, ეკონომიკური გარემო, სოციალ-კულტურული გარემო, სამედიცინო და ჯანდაცვის პირობები, სკოლა და განათლება, ბუნებრივი გარემო, საჯარო მომსახურება და ტრანსპორტი, რეკრეაცია, სამომხმარებლო საქონელი, სახლის პირობები. პირადი უსაფრთხოების მაჩვენებელს კი კვლევითი კომპანია შიდა სტაბილურობის, კრიმინალის დონის, კანონის განხორციელების ეფექტიანობისა და ქვეყნის საერთაშორისო ურთიერთობების მიხედვით ითვლის.

**საქართველოს რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების დაბლოკვის უფლება ჰქონდა, მაგრამ აშშ-მა შეთანხმების მიღწევას ხელი შეუწყო და თბილისიც დათანხმდა. აბსოლუტურად ცხადია, რომ თანამშრომლობის სანაცვლოდ საქართველოს რამე უნდა მოეთხოვა და რატომ არ მოითხოვდა სწორედ ამას?**

დიაგნოზი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ეროვნულ-დემოკრატიული დიარეა

**დღეს გესაუბრებით ახლახან აღმოჩენილ ენტეროვირუსზე, რომელიც თავისნაირ ვირუსთაგან მრავალი ნიშან-თვისებით გამოირჩევა. დაავადებას, ისევე, როგორც მის გამომწვევ ერთუჯრედიან მიკროორგანიზმს, „გურამ ჩახვაძე“ ეწოდება. მისი დროულად შემჩნევა და განეიტრალება ძალზე ძნელია, რაზეც ქვემოთ მოგახსენებთ.**



**იმედი ვიქონიოთ, რომ 2012 წელი დიდი აღმოჩენების წელი იქნება და ამ აღმოჩენათა რიცხვში «გურამ ჩახვაძისგან» განკურნების მეთოდიც იქნება**

**ძირითადი სიმპტომები: „გურამ ჩახვაძის“** ძირითადი სიმპტომებია: დიარეა, პათოლოგიური შიში მოქმედი ხელისუფლების მიმართ, სხვის დაკრულზე ცეკვის დაუოკებელი სურვილი და, რაც ყველაზე მთავარია, უნებლიე დეფეკაცია (გასაგებ ენაზე: ჩასვრა) მოქმედი ხელისუფლების მიერ დაავადებულის მიმართ შენიშვნის გამოთქმისას.

პაციენტს ხშირად ეჩვენება, რომ ხელისუფლება უნდა ამხილოს კორუფციაში, მაგრამ რეალობაში მალევე ბრუნდება და დაავადების სიმპტომებიც მომენტალურად იჩენს ხოლმე თავს.

**გამომწვევი მიზეზები:** იწვევს მიკროორგანიზმი **„გურამ ჩახვაძე“**, რომლის პირველადი სახეობაც იყო შინაგანი მიკროფლორის შემადგენელი ნაწილი, მაგრამ შემდეგ დეგრადირდა და ვირუსის თვისებები შეიძინა.

აღსანიშნავია, რომ **„გურამ ჩახვაძე“** განეკუთვნება „წაკლაურის“ ჯგუფის დაავადებებს, რაც ნიშნავს, რომ იგი გადაეცემა ფულით. მიკრობი ეკვრის ფულს და მისი მეშვეობით ხვდება ორგანიზმში, სადაც ავლენს პარაზიტის თვისებებს და იწვევს ქრონიკულ დიარეას. განსაკუთრებით საგრძნობია აუტანელი მყრალი სუნი, რომელიც დგება ყველგან, სადაც **„გურამ ჩახვაძე“** ხელისუფლების პირისპირ აღმოჩნდება.

**რისკ-ჯგუფი: „გურამ ჩახვაძე“** ძირითადად არასრულფასოვნების კომპლექსით შეპყრობილთ ემართებათ. საკუთარი წარუმატებლობის შეგრძნება, მორალური არამდგრადობა, უპრინციპობა და პიროვნული სისუსტე — ამ თვისებების მატარებელი ყოველი ადამიანი პოტენციური **„გურამ ჩახვაძეა“**.

დაავადება განსაკუთრებით რთულდება, თუ პაციენტის ფინანსური მდგომარეობა არასტაბილურია. პრინციპების არასაკმარისი სიმყარის გამო **„გურამ ჩახვაძის“** მოსყიდვა საკმაოდ იოლია, რაც, საერთო ჯამში, სიტუაციას ართულებს და ზემოხსენებულ სუნს კიდევ უფრო ამძაფრებს.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს ვირუსი სამიზნედ ირჩევს ადამიანებს, რომლებიც მანამდე ავად არ ყოფილან. მსგავსი თვისება ჩვეულებრივია **ედპ** ჯგუფის დაავადებებისთვის. **„გურამ ჩახვაძით “** სნეულნი მსგავსი ტიპის დაავადებებისადმი მდგრადობით გამოირჩევიან ხოლმე.

**დაავადების პრევენცია: „გურამ ჩახვაძის“** თავიდან ასაცილებლად აუცილებელია ავადმყოფის ან ავადმყოფთა ჯგუფის (რომელსაც თავად ავადმყოფები „პარტიას“ უწოდებენ) ჩამოცილება პოლიტიკური პროცესებისგან. გამორიცხეთ მათი დაშვება არჩევნებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში, **„გურამ ჩახვაძე“** არა მხოლოდ ორგანიზმს, სახელმწიფო სტრუქტურასაც ზიანს მიაყენებს. დაავადების შესასუსტებლად აუცილებელია სნეულთა „პარტიის“ იზოლირება მედიასაშუალებებისგან.

**საინკუბაციო პერიოდი:** ენტეროვირუსის მოქმედება საკმაოდ გვიან იწყება. შესაძლოა, ადამიანს მთელი ცხოვრება **„გურამ ჩახვაძე“** სჭირდეს, მაგრამ ამას მხოლოდ მაშინ გაიგებს, თუ მის საყვარელ პრეზიდენტსა და ხელისუფლებას რეალური ოპონენტი გამოუჩნდება.

**გახსოვდეთ: თუ „გურამ ჩახვაძეს“** დროულად არ მოიშორებთ თავიდან, დროთა განმავლობაში იგი უფრო რთულ ფორმაში, **„ბაჩუკი ქარდავაში“** გადაიზრდება, რომლის არამარტო მკურნალობა, შენახვაც გაცილებით ძვირი დაჯდება.

**მკურნალობა:** დაავადების განკურნების აპრობირებული მეთოდი ჯერ არ არსებობს. მთავარია, რომ პაციენტი გადავარწმუნოთ მის ერთადერთობაში, ვინაიდან ხშირად ის თავის „პარტიას“ მარტო წარმოადგენს ხოლმე.

იმედი ვიქონიოთ, რომ 2012 წელი დიდი აღმოჩენების წელი იქნება და ამ აღმოჩენათა რიცხვში **„გურამ ჩახვაძისგან“** განკურნების მეთოდიც იქნება.

ჯანმრთელობასა და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ!

**სპეციალურად „საქართველო და მსოფლიოსთვის“, „პოლიტიკურ დაავადებათა“ მკურნალი, დოქტორი**

**ნოდარ ჰაუსი**

# რატომ დუმს რუსეთი შეერთებული შტატების მხრიდან საქართველოს შეიარაღებაზე



**როდესაც გასულ კვირაში გავრცელდა ინფორმაცია, რომ აშშ-ის კონგრესმა ობამას ადმინისტრაციას სამხედრო სფეროში საქართველოსთან ურთიერთობების „ნორმალიზებაზე“ თანხმობა მისცა, მათ შორის თბილისისთვის თავდაცვითი შეიარაღების მიყიდვაზე, ამ ნაბიჯს მოსკოვის სასტიკი რეაქცია უნდა მოჰყოლოდა.**
**კრემლი ხომ აცხადებდა, რომ ყველაზე ნეგატიურად „გადატვირთვის“ პოლიტიკაზე სწორედ ეს ნაბიჯი აისახებოდა. გარდა ამისა, ბოლო დროს, რუსეთი ძალიან მკვეთრად რეაგირებდა ანალოგიურ თემებზე, როგორიცაა, მაგალითად, ნატოს რიტორიკის კორექტირება საქართველოს მიმართ.**
**კრემლი სკანდალის გაღვივებას შეეცადა, განაცხადა რა, რომ საქართველო თავის ტერიტორიაზე ანტირუს „ტერორისტებს“ ამზადებს, და არაერთხელ დაემუქრა ევროპაში ანტისარაკეტო თავდაცვის სისტემის ელემენტების განთავსებასთან დაკავშირებულ გეგმებს.**

**დღეს ერთი კვირა გავიდა კონგრესის მხრიდან შესაბამისი რეზოლუციის მიღებიდან, მოსკოვი კი დუმს. მე საკითხი გადავამოწმე მთელ რიგ ინფორმირებულ წყაროებთან მოსკოვში, თბილისსა და ვაშინგტონში, ვთხოვე რა მათ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საკუთარი თეორიები გაეაზრებინათ. აი რამდენიმე მათგანი:**

**— რუსეთი იმდენად არის დაკავებული ოპონენტების კრიტიკით ქვეყნის შიგნით, რომ საქართველო ნაკლებად აღელვებს.** ეს ვერსია შეიძლება ლოგიკურიცაა, მაგრამ თუკი ეს მართლაც ასეა, მაშინ ის კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ქართველების თეორიას იმის თაობაზე, რომ ბოლოდროინდელი „ტერორისტული“ შეთქმულება კრემლის ხრიკი იყო, რომლის მიზანიც საგარეო საფრთხის წინაშე რუსული საზოგადოების კონსოლიდაციაა. კრემლს რომ ასეთი მიზანი ჰქონოდა, კონგრესის ეს კონკრეტული ნაბიჯი მოსკოვისთვის გაცილებით ხელსაყრელი საბაბი იქნებოდა, ვიდრე გამოგონილი ტერორისტული შეთქმულება.

**— კრემლს მიაჩნია, რომ ყველაფერი ჯერჯერობით განხილვის პროცესშია, ამიტომ რეაგირებაც არ ღირს.** რა თქმა უნდა, კანონს ჯერ პრეზიდენტმა ობამამ უნდა მოაწეროს ხელი და დოკუმენტი მხოლოდ რეკომენდაციებს მოიცავს სახელმწიფო დეპარტამენტისა და აშშ-ის თავდაცვის სამინისტროსთვის, შეიმუშაონ ურთიერთობის ნორმალიზებასთან დაკავშირებული სამოქმედო პროგრამა. მაგრამ **ადამიანებმა, რომლებიც კანონებსა და მათ გამოყენებაში ერკვევიან, დამარწმუნეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ გზაზე საჭირო გახდება რამდენიმე შუალედური ნაბიჯის გადადგმა, დოკუმენტი მაინც მოსთხოვს აშშ-ს საქართველოსთვის შეიარაღების მიწოდებას. სახელმწიფო დეპარტამენტი ვერ შეძლებს (სურვილის შემთხვევაშიც კი) ყველაფრის დამუხრუჭებას. სავარაუდოდ, ეს ყველაფერი მოსკოვმაც კარგად იცის.**



**ჯოშუა კუცერა**

**— კულუარებში, ამერიკელმა დიპლომატებმა თავის რუს კოლეგებს უთხრეს: „ჩვენ ნუ დაგვადანაშაულებთ, ყველაფერი მაკკეინის ბრალია“, ანუ აღნიშნული წინადადება თავდაცვის კანონში სენატორ მაკკეინის ინიციატივით მოხვდა, ხოლო სენატორი რუსეთში ცნობილია, როგორც რუსოფობი და ქართველების თაყვანისმცემელი.** იმ ფაქტს, რომ ეს მისი ინიციატივაა, შეიძლება რეაქცია შეერბილებინა.

**— თბილისს, მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ერთგვარი კულუარული შეთანხმება არსებობს.** ჩემი აზრით, ეს ყველაზე რეალური ვარაუდია, თუმცა, ცოტა არ იყოს, შეთქმულების თეორიის ელფერი დაჰკრავს. **რუსეთის მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების დაბლოკვის უფლება საქართველოს ჰქონდა, მაგრამ აშშ-მა შეთანხმების მიღწევას ხელი შეუწყო და თბილისიც დათანხმდა.** აბსოლუტურად ცხადია, რომ თანამშრომლობის სანაცვლოდ საქართველოს რამე უნდა მოეთხოვა და რატომ არ მოითხოვდა სწორედ ამას? ესეც ლოგიკური ახსნა იმისა, თუ რატომ ჰქონდა საქართველოს მთავრობას ასეთი თავშეკავებული რეაქცია აღნიშნულ ინფორმაციაზე: **თუკი აშშ ხელს შეუწყობდა შეთანხმების მიღწევას, ის ორივე მხარეს სთხოვდა, რომ ამ ამბავს ხმაურის გარეშე ჩაევლო** (ამით შეიძლება აიხსნას ისიც, თუ რატომ გამოთქვა საჯაროდ პროტესტი, რუსეთის ფედერაციისგან განსხვავებით, სამხრეთ ოსეთის მთავრობამ). მაგრამ მაკკეინის როლის ახსნას ეს სცენარიც მოითხოვს. ის ან თეთრ სახლთან თანამშრომლობს, ან თეთრ სახლს შეიძლება ეთხოვა მაკკეინის ოპონენტებისთვის, მომენტის მნიშვნელობის გათვალისწინებით ხმაური არ აეტეხათ. ეს, ცოტა არ იყოს, ჩახუჭუჭებული ვერსიაა, მაგრამ სხვებს არ ჩამოუვარდება.

**გაქვთ სხვა ვერსიები? გამიზიარეთ!..**

**ჯოშუა კუცერა**

**რუსეთი იმდენად არის დაკავებული ოპონენტების კრიტიკით ქვეყნის შიგნით, რომ საქართველო ნაკლებად აღელვებს**

დიდი ადამიანები

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

საქართველომ წელს არაერთი გამოჩენილი ადამიანი დაკარგა. ალილუევასა და შალიკაშვილისგან განსხვავებით, მათ გარდაცვალებას მსოფლიო არ გამოხმაურებია, თუმცა ქართველი ერისთვის ეს დიდი დანაკლისია.


ზურაბ ქაფიანიძე


ოთარ რამიშვილი


ოტია იოსელიანი


რამაზ ჩხიკვაძე


ზინაიდა კვერენჩხილაძე


რამაზ კლიმიაშვილი


სერგო კოტრიკაძე

# 2011 — დანაკარგების წელი

**2011 წელს ყველაზე ყველაზე ხმაურიანი დანაკარგი იყო სტივ ჯობსი — „ეფლის“ შემქმნელი. მსოფლიო და ქართულ ინტერნეტსივრცეში იგი ყველაზე ხშირად მოიხსენიეს. სწორედ მას ეკუთვნის ფრაზა: „სიკვდილი სიცოცხლის საუკეთესო გამოგონებაა“!**

წელს 79 წლის ასაკში გარდაიცვალა გენიალური ფრანგი მსახიობი **ანი ჟირარდო.** ამავე ასაკში წავიდა ჰოლივუდის ლეგენდა **ელიზაბეტ ტეილორი.** 27 წლის **ემი უაინჰაუსის,** ნიჭიერი და პოპულარული მომღერლის უეცარი გარდაცვალება მსოფლიოში თითქმის ისეთივე რეზონანსის მქონე იყო, როგორც სტივ ჯობსისა, ოღონდ, ამ უკანასკნელისგან განსხვავებით, იგი ნარკოტიკებმა იმსხვერპლა.

2011 წლის მიწურულს გარდაიცვალა **ვაცლავ ჰაველი** — ჩეხოსლოვაკიის უკანასკნელი და ჩეხეთის პირველი პრეზიდენტი. 22 ნოემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში, მოხუცთა თავშესაფარში, 86 წლის ასაკში გარდაიცვალა სტალინის ქალიშვილი — **სვეტლანა ალილუევა**. ამერიკაში იგი ლანა პიტერსის სახელით ცხოვრობდა. მთელი სიცოცხლე ცდილობდა იგი მამის ჩრდილიდან გამოსვლას, მაგრამ მისი სიკვდილიც ამ სახელით აღიბეჭდა: „გარდაიცვალა სტალინის ქალიშვილი,“ – ამ სათაურით გავიდა ინფორმაცია მსოფლიო მედიაში. ივლისში 75 წლის ასაკში გარდაიცვალა **ჯონ მალხაზ შალიკაშვილი** — აშშ-ის შეიარაღებული ძალების მეთაურთა გაერთიანებული კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელი, — ერთადერთი ამგვარი სარდალი, რომელიც ამერიკაში არ იყო დაბადებული. იგი მონაწილეობდა ვიეტნამის ომში, ხელმძღვანელობდა ნატოს ჯარებს ევროპაში. მისი გარდაცვალების გამო ღრმა მწუხარება გამოთქვეს პრეზიდენტმა ობამამ და პირველმა ლედიმ.

საქართველომ წელს არაერთი გამოჩენილი ადამიანი დაკარგა. ალილუევასა და შალიკაშვილისგან განსხვავებით, მათ გარდაცვალებას მსოფლიო არ გამოხმაურებია, თუმცა ქართველი ერისთვის ეს დიდი დანაკლისია და წლის მიწურულს „საქართველო და მსოფლიო“ ეცდება, გაგახსენოთ ის ადამიანები, ვინც მიწიერი საქართველო დატოვა.

14 ივლისს ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა დიდი ქართველი მწერალი **ოტია იოსელიანი,** რომელიც საკუთარ თავს „ერთ ჩვეულებრივ გლეხს“ უწოდებდა. 81 წლის მწერალი ამბობდა: „ბევრი ვაკეთე და ვაშენე, მეყოფა, აწი სხვებმა აშენონ და აკეთონო, — რომ იტყვი და ხელებს დაიბან, — იცოდე, იმ დღიდან ანგრევ, თუ რამე აგიშენებია“!

6 ოქტომბერს 77 წლის ასაკში წავიდა თბილისის კოლორიტი, განუმეორებელი კომპოზიტორი და შემსრულებელი **ოთარ რამიშვილი.**

რამდენიმე დღით ადრე, ვიდრე 70 წელი შეუსრულდებოდა, 1 მარტს, საკუთარ ბინაში, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა პოლიტოლოგი **რამაზ კლიმიაშვილი.** მისი შეურიგებელი მოქალაქეობრივი პოზიციის გამო ბევრს ეჭვი ეპარება, რომ ეს გარდაცვალება ბუნებრივი იყო.

აგვისტოში გარდაიცვალა ქართველი და აფხაზი ხალხის გამორჩეული შვილი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე **ლორიკ მარშანია.** იგი ქართულ-აფხაზური ისტორიული ურთიერთობების აღდგენის გულმხურვალე ქომაგი იყო.

2 სექტემბერს 79 წლის ასაკში აღესრულა დიდი მსახიობი, ტრაგიკული როლების უბადლო შემსრულებელი და მხატვრული კითხვის ოსტატი **ზინაიდა კვერენჩხილაძე.**

83 წლის მწერალი და პოეტი **გიზო ნიშნიანიძე** 20 სექტემბერს საჩხერეში სტუმრად ყოფნისას, ახლობლებისა და მეგობრების გარემოცვაში საკუთარი ლექსის წარმოთქმისას მოულოდნელად, გულის შეტევით გარდაიცვალა.

4 ივლისს 74 წლის ასაკში გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მსახიობი, პოლიტიკოსი და საზოგადო მოღვაწე **ზურაბ ქაფიანიძე.** იგი ქართველი ერის წარმოშობასა და უძველეს ცივილიზაციებთან კავშირებს იკვლევდა.

3 მაისს ქართულმა ფეხბურთმა მძიმე დანაკლისი განიცადა. შვედეთის დედაქალაქ სტოკჰოლმში გულის შეტევით გარდაიცვალა თბილისის „დინამოს“ ლეგენდარული მეკარე **სერგო კოტრიკაძე.** იგი საქართველოს U15 ნაკრების სამწვრთნელო შტაბის წევრი იყო და გუნდს „ლენარტ იოჰანსონის თასის – 2011“ გათამაშებაზე ახლდა.

23 აგვისტოს, რადიოინტერვიუს შემდეგ საათ-ნახევარში გარდაიცვალა **ნატაშა ჩხიკვაძე,** მსახიობ რამაზ ჩხიკვაძის მეუღლე. გამორჩეული ქალბატონი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა მეუღლის წარმატებულ სამსახიობო კარიერაში. ნატაშას ხშირად უთქვამს რამაზისთვის: „შენ უჩემოდ ვერ იცოცხლებო“. ორი თვეც არ იყო გასული, რომ 83 წლის **რამაზ ჩხიკვაძეც** გარდაიცვალა. წავიდა რუსთაველის თეატრის ერთი დიდი ეპოქა, — მექი დანა, ყვარყვარე, აზდაკი, რიჩარდი, მეფე ლირი...

28 ოქტომბერს 72 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართული ცეკვის უბადლო შემსრულებელი, ულამაზესი ქალბატონი **ლატავრა ფოჩიანი.**

17 დეკემბერს გარდაიცვალა „თბილისელი ბიჭი“ — **სულიკო კოროშინაძე.** იმ დღეს იგი 80 წლის უნდა გამხდარიყო.

2011 წელს ბევრი ისეთი ადამიანი დაგვაკლდა, რომელთა სიკვდილის თავიდან აცილება შეიძლებოდა, ზოგ შემთხვევაში კი მათი გარდაცვალება პირდაპირ უკავშირდება იმ პოლიტიკურ ვითარებას, რომელიც ქვეყანაში უკანასკნელ წლებში დამკვიდრდა.

26 მაისის აქციის სასტიკი დარბევის შემდეგ მეტროს სადგურ „თავისუფლების მოედანთან“ მდებარე მაღაზიის სახურავზე **ნიკა კვინტრაძის** ცხედარი ალმოაჩინეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი ინფორმაციით, კვინტრაძე მეორე პირთან ერთად მაღალი ძაბვის ელექტროსადენთან შეხების შედეგად გარდაიცვალა. როგორ აღმოჩნდა ხელებშებორკილი ორი ადამიანი მაღაზიის სახურავზე, ამის ახსნა პოლიციას არც უცდია. მესამე დღეს ცნობილი გახდა, რომ ნიკა კვინტრაძის მამა, **შალვა კვინტრაძე** გულის შეტევით გარდაიცვალა.

16 აგვისტოს სასჯელაღსრულების მე-6 დაწესებულებაში გარდაიცვალა პატიმარი **მამუკა ზერეკიძე.** ოფიციალური ვერსიით, მამუკა ზერეკიძის გარდაცვალება უბედურ შემთხვევას, კერძოდ, ყავის მადუღარისგან დენის დარტყმას დაუკავშირეს, სინამდვილეში კი გარდაცვლილს თავის არეში ტრავმული დაზიანებები აღენიშნებოდა. მამუკა ზერეკიძე, რომელსაც სისხლის სამართლის კოდექსის 262-ე მუხლით უვადო პატიმრობა შეეფარდა, საზოგადოებამ დაკავებამდე რამდენიმე წლით ადრე, 2006 წლის ზაფხულში გაიცნო მისი შვილის, გიორგი ზერეკიძის საქმის გახმაურების შედეგად. თბილისის საქალაქო სასამართლომ 14 წლის გიორგი ზერეკიძეს ანგარების მიზნით მკვლელობის მცდელობა, ყაჩაღობა და ხულიგნობა დასდო ბრალად და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. არასრულწლოვანი პატიმრის დაცვის საქმეში აქტიურად ჩაერთნენ სამოქალაქო სექტორი, სახალხო დამცველის აპარატი და ბავშვთა უფლებების დაცვის ორგანიზაციები.

2010 წლის დეკემბერში გიორგი ზერეკიძე პატიმრობიდან გათავისუფლდა, თუმცა 2011 წლის თებერვალში ხელახლა მოხვდა ციხეში. იგი ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს და 8 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. მისი დედა, პრობაციონერი ლიკა ზეიკიძე, თბილისის საერთაშორისო აეროპორტში 2010 წელს მეუღლესთან, მამუკა ზერეკიძესთან ერთად დააკავეს. მამუკა ზერეკიძის შვილის პატიმრობა და ცოლის პრობაციონერობა საზოგადოებას აფიქრებინებს, რომ გარდაცვლილის სიკვდილის ზუსტ გარემოებებს ხელისუფლების წარმომადგენლები მალავენ.

30 აპრილს აგვისტოს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №6 დაწესებულებაში 26 წლის **კახაბერ თედლიაშვილი** წამებით მოკლეს.

18 ნოემბერს ქალთა საპატიმრო დაწესებულებაში კიდევ ერთი პატიმარი, შუახნის ქალბატონი, გვარად **გვაზავა** გარდაიცვალა. მას გული აწუხებდა და, სავარაუდოდ, მისი გარდაცვალების მიზეზი ციხის მედპერსონალის დაგვიანებული რეაგირება გახდა. გვაზავა საკანში გარდაიცვალა.

სახალხო დამცველის ინფორმაციით, 2011 წლის პირველ ნახევარში ციხეებში **77 პატიმარი** გარდაიცვალა. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით ეს ციფრი 18-ით გაიზარდა.

2011 წლის დასაწყისშიც და წლის ბოლოსაც უკიდურესად გაჭირვებული ადამიანები გაიყინენ. 3 თებერვალს, დილით, ბათუმში, მეტაქსას ქუჩაზე, უსახლკარო ადამიანებისთვის განკუთვნილი ღამის თავშესაფრის წინ გარდაცვლილი მამაკაცი ალმოაჩინეს. 60 წლის **ალექსანდრე ლობანიევი** ადგილზე გამოძახებულ სასწრაფო დახმარების ბრიგადას უკვე გარდაცვლილი ▶


ანი ჟირარდო


ელიზაბეტ ტეილორი


ემი უაინჰაუსი


სტივ ჯობსი


ვაცლავ ჰაველი


ჯონ-მალხაზ შალიკაშვილი


სვეტლანა ალილუევა

**ოპერის მეგობართა საბჭოს, რომელსაც თავდაცვის ყოფილი მინისტრი და ახლა უკვე ბიზნესმენი კეზერაშვილი უხელმძღვანელებს, გიგი უგულავასა და „ნაციონალური მოძრაობის" შტაბად გადაქცევას უწინასწარმეტყველებენ... ახალი ორგანიზაცია, რომელიც ასე საინტერესოდ წარმოაჩინა გიგი უგულავამ, შესაძლოა, დიდი ფულის სამრეცხაოდ იქცეს და თანხები ოპერიდან პირდაპირ „ნაციონალების" საარჩევნო ყულაბაში მოხვდეს.**

შენც, ბრუტუს?!
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ დახვდა. „ის თავშესაფარში არ შეუშვეს, რადგან ნასვამი იყო. თავშესაფრიდან ჩემთან, უფასო სასადილოში მოდიან ადამიანები და იმათ მიამბეს, რომ არ შეუშვეს. ხმას ვერ იღებდა, აკანკალებდაო და იმ სიცივეში, წუმპეში გაიყინა. თავშესაფარში მისული კაცი ჭიშკარში მაინც რომ შეეშვათ, იქვე გარაჟია, შევიდოდა და შეიძლება გადარჩენილიყო. იქ კარდონებია და იმაზე დაიძინებდა," — ამბობდნენ ბათუმელები.

19 დეკემბერს კასპის რაიონის სოფელ ქვემო ჭალაში 58 წლის იოსებ გორჯოლაძე საკუთარ ბინაში სიცივისგან გაიყინა. თანასოფლელები აცხადებენ, რომ **იოსებ გორჯოლაძე** ერთ პატარა ფიცრულ ქოხში მარტო ცხოვრობდა, პირველი ჯგუფის ინვალიდს ეკონომიურად ძალიან უჭირდა. 2011 წლის სექტემბრიდან იოსებ გორჯოლაძეს სოციალური დახმარება შეუწყდა. მიზეზი ფაქტობრივი საცხოვრებელი სახლის დროებით შეცვლა გახდა. გარდაცვლილის დაკრძალვის ხარჯები მეზობლებმა გაიღეს.

7 ნოემბერს ყვარელში, დურუჯის ტბის დასასვენებელი კომპლექსის მშენებლობაზე, 29 წლის მუშა **გივი ხიზანიშვილი** დაიღუპა. მას დენმა დაარტყა და ადგილზევე გარდაიცვალა. ხიზანიშვილს ცოლი და ორი მცირეწლოვანი ბავშვი დარჩა. კომპლექსი მეორე დღეს პრეზიდენტ სააკაშვილს საზეიმოდ უნდა გაეხსნა. „სად რას ვაკეთებთ, უკვე აღარ ვიცით. ცოცხლები ვართ თუ მკვდრები, დღეს უნდა მოვრჩეთ. მავთულები იყო გაშლილი. საწყალმა ბიჭმა ფეხი წამოსდო და ადგილზევე მოკვდა," — ამბობდნენ მუშები.

იმავე დღეს, 7 ნოემბერს ტყიბულის მინდელის სახელობის მაღაროში **ორი მაღაროელი** დაიღუპა. იმავე მაღაროში 9 სექტემბერს **ერთი მაღაროელი** დაიღუპა, 22 იანვარს აფეთქებას კი კიდევ ერთი ადამიანი ემსხვერპლა.

2011 წელი სამხედროთა მსხვერპლით დაიწყო და ასევე დასრულდა. 11 იანვარს კრწანისის სამხედრო ბაზაზე სწავლებების დროს აფეთქება მოხდა. **3 ადამიანი დაიღუპა, 13 დაიჭრა.** ინციდენტი სასწრაფოდ გაასაიდუმლოეს, დაჭრილები კი რუსთავის საავადმყოფოში გადაიყვანეს. 120-მილიმეტრიანი ნაღმის აფეთქების მიზეზად „ტექნიკური შეცდომა" დაასახელეს.

23 თებერვალს ცნობილი გახდა, რომ ავღანეთში 32-ე ბატალიონის კაპრალი **გიორგი ავალიანი** ნაღმზე აფეთქდა.

28 მაისს ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში ასევე ნაღმზე აფეთქდა უმცროსი სერჟანტი **ლავროსი ივანიაძე.** ავღანეთამდე იგი ორი წელი ერაყში მსახურობდა.

13 ივლისს გავრცელდა ინფორმაცია კიდევ ერთი დაღუპულის შესახებ. ავღანეთში, ჰელმანდის პროვინციაში, ამჯერად რიგითი **გია გოგუაძე** დაიღუპა. იგი თალიბების თავდასხმისას დაიჭრა. ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ მოახერხეს.

2 სექტემბერს ცნობილი გახდა, რომ ერაყში ნამსახურევი უმცროსი სერჟანტი **რეზო ბერიძეც** დაიღუპა. იგი პატრულირებისას, თალიბების თავდასხმისას მიღებული ჭრილობებით გარდაიცვალა.

ერაყსა და ავღანეთში დაღუპულ ჯარისკაცთა სია ასე გამოიყურება:

**გიორგი ავალიანი, რევაზ ბერიძე, რამაზ გოგიაშვილი, გია გოგუაძე, ზურაბ გვენეტაძე, ვალერი ვერსკიანი, ლავროსი ივანიაძე, ნუგზარ კალანდაძე, გიორგი კოლოხიტაშვილი, ირაკლი კორძაია, გიორგი მარგიევი, მუხრან შუკვანი, გიორგი ჩიგოშვილი, დავით ცეცხლაძე.**

13 ოქტომბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს ზუგდიდის გასამხედროებულ დანაყოფში 19 წლის **გიორგი გეთიაშვილი** დაიღუპა. ოფიციალური ვერსიით, ჯარისკაცს ტყვია თვალში შემთხვევით მოხვდა და ადგილზე გარდაიცვალა. იგი 29 აგვისტოს გაიწვიეს სავალდებულო სამხედრო სამსახურში.

საქართველოსთვის მსხვერპლის გარეშე ევროპის ყველაზე ხმაურიან ტერაქტსაც არ ჩაუვლია. 23 წლის **თამთა ლიპარტელიანი** 22 ივნისს ნორვეგიის კუნძულ უტოიაზე მომხდარი ტერაქტისას დაიღუპა. იგი დაკარგულთა სიაში იყო შეყვანილი, მისი ცხედარი თითქმის ორი თვის შემდეგ ამოიცნეს. მისი გარდაცვალების მიზეზად ცეცხლსასროლი იარაღიდან ზურგში მიყენებული ორი ჭრილობა დაასახელეს. დაღუპულთა შორის იგი ერთადერთი იყო, ვინც ნორვეგიის მოქალაქე არ ყოფილა.

**პატარა ქვეყნისთვის მშვიდობიან დროს ეს დიდი დანაკარგია, მით უფრო, რომ მათ შორის ახალგაზრდები სჭარბობენ. მათ ვერ მოასწრეს სიმაღლეების დაპყრობა, ვერ იქცნენ გამოჩენილ მოღვაწეებად, საუბედუროდ, ისინი სწორედ უდროო გარდაცვალების გამო გახდნენ საზოგადოებისთვის ცნობილი.**

# მსოფლიოს პირველი ბანი «ნაციონალური მოძრაობის» პირველი ვიოლინო გახდება?



**გასულ კვირას ქალაქის მერმა და, სავარაუდოდ, „ნაციონალური მოძრაობის" მომავალმა პრეზიდენტობის კანდიდატმა ჟურნალისტებსა და საზოგადოებას ახალი პოლიტიკური თავსატეხი შესთავაზა: თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სცენა გიგი უგულავამ ყოფილ თავდაცვის მინისტრ დავით კეზერაშვილთან ერთად დაიკავა, თეატრის ბენუარის ლოჟა კი დროებით ჟურნალისტებს დაუთმო.**

ქალაქის მერმა გამოსვლა ბიძინა ივანიშვილისადმი სამადლობელი სიტყვით დაიწყო — მილიარდერს ოპერის თეატრის რეაბილიტაციისთვის გაწეული ქველმოქმედება შეუქო. ამის შემდეგ კი ოპერისა და ბალეტის თეატრის მეგობართა მხარდამჭერი საბჭო დააფუძნა. ამ საბჭოს დამფუძნებლად ყოფილი თავდაცვის მინისტრი დავით კეზერაშვილი დასახელდა, ხოლო საპატიო თავმჯდომარედ — თავად გიგი უგულავა. მოგვიანებით ოპერის თეატრის დირექტორმა დავით საყვარელიძემ განმარტა, რომ მსგავსი ტიპის მეგობართა საბჭო მსოფლიოს ყველა დიდ თეატრს ჰყავს და აღნიშნული ორგანოს შექმნა დადებითად შეაფასა, რის შემდეგაც ექსპერტები და ჟურნალისტები საბჭოს მომავალ პოლიტიკურ გეგმებზე ღიად ალაპარაკდნენ. **ახლადშექმნილ ოპერის მეგობართა საბჭოს, რომელსაც თავდაცვის ყოფილი მინისტრი და ახლა უკვე ბიზნესმენი კეზერაშვილი უხელმძღვანელებს, გიგი უგულავასა და „ნაციონალური მოძრაობის" შტაბად გადაქცევას უწინასწარმეტყველებენ**. არის კიდევ ერთი ვერსია, რომელიც „მაესტროს" ეთერით გაჟღერდა: **იქ, სადაც „კეზერაა", უეჭველად ფულია, ამიტომაც ეს ახალი ორგანიზაცია, რომელიც ასე საინტერესოდ წარმოაჩინა გიგი უგულავამ, შესაძლოა, დიდი ფულის სამრეცხაოდ იქცეს და თანხები ოპერიდან პირდაპირ „ნაციონალების" საარჩევნო ყულაბაში მოხვდეს.** ერთი სიტყვით, ასეთია ის ვარაუდები და მოსაზრებები, რაც უკვე გაცხადდა. ახლა კი იმაზე, რაც ჩვენთვის გახდა ცნობილი: ერთ-ერთი ინფორმაციით, უგულავას მიერ დაარსებულ მეგობართა საბჭოში უახლოეს მომავალში ყველასათვის საყვარელი და ცნობილი სახეები გაწევრიანდებიან. საუბარია ხელოვან ადამიანებზე, რომლებიც საზოგადოების პატივისცემას იმსახურებენ. ცოტახნის წინ ცნობილი გახდა ერთი ასეთი ადამიანის „ნაციონალურ მოძრაობასთან" დაახლოების თაობაზე. საუბარია ცნობილ ექიმზე და ტელეიმედის სახეზე — ოთარ ტატიშვილზე. როგორც ჩანს, მისი გადაბირება ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ გიგა ბოკერიამ მოახერხა. ჩვენთვის კიდევ ერთი ასეთი მოლაპარაკების შესახებ გახდა ცნობილი: სააკაშვილის ხელისუფლებასთან დაახლოებული პირი არაოფიციალურ საუბარში გვიყვება, რომ მიმდინარეობს მოლაპარაკება მსოფლიოს პირველ ბანთან და ქველმოქმედთან — პაატა ბურჭულაძესთან და რომ მოლაპარაკებას გიგა ბოკერია და გრიგოლ ვაშაძე აწარმოებენ. ისიც ითქვა, რომ მსოფლიოს პირველი ბანი უკვე დათანხმდა შემოთავაზებულ წინადადებას და, შესაძლოა, ის მალე „ნაციონალური მოძრაობის" პირველ ვიოლინოდ ვიხილოთ. სწორედ პაატა ბურჭულაძე, როგორც წარმატებული მომღერალი, ქველმოქმედი და უმწიკვლო რეპუტაციის ადამიანი უნდა დაუპირისპირდეს მომავალ საპარლამენტო არჩევნებში ბიძინა ივანიშვილის „ქართულ ოცნებას". გახდება თუ არა პაატა ბურჭულაძე „ნაციონალური მოძრობის" სიის პირველი ნომერი, ეს ინფორმაცია ჩვენ ფონდ „იავნანას" ერთ-ერთ ხელმძღვანელ გურამ ახალაიასთან გადავამოწმეთ.

**— ბატონო გურამ, ვრცელდება ინფორმაცია პაატა ბურჭულაძის პოლიტიკაში წასვლის თაობაზე, კერძოდ კი „ნაციონალური მოძრაობის" სიის პირველ ნომრად მის ხილვაზე...**

— მე არ მაქვს ეს ინფორმაცია და ვერ გიპასუხებთ.

**— და ბატონ პაატასთან ვერ დაგვაკავშირებთ?**

— ბატონი პაატა ამ დროისთვის ისრაელში იმყოფება. ის საქართველოში 4 იანვარს დაბრუნდება და პატრიარქის დაბადების დღისადმი დაგეგმილ ღონისძიებაში მიიღებს მონაწილეობას. მაშინ შეგიძლიათ გაესაუბროთ.

იმედია, მასთან შეხვედრას მოვახერხებთ. მანამდე კი, თუ როგორი იქნება „ნაციონალური მოძრაობის" საპარლამენტო სია და მოხვდებიან თუ არა მასში ისეთი ცნობილი და პატივსაცემი ადამიანები, როგორიც პაატა ბურჭულაძეა, **მამუკა გიორგაძემ** გვითხრა:

— ჩვენს ქვეყანაში ჯერჯერობით დამოუკიდებელი, ჩამოყალიბებული პოლიტიკური ორგანიზაციები არ არსებობს. ჩვენთან არიან ადამიანები, რომლებსაც (ცირკთან მდგომ ქალბატონებს თუ შევადარებთ) ნებისმიერი, ოღონდ პოლიტიკური, მომსახურების გაწევა შეუძლიათ შესაბამის ფასად. აქედან გამომდინარე, **სააკაშვილის რესურსი ძალიან დიდია, ბევრი იკვებება მისი სუფრიდან და ბევრს სურს მის პროექტში ჩართვა დღესაც, მაგრამ სახელისუფლო საპარლამენტო სიებში პირველ ადგილებს მაინც ცნობილი ადამიანები დაიკავებენ. აქცენტი გაკეთდება ისეთ პიროვნებებზე, რომლებმაც წარმატებას მიაღწიეს სხვადასხვა სფეროში — ზოგმა ობიექტურად, ზოგმაც ხელისუფლების დახმარებით. ერთი სიტყვით, ჩვენ ვნახავთ საპარლამენტო სიებში ადამიანებს, ვისაც საზოგადოება პატივს სცემს.**

**— ბატონო მამუკა, ამბობენ, რომ „ნაციონალური მოძრაობის" პირველ ნომრად პაატა ბურჭულაძეს ვიხილავთო...**

— არაოფიციალურად ამის შესახებ ნამდვილად საუბრობენ და, ბუნებრივია, ამის საფუძველი გახდა ხელისუფლებასთან მისი დამოკიდებულება. და კიდევ: არც ისაა გამორიცხული, რომ ბატონი პაატა საერთოდ არ იყოს ამ საქმის კურსში. პაატა ბურჭულაძეს დღეს ყველა პატივს სცემს. მას ნამდვილად არ დაუმსახურებია ქართველი ხალხის მხრიდან რაიმე საყვედური. ის ქართულ საქმეს ყოველთვის ღირსეულად აკეთებდა. ამდენად, რომელ ორგანიზაციაშიც არ უნდა იყოს, მე გამიჭირდება მისი უარყოფით კონტექსტში მოხსენიება. თუ ის მართლაც გადადგამს ამ ნაბიჯს, საზოგადოებას ორად გაყოფს, ხელისუფლებისთვის კი ეს იქნება ერთ-ერთი არგუმენტი: აი, ოპოზიციაში თუ არის ქველმოქმედი, ჩვენც გვყავს ასეთი ადამიანიო.

**— კეზერაშვილის ოპერაში გამოჩენა არ მოგეჩვენათ საეჭვოდ?**

— ამით მოხდა ამ ადამიანის რეანიმირება. კაცი, რომელიც ასოცირდებოდა ყველა უარყოფით ემოციასთან, დღეს მოგვევლინა ისეთ სფეროში, რომელიც მაღალ გემოვნებას, საკითხში ღრმა წვდომასა და ცოდნას საჭიროებს. ამაზე კურიოზული რაღა უნდა იყოს! ეს იმიტომ გააკეთეს, რომ სწორედ მან უნდა მოახდინოს არა მარტო ფინანსების მობილიზება, არამედ იმ შემოქმედი ადამიანების თავმოყრაც, რომლებიც ხელისუფლებას დაუჭერენ მხარს. ჩვენ აუცილებლად ვნახავთ ხელისუფლების მიერ ტელეეთერით გაპიარებული ადამიანების უმეტესობას საპარლამენტო სიებში და სააკაშვილის მხარდამჭერ ორგანიზაციებში. ამას პრაქტიკა ამტკიცებს: გადავხედოთ წინა არჩევნების სიებს, როგორ ხდებოდა ოდიოზური ფიგურების უკანა პლანზე გადაწევა და პირველ ათეულში საზოგადოებისთვის პატივსაცემი ადამიანების წარმოდგენა.

მოამზადა
**ირაკლი მამალაძე**

**«სააკაშვილის რესურსი ძალიან დიდია, ბევრი იკვებება მისი სუფრიდან და ბევრს სურს მის პროექტში ჩართვა დღესაც, მაგრამ სახელისუფლო საპარლამენტო სიებში პირველ ადგილებს მაინც ცნობილი ადამიანები დაიკავებენ»**



მოკლედ

## იაპონიამ და ჩინეთმა დოლარზე უარი თქვეს

**იაპონიამ და ჩინეთმა მოილაპარაკეს, რომ ხელს შეუწყობენ ეროვნული ვალუტების გამოყენებას ამერიკული დოლარის ნაცვლად იაპონურ და ჩინურ კომპანიებს შორის დადებულ გარიგებებში.**

Commersant-ის ინფორმაციით, შეთანხმებას მხარეებმა პეკინში, იაპონიის პრემიერ–მინისტრ იოსიხიკო ნოდასა და ჩინეთის სახელმწიფო საბჭოს პრემიერ ვენ ცზიაბაოს შეხვედრაზე მიაღწიეს. ეკონომიკური კრიზისის ფონზე, რომელმაც უკვე გადაუარა ევროზონას, ამერიკული დოლარი და ევრო მსოფლიო ბაზარზე პოზიციებს კარგავენ. ექსპერტები ამბობენ, რომ ნაციონალური ვალუტების უფრო ფართოდ გამოყენება ორმხივ გარიგებებში ჩინეთისა და იაპონიის ეკონომიკურ განვითარებაზე დადებითად აისახება. ორმხრივ შეხვედრაზე ასევე მიღწეულ იქნა შეთანხმება იაპონიის მიერ ჩინური სახელმწიფო ობლიგაციების შეძენის შესახებ. ჩინეთის ხელისუფლება მკაცრად აკონტროლებს საკუთარი ობლიგაციების გაყიდვას და თავად ირჩევს, რომელ სახელმწიფოს მისცეს მათი შეძენის უფლება. თავად ჩინეთმა ახლახანს იაპონური სახელმწიფო ობლიგაციების დამატებითი პაკეტი შეიძინა.

რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

„პატრიარქმა მიიღო ასეთი გადაწყვეტილება და მას ეკლესიამაც მხარი დაუჭირა, ვფიქრობ, ეს უკვე ნიშნავს, რომ რუსეთში ვიზიტი აუცილებელი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ, მოგეხსენებათ, დღეს რუსეთთან არანაირი კავშირი არ არსებობს — არც პოლიტიკური, არც ეკონომიკური, არც კულტურული. შესაბამისად, პატრიარქს ჰქონდა საშუალება, გამოეხატა ჩვენი ქვეყნის პოზიცია. მან შეახსენა რუსეთის პრეზიდენტს დევნილების დაბრუნების საკითხი და მედვედევმა განაცხადა, რომ დევნილები უნდა დაბრუნდნენ.“

მეუფე გერასიმე:

# ხელისუფლება რუსეთში პატრიარქის ვიზიტის თაობაზე ინფორმირებული იყო

## «რა თქმა უნდა, სასულიერო პირმა ძვირადღირებული ავტომობილით არ უნდა იაროს»



**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის, ილია მეორეს რუსეთში ვიზიტსა და ქვეყანაში მიმდინარე აქტუალურ მოვლენებზე ზუგდიდისა და ცაიშის მიტროპოლიტი, საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილების თავმჯდომარე, წმინდა სინოდის წევრი, მეუფე გერასიმე (შარაშენიძე) გვესაუბრება.**

**— მეუფე გერასიმე, თქვენ რუსეთში ვიზიტის დროს თან ახლდით საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს. როგორ შეაფასებთ აღნიშნული ვიზიტის მნიშვნელობას, რამდენად აუცილებელი იყო ჩვენი ქვეყნისთვის პატრიარქის შეხვედრები რუსეთის უმაღლეს სასულიერო თუ საერო თანამდებობის პირებთან?**

— მოგეხსენებათ, უწმინდესი მოსკოვში ბრძანდებოდა სრულიად რუსეთის პატრიარქის, კირილის მიწვევით, სადაც მან მიიღო მონაწილეობა სხვადასხვა ღონისძიებაში, რომელსაც ესწრებოდნენ სხვა ქვეყნების მღვდელმთავრები და დელეგაციების ხელმძღვანელები. წმინდა გიორგის სახელობის ქართულ ტაძარში საქართველოს პატრიარქმა პირველად აღავლინა წირვა-ლოცვა. ამას გარდა, ის შეხვდა რუსეთში ქართული დიასპორის წარმომადგენლებს, ქართველ დევნილებს.

ალბათ, ვიზიტის მნიშვნელობა საზოგადოებამ უნდა შეაფასოს, მაგრამ, რადგან პატრიარქმა მიიღო ასეთი გადაწყვეტილება და მას ეკლესიამაც მხარი დაუჭირა, ვფიქრობ, ეს უკვე ნიშნავს, რომ აღნიშნული ვიზიტი აუცილებელი იყო, თუნდაც იმიტომ, რომ, მოგეხსენებათ, დღეს რუსეთთან არანაირი კავშირი არ არსებობს — არც პოლიტიკური, არც ეკონომიკური, არც კულტურული. შესაბამისად, პატრიარქს ჰქონდა საშუალება, გამოეხატა ჩვენი ქვეყნის პოზიცია. მან შეახსენა რუსეთის პრეზიდენტს დევნილების დაბრუნების საკითხი და მედვედევმა განაცხადა, რომ დევნილები უნდა დაბრუნდნენ.

**— თქვენ როგორ გესახებათ აფხაზეთთან კავშირის აღდგენა და დევნილების დაბრუნების საკითხის მოგვარება?**

— ჩვენ ვცდილობთ, ეს კავშირი არ გაწყდეს, ვინაიდან აფხაზები ჩვენი სისხლი და ხორცი არიან, აფხაზეთი და სამაჩაბლო ჩვენი განუყოფელი ნაწილია. საქართველო არასდროს შეეგუება, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო მისი ნაწილი არ იყოს და საქართველოს ეკლესია, რუსეთში იქნება ეს, საბერძნეთში თუ სხვა ქვეყნებში, ყველგან ეცდება, დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია.

**მართალია, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიას დროებით ვერ აკონტროლებს საქართველო, მაგრამ მსოფლიოს ყველა მართლმადიდებლური ეკლესია აფხაზეთსა და სამაჩაბლოს საქართველოს ეპარქიის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს და ვფიქრობ, აღნიშნული ტერიტორიების საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებაც მოხდება. ვინაიდან კარგად ვხედავთ, რომ მსოფლიოს არც ერთი წამყვანი ქვეყანა არ სცნობს მათ დამოუკიდებლობას.**

**— უწმინდესი რუსეთში ამჯერად ახალი ტიტულატურით — ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის რანგში იმყოფებოდა. რუსი მღვდელმთავრები, რომლებიც აქამდე არ აღიარებდნენ მის ახალ ტიტულატურას, როგორ შეხვდნენ პატრიარქს?**

— ასე არ ყოფილა. როდესაც ღვთისმშობლის ტაძრის საძირკვლის კურთხევა მიმდინარეობდა, საქართველოში იმყოფებოდა მთავარეპისკოპოსი თეოგნოსტი, რომელმაც უწმინდესი სრული ტიტულით მოიხსენია.

**— პატრიარქის რუსეთში ვიზიტს საქართველოში საზოგადოების გარკვეული ნაწილის მხრიდან საკმაოდ უარყოფითი გამოხმაურება მოჰყვა. ზოგიერთები საპროტესტო აქციის გამართვასაც აპირებდნენ, ასევე ოზურგეთში ტაძრის ეზოში პატრიარქის საწინააღმდეგო პლაკატები გაჩნდა. რას უნდა მივაწეროთ ეს ფაქტები, იქნებ საზოგადოებას არ ჰქონდა შესაბამისი ინფორმაცია ვიზიტის მნიშვნელობის შესახებ?**

— არ ვიცი, ვერ გეტყვით, პატრიარქის ვიზიტის შესახებ, როგორც ხელისუფლებისთვის, ისე საზოგადოებისთვის წინასწარ ცნობილი იყო. როდესაც პატრიარქი ქვეყნის გარეთ ასეთ მნიშვნელოვან ღონისძიებებზე დასასწრებად მიემგზავრება, როგორც საპატრიარქოს, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლებსაც ის ყოველთვის საქმის კურსში აყენებს. უნდა წასულიყო თუ არა პატრიარქი, ეს არ იყო მხოლოდ ერთი ადამიანის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. პატრიარქი პასუხისმგებლობას მხოლოდ საკუთარ თავზე ვერ აიღებს.

**— ანუ ეს ვიზიტი ხელისუფლებასთან შეთანხმებული იყო?**

— შეთანხმებული არა, უფრო სწორი ფორმულირება იქნება თუ ვიტყვით, რომ ხელისუფლება რუსეთში პატრიარქის ვიზიტის თაობაზე ინფორმირებული იყო. ქვეყნის პატრიარქს არ სჭირდება შეთანხმება, სად წავიდეს. ხელისუფლებამ ამ ვიზიტის შესახებ იცოდა და, თუ ხედავდა, რომ არ იყო მიზანშეწონილი პატრიარქის გამგზავრება, მაშინ, რა თქმა უნდა, ეს უნდა ეთქვა.

**— რატომ გააკეთა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ განცხადება, რომ უჭირთ პატრიარქის ვიზიტის შეფასება, თუკი ხელისუფლება თანახმა იყო, პატრიარქი რუსეთში გამგზავრებულიყო?**

— ნამდვილად არ ვიცი, ეს, ალბათ, მათ უნდა ჰკითხოთ, რატომ მოხდა ასე. როდესაც მიბრძანდება პატრიარქი, არ არის ვალდებული, სახელმწიფოსგან გამოითხოვოს ნებართვა. რაც მთავარია, ხელისუფლებას ინფორმაცია ყოველთვის აქვს, თუ სად მიემგზავრება პატრიარქი. ეს არ ეხება მხოლოდ რუსეთში ვიზიტს, ნებისმიერ ქვეყანაში გამგზავრებისას ასეა.

**— მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, რუსეთის ეკლესია ჯვაროსნულ ომს აწარმოებს საქართველოს წინააღმდეგ. როგორ შეხვდნენ რუსი მღვდელმთავრები ქართველ სასულიერო პირებს?**

— საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი არა მხოლოდ რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოში გამორჩეული ავტორიტეტით სარგებლობს. როდესაც მართლმადიდებლურ ეკლესიაში მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა მიმდინარეობს, პატრიარქის აზრს ყოველთვის დიდ პატივს სცემენ და ითვალისწინებენ. ასევე მოხდა, მაგალითად, როდესაც საკითხი შეეხო მსოფლიოში დიდი კრების მოწვევას. როცა საქართველოს პატრიარქის შეხედულებებით დაინტერესდნენ, მან ბრძანა, რომ, სანამ ყველა საკითხი შესწავლილი არ იქნება, ამ კრების მოწვევა არ შეიძლებაო და სხვა ქვეყნის პატრიარქებიც დაეთანხმნენ, ვინაიდან აღნიშნული კრება მართლმადიდებლური ეკლესიის ავტორიტეტის ასამაღლებლად უნდა მოვიწვიოთ და არა პირიქით... ჩვენს პატრიარქს ყველგან გამორჩეული პატივისცემით ხვდებიან.

**— მეუფე გერასიმე, თქვენ მსოფლიო საეკლესიო კრება ახსენეთ. ზოგიერთი სასულიერო პირი საქართველოში ახალი საეკლესიო კრების მოწვევის საჭიროების შესახებაც საუბრობს, რომელიც ახალ რუის-ურბნისის კრებად უნდა იქცეს. თუ განიხილება ეს საკითხი საპატრიარქოში?**

— ამგვარი კრებები გარკვეული დროის განმავლობაში მზადდებოდა. ჯერ უნდა დამუშავდეს განსახილველი საკითხები. რუის-ურბნისის კრების შემდეგ რამდენიმე საუკუნე გავიდა და ათეულობით წლები შეიძლება დასჭირდეს განსახილველი საკითხების მომზადებას. მაგალითად, მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, 1968 წლიდან მზადდება. ის საკითხები, რომლებიც წლების წინ აქტუალური იყო, დღეს აღარ არის მნიშვნელოვანი, ახლა წინა პლანზე, ბუნებრივია, სხვა საკითხები წამოიწია. ამიტომ განსახილველი თემები აქტუალური უნდა იყოს იმ დროისთვის, როცა კრება ჩატარდება.

**საქართველოში ჯერჯერობით ამგვარი კრების მზადების პროცესი არ მიმდინარეობს, თუმცა გარკვეულ საკითხებს, რომელიც ქვეყანაში მოსახლეობისთვის აქტუალურია, საქართველოს ეკლესია განიხილავს. მაგალითად, ახლახან წმინდა სინოდის სხდომაზე, სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, სინოდმა ახალი, ე. წ. ჩიპიანი პასპორტების (ID ბარათების) შესახებაც იმსჯელა, ვინაიდან ეს საკითხი მოსახლეობას აწუხებს, და გამოიტანა გადაწყვეტილება, რომ კიდევ ერთხელ შეისწავლის ამ საკითხს და საბოლოოდ მიღებულ გადაწყვეტილებას საზოგადოებას გააცნობს.**

აქ ორი საკითხი უნდა იყოს მნიშვნელოვანი. პირველი — რამდენად ემუქრება საშიშროება ჩვენს სარწმუნოებას, ვინაიდან, ზოგიერთები ბრძანებენ, რომ ეს არის ანტიქრისტეს ნიშანი და მეორე — საკითხი უნდა განვიხილოთ ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით: შეიძლება ვილაცებს არ სურდეთ ამ პასპორტის აღება და ამგვარ შემთხვევაში, ალბათ, სახელმწიფომ მათ ▶

# სამხრეთ აზიაში კორუფციის დონე იზრდება

**სამხრეთ აზიის ქვეყნებში კორუფციის დონე იზრდება. ამის შესახებ აღნიშნულია Transparency International-ის ანგარიშში.** ორგანიზაციის მიერ რეგიონში ჩატარებული კვლევის შედეგად 8 ათასი გამოკითხულიდან 40%-მა აღიარა, რომ 2011 წელს მათ ერთხელ მაინც მისცეს ქრთამი. პაკისტანის, ინდოეთის, ბანგლადეშის მოსახლეობის გამოკითხულთა ორმა მესამედმა აღნიშნა, რომ 2010 წელს მათ პოლიციისთვის ქრთამის მიცემა მოუხდათ.



# როგოზინი რუსეთის ვიცე-პრემიერად დაინიშნა

**რუსეთის მუდმივი წარმომადგენელი ნატოში, დიმიტრი როგოზინი რუსეთის ვიცე-პრემიერად დაინიშნა.** პრეზიდენტ დიმიტრი მედვედევის გადაწყვეტილებით, როგოზინმა აღნიშნულ თანამდებობაზე ჩაანაცვლა სერგეი ივანოვი, რომელიც სამხედრო-სამეწარმეო კომპლექსს კურირებდა. „მე თქვენ გნიშნავთ მთავრობის მეთაურის მოადგილედ, რათა სამხედრო-სამეწარმეო კომპლექსს გაუწიოთ კოორდინირება, დაკავდეთ ყველა საკითხით, რომელიც თავდაცვითი კომპლექსის განვითარებას შეეხება და ასევე კოორდინაცია გაუწიოთ სამხედრო ტექნიკის მიწოდებაზე სახელმწიფო შეკვეთებისა და გამოყენების საკითხებს,“ — მიმართა მედვედევმა როგოზინს.

„გავრცელებული თემაა და ბევრს საუბრობენ, მაგალითად, იმაზე, რომ ხელისუფლებამ საპატრიარქოს აჩუქა მანქანები, მაგრამ ეს იყო სახელმწიფოს მიერ გამოჩენილი კეთილი ნება. ამ საკითხზე პატრიარქთან ერთად იმსჯელეს სასულიერო პირებმა და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება — მიეღოთ ხელისუფლების საჩუქარი, ოღონდ ან ყველა სასულიერო პირი მიიღებდა მას, ან არც ერთი.“

## რელიგია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

რაიმე ალტერნატივა უნდა შესთავაზოს.

**— მეუფე გერასიმე, როგორია პირადად თქვენი მოსაზრება ახალ პასპორტებთან დაკავშირებით?**

— ბოდიშს მოგიხდით, მაგრამ, სანამ წმინდა სინოდი გადაწყვეტილებას არ გამოიტანს, ჩემი მოსაზრების გამოთქმისგან ჯერჯერობით თავს შევიკავებ, თუმცა ერთს ვიტყვი: ვფიქრობ, საშიშროება გაზვიადებულია.

**— წმინდა სინოდის გადაწყვეტილებით ამოქმედდა სასულიერო პირთა ზნეობრივი ნორმების დარღვევათა შემსწავლელი კომისია. თუ განიხილა უკვე კომისიამ რომელიმე სასულიერო პირის საქმე და რამ გამოიწვია ასეთი კომისიის შექმნის აუცილებლობა, ეს ნიშნავს თუ არა გარკვეულწილად იმის აღიარებას, რომ უღირსი სასულიერო პირები ეკლესიის წიაღშიც არიან?**

— აღნიშნული კომისია განიხილავს სასულიერო პირთა მოქმედებას. კომისია უკვე მუშაობს და რამდენიმე საკითხიც განიხილა, მიიღეს გადაწყვეტილება სასულიერო პირთა ქმედებასთან დაკავშირებით, მაგრამ ეს საჯარო არ არის.

**— საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა არსებობს: უნდა გამოცხადდეს თუ არა მართლმადიდებლობა სახელმწიფო რელიგიად. თქვენ რას ფიქრობთ ამის თაობაზე?**

— მე ასე გავცემდი პასუხს ამ კითხვას: მას შემდეგ, რაც მეფე მირიანის დროს მართლმადიდებლობა საქართველოს სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, ეს არავის არ შეუცვლია და საწინააღმდეგო აქტი არ მიუღია, რომ მართლმადიდებლობა აღარ ყოფილიყო სახელმწიფო რელიგია. **რამდენად არის დღეს ამის აუცილებლობა, რომ მართლმადიდებლობა ოფიციალურად სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდეს, სხვა საკითხია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ამის აუცილებლობა არ არის, ვინაიდან ის ურთიერთობა, რომელიც დღეს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის არსებობს, ორივე მხრიდან ურთიერთპატივისცემაზეა დამყარებული და არც ერთი არ ერევა მეორის საქმიანობაში. ეს არის, ალბათ, ურთიერთობის იდეალური ფორმა.** მოგეხსენებათ, კომუნისტების დროს არსებობდა ე. წ. რელიგიის საბჭოს მსგავსი ორგანიზაცია, რომელიც განიხილავდა სასულიერო პირების დანიშვნის საკითხებს, მიმდინარეობდა მათი ზნეობრივი საქციელის განხილვა და ის აქტიურად ერეოდა ეკლესიის საქმიანობაში. დღეს ასე აღარ არის, ეკლესია თავად იღებს გადაწყვეტილებებს და სახელმწიფო და ეკლესია არ ერევიან ერთმანეთის საქმიანობაში. რა თქმა უნდა, იმ პროცესებზე, რაც ქვეყანაში მიმდინარეობს, ეკლესიაც ზრუნავს და ფიქრობს, ისევე, როგორც სახელმწიფო.

**— გავრცელებული ინფორმაციით, თქვენ მხარი დაუჭირეთ რელიგიური გაერთიანებებისთვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის მინიჭების შესახებ პარლამენტის მიერ მიღებულ კანონს, რასაც საკმაოდ დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა ქვეყანაში. თავიდან საპატრიარქო ამ კანონის წინააღმდეგი იყო, რა მოხდა შემდეგ, რატომ შეიცვალა თქვენი გადაწყვეტილება და იყო თუ არა აზრთა სხვადასხვაობა თავად სინოდის წევრებს შორის?**

— არც ერთმა ადამიანმა არ იცის, ვინ მისცა ამ კანონს წმინდა სინოდის წევრებიდან ხმა. აზრთა სხვადასხვაობა შეიძლება ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით იყოს, მაგრამ საკითხის გადაწყვეტა ხდება კენჭისყრით და სინოდმა გამოხატა თავისი დამოკიდებულება და ერთიანი პოზიცია ამ კანონპროექტთან დაკავშირებით. სინოდის პოზიცია იყო ერთსულოვანი, მაგრამ, სამწუხაროდ, წარმოჩინდა ისე, თითქოს ზოგიერთი მომხრე, ზოგიერთი კი წინააღმდეგი იყო, რაც, სრული პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ ასე არ ყოფილა. არ მინდა ვინმეს დავაბრალო, მაგრამ ეს იყო ჟურნალისტების მიერ გაზვიადებული თემა. ფაქტი იყო, რომ ეკლესიას არაფრის შეცვლა აღარ შეეძლო, რამეთუ კანონპროექტი პარლამენტის მიერ უკვე მიღებული და პრეზიდენტის მიერ მოწონებული იყო. საპატრიარქო ვერაფერს შეცვლიდა. მოწვეული გვყავდა იურისტები, ვიმსჯელეთ და სინოდმა სწორი გადაწყვეტილება მიიღო.



# «საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი არა მხოლოდ რუსეთში, არამედ მთელ მსოფლიოში გამორჩეული ავტორიტეტით სარგებლობს»

**— საპატრიარქო თავიდან წინააღმდეგი გახლდათ. ხომ არ იყო მისი აზრის შეცვლის მიზეზი ის ფაქტიც, რომ სინოდის სხდომაზე ხელისუფლების მაღალჩინოსნებიც მივიდნენ?**

— სინოდის სხდომა დახურულია და გამორიცხულია, მას, სინოდის წევრის გარდა, გარეშე პირი დაესწროს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მოწვეული შეიძლება იყოს პირი გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით.

**— თქვენ ჯვარი დასწერეთ ანა და დავით ბაგრატიონებს. საქართველოს ეკლესია მონარქიული წყობილების აღდგენის მომხრეა, თუმცა მონარქიას ჰყავს მოწინააღმდეგეები სერიოზული არგუმენტებით. გაამართლებს ჩვენს ქვეყანაში მონარქია, რის შეცვლას შეძლებს მეფე?**

— როდესაც პატრიარქმა ამის შესახებ ბრძანა, მას არ უთქვამს, რომ ქვეყანაში ხვალვე უნდა აღდგეს მონარქიაო. ჯერ საზოგადოება უნდა მომზადდეს ამისთვის, მოინახოს პიროვნება, ვინც შეძლებს მეფობას. პატრიარქს არ უთქვამს, რომ მაინც და მაინც ეს ადამიანები იქნებოდნენ მეფე და დედოფალი. უბრალოდ, ეს იყო იდეალური ვარიანტი, გამომდინარე ევროპული ქვეყნების გამოცდილებიდან, თუ როგორ აბალანსებს სამეფო დინასტია ქვეყანაში ფორმირებულ ურთიერთობებს ეკლესიას, სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის.

რა თქმა უნდა, ამის განხორციელებას გარკვეული დრო დასჭირდება, რათა საზოგადოება ამისთვის მოემზადოს. ასევე, მოგეხსენებათ, თავად ბაგრატიონებს შორისაც აზრთა სხვადასხვაობაა, თუ რომელი შტო წარმოადგენს პირდაპირ მონარქიულ დინასტიას, ვინ არის ტახტის მემკვიდრე. ასე რომ, პატრიარქმა მხოლოდ გაახმოვანა ეს იდეა.

**— თქვენ წლების წინ ხელმძღვანელობდით საპატრიარქოს საფინანსო-ეკონომიკურ საბჭოს. დღეს ბევრს საუბრობენ სასულიერო პირთა ძვირფასეულობის შესახებ და ზოგიერთები ამის გამო სასულიერო პირებს მწვავედ აკრიტიკებენ. თქვენ, როგორც კომპეტენტური პირი, რას ფიქრობთ ყოველივე ამის შესახებ? რამდენად მართებულია, სასულიერო პირს ჰქონდეს ძვირფასეულობა?**

— ძალიან დიდი ხნის წინ ვხელმძღვანელობდი მე ამ საბჭოს. ეკლესიას არაფერი აქვს დასამალი, ჩვენი საქმიანობა გამჭვირვალეა. ის ფაქტი, რომ რომელიღაც სასულიერო პირს მანქანა ჰყავს, ბუნებრივია, რადგან მანქანა გადაადგილების ჩვეულებრივი საშუალებაა. თუმცა, რა თქმა უნდა, სასულიერო პირმა ძვირადღირებული ავტომობილით არ უნდა იაროს, ვინაიდან ეს უკვე ფუფუნების საგანია და სასულიერო პირს, მისი შემოსავლიდან გამომდინარე, რეალურად მისი შეძენის საშუალება არ აქვს. მაგრამ, თუ მას ჩუქნიან ძვირფას საჩუქარს, უკვე კონკრეტულ სასულიერო პირზეა დამოკიდებული: მიიღებს თუ არა შესაწირავს და ივლის თუ არა ძვირფასი მანქანით.

**გავრცელებული თემაა და ბევრს საუბრობენ, მაგალითად, იმაზე, რომ ხელისუფლებამ საპატრიარქოს აჩუქა მანქანები, მაგრამ ეს იყო სახელმწიფოს მიერ გამოჩენილი კეთილი ნება. ამ საკითხზე პატრიარქთან ერთად იმსჯელეს სასულიერო პირებმა და მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილება — მიეღოთ ხელისუფლების საჩუქარი, ოღონდ ან ყველა სასულიერო პირი მიიღებდა მას, ან არც ერთი.**

**— და ბოლოს, 2011 წელი იწურება. რას ეტყვით ჩვენი გაზეთის მკითხველებს, რით იყო ეს წელი სულიერი თვალსაზრისით გამორჩეული?**

— სულიერი თვალსაზრისით ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა ხდება ჩვენს ირგვლივ. მაგალითად, წლის მიწურულს, 25 დეკემბერს, მოხდა ახალი ღვთისმშობლის ხატის — „საქართველოს იმედის“ კურთხევა. ხატი ქართველი ხალხის მიერ შემოწირული თანხებით დაიწერა და ჩვენი დიდი მადლიერების გამომხატველია ღვთისმშობლის მიმართ.

მინდა, ყველას მივულოცო შობა-ახალი წელი და ბედნიერება, ჯანმრთელობა ვუსურვო საქართველოს. დედა ღვთისმშობელი იყოს ჩვენი ქვეყნის მფარველი. დაე, ღმერთმა გაამთლიანოს საქართველო.

ესაუბრა
**შორენა ციცქარაშვილი**



# «ეკლესიას არაფერი აქვს დასამალი, ჩვენი საქმიანობა გამჭვირვალეა»

## ჯონ მაკკეინი: „არაბული გაზაფხული“ რუსეთში გრძელდება

**აშშ-ის რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, სენატორი ჯონ მაკკეინი მოხარულია, რომ გუშინ მოსკოვში, სახაროვის მოედანზე საპროტესტო აქცია გაიმართა. „არაბული გაზაფხული“ რუსეთში გრძელდება,“** — აცხადებს სენატორი. შეგახსენებთ, რომ მოსკოვსა და რუსეთის კიდევ რამდენიმე ქალაქში სამართლიანი არჩევნების ჩატარების მოთხოვნით საპროტესტო აქცია გაიმართა. აქციის ორგანიზატორების ცნობით, სახაროვის მოედანზე 100 ათასამდე ადამიანი შეიკრიბა, ხოლო ქვეყნის შს უწყების მტკიცებით, მომიტინგეთა რაოდენობა 30 ათასს არ აღემატებოდა. რუსეთში ოპოზიციის მომდევნო საპროტესტო აქცია იანვარში იგეგმება.

## მძევალი ფეისბუქის წყალობით გადარჩა

**Associated Press–ის ინფორმაციით, ქალი, რომელიც 5 დღის განმავლობაში მძევლად იყო აყვანილი, ფეისბუქში დადებული პოსტის წყალობით გადარჩა.**

დამნაშავემ მძევალს ტელეფონი წაართვა, მაგრამ ქალმა ნოუთბუქით ისარგებლა და ტუალეტიდან ფეისბუქზე პოსტი დადო. მან დაწერა, რომ მას და მის წლინახევრის ბავშვს სიკვდილი ემუქრებოდათ. შეტყობინება ქალის ფეისბუქელმა მეგობრებმა წაიკითხეს და პოლიციას მიმართეს. პოლიციელებმა 33 წლის ტერო რიდ კრინზილდი დააპატიმრეს. იგი სხვა მძიმე დანაშაულებებშიც არის ეჭვმიტანილი.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ეს ქმედებები, რასაკვირველია, შეიცავს აგონიის ელემენტებს, მაგრამ დაუსჯელობის სინდრომი გაცილებით უფრო მასტიმულირებელია, რომელიც მოდის წლების იქიდან, როცა ქართულმა საზოგადოებამ, სამწუხაროდ, ვერ ვაჩვენეთ ძალა და, თუ გნებავთ (ცუდად ვიტყვი), კბილები თავხედ და უგნურ ხელისუფლებას.

# ჩადენილ დანაშაულზე ყველამ პასუხი უნდა აგოს

**ინტერვიუ „ქართუ ჯგუფის“ პრეზიდენტ ნოდარ ჯავახიშვილთან წლის შემაჯამებელ საუბრად იყო ჩაფიქრებული.**

**— დღეს და ხვალ კი არა, 31 დეკემბერს რომ მოხვიდე სასაუბროდ, შედეგებზე ლაპარაკი მაშინაც კი ნაადრევი შეიძლება იყოსო, — მითხრა მან.**

**ეტყობა, ასეა.**

**ამიტომ ინტერვიუ, რომელსაც გთავაზობთ, დღევანდელ დღეზეა აქცენტირებული, სიტუაციაზე, რომელიც ქვეყანაში კალეიდოსკოპურად იცვლება.**

**— ბატონო ნოდარ, ისეთი ძნელი წელიწადი, როგორიც 2011 გამოდგა, უთუოდ არ გქონიათ?**

-— გაცილებით ძნელიც მქონია: 1993-1994 წლები გაიხსენეთ.

**— წლევანდელზე უფრო რთული?**

— გააჩნია, რომელი კუთხით შევხედავთ, მაგრამ ჩემთვისაც და ქვეყნისთვისაც ის პერიოდი გაცილებით რთული იყო, თუმცა არც ახლა არის იოლი ცხოვრება.

**— მაგრამ განსხვავება ხომ არის?**

— განსხვავება და თავისებურება, რა თქმა უნდა, არის. ხელისუფლებაში მაშინაც იყო კურიოზული დაპირისპირებები, განსხვავებული ხედვა ქვეყნის მშენებლობის საკითხებზე და თუნდაც იმ სფეროს მიმართ, რომელსაც მაშინ ვხელმძღვანელობდი, იყო სერიოზული წინააღმდეგობები, მაგრამ ხელისუფლება ასე თავგამოდებით, ასე დაუფარავად და ასე აშკარად არ ებრძოდა განსხვავებულ აზრს, განსხვავებულ პოზიციას. დღეს ყველა ნიღაბი ჩამოხსნილია.

იმდროინდელი ხელისუფლება ვერ ბედავდა კანონების უგულებელყოფას, რის გაკეთების უფლებასაც დღევანდელი მმართველი ძალა თავის თავს აძლევს, ვერ ბედავდა შექმნილ ვითარებაზე კანონების მორგებას.

დღეს ბევრი ისეთი რამ ხდება, როგორიც ჩემს ცნობიერებაში ვერ ჯდება.

**— ის, რასაც დღევანდელი ხელისუფლება ბედავს, უჭკუობით არის გამოწვეული თუ თავხედობამდე მისული თავდაჯერებულობით?**

— ძნელია შეფასება, იმდენად ჰგავს ერთმანეთს მათი თავხედობა და უჭკუობა...

**— რუსებს კარგი სიტყვა აქვთ — самодурство.** მე თუ მკითხავთ, ეს ცნებები ერთმანეთის განმაპირობებელია. სისულელე თავხედობის და პირიქით — თავხედობა სისულელისა.

**(ნოდარ ჯავახიშვილს არ უთქვამს, მაგრამ, მოდით, ჩვენ „ჩავიდეთ ჩოთქში“: წლის შედეგებში განსაკუთრებით გამოიკვეთა ხელისუფლების მიერ კანონების უპარდონო დარღვევა, მათი მორგება სიტუაციაზე, უგნურებამ და თავხედობამ შვა დღევანდელი ვითარება).**

**— ექსპერტები მიიჩნევენ, რომ ის, რაც ხდება, აშკარად გამოკვეთილი აგონიის შედეგია. აგონიაა თუ ბრძოლა არსებობისთვის?**

— ეს ქმედებები, რასაკვირველია, შეიცავს აგონიის ელემენტებს, მაგრამ დაუსჯელობის სინდრომი გაცილებით უფრო მასტიმულირებელია, რომელიც მოდის წლების იქიდან, როცა ქართულმა საზოგადოებამ, სამწუხაროდ, ვერ ვაჩვენეთ ძალა და, თუ გნებავთ (ცუდად ვიტყვი), კბილები თავხედ და უგნურ ხელისუფლებას.

**— სამაგიეროდ, აგერ გუშინ მიხეილ სააკაშვილმა კბილების გამოჩენის საპრეზიდენტო პროგრამა შემოგვთავაზა — ღიმილი გაპრიალებული (!) კბილებით კმაყოფილების გამოსახატავად!**

— აი, სწორედ ეს გვაკლდა!

**— ბატონო ნოდარ, გუშინ და გუშინწინ „ბანკმა ქართუმ“ კვლავ გაავრცელა განცხადებები, რამ გამოიწვია მათი ასეთი სიხშირე?**

— პერმანენტულმა ზემოქმედებამ, შემოტევებმა, რაც ყოველდღიურად განსხვავებულ სურათს ქმნის. განცხადებებში ასახული იყო იმ კვირის პრობლემები, როცა მოხდა დაყადაღება და შემდეგ დაყადაღებული ქონების რეალიზაცია. ეს პროცესი გრძელდება, მაგრამ ახლა ამ პროცესში ახალი და ახალი, რბილად რომ ვთქვათ, პრობლემები ჩნდება.

გასულ ორშაბათს შევეცადეთ დაყადაღებულ ქონებაზე გამოცხადებულ ვაჭრობაში მიგველო მონაწილეობა, გვაინტერესებდა, სახელმწიფო რა პოზიციას დაიკავებდა ჩვენ მიმართ.

**— რა ვაჭრობაზეა ლაპარაკი?**

— აუქციონზე, რომელზეც გამოტანილი ჰქონდათ იმ ორგანიზაციების დაყადაღებული ქონება, რომლებსაც ბიუჯეტური დავალიანება ჰქონდა. გამოიტანეს ეს ქონება გასაყიდად იმიტომ, რომ გაიყიდოს და შემოსული ფულით დაიფაროს ბიუჯეტის ვალი.

ასეთია ამ ღონისძიების აზრი და ლოგიკა.

მაგრამ, როცა ეკონომიკის სამინისტრო, ანუ სახელმწიფო თვითონ ერევა ვაჭრობაში, ამით ხაზი ესმება სრულ ალოგიკურობას: ეკონომიკის სამინისტრო არ გითმობს, საშუალებას არ გაძლევს, რომ იყიდო, ყიდულობს თვითონ ბიუჯეტის ფულით, ესე იგი, ბიუჯეტის ფულს ისევ ბიუჯეტში აბრუნებს!

აშკარა ხდება, თუმცა არც მანამდე იყო დაფარული, რომ მათი იდეა, მიზანი ბიუჯეტის ვალების დაფარვა კი არ არის, არამედ ქონების წაღება.

**— ერთი ჯიბიდან იღებს ფულს და მეორე ჯიბეში იდებს?**

— დიახ, ასეა.

**— მაშ, რა ხეირს ნახულობს?**

— არავითარს, მაგრამ აძლიერებს ეჭვს, რომ დაინტერესებულია, რათა ცოტა ხნის შემდეგ რაღაც სქემით დაუბრუნოს მეპატრონეებს დაყადაღებული ქონება. ამის პირობა აქვს მიცემული.

სხვა აზრი ამაში ნამდვილად არ არის.

**(ნოდარ ჯავახიშვილს არ უთქვამს, მაგრამ აშკარად ჩანს, რომ ასეთი ყალთაბანდობა, აფერა, წლევანდელი წლის თვალსაჩინო შედეგად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ „ინოვაცია“ ამით არ ამოიწურება. ბატონი ნოდარი განაგრძობს).**

ბიუჯეტის დავალიანება რომელიმე ორგანიზაციას თუ აღმოაჩნდება, წესით და რიგით, ჯერ ანგარიში უნდა დაუყადაღო (ეგებ აქვს ფული ანგარიშზე?!), ესენი პირდაპირ ქონების რეალიზაციით იწყებენ. მაგალითად, ამ პროცესში ერთ-ერთ ორგანიზაციას ჯერ ქონება გაუყიდეს, შემდეგ ინკასო დადეს მის ანგარიშზე (!).

გაუგებარია და საეჭვოც.

**— რა მოტივით უთხრეს უარი „ბანკ ქართუს“ აუქციონში მონაწილეობაზე? შეიძლება, აუხსნათ ჩვენს მკითხველებს, როგორ ახორციელებენ ასეთ მანიპულაციებს? ილუზიონისტები ხომ არ მუშაობენ ეკონომიკის სამინისტროში: ხელის სისწრაფე და არავითარი ყალთაბანდობა?**

— ტექნიკურად აკეთებენ ამას. ვთქვათ, მივეცით ერთი ბიჯი...

**— ბიჯი რა არის?**

— აუქციონზე ქონება, როგორც წესი, რაღაც ფასით გამოაქვთ. დაწესებულია ბიჯი — ნამატი, რომელსაც შენ აძლევ. იმ აუქციონზე, რომელზეც ვლაპარაკობთ, ორპროცენტიანი ბიჯი იყო დაწესებული. ესე იგი, ჩვენ ვიხდიდით თავდაპირველ ფასზე ორი პროცენტით მეტს. ასე იმიტომ ვიქცეოდით, რომ, როგორც გითხარით, გვაინტერესებდა სახელმწიფოს რეაქცია — მიგვაღებინებდნენ თუ არა მონაწილეობას აუქციონში, — ეს ერთი, და მეორე — ვინ დაიწყებდა ვაჭრობას.

თუ სხვა, ვთქვათ, კერძო ბანკი, მაშინ გასაგებია, რომ თავისუფალი ვაჭრობაა, თუ — სახელმწიფო, მაშინ გაუგებარია.

მაშ, დავდეთ პირველი ბიჯი, ბიჯი მისცა სახელმწიფომ. მივეცით მეორე ბიჯი და ისევ სახელმწიფომ მისცა ბიჯი.

**— ანუ ეკონომიკის სამინისტრომ?**

— დიახ. მესამე ბიჯზე გაგვითიშეს კომპიუტერი, დააგვიანეთ შემოსვლაო (?!), თუმცა მთელი ბანკი ორ კომპიუტერს მივჩერებოდით, ვხედავდით, რომ დრო გვქონდა — სამწუთიანი პერიოდია!

შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ არავითარ დაგვიანებას ადგილი არ ჰქონია, მაგრამ აქვს კი აზრი დამტკიცებას?

**— ფაქტი სახეზეა.**

— დიახ. ამით მოხდა ბოლომდე ლუსტრირება იმ უსინდისობის, რითაც ებრძვიან „ბანკ ქართუს“.

**(პრიმიტიულ მანიპულირებაში გამოხატული ბრძოლა ივანიშვილის ქონების წინააღმდეგ კიდევ ერთი შედეგია 2011 წლის).**

**— შეტევები გრძელდება და „ბანკ ქართუს“ ხან რას წაგლეჯენ, ხან რას — აფთრებივით თავს ესხმიან. ბანკი ზარალობს, სამაგიეროდ იზრდება თქვენი მორალური კაპიტალი.**

— ზუსტად ეგ მინდოდა მეთქვა. მე სულაც არ ვთვლი, რომ ეს ზარალი და წაგებაა, ეს არის ბრძოლა სამართლიანობისთვის, საკუთარი ინტერესების დასაცავად, მაგალითის მისაცემად ქართული საზოგადოებისთვის, რაც, ჩვენ, მე მგონი, ასე გვჭირდება ზოგადად ბიზნესშიც და კერძოდ საბანკო სექტორშიც, თუ გნებავთ, ყოველდღიურ ცხოვრებაშიც. აბსოლუტურ დონ კიხოტებად რომ დავრჩეთ, ამ ბრძოლას გავაგრძელებთ. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ერი, რომელსაც არ ჰყავს დონ კიხოტები, განწირულია.

პოლიტიკურად ჩვენ მხოლოდ ვიგებთ.

აქ შეიძლება ლაპარაკი იყოს მხოლოდ ფინანსურ დანაკარგებზე.

**— ეს არაფერს ნიშნავს?**

— თუ სასწორის მეორე პინაზე რაც დევს, იმას შევადარებთ, ეს დანაკარგი არაფერს ნიშნავს. ბოლოს და ბოლოს, მოძრაობა „ქართული ოცნება“ სულაც არ არის ბრძოლა ბანკისთვის. უპირველეს ყოვლისა, ეს არის ბრძოლა სამართლიანობისთვის, ღირსებისთვის, გნებ- ▶

ნოდარ ჯავახიშვილი



**«ეკონომიკის სამინისტრო არ გითმობს, საშუალებას არ გაძლევს, რომ იყიდო, ყიდულობს თვითონ ბიუჯეტის ფულით, ესე იგი, ბიუჯეტის ფულს ისევ ბიუჯეტში აბრუნებს!»**

**«იმდროინდელი ხელისუფლება ვერ ბედავდა კანონების უგულებელყოფას, რის გაკეთების უფლებასაც დღევანდელი მმართველი ძალა თავის თავს აძლევს, ვერ ბედავდა შექმნილ ვითარებაზე კანონების მორგებას»**

ევროპა

## თანადგომის პროგრამები წევრობის მსურველთათვის

**ევროკომისიამ დაასრულა რიგი პროგრამების ფორმირება, რომლებიც განკუთვნილია ევროკავშირში გაერთიანების მსურველ ქვეყნებში რეფორმების ხელშესაწყობად.** თანადგომის პროგრამა 1 მილიარდი ევროს ოდენობისაა. ნებისმიერ ქვეყანას, რომელსაც სურს ევროკავშირში გაერთიანება, მოუწევს, დააკმაყოფილოს სახელმწიფოს მართვის სფეროში არსებული განსაზღვრული მოთხოვნები; კერძოდ ეკონომიკაში, სამართალსა და გარემოს დაცვის საკითხებში.



## სომალი დიდ ბრიტანეთს ემუქრება

**სომალიში არსებული ვითარება გაერთიანებული სამეფოს უსაფრთხოებას ემუქრება. ამის შესახებ ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების მინისტრმა ენდრიუ მიტჩელმა განაცხადა.** მისი თქმით, სომალი მეკობრეების, ნარკობიზნესით დაკავებული პირებისა და ტერორისტების ბაზად იქცა, ის გახდა არალეგალური მიგრაციისა და საშიში ეპიდემიების წყარო. მიტჩელმა აღნიშნა, რომ სომალის ტერიტორიაზე დიდი ბრიტანეთის მრავალი ქვეშევრდომი იმყოფება, რომლებიც ექსტრემისტების ბანაკებში გადიან წვრთნებს.

ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებსაც ამ ეტაპზე ჩვენ წინააღმდეგ ძალიან აქტიურად იყენებენ სადამსჯელო ოპერაციად, აბსოლუტურად გარანტირებულ საშიშროებას შეიცავს მთელი საბანკო სისტემისთვის, რასაც კოლეგები სულ მალე იგრძნობენ.

ინტერვიუ

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# «სამართლიანობის აღდგენა კი ნიშნავს, რომ ქვეყანაში მოქმედი კანონების საფუძველზე ადამიანებმა ჩადენილ დანაშაულზე, თუ არის ასეთი, უნდა აგონ პასუხი»

◀ავთ — კორპორაციული, განებავთ — პიროვნული ღირსებისთვის და, საბოლოო ჯამში, ბრძოლა სამშობლოსთვის.

**— ბატონო ნოდარ, თქვენ ხართ პრეზიდენტი „ქართუ ჯგუფის" და არა მხოლოდ ბანკის. თავს უფლებას მივცემ გკითხოთ, შექმნილ ვითარებაში ბრკოლდება თუ არა ის მრავალმხრივი მოღვაწეობა, რომელსაც ეს ჯგუფი ეწევა?**

— **თუ იმაზეა საუბარი, სიტუაციიდან გამომდინარე, შეიცვლება თუ არა ბიძინა ივანიშვილის დამოკიდებულება მისი სტრუქტურების ქველმოქმედების მიმართ, გეტყვით, რომ აბსოლუტურად არაფერი არ შეიცვლება. ფინანსური დარტყმები, რაც ხელისუფლებამ ჩვენს წინააღმდეგ განახორციელა, არ არის იმ მასშტაბის, რომ რესურსების ეკონომიის მიზნით ბატონ ბიძინას უარი ათქმევინონ მის კეთილშობილურ მოღვაწეობაზე, მაგრამ, მოგეხსენებათ, ხელისუფლება ყოველდღიურად იღებს გაუგებარ საკანონმდებლო აქტებს, რაც კანონგარეშე დააყენებს ბიძინა ივანიშვილის მიერ ქველმოქმედების გაღებას, მაშინ ეს კანონმორჩილი ადამიანი ვეღარ დაარღვევს კანონს.** აქედან გამომდინარე, რასაკვირველია, ჩნდება საფრთხეები. მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენი საზოგადოებრიობა სწორად შეაფასებს მოსალოდნელ ვითარებას, კერძოდ, რომ „ვიღაცა" ხელს უშლის „ვიღაცას" (ასე ვიტყვი, არც ერთ მხარეს რომ არ ეწყინოს) სიკეთის კეთებაში.

სიკეთის კეთებას კი ხელს მხოლოდ ბოროტება უშლის. ეს არის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა სიკეთესა და ბოროტებას შორის. და თუ ამ ეტაპზე ბოროტება სიკეთის ქმნას კანონის ძალით შეაჩერებს, ამას ლოგიკურად მოჰყვება რეაქცია სიკეთის სასარგებლოდ.

**— მაგრამ პრაქტიკულად არავითარი რეაქცია არ აქვს საქართველოს საბანკო სექტორს იმ ბოროტების (როგორც თქვენ თქვით) საპასუხოდ, რომელსაც ხელისუფლება თქვენი ბანკის წინააღმდეგ სჩადის.**

— იმ ავბედითი 18 ოქტომბრის შემდეგ ჩვენ ფულს ვღებულობთ მხოლოდ ეროვნული ბანკიდან, რისთვისაც სოლიდურ საფასურს ვიხდით. სხვა ბანკები თანამშრომლობაზე უარს გვეუბნებიან.

**— ჩამოთვლით ამ ბანკებს?**

— არა. არა იმიტომ, რომ „პროგრესბანკის" გარდა ჩვენთან არავინ თანამშრომლობს, მაგრამ ეს ბანკი ჯერჯერობით იმდენად მცირე მოცულობისაა, რომ მისგან რაიმე სიკეთის მიღება ამ ეტაპზე გამორიცხულია. დანარჩენი ბანკები ჩუმად არიან, არც ერთი არ ხმაურობს.

**— „იმ მდინარის გეშინოდეს, რომელიც არ ხმაურობს"...**

— საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები კი ნდობით გვეკიდებიან და პრობლემებს საკუთარ საკრედიტო ხაზებზე არ გვიქმნიან.

**— ქართულ ბანკებს გადაუგრიხეს ხელები...**

— თანაც ძალიან მტკივნეულად, მაგრამ ხმა არ ამოუღიათ. თავი დავანებოთ იმას, რომ „ბანკ ქართუს" მხარდაჭერა არ გამოცხადდა. ის საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებსაც ამ ეტაპზე ჩვენ წინააღმდეგ ძალიან აქტიურად იყენებენ სადამსჯელო ოპერაციად, აბსოლუტურად გარანტირებულ საშიშროებას შეიცავს მთელი საბანკო სისტემისთვის, რასაც კოლეგები სულ მალე იგრძნობენ.

**(მაშასადამე, ბიძინა ივანიშვილის გამოჩენით დამფრთხალი ხელისუფლება იძულებული გახდა, ისეთი ცვლილებები შეეტანა კანონმდებლობაში, რომლითაც რეგულირდება ბანკების საქმიანობა, რომლითაც უეჭველი დაშლის საშიშროების წინაშე დააყენა აქამდე ერთ-ერთ წარმატებულ დარგად მიჩნეული მთელი ეს სისტემა.**

**ესეც მიითვალეთ ანგარიშში, როგორც წლის ერთ-ერთი „გამორჩეული შედეგი").**

**— გავრცელდა ხმები, რომ ბატონი ბიძინა ივანიშვილი შექმნილ სიტუაციაში აღარ დაეხმარება ხელოვნების მუშაკებს, მეცნიერებს, ამიტომ, სანამ დროა, თქვენ თვითონ თქვით უარი ამ დახმარებაზეო, ასეთი რჩევა თუ დავალება მისცეს, მაგალითად, თეატრების მმართველებს.**

— საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც მიიღეს პარტიების დაფინანსების ხაზით, ისეთი ფორმულირებით არის წარმოდგენილი, რომ, ფაქტობრივად, ყველაფერი შეიძლება პარტიასთან დააკავშირონ და აკრძალვა შეიძლება ყველაფერზე გავრცელდეს.

ეს ერთი მხარეა. მეორე: თუ ვინმე უარს იტყვის ბატონ ბიძინას დახმარებაზე, ეს მისი პირადი საქმეა. ბატონი ბიძინა არავის აძალებდა და არც ამის შემდეგ დააძალებს, გინდა თუ არა, მიიღე დახმარებაო...

**— ბიძინა ივანიშვილისთვის და მისი მეუღლისთვის საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევის თემაზე საუბრისას ადვოკატები, რომლებიც ბიძინა ივანიშვილის ინტერესებს იცავენ, აცხადებენ, რომ თუ საქართველოში ვერ იპოვიან სამართალს, სტრასბურგში განაგრძობენ ბრძოლას.**

**თქვენს შემთხვევაში რა მექანიზმები არსებობს საერთაშორისო საბანკო სისტემის მიერ მხარდაჭერის ან ხელისუფლებაზე ზემოქმედების მოსახდენად?**

— თუ საერთაშორისო საზოგადოების ნება იქნება, პრაქტიკულად ყველაფრის შესაძლებლობა არსებობს, მაგრამ დიპლომატიურ სივრცეში ყველაფერი ნელა და ფრთხილად კეთდება. ჩვენ არც ერთ შესაძლებლობას ხელიდან არ ვუშვებთ, რომ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებისთვის, საელჩოებისთვის და ა.შ. ცხადი გავხადოთ ყველაფერი ის, რაც ხდება. და ამ ინფორმირებულობის დონის გაზრდით იძულებული გავხადოთ, გადადგან ქმედითი ნაბიჯები. არ ველოდებით, რომ ეს იქნება დღეს და ხვალ, მაგრამ გარწმუნებთ, რეაქცია — პირდაპირი და მკვეთრი აუცილებლად იქნება.

**— შეშფოთებას გამოთქვამენ?!**

— როცა რომელიმე ავტორიტეტული საერთაშორისო ინსტიტუტი, აღარაფერს ვამბობ ქვეყანაზე, კატეგორიულ განცხადებას გააკეთებს, ამას მოჰყვება შესაბამისი ქმედებაც.

**(არ ვიცი, შეიძლება თუ არა, მოლოდინის რეჟიმი შედეგად ჩაითვალოს, მაგრამ ფაქტი სახეზეა: მიმდინარეობს ბრძოლა, რომელიც გარკვეული სტრატეგიით არის გეზმიცემული და რა დროს როგორ ტაქტიკას გამოიყენებს ბრძოლაში ჩართული მხარე, მივცეთ უფლება, თავად განსაზღვროს. მანამდე კი ერთი შეკითხვა დაზუსტებისთვის).**

**— წინა ინტერვიუში თქვენ თქვით, რომ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებმა ვერ გამონახეს დრო თქვენთან შესახვედრად. შეიცვალა რამე?**

— თქვენმა მკითხველმა განსაჯოს, შეიძლება თუ არა ცვლილება დავარქვათ იმას, რომ **გუშინ მესაუბრა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლის თანაშემწე და მითხრა, რომ 27 დეკემბერს მისი უფროსი გამონახავს დროს ჩემთან შესახვედრად. ვუპასუხე, რომ გაცილებით ადრე მინდოდა მასთან შეხვედრა, მაგრამ არა უშავს, ახალ წელს მაინც მივულოცავთ-მეთქი ერთმანეთს.**

**— მიგაჩნიათ, რომ 11 დეკემბერს გამართული „ქართული ოცნების" პრეზენტაცია, როგორც ზოგიერთი პოლიტმოღვაწე აფასებს, იყო „შეხვედრა წარსულთან"?**

— სიმართლე გითხრათ, ასეთი განცხადება განხილვის ინტერესსაც არ იწვევს ჩემში, არ ვთვლი დასკვნების გაკეთების ღირსად. ამგვარ აზრზე მდგარ პიროვნებებს, თავიანთი პოლიტიკური მოღვაწეობის მანძილზე ჯერ არც ერთი მეტ-ნაკლებად ობიექტური, საფუძვლიანი და აზრიანი განცხადება არ გაუკეთებიათ. ვინმე გოგონამ ან ბიჭუნამ შეიძლება თქვას, რომ ნოდარ ჯავახიშვილი არის შეხვედრა წარსულთან, ასეთ აზრს შეიძლება ჰქონდეს არსებობის უფლება ამ გოგონას ან ბიჭუნას თავში, მაგრამ მეტი — არა. არაფერია ცუდი იმაში, თუ ასაკით, ცხოვრების გამოცდილებით დაბრძენებულ ადამიანებს ჭკუას დაეკითხებიან. ნორმალურ საზოგადოებაში ასეა. სამწუხაროდ, საქართველოში ეს ჭეშმარიტება ზოგისთვის მიუღებელია, ზოგისთვის — საქილიკო. მსოფლიოში კი არანორმალუროგბად ითვლება, ასეთი მაქსიმალიზმი მიუღებელია.

**— ბოლო სიტყვას მოვიდეთ, ბატონო ნოდარ, წლის შეფასების თვალსაზრისით. ხევსურეთში კენჭაობისას მოფარიკავეთაგან ერთ-ერთი მეორეს შემთხვევით თუ გაუსერავდა, ვთქვათ, მკლავს, ჭრილობის მიმყენებელს დაჭრილისთვის იმდენი სული ცხვარი ან საქონელი უნდა მიეცა, რამდენი ხორბლის მარცვალიც ამ ჭრილობაში მიჯრით ჩაეტეოდა. ვინაც თქვენ ბანკს მიაყენა ჭრილობები, ანუ აზარალა, რითი უნდა ზღოს?**

— ვიტყვი ჩემს შეხედულებას, არ ვიცი, როგორ უყურებს ამას პოლიტიკური მოძრაობა. თუ გინდა სამართლიანი სახელმწიფოს აშენება, უსამართლობა უნდა გამოასწორო, სამართლიანობა უნდა აღადგინო, კი არ დაჰპირდე მხოლოდ. ეს იძლევა რწმენას, იმედს და, რაც მთავარია, ქმნის პრევენციის მაგალითს. სამართლიანობის აღდგენა კი ნიშნავს, რომ ქვეყანაში მოქმედი კანონების საფუძველზე ადამიანებმა ჩადენილ დანაშაულზე, თუ არის ასეთი, უნდა აგონ პასუხი.

სამართლიანი სასამართლო ყველას ყოველთვის თავისას მიუზღავს.

**— როგორი გინდათ გათენდეს 1 იანვარი თქვენთვის, საქართველოსთვის?**

— ოცნების განსაკუთრებულ დონეზე უნდა ავიდე, 1 იანვრისთვის მეტ-ნაკლებად ხელშესახებ სიკეთეებს რომ ველოდო. თუმცა დღეს, როგორც ამ ბანკის ხელმძღვანელს, მაქვს პატარა იმედი იმისა, რომ დანაშაულებრივ საკანონმდებლო ცვლილებებს 1 იანვრისთვის გააუქმებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ძალაში დატოვებენ, ეს უმძიმეს ტვირთად დააწვება საქართველოს ეკონომიკას, უწინარეს ყოვლისა, მის საბანკო სისტემას, სერიოზულად დაეცემა ქვეყნის საერთაშორისო იმიჯი.

**(ესეც ერთი შედეგი მოსალოდნელი. დადებითი თუ უარყოფითი, მალე გაირკვევა).**

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

**«გუშინ მესაუბრა საერთაშორისო სავალუტო ფონდის წარმომადგენლის თანაშემწე და მითხრა, რომ 27 დეკემბერს მისი უფროსი გამონახავს დროს ჩემთან შესახვედრად. ვუპასუხე, რომ გაცილებით ადრე მინდოდა მასთან შეხვედრა, მაგრამ არა უშავს, ახალ წელს მაინც მივულოცავთ-მეთქი ერთმანეთს»**

## ბაღდადში აფეთქებებს მსხვერპლი მოჰყვა

**ერაყის დედაქალაქ ბაღდადში აფეთქებებს 63 ადამიანი ემსხვერპლა და 185 დაშავდა. როგორც ერაყის შინაგან საქმეთა მინისტრმა განაცხადა, აფეთქება 14 ადგილზე განხორციელდა.** აფეთქებების რაოდენობამ საგრძნობლად მაშინ იმატა, როდესაც შეერთებულმა შტატებმა ქვეყნიდან ჯარის გაყვანა დაიწყო. დაძაბულობა მთავრობაში არსებულმა პრობლემებმა გამოიწვია. უცნობია, თუ ვინ დგას აფეთქებების უკან. ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ არეულობების უკან სუნიტი მეამბოხეების ჯგუფი დგას.



## სერგეი ივანოვი ადმინისტრაციის უფროსი გახდა

**რუსეთის პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსად სერგეი ივანოვი დაინიშნა.** დიმიტრი მედვედევმა შესაბამის განკარგულებას ხელი უკვე მოაწერა. აქამდე ივანოვს ვიცე-პრემიერის თანამდებობა ეკავა. შეგახსენებთ, რომ 20 დეკემბერს დიმიტრი მედვედევმა თანამდებობიდან პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი სერგეი ნარიშკინი დუმის სპიკერის თანამდებობაზე არჩევასთან დაკავშირებით გაათავისუფლა.

## იაპონიის სანაპიროსთან გემი ჩაიძირა

იაპონიის სანაპიროსთან გემი ჩაიძირა. უცხოური მედიის ინფორმაციით, ბორტზე 8 ადამიანი — რუსეთისა და ინდონეზიის მოქალაქეები იყვნენ. არსებული ცნობით, ყველა მათგანი დაღუპულია. უკვე ნაპოვნია სამი მეზღვაურის ცხედარი. ტრაგედია ღამით მოხდა, როცა გემმა იაპონიის პორტი ვაკანი დატოვა. სამაშველო და სამძებრო ოპერაციაში რამდენიმე საპატრულო კატარღა და ვერტმფრენი მონაწილეობდა. ტრაგედიის მიზეზი ჯერჯერობით უცნობია.

მოკლედ

## თურქეთმა საფრანგეთიდან ელჩი გაიწვია

**პარიზში თურქეთის ელჩმა ტაქსინ ბურჯოღლუმ განაცხადა, რომ სამშობლოში ბრუნდება.** ეს განცხადება მან მას შემდეგ გააკეთა, რაც საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატამ მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომელიც სომხების გენოციდის უარყოფის კრიმინალიზაციას ითვალისწინებს. მედიის ინფორმაციით, ელჩის გაწვევასთან ერთად, პოლიტიკურ დონეზე თურქეთსა და საფრანგეთს შორის გაურკვეველი დროით კონტაქტები გაიყინება და ფრანგული კომპანიების მიმართ სანქციები დაწესდება. ოფიციალური მონაცემებით, თურქეთსა და საფრანგეთს შორის საქონელბრუნვა 13,5 მილიარდ ევროს აჭარბებს, ხოლო ფრანგული მხარის ინვესტიციები თურქულ პროექტებში 6,5 მილიარდს აღწევს.

## სასჯელი გენოციდის არაღიარებისთვის

**საფრანგეთის ნაციონალურმა საკრებულომ, ანუ პარლამენტის ქვედა პალატამ მხარი დაუჭირა კანონპროექტს, რომელიც სომხების გენოციდის უარყოფის შემთხვევაში სისხლისსამართლებრივ პასუხისგებლობას ითვალისწინებს.** კანონპროექტი იმ პირთა მიმართ, რომლებიც სომხების გენოციდს არ აღიარებენ, ერთი წლით თავისუფლების აღკვეთას ან 45 ათასი ევროს ოდენობით ჯარიმას ითვალისწინებს. ქვედა პალატაში მხარდაჭერის შემდეგ ეს კანონპროექტი დასამტკიცებლად საფრანგეთის პარლამენტის ზედა პალატაში — სენატში შედის.

ექსკლუზივი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

ფეხბურთი იყო და უნდა დარჩეს ქართული სპორტის წამყვან სახეობად. აბა, ნახეთ, ჩვენ გარშემო — თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, ჩრდილოეთ კავკასია. ამ ქვეყნებს შორის ყველაზე ძლიერი ფეხბურთელები საქართველოს ჰყავდა.

# ვლადიმერ გუცაევი: ქართულ ფეხბურთს მაღალ დონეებზე გასვლა ძალიან გაუძნელდება

**წარმოგიდგენთ „საქართველო და მსოფლიოს" დღევანდელ რესპონდენტს. თუმცა რა წარდგენა სჭირდება ქართული ფეხბურთის „ოქროს ხანის", „რომანტიკული ქართული ფეხბურთის" თვალსაჩინო წარმომადგენელს, „ფლანგზე თამაშის ვირტუოზს" — ვლადიმერ გუცაევს.**

**ვოვას სავიზიტო ბარათი ასეთია: სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატი, თბილისის „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში 1971 წლიდან 1986 წლამდე თამაშობდა. საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1978 წელს), საბჭოთა კავშირის თასის ორგზის მფლობელი (1976 და 1979 წლებში), სსრ კავშირის ჩემპიონატის მრავალგზის პრიზიორი, საბჭოთა კავშირის ნაკრების წევრი. ექვსჯერ დაასახელეს საბჭოთა კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელს შორის. ევროპის კლუბების თასების მფლობელი 1981 წელს... რა დრო იყო!**


ვლადიმერ გუცაევი „საქართველო და მსოფლიოს" რედაქციაში

**— ახლა რა ხდება, ვოვა, ჩვენს ფეხბურთში?**

— მოკლედ ვერ იტყვი. პირველ რიგში, გლობალური საკითხი: ფეხბურთი დღეს არის ძალიან დიდი ინდუსტრია. თუ დიდი ფული არ ჩაიდო ფეხბურთში, ვერ გახვალ იმ დონეზე, როგორზეც ქართული ფეხბურთი იყო 30 წლის წინათ. მეორე, რამაც ხელი შეუშალა ჩვენს ფეხბურთს, ეს არის საბჭოთა კავშირის დაშლა, რადგან მოიშალა ის მასშტაბი, დიდი სარბიელი, რომლითაც იწრთობოდა და იხვეწებოდა ქვეყნის ფეხბურთი. ბავშვს, რომელიც ფეხბურთელის კარიერისთვის ემზადებოდა, უზარმაზარი ასპარეზი ჰქონდა გასაზრდელად, დასაოსტატებლად: ტარდებოდა უამრავი ტურნირი, თასების გათამაშება და ა. შ. შემდეგ შეიძლება ჩაერიცხათ „ა" კლასის გუნდში, თბილისის „დინამო" იქნებოდა თუ ქუთაისის „ტორპედო", პირველი ლიგის გუნდში, თბილისის „ლოკომოტივი" რომ იყო, ან მეორე ლიგის გუნდებში, საშუალება ეძლეოდა ეთამაშა უძლიერეს გუნდებთან. ასე ნელ-ნელა იზრდებოდა ფეხბურთელი.

დღეს საქართველოს ფეხბურთი ამ ყველაფერს მოკლებულია — არც დიდი ფულია, არც — დიდი მასშტაბი.

**— საკუთარ წვენში ვიხარშებით?**

— ასეა. მაგრამ მიზეზებს რომ მივყვეთ, გაგვიგრძელდება ჩამოთვლა. 30-40 წელიწადი ძალიან გაუძნელდება ქართულ ფეხბურთს მაღალ დონეებზე გასვლა. არ გამოვრიცხავ შემთხვევითობას, შეიძლება ჩვენი რომელიმე საკლუბო გუნდი ან ნაკრები გავიდეს, ვთქვათ, ჯგუფიდან და მოხვდეს ევროპის ფინალში, სხვადასხვა თასის გათამაშების დასკვნით ეტაპზე. მერე რა?

არაფერი, იმიტომ, რომ ევროპაში ისეთი გრანდები თამაშობენ ისეთი დონის ფეხბურთს, რომ ძალიან გაგვიძნელდება, მოგება კი არა, მათ წინააღმდეგ თამაში.

ამის მაგალითია ხორვატიის ნაკრები (შუკერის დროს), ბულგარეთის ნაკრები (სტოიჩკოვის დროს), როცა შეიკრიბა ნიჭიერი ფეხბურთელების ნაკრები, დროის ერთ მონაკვეთში გვაჩვენეს კარგი თამაში, ჰქონდათ შედეგი და შემდეგ ორივემ დათმო პოზიციები.

ასეთი რამ გამორიცხულია ესპანეთში, საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში, სადაც სტაბილური გუნდებია — საკლუბო და ნაკრებიც.

ჩვენ ლოკალურ სივრცეში ვართ ჩაკეტილები, არ გვაქვს საშუალება, ჩამოვიყვანოთ ძლიერი ლეგიონერები, რომლებსაც შეეძლებათ მოაპოვებინონ გუნდებს წარმატება. აგერ თბილისის „დინამოს" მაგალითი: ჩამოიყვანეს ესპანელი მწვრთნელი, ესპანელი ფეხბურთელები...

**— დიდი აჟიოტაჟიც ატეხეს — აღდგაო ძველი „დინამო".**

— ჩამოყვანილი სპორტსმენებით, ესპანელებით სხვა გუნდების შეშინება მოინდომეს, მაგრამ ესპანეთშიც არიან კარგი და ცუდი ფეხბურთელები. კარგი ფეხბურთელები არიან ინიესტა და ხავი, რომლებიც აქ არ ჩამოვლენ, ცუდები კი — ესენი, მარტვილის გუნდთან რომ აგებენ.

**— აფრიკის ფეხბურთელები კოტ დივუარიდან, კონგოდან და ა. შ. მსოფლიოს უდიდეს გუნდებში წამყვან როლს რომ თამაშობენ, რით ავხსნათ?**

— ფეხბურთი ღარიბების თამაშია. ხელმოკლე ოჯახებიდან არიან ტიერი ანრი, ზიდანი, პელე, მარადონა, კრუიფის დედა „აიაქსის" კლუბში დამლაგებლად მუშაობდა. აფრიკელებმა ნახეს, რომ ფეხბურთი არამარტო სპორტია, არამედ სიღარიბის დაძლევის, გამდიდრების, გაჭირვებიდან გამოსვლის საშუალება და წვალობენ, ვარჯიშობენ, თამაშობენ.

**— და როგორც ვხედავთ, თავისას მიაღწიეს. სიღარიბით საქართველოში ვის გააკვირვებ, მაგრამ ფეხბურთი ჩავარდა. ხომ არ ნიშნავს საქართველოში ფეხბურთის დაკნინება, რომ იგი აღარ არის ქართველების სპორტი? გასული საუკუნის დასაწყისში შემოიტანეს ინგლისელებმა, აიდგა ფეხი ფოთში, განვითარდა, გაიზარდა, მიაღწია თავის მწვერვალს და ახლა, როგორც ყველა ცოცხალი ორგანიზმი, ემზადება, რომ მიიცვალოს?**

— დროზე უნდა ვუმკურნალოთ, ასე რომ არ მოხდეს, რადგან ფეხბურთი იყო და უნდა დარჩეს ქართული სპორტის წამყვან სახეობად. აბა, ნახეთ, ჩვენ გარშემო — თურქეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, ჩრდილოეთ კავკასია. ამ ქვეყნებს შორის ყველაზე ძლიერი ფეხბურთელები საქართველოს ჰყავდა.

სომეხი ფეხბურთელებიდან ვინ იყო ცნობილი? ოვივიანი.

**— იშტოიანი.**

— დიახ. ნარა პეტროსიანი, ოგანესიანი, ამბარცუმიანი. საქართველოში მათნაირი, მინიმუმ, 50 ფეხბურთელი იყო.

აზერბაიჯანში — ბანიშევსკი, მარქაროვი, ტუაევი: ერთი — რუსი, ერთი — სომეხი, ერთი — ოსი.

ტალანტებს გაზრდა სჭირდება.

საქართველოს პირველობაზე უმაღლეს ლიგაში მოთამაშე ნებისმიერ გუნდს ბიუჯეტი 10 მილიონი ლარი უნდა ჰქონდეს, ხოლო ტოპგუნდებს, ისეთებს, როგორიცაა თბილისის „დინამო", „ზესტაფონი", — 30 მილიონი მაინც. მილიონ ევროს „ბარსელონა", „რეალი", „მანჩესტერი" ხარჯავს მედიკამენტებში, ფეხბურთელთა სამედიცინო-ბიოლოგიური უზრუნველყოფისთვის. მათი ბიუჯეტი 350 მილიონ ევროს ფარგლებში ტრიალებს. რუსეთშიც და აზერბაიჯანშიც გაუჩნდათ გუნდებს მრავალმილიონიანი ბიუჯეტები.

ამას თუ არ მივაღწიეთ, ფეხბურთს ვერ განვავითარებთ.

**— თქვენმა მოყვარემ, ცნობილმა ფეხბურთელმა რევაზ ძოძუაშვილმა „საქართველო და მსოფლიოსთვის" მიცემულ ინტერვიუში თქვა, რომ დიდ გუნდს დიდი მწვრთნელი ქმნისო. ეთანხმებით?**

— მწვრთნელი უდიდეს როლს თამაშობს გუნდის ჩამოყალიბებაში, მაგრამ იგი უნდა მუშაობდეს ისეთ პირობებში, როგორზეც ვილაპარაკე. ამასთან, უნდა ჰყავდეს სპორტსმენების მაღალი დონის კონტინგენტი. ბევრი მაგალითია, როცა დიდმა მწვრთნელმა ვერაფერი გააკეთა. გერმანიის ნაკრების მწვრთნელმა ჰელმუტ შიონმა 1974 წელს მსოფლიო ჩემპიონი გახადა გუნდი, 1978 წელს კი, იმის გამო, რომ ფეხბურთელები არ ჰყავდა, ჯგუფიდანაც ვერ გავიდა.

სამი მთავარი მომენტია განმსაზღვრელი: ორგანიზაცია (ფინანსური და მატერიალური უზრუნველყოფაც იგულისხმება), კარგი კონტიგენტი და კარგი მწვრთნელი.

**— ფეხბურთის სტატისტიკოსებმა დაითვალეს, რომ „დინამოს" შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის პირველობაზე 1971-1986 წლებში 303 შეხვედრაში მონაწილეობდი და გატანილი გაქვს 47 ბურთი. ყველაზე დასამახსოვრებელი რომელი გოლი იყო?**

— ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც დიუსელდორფში, თასების მფლობელთა თასის ფინალში გატანილი გოლი იყო. იმ თამაშით „დინამომ" დაამტკიცა, რომ ევროპული დონის გუნდი იყო. დაამტკიცა, რომ შენგელიას, ყიფიანის, ხინჩაგაშვილის, ჩივაძის, სულაქველიძის სახით საქართველოს მართლაც მსოფლიო დონის ფეხბურთელები ჰყავდა.

ამ გოლზე უფრო ლამაზი სხვა გოლები გამიტანია, მაგრამ მნიშვნელობით ეს იყო უმთავრესი.

**— რომელიც არ გაგიტანია? ძალიან გინდოდა, მაგრამ ვერ გაიტანე?**

— (*იცინის*) ალბათ, იყო ასეთი. არ მახსოვს.

**— ვფიქრობ, მაგრამ ვერ ვიხსენებ ისეთ გოლს, რომელიც შენი დარტყმის შემდეგ მოწინააღმდეგეს მოხვდა და ავტოგოლად გავიდა?**

— ავტოგოლი? არა... არა მგონია.

**— რაც იყო, შენი იყო სუფთად.**

— ალბათ, ასე იყო.

**— შევცვალოთ თემა. ცნობილია, რომ ქართული ფეხბურთის წარმატებაში მნიშვნელოვანია ოსი ეროვნების სპორტსმენების წვლილი: ანდრო ზაზროევი, ზაურ კალოევი, გურამ ცხოვრებოვი, ვლადიმერ გუცაევი. იყვნენ აფხაზები ნიაზ ძიაფშიბა, მაგალითად...**

— ვიტალი დარასელია აფხაზობდა.

**— დღეს მონონაციონალურია. ხომ არ გავაღარიბეთ ამით ჩვენი ფეხბურთი?**

— ძალიან უარყოფითი გავლენა იქონია სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის პრობლემებმა. ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი წავიდა. აი, მაგალითად, ალან ძაგოევი, ცეესკაში დღეს წარმატებით რომ თამაშობს, კახეთშია დაბადებული. მშობლები იმ ცნობილი ▶

«ჩვენ ლოკალურ სივრცეში ვართ ჩაკეტილები, არ გვაქვს საშუალება, ჩამოვიყვანოთ ძლიერი ლეგიონერები, რომლებსაც შეეძლებათ მოაპოვებინონ გუნდებს წარმატება»

«საქართველოს პირველობაზე უმაღლეს ლიგაში მოთამაშე ნებისმიერ გუნდს ბიუჯეტი 10 მილიონი ლარი უნდა ჰქონდეს, ხოლო ტოპგუნდებს, ისეთებს, როგორიცაა თბილისის «დინამო», «ზესტაფონი», — 30 მილიონი მაინც»


წამიც და გუცაევი ჩამოიტოვებს მოწინააღმდეგეებს

**ქართველ ფეხბურთელებს საკავშირო ნაკრებში ყოველთვის გამორჩეული პოზიცია ეკავათ. ძალიან დიდი პატივისცემით გვეპყრობოდნენ მწვრთნელები, მით უფრო, — სპორტსმენები. ჩვენთან ერთ ოთახში ცხოვრება, მეგობრობა პრივილეგიად ითვლებოდა**

ექსკლუზივი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

◀ მოვლენების დროს ვლადიკავკაზში გადასახლდნენ. მისი ძმა გელაც კარგად თამაშობს. დაიკარგა ფეხბურთის აფხაზეთის სკოლა. პოლიტიკურმა სიტუაციამ ძალიან ცუდი როლი ითამაშა.

**— იმ არეულ წლებში შენ საქართველოდან ვლადიკავკაზში წახვედი.**

— გავერიდე აქაურ სიტუაციას. ჯერ კვიპროსში ვიყავი მწვრთნელად 1991-დან 1994 წლამდე. 1995-1996 წლებში „ალანიის" მწვრთნელად ვმუშაობდი. მაშინ იქით გახედვისაც კი ეშინოდა ხალხს. მე, ალბათ, პირველი ვიყავი, ვინც გავრისკე და აქედან წავიყვანე ფეხბურთელები. არ უნდოდათ, ეშინოდათ, ცუდად მიგვიღებენო და ა. შ., მაგრამ დავარწმუნე, რომ მსგავსი არაფერი იქნებოდა. ჩავიდნენ თუ არა ჩვენები — თეთრაძე, შელია, რევიშვილი, ყაველაშვილი და გრიშიკაშვილი (მეკარე), პირველი დღიდანვე კარგად მიიღეს და ასე იყო ბოლომდე. „ალანია" რუსეთის ჩემპიონი რომ გახდა, მთავარი გმირები ჩვენი ბიჭები იყვნენ. მიშა ყაველაშვილმა, რომელიც ცენტრფორვარდი იყო, 14 გოლი გაიტანა, შელია თეთრაძესთან ერთად ძალიან კარგად თამაშობდა დაცვაში, ნახევარდაცვაში — რევიშვილი. არც ერთის გაშვება არ უნდოდათ გუნდიდან. სხვათა შორის, იქიდან ძალიან კარგ გუნდებში წავიდნენ: ყაველაშვილი და შელია — „მანჩესტერ სიტიში", თეთრაძე — მოსკოვის „დინამოში". მოკლედ, კარგი სკოლა გაიარეს.

**— და კარგადაც დააფასეს. ჩვენმა „დინამომ" თასების მფლობელთა თასი რომ მოიპოვა, ფეხბურთელებს „ვოლგების" ყიდვის საშუალება მოგცეს, „ალანიაში" ყველას „მერსედესები" აჩუქეს.**

— „მერსედესების" გარდა პრემიებიც მოგვცეს, იმ დროისთვის კარგი ფული.

**— „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში რომ ჩაგრიცხეს, ბაზაზე რეზო ძოძუაშვილთან ერთ ოთახში მოხვდი. რა მოგცა რეზოსთან ურთიერთობამ?**

— რეზო ძალიან დიდი პროფესიონალი იყო და არის. დღემდე ფეხბურთი მისთვის ყველაფერია, მაშინ რა იქნებოდა, ხომ წარმოგიდგენია! მისი რეჟიმი მაოცებდა: მთელი დღე ბაზაზე იყო და ემზადებოდა ან პირველი ვარჯიშისთვის, ან მეორე ვარჯიშისთვის, ან თამაშისთვის. თანდათან დავრწმუნდი, რომ, რასაც ის აკეთებდა, ერთადერთი სწორი არჩევანი იყო. სპორტსმენმა, ფეხბურთელთმა თუ სხვა რამეზე დაიწყე ფიქრი, დაკარგული ხარ. მოკვდები როგორც ფეხბურთელი.

დღეს რომ მოდიან ჩემთან მშობლები, ნათესავები და მთხოვენ შვილის მოწყობას გუნდში, კარგ მწვრთნელთან და ა. შ., ბავშვს ვეკითხები: შენ თვითონ გინდა ფეხბურთელობა? ზოგს ჰგონია, დღისით ივარჯიშებ და საღამოს დისკოთეკაზე წახვალ. არა, ბატონო, არ გამოვა ასე. თუ ამ სპორტში ჩაერთვები სერიოზულად, დისკოთეკაზე სამ წელიწადში ერთხელ უნდა წახვიდე. დანარჩენი დრო ფეხბურთისაა.

**— შენი ბიჭობისას ნაძალადევში, სადაც როგორც ფეხბურთელმა აიდგი ფეხი, დისკოთეკა არ იყო, ამანაც ხომ არ შეგიწყო ხელი, ფეხბურთზე რომ ყოფილიყავი კონცენტრირებული?**

— სამაგიეროდ იყო ქუჩა — პლანი, მორფი, დალევა და ასეთი ამბები. ახალგაზრდობის ნახევარი ამით იყო გატაცებული. ჩემთვის ეს მხარე არ არსებობდა. ჩემთვის იყო სკოლა, ფეხბურთი, ვარჯიში.

ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი იყო ჩემ დროს, მაგრამ ნიჭიერების 100 პროცენტიდან ფეხბურთი 15-20 პროცენტმა თუ ითამაშა. დანარჩენები დაიკარგნენ.

**— ეტყობა, ნაძალადევს რაღაც განსაკუთრებული მადლი ჰქონდა, როგორც მომავალი ფეხბურთელების უბანს.**

— ფეხბურთი, როგორც გითხარი, ღარიბების სპორტია. ნაძალადევი თბილისის ღარიბი უბანი იყო ყოველთვის, ყოველ შემთხვევაში, ისეთი არა, როგორც ვაკე, ვერა. ვერის უბნიდან დათო ყიფიანი გამოვიდა, ვაკიდან — არ მახსენდება. ნაძალადევიდან — მიშა მესხი, ზაურ კალოევი, მე, ძმები მაჩაიძეები, საშა ჩივაძე, რამდენიც გინდა! მშობლები მუშაობდნენ და ჩვენ ქუჩაში ბურთს დავდევდით.

**— მკაცრი რეჟიმი თქვი შენ, რომელიც აუცილებელია პროფესიული ოსტატობის მისაღწევად. ამბობენ, მკაცრი მწვრთნელი იყო ვოვა ელოშვილი.**

— ვოვა იყო ბავშვების უდიდესი მწვრთნელი. იმ პერიოდში გრიშა გაგუაც ძალიან ძლიერი იყო, მაგრამ ვოვას ღმერთისგან ნაბოძები უნარი ჰქონდა, ერთი შეხედვით ამოეცნო პატარა ბიჭში ფეხბურთის მომავალი ოსტატი. შემდეგ იმ ბიჭს აწვალებდა, სულ რეჟიმში ჰყავდა, ავარჯიშებდა გაძლიერებულად. ჩვენ, მაგალითად, მოსკოვში სათამაშოდ რომ ჩავდიოდით, ოთახში გვკეტავდა — რამეს ან, ვინმეს რომ არ ვეცდუნებინეთ: გოგოებისა და ალკოჰოლის ცვენა იყო იმ დროს მოსკოვში, ერთად მივყავდით „კულტპოხოდში"... ყველაზე ძლიერი ფეხბურთელები სწორედ ვოვა ელოშვილმა გაზარდა: საშა ჩივაძე, ფირუზ კანთელაძე, ძმები მაჩაიძეები, მალხაზ გაგოშიძე, კოპალეიშვილი, ჭელიძე... მეც მათ შორის.

**— მიშა მესხი?**

— მიშა ავაზელი იყო.

**— ფეხბურთელმა ფეხბურთის გარდა სხვა არაფერზე არ უნდა იფიქროსო. შენ რომ ნიძლავებს დებდი, ის როგორ იყო?**



მიდი და სდიე ახლა გუცაევს...

## კალაძემ კი არა, პელემ და კრუიფმა განაცხადეს, რომ მიდიოდნენ ნაკრებებიდან. კალაძემ დაამთავრა სეზონი, მანამდე ხომ არაფერი უთქვამს? მომდევნო სეზონის დაწყებამდე, ფაქტობრივად, ერთი წელიწადია. რას ერჩიან კალაძეს, ვერ გამიგია. მაგრამ ეს ბოროტები ერჩიან

— მე არ მითქვამს, რომ იუმორის გრძნობა უნდა დაკარგოსო. როცა ნიძლავს ვდებდი გოლის გატანაზე, ესე იგი, ფეხბურთზე ვფიქრობდი (*იცინის*).

ლერი ნამგალაძეს ხომ იცნობდი?

**— ერთი პერიოდი ვამხანაგობდით კიდეც.**

— კოლორიტული პიროვნება იყო, ცოტა მოძველბიჭო. ბოლოს ციხეში მოკლეს... კარგად ჩაცმა უყვარდა. ერთხელაც მოვიდა და მეუბნება, დავდოთ ნიძლავი, თუ ამ თამაშში ბურთს ვერ გაიტან, „პაეზდკიდან" საროჩკას ჩამომიტან, გაიტან — ფულს მოიგებ. სერიოზულ თამაშებზე მოდიოდა ნიძლავის დასადებად. სულ ვუგებდი.

ბოლოს დუსელდორფის ფინალის წინ მოვიდა. ვუთხარი, ხომ იცი, რას ნიშნავს ამ თამაშში ბურთის გატანა და „სტავკა" 2000 მანეთი იქნებამეთქი. დამეთანხმა. პირველი ბურთი მე გავიტანე. ლერიმ წააგო. მაგრამ, მგონია, ამ წაგებით მაინც და მაინც ნაწყენი არ დარჩენილა.

„ცირკი" „ლივერპულთან" რომ მოვიგეთ, მაშინ იყო.

**— სამით ნოლი, არა?**

— დიახ. მაშინაც დანიძლავებულები ვიყავით. თუ გახსოვს, დათომ ჩამოაწოდა ლივერპულის საჯარიმოში, მე და შენგელია გავიქეცით ამ ბურთზე. მოვინდომე, დავასწარი, დავარტყი და გავიტანე. ფეხზე წამოვარდა ხალხი, ოვაციაა. ლერი ზის. დაინახა, რომ ბურთი მე გავიტანე, მაგრამ არ უნდა, რომ დაიჯეროს, 1000 მანეთს აგებს. ფარული იმედით ეკითხება მაყურებლებს — ბურთი ვინ გაიტანა, ვინ გაიტანაო. გუცაევმაო, რომ უთხრეს, აყვირდა, მაგის დედაცო... გუცაევს დედა შეაგინაო, ეცა ხალხი, კინაღამ მოკლეს. ხალხმა არ იცოდა, რა გაჭირვება აყვირებდა ლერი ნამგალაძეს (*გულიანად იცინის*).

**— კალაძის წასვლას ნაკრების კაპიტნობიდან როგორ აფასებ?**

— ნორმალურად ვაფასებ. კალაძემ კი არა, პელემ და კრუიფმა განაცხადეს, რომ მიდიოდნენ ნაკრებებიდან. კალაძემ დაამთავრა სეზონი, მანამდე ხომ არაფერი უთქვამს? მომდევნო სეზონის დაწყებამდე, ფაქტობრივად, ერთი წელიწადია. რას ერჩიან კალაძეს, ვერ გამიგია. მაგრამ ეს ბოროტები ერჩიან. ნესტამაც, მალდინიმაც ასე დატოვეს დიდი ფეხბურთი თავის დროზე. ამ დონის ფეხბურთელებს უდიდესი ფიზიკური და ფსიქოლოგიური დატვირთვა აქვთ. კალაძე 34 წლის გახდება მომავალი ციკლის დასაწყისში. აღარ შეუძლია ასეთი დატვირთვის ატანა, განსაკუთრებით, — ნაკრებში. დარჩა იტალიურ კლუბში. თავისი სიტყვა თქვა: ჩემპიონთა ლიგაში „მილანის" შემადგენლობაში ორჯერ გახდა ჩემპიონი, იტალიის ჩემპიონატები მოიგო და ა.შ., მადლობის მეტი რა ეკუთვნის!

**— მაგრამ გამოდიან ჩვენი სპორტის მინისტრი, ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი და გმობენ მის საქციელს, რაღაც ფორმალობა არ დაიცვაო და ა. შ.**

— მინისტრიც და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტიც ისე შორს არიან ფეხბურთისგან, როგორც მე და შენ ჩრდილოეთ პოლუსისგან. ამიტომ მათ ნათქვამს სერიოზულად არ აღვიქვამ. ის გამიკვირდა, როცა კალაძეს შეუტიეს, არც ერთი ფეხბურთელი არ ალაპარაკეს. იმავე ფედერაციაში არიან მურთაზ ხურცილავა, საშა ჩივაძე, არველაძეც იქ არის, ჩვენც შორს არ ვართ, მაგრამ ალაპარაკეს ისინი, ვისაც ბურთისთვის ფეხი არ დაურტყია.

შენ ხომ დაგირტყია?

**— თბილისის სკოლების ტურნირის ფინალში „დინამოს" სტადიონზე მითამაშია ვაჟთა პირველი სკოლის ნაკრებში და ხუთით ერთი წაგვიგია** (*ვიცინით*).

— ფეხბურთი ისეთი ხალხის ხელშია, რომ იმათგან არაფერი არ უნდა გაგიკვირდეს...

**— ხომ არ მოკვდა ქართველ ხალხში ინტერესი ქართული ფეხბურთისადმი?**

— ერთ რამეს გეტყვი. ქუჩაში რომ გავივლი ხოლმე, ათასი კაცი მაჩერებს, ზოგი მკოცნის, ზოგი ტირის, ზოგი მადლობას მეუბნება, ისე ენატრებათ ფეხბურთი.

ხალხს რა უნდა? ხალხი დადის ფეხბურთზე ფეხბურთელების საყურებლად. „ბარსელონას" გულშემატკივარი სტადიონზე მიდის მესის, ხავის, ინიესტას თამაშის სანახავად. საქართველოში ხალხი „დინამოზე" მოდიოდა მიშა მესხის სანახავად, ზაურას სანახავად, მეტრეველის, იამანიძის, კოტრიკაძის სანახავად. მერე ჩემი პლეადა მოვიდა: ყიფიანის, დარასელიას, შენგელიას და ჩემ სანახავადაც დადიოდა გულშემატკივარი მატჩებზე. 74-ათასიანი სტადიონი არ ჰყოფნიდა მაყურებელს. როგორც კი პიროვნებები გაქრნენ, გაქრა ფეხბურთიც.

**— ტატუშინი რომ წავიდა საბჭოთა კავშირის ნაკრებიდან, ეგონათ, რომ დამთავრდა „ფლანგებზე თამაშის ვირტუოზების" ხანა, მაგრამ მოვიდა ვლადიმერ გუცაევი და ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ასე წერენ სპორტული ჟურნალისტები.**

— ტატუშინი კი არა, ჩვენ გვყავდა ისეთი გარემარბები, რომ ტატუშინი რა მოსატანია: მიშა მესხისა და სლავა მეტრეველისთანა „კრაი" ხომ მარტო ლეგენდარული გარინჩა იყო! იმათ შემდეგ მე მოვედი: სლავამ 1971 წელს თავისი მაისური გადმომცა და დიდ ფეხბურთში გზა დამილოცა.

**— როგორი ურთიერთობები გქონდათ საბჭოთა კავშირის ნაკრების ფეხბურთელებთან?**

— ქართველ ფეხბურთელებს საკავშირო ნაკრებში ყოველთვის გამორჩეული პოზიცია ეკავათ. ძალიან დიდი პატივისცემით გვეპყრობოდნენ მწვრთნელები, მით უფრო, — სპორტსმენები. ჩვენთან ერთ ოთახში ცხოვრება, მეგობრობა პრივილეგიად ითვლებოდა ისეთი ფეხბურთელებისთვის, როგორებიც იყვნენ დასაევი, გავრილოვი, ბლოხინი, ბურიაკი და ა. შ. ბესკოვი და ლობანოვსკი ზოგჯერ ძირითად შემადგენლობაში არ გვაყენებდნენ. არა მგონია იმიტომ, რომ არ გვაფასებდნენ. ალბათ, სხვა მიზეზები იყო, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მეც, დათო ყიფიანიც, შენგელიაც, დანარჩენებიც ღირსი ვიყავით, ძირითადში გვეთამაშა ყოველთვის.

გყავდეს ასეთი თავდასხმელები, პლიუს ბლოხინი, რომლებმაც ევროპა აალაპარაკეს, გაამაგრო წინა ხაზი, ამის ნაცვლად მოიყვანო ვილაც ჩესნოკოვები, ანდრეევები, რომლებიც დღეს დაკარგულები არიან და არავის ახსოვს, უგნურებაა და სიბეცე. ჩვენი შემადგენლობით რომ გამოსულიყო ნაკრები, უდიდეს წარმატებებს მიაღწევდა.

**— ჩრდილოეთ ოსეთში თუ ჩასულხარ მას შემდეგ, რაც „ალანიიდან" წამოხვედი?**

— არაერთხელ და ჩემდამი დამოკიდებულება იმაზე ნაკლები არ ყოფილა, რასაც საქართველოში ვგრძნობ.

**— ფეხბურთთან ახლა რა ურთიერთობა აქვს ვლადიმერ გუცაევს?**

— ფედერაციის დღევანდელ ხელმძღვანელობას, როგორც საერთოდ ქვეყნის ხელისუფლებას, ხელს არ აძლევს ავტორიტეტებთან ურთიერთობა. ჩივაძე იქ არის, ხურცილავაც, და არაფერს ეკითხებიან. ეშინიათ, ეტყობა, რომ მათ ჩრდილში საერთოდ არ გამოჩნდებიან. შარშანდლამდე ცხრამეტწლიანების ნაკრების მწვრთნელი ვიყავი. გაბელია ჰყავდათ აქამდე მწვრთნელად, ისიც გააგდეს; დაიტოვეს ისეთივე ტიპები, როგორებიც თვითონ არიან.

დაველოდოთ უკეთეს დროებას.

ესაუბრა
**არმაზ სანებლიძე**

## «მინისტრიც და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტიც ისე შორს არიან ფეხბურთისგან, როგორც მე და შენ ჩრდილოეთ პოლუსისგან»

## ბოლოთქმის ნაცვლად

**1971 წლის შემოდგომაზე გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" რედაქციაში, რომლის რედაქტორიც ვიყავი მაშინ, მოიყვანეს 19 წლის ბიჭი, ქართული ფეხბურთის იმედი და ამომავალი ვარსკვლავი ვოვა გუცაევი. ძალიან მორიდებული იყო. ვისაუბრეთ, თუ საუბარი შეიძლება ვუწოდოთ მის მოკრძალებულ ხოს და არას.**

**40 წელიწადი გავიდა მას შემდეგ და თითქოს გუშინ იყო, ისე გავაგრძელეთ მაშინ დაწყებული საუბარი... უკეთესი დროის მოლოდინზე შევთანხმდით.**

**დრო ფარდობითი ცნებაა.**

**ა.ს.**

## ამბები

**GEWORLD.GE-ს მიხედვით**

www.geworld.net

თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# რასიზმისა და ეკლესიის დაწვისთვის — 14 წელი პატიმრობა

**Associated Press-ის ინფორმაციით, თეთრკანიან ამერიკელს, მაიკლ ჟაკს, რომელმაც ეკლესია დაწვა, სასამართლომ 13 წელი და 10 თვე მიუსაჯა. ეკლესიის მრევლი აფროამერიკული იყო. მაიკლ ჟაკის საქციელი ბრალდების მხარემ იმით ახსნა, რომ ამგვარად მან აშშ–ის პრეზიდენტად შავკანიანი ობამას არჩევა გააპროტესტა.** ბრალდებულმა, აგრეთვე, 1,6 მილიონი დოლარი უნდა გადაუხადოს ეკლესიას და სადაზღვევო კომპანიას. 27 წლის მაიკლ ჟაკმა ორ თანამზრახველთან ერთად ეკლესიას ცეცხლი ობამას არჩევის ღამეს, 2008 წლის 4 ნოემბერს წაუკიდა. მისმა ერთ–ერთმა თანამზრახველმა ბრალი აღიარა. მას 9 წელი მიუსაჯეს. მაიკლ ჟაკი ბრალს უარყოფს და ამტკიცებს, რომ იმ ღამეს შინ იმყოფებოდა. მისი ადვოკატი განაჩენის გასაჩივრებას აპირებს.

# იუსტიციის სახლი თეატრის ადგილზე



**„თავისუფალი საქართველოს“ კახეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი მოსიაშვილის ინფორმაციით, თელავში იუსტიციის სახლი ძველი თეატრის შენობის ადგილას შენდება.**

„ხელისუფლების მაღალი ეშელონებიდან გაცხადებული იქნა, რომ თელავის ცენტრში იუსტიციის სახლი აშენდება. ეს ერთი შეხედვით კარგი და მხოლოდ მისასალმებელი ამბავია, მაგრამ ხელისუფლებამ არ განაცხადა, რის სანაცვლოდ ააგებდა შენობას. ეს არც მეტი, არც ნაკლები თელაველებისთვის საყვარელი „ძველი თეატრია“, რომელიც დანგრევამდე კულტურის სახლის ფუნქციას ასრულებდა. შენობა 2008 წლის იანვრამდე თელავის მუნიციპალიტეტის ბალანსზე ირიცხებოდა, ვიდრე მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ შენობის გაყიდვის დავალება არ მიიღო.

როგორც გვაუწყეს, ძველი თეატრის შენობა კეთილშობილური მიზნისთვის იყიდება, რასაც მაშინ „თელავი სითის“ პროექტი დაარქვეს. შენობა ტენდერზე 100 000 დოლარის ექვივალენტად ლარებში გაყიდეს, როცა მისი საბაზრო ღირებულება გაცილებით მაღალი იყო. საფუძვლიანი ეჭვი ჩნდება, რომ საქმე კორუფციასთან გვაქვს, მაგრამ ეს კორუფციული ჯაჭვი ყიდვით არ მთავრდება. ორიოდე წლის შემდეგ, უკვე ცენტრალური ხელისუფლება იღებს გადაწყვეტილებას, ადრე გაყიდული შენობა-ნაგებობა გამოისყიდოს და მის ადგილზე იუსტიციის სახლი აღმართოს. ჩვენ დავინტერესდით, რა თანხად მოხდა გამოსყიდვა და ჯერ იუსტიციის სამინისტროდან, ხოლო შემდეგ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან გამოვითხოვეთ საჯარო ინფორმაცია, მაგრამ ვერ მივიღეთ“, — აცხადებს „თავისუფალი საქართველოს“ კახეთის ორგანიზაციის თავმჯდომარე გიორგი მოსიაშვილი.

# მესტიის ბიუჯეტში პოლიციის დაფინანსება ორმაგდება

**მესტიის ბიუჯეტის პროექტში, რომელიც საკრებულომ 1 იანვრამდე უნდა მიიღოს, შს სამინისტროს ადგილობრივი ორგანოების დაფინანსება 100%-ით გაიზარდა და თანხა მთლიანობაში 108 ათას ლარს შეადგენს. შარშან შსს-ს ორგანოებისთვის გამოყოფილი თანხა 50 ათასი ლარით იყო განსაზღვრული.**



tspress.ge- ს ინფორმაციით, მესტიაში საარჩევნო წელს ასევე გაზრდილია სარეზერვო ფონდი. ის შარშანდელთან შედარებით 50 %-ით გაიზარდა. გაზრდილია საკრებულოსა და გამგეობის ხელფასებისა და ხარჯებისთვის გამოყოფილი თანხის ოდენობაც. 90%-ით იზრდება სპორტული და კულტურული ღონისძიებებისთვის გამოყოფილი თანხები. ეს თანხა შარშან 360 ათას ლარს შეადგენდა, წელს კი 640 ათასი ლარია.

მესტიის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი 3,7 მილიონ ლარს შეადგენს. აქედან საკუთარი სახსრები 340 ათასი ლარია, დანარჩენ თანხას კი მესტია სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიიღებს.

2011 წელს მესტიის ბიუჯეტმა 12 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა, აქედან 11,9 მილიონი სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული გრანტები იყო.

ყველაზე საინტერესო კი ის არის, რომ მესტიის ბიუჯეტის პროექტი, ინტერნეტის არქონის გამო, მესტიის საკრებულომ ვებგვერდზე ვერ ატვირთა და tspress.ge-ს მიერ პროექტის წერილობით მოთხოვნას ვერც ელექტრონულად უპასუხა.

**„საკრებულოში მხოლოდ ერთი მაგთიფიქსის მოდემი გვაქვს, ინტერნეტი იმდენად ნელია, რომ დოკუმენტის ატვირთვა ვერ მოვახერხეთ“,** — განაცხადა მესტიის საკრებულოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ირმა ჯაჭვლიანმა და 10-დღიანი ლოდინის შემდეგ, მესტიის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი, tspress.ge-ს „მარშრუტკით“ მიაწოდა.

საკრებულოს ოფიციალური ვებგვერდი ბოლოს 29 ნოემბერს განახლდა, ბოლო ინფორმაციად ვებგვერდზე ნოემბერში ჩატარებული საკრებულოს სხდომა დევს. ვებგვერდზე განთავსებული არაა საკრებულოს მიერ მიღებული არც ერთი სამართლებრივი დოკუმენტი. ჯაჭვლიანის თქმით, მდგომარეობა იანვრიდან მას შემდეგ გამოსწორდება, რაც საკრებულო ახალ შენობაში გადავა და ინტერნეტის პრობლემა მოგვარდება.

# ხელისუფლება არასამთავრობო სექტორს დაფინანსების საშუალებას უსპობს

**პარტიების დაფინანსების კანონპროექტთან დაკავშირებით საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია), „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ და სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ (ISFED) შენიშვნები გამოაქვეყნეს.**

მათი შეფასებით, კანონპროექტით შემოთავაზებული ცვლილებების ნაწილი დადებითია და საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების რეკომენდაციებს პასუხობს, თუმცა მასში არის ხარვეზები და ბუნდოვანებები, რომელთა დაზუსტება და შეცვლა არანაკლებ მნიშვნელოვანია. განცხადების მიხედვით, განსაკუთრებით საყურადღებოა პოლიტიკური პარტიებისა და მათთან დაკავშირებული იურიდიული პირების საკითხი.

პოლიტიკური პარტიისთვის დადგენილი ფინანსური შეზღუდვები და ანგარიშგების ვალდებულებები ვრცელდება პარტიებთან დაკავშირებულ იურიდიულ პირებზე, მათ შორის არასამეწარმეო (არაკომერციულ) პირებზე. მსგავსი შეზღუდვები დაწესებულია იურიდიულ პირზეც, რომელიც წარმომადგენლის ან სხვა პირის მეშვეობით მოუწოდებს ამომრჩეველს რომელიმე პოლიტიკური ძალის მხარდაჭერის ან მხარდაჭერისაგან თავის შეკავებისკენ. მაგალითად: კანონპროექტის მიხედვით შესაძლებელია, რომ იმ შემთხვევაში, თუ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი რომელიმე საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერ მოწოდებას გააჟღერებს, შეუწყდეს უფლება, მიიღოს შემოწირულობა ნებისმიერი იურიდიული პირისაგან.

ასეთი შეზღუდვა მით უფრო აბსურდულია მაშინ, როდესაც საჯარო მოხელეებიც კი არ იზღუდებიან წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობისგან, თუ უშუალოდ არ ასრულებენ სამსახურებრივ უფლებამოსილებას. გარდაამისა, ასეთი დებულებების არსებობა საჭიროების შემთხვევაში მათი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

არასამთავრობო ორგანიზაციები მიუთითებენ, რომ 19 დეკემბერს პროექტი წამყვან იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომაზე პირველი მოსმენით ისე მიიღეს, რომ კომიტეტის სხდომისა და დღის წესრიგის შესახებ ინფორმაცია არ გამოქვეყნებულა, რითაც უხეშად დაირღვა კანონი.

ნიშანდობლივია ისიც, რომ პროექტის ინიცირების შემდეგ (2011 წლის 12 დეკემბერი) სულ ერთ კვირაში იგი პირველი მოსმენით მიიღეს.

# ყოფილმა გამგებელმა დანაშაული აღიარა

**ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ყოფილი გამგებლის, გიორგი ტაკიძის სასამართლო პროცესი საპროცესო გარიგებით დასრულდა.**

„გურია ნიუსის“ ინფორმაციით, სამთვიანი მოლაპარაკებების შემდეგ, გიორგი ტაკიძის ადვოკატსა და პროკურატურას შორის გარიგება გაფორმდა, რომლის თანახმადაც, ოზურგეთის ყოფილ გამგებელს სასჯელის ზომად 2 წელი და 6 თვე შეეფარდა, საპროცესო შეთანხმების თანხა კი 25 000 ლარის ოდენობით განისაზღვრა.

დამნაშავედ ცნეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი მერაბ კურდღელაშვილიც. მას პირობითი სასჯელი შეეფარდა ერთი წლის ვადით, საპროცესო გარიგების თანხად კი 5 000 ლარი.

დღევანდელი სასამართლო პროცესი საკმაოდ დაძაბულ ვითარებაში წარიმართა, მას შემდეგ კი, რაც მოსამართლემ განაჩენი გამოაცხადა, სიტუაცია კიდევ უფრო მეტად დაიძაბა — მერაბ კურდღელაშვილს გიორგი ტაკიძის ახლობლების მხრიდან არაერთი შეურაცხმყოფელი განცხადების მოსმენა მოუხდა.

**„ჩემზე დაწერეს, თითქოს მე გცემე. ნეტავ, მართლა მეცემე! როგორ აპირებ ცხოვრებას ამხელა ცოდვით?“** — ასეთი სიტყვებით მიმართა ტაკიძის დედამ კურდღელაშვილს.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი გიორგი ტაკიძე საქართველოს მთავარი პროკურატურის ანტიკორუფციული დეპარტამენტის თანამშრომლებმა საკუთარ სახლში 4 აგვისტოს, დილის საათებში აიყვანეს. ოფიციალური ინფორმაციით, მას დიდი ოდენობით ქრთამის აღება და 180 000 ლარის მითვისებაში თანამონაწილეობა ედება ბრალად. ქრთამის მიღების სანაცვლოდ, როგორც ამას დასუფთავების სამსახურის ყოფილი ხელმძღვანელი მერაბ კურდღელაშვილი აღიარებით ჩვენებაში ამბობს, 1 მილიონ 100 ათასი ლარის მომსახურების შესყიდვაზე ხელშეკრულების გაფორმების ლობირება იყო.

# Bank of America კლიენტების დისკრიმინაციის გამო დააჯარიმეს

**ამერიკის შეერთებული შტატების გენერალურმა პროკურატურამ Bank of America-ს ერთ-ერთი განყოფილება 335 მილიონი დოლარით დააჯარიმა.**




მიზეზი აფროამერიკელი და ლათინოამერიკელი კლიენტების დისკრიმინაციაა. commersant-ის ინფორმაციით, საუბარია იპოთეკურ ბანკ Countrywide-ზე, რომელიც კრედიტებს თეთრი კლიენტებისთვის გაცილებით ნაკლები საპროცენტო განაკვეთით გასცემდა, ვიდრე აფროამერიკელებისა და ლათინური ამერიკის მცხოვრებლებისთვის.

სასამართლოს გადაწყვეტილებით, 200 ათასზე მეტი კლიენტი მორალური და მატერიალური ზარალის კომპენსაციას მიიღებს. **გენპროკურატურის განცხადების თანახმად, Countrywide-ის მაგალითმა ბანკებს უნდა დაანახოს, რაც ელით მათ მორალური ეთიკისა და ფინანსური დისციპლინის დარღვევისთვის. რასობრივი ნიშნით იპოთეკური განაკვეთის გაზრდა 2004-2008 წლებშიც ხდებოდა, ვიდრე Bank of America Countrywide-ს შეიძენდა.**

ამბები
GEWORLD.GE-ს მიხედვით
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ამერიკელმა ჯარისკაცმა დაცინვას ვერ გაუძლო და თავი მოიკლა



**ავღანეთში დისლოცირებული ამერიკული სამხედრო კონტინგენტის 8 სამხედრო მოსამსახურეს ბრალი ჯარისკაცის თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლით წაუყენეს. ამის შესახებ ინფორმაციას აშშ-ის თავდაცვის სამინისტრო საკუთარ საიტზე აქვეყნებს.** 19 წლის რიგით დენი ჩენს სისტემატურად აყენებდნენ შეურაცხყოფას მისი ეთნიკური წარმოშობის გამო. იგი ჩინელი ემიგრანტების ოჯახში დაიბადა და ნიუ იორკის ჩაინა ტაუნში ცხოვრობდა. მისი ცხედარი ქალაქ ყანდაღარში ოქტომბერში იპოვეს.

# როგორ «ჩუქნიან» სახელმწიფოს მიწებს

**ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ღრმაღელის ყოფილი რწმუნებული ბადრი კუტალაშვილი საკუთარი მიწის ნაკვეთის გაყიდვასთან დაკავშირებით სკანდალურ განცხადებებს აკეთებს. როგორც ბადრი კუტალაშვილი ამბობს, მას პრობლემები შეუქმნეს და, როგორც „ნაციონალურ მთავრობას“ სჩვევია, მისგან ნაკვეთის ჩუქებასაც მოითხოვდნენ.**



**„ლანჩხუთში, ჟურნალისტები აღმოჩნდით გამონაკლისები, რომლებიც ჩემთან არ მოსულხართ და რჩევისა თუ მუქარის სახით არ გითქვამთ, რომ გრიგოლეთში ჩემს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი სახელმწიფოსთვის მეჩუქებინა. ეს არის გრიგოლეთის ტერიტორიაზე 4 500 კვ.მ მიწის ნაკვეთი. გრიგოლეთში პორტის მშენებლობა კარგად გაპიარდა და დღეს ეს პორტი უკვე აშენებული უნდა იყოს. ამ პორტის გამო, როგორც ჩანს, ჩემი მიწის ნაკვეთი იყო საჭირო მათთვის. მე და კიდევ რამდენიმე პიროვნება, რადგან არ დავთანხმდით მათ მიზერულ ფასებს, გამოვედით სახელმწიფო პოლიტიკის მოწინააღმდეგეები და ხელშემშლელები,“** – განუცხადა კუტალაშვილმა „გურია ნიუსის“ ჟურნალისტებს.

მისი თქმით, საუბარი იყო 25 დოლარზე კვადრატულ მეტრში, თუმცა თანხის პირდაპირი შემოთავაზება არ ყოფილა. შემდგომში კუტალაშვილი ახალ წელს სუფსის პოლიციაში დაიბარეს და აიძულებდნენ, ნაკვეთი სახელმწიფოსთვის ეჩუქებინა. შენც რომ არ იწვალო და ჩვენც არ გვაწვალო, მოდი, ეს ნაკვეთი სახელმწიფოს აჩუქეო. რა „გაახურე“ საქმე, ხალხმა სახელმწიფოს მილიონები აჩუქაო, არწმუნებდა პროკურორი ყოფილ რწმუნებულს.

**„ამ ზაფხულს ინგლისიდან ჩამოვიდა ჩემი შვილის მეგობარი, რომელიც ლანჩხუთში ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესდა. ერთ-ერთი აღმოჩნდა მიწის ნაკვეთი გრიგოლეთში, სადაც სურს გაზის სატუმბი სადგურის გაკეთება. 19 ოქტომბერს მივედით ფოთის საჯარო რეესტრში, რათა გადამეფორმებინა ეს ნაკვეთი ბრიტანეთის მოქალაქეზე. 23-24-ში პასუხი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ვერ მივიღე. თურმე დაიბლოკა ჩემი საქმე. ჩიხში შემიყვანეს და ჩაიშალა მოლაპარაკება. როცა სააკაშვილმა ღრმაღელეში წააგო, გამგებელმა ჩემი რწმუნებულის პოსტიდან გაშვება მოითხოვა. არადა, არაფერი გააკეთეს და ხმა საერთოდ რომ ავიღეთ, ესეც გასაკვირია. თავად მაშინ გამგებელი არ იყო, პეტრიაშვილის კაბინეტში რომ იჯდა, იქ იღებდა ხალხს. თურმე ეძებს ჩემს შემცვლელს. მე ვუთხარი, არ ვარ არენიდან წაგებულ წასვლას მიჩვეული, საპარლამენტოს მოვიგებ და წავალ-მეთქი. არა, განცხადება დაწერეო. არ დავწერე, მაგრამ მალე გრიპი დამემართა და ერთი კვირა ბიულეტენზე ვიყავი. თურმე უნდა გამეფრთხილებინა ესენი. ისარგებლეს ამით და გამიშვეს,“** — აღნიშნა კუტალაშვილმა.

„გურია ნიუსი“ კომენტარისთვის ლანჩხუთის გამგებელ გიორგი გოგუაძეს დაუკავშირდა.

მან ბადრი კუტალაშვილის საქმესთან ყოველგვარი კავშირი უარყო. **„ვერავინ იტყვის, რომ ჩემი მხრიდან მასზე ზეწოლას ჰქონდა ადგილი და ამ მიწასთან დაკავშირებით რაიმე თხოვნა მქონდა. მაგ ადამიანმა, შესაძლოა, კიდევ ბევრი რამ დამაბრალოს,“** – განაცხადა მან.

# მეთიუ ბრაიზას, შესაძლოა, ბაქო დაატოვებინონ



არიელ კოენი

**სააგენტო Trend-ის ინფორმაციით, 2010 წლის 29 დეკემბერს პრეზიდენტ ობამას მიერ აზერბაიჯანში აშშ-ის ელჩად დანიშნული მეთიუ ბრაიზა, შესაძლოა, გაიწვიონ. გამოცემას რუსეთის, ევრაზიისა და ენერგეტიკული პოლიტიკის ექსპერტი არიელ კოენი ესაუბრა.**

**„დაუშვებელია, რომ ამერიკის პრეზიდენტს რომელიმე ეთნიკური ჯგუფი კარნახობდეს, თუ ვინ დაინიშნოს ელჩად,“** — აცხადებს კოენი. ბრაიზა ელჩად პრეზიდენტმა ობამამ პირადი განკარგულებით, სენატის გვერდის ავლით დანიშნა. სენატი, თავის მხრივ, სომხური ლობის ზეწოლით რამდენიმე თვის განმავლობაში ბლოკავდა ბრაიზას დამტკიცებას. თუ უახლოეს მომავალში სენატმა იგი ელჩის თანამდებობაზე არ დაამტკიცა, ბრაიზას აზერბაიჯანიდან გაიწვევენ.

არიელ კოენის აზრით, ბრაიზას გაწვევა ამერიკის საგარეოპოლიტიკური ინტერესებისთვის მეტად საზიანო იქნება. „იმედი მაქვს, მისი ადგილმონაცვლე ისეთივე კარგი იქნება, როგორც ბრაიზა, თუმცა, სადაც უნდა იმუშაოს მეთიუმ, იგი მისი დამსაქმებლისა და აშშ-ისთვის ყოველთვის სასარგებლო იქნება,“ — განაცხადა არიელ კოენმა.

# ტელეკომპანია „გურიის“ პროდიუსერი კომპანიის გასხვისებაში თავს იდანაშაულებს

**ტელეკომპანია „გურიაში“ ახალი მენეჯმენტის მისვლიდან რამდენიმე დღეში ხელისუფლებამ ვანო ჩხარტიშვილსა და ოპოზიციას ტელეკომპანია უზენაესი სასამართლოს მეშვეობით ჩამოართვა. ხელისუფლებამ ძველი დავა გამოიყენა და მარინა ვასილევას ისე მიაკუთვნა სიორიძეების ტელეკომპანია, რომ მოდავეს ეს საერთოდ არ მოუთხოვია — იგი მხოლოდ ფინანსურ ანაზღაურებას ითხოვდა.**

შემდეგ მოთხოვნილი თანხის მესამედ ფასად ტელეკომპანია საამშენებლო მასალებით მოვაჭრე „დემასის“ საკუთრება აღმოჩნდა. საბოლოოდ, ვასილევაც დაზარალდა და სიორიძეებიც. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ „მოგებული მხარის“ ინტერესებს ადვოკატი მირდატ ქამადაძე იცავდა, რომელიც ფოტორეპორტიორების საქმეში (გიორგი აბდალაძის დასაცავად) იმ დროს ჩაერთო, როცა ხელისუფლებას ყველაზე მეტად სჭირდებოდა, რადგან ოჯახის მიერ დაქირავებულმა ადვოკატებმა სახელისუფლო თამაშში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს.

ტელეკომპანიის რამდენიმედღიანი მთავარი პროდიუსერი ელდარ მდინარაძე თვლის, რომ ყველაფერი პოლიტიკას უკავშირდება.

**„საერთოდ, ყველაფერი პოლიტიკას უკავშირდება. რა თქმა უნდა, იყო ძველი დავაც, თუმცა ეს ახლა გამოიყენეს. ყველა ვადა გასული იყო, 6 თვის განმავლობაში არაფერი მომხდარა და უკვე 18 თვის შემდეგ, როცა დასჭირდათ, ისევ ჩამოართვეს სიორიძეებს. არ დაუძახეს მხარეებს, რადგან იქ შესაძლებელია მოლაპარაკებულიყვნენ, ამის ყველა წინაპირობა იყო, მაგრამ ვიღაცას არ აწყობდა ეს, სავარაუდოდ. ტელეკომპანია დაუბრუნეს იმ ქალბატონს და მაშინვე მესამე პირს გადასცეს. უფრო ზუსტად, იქვე გაყიდა მხარემ. მერაბ სიორიძესთან ახლო ურთიერთობა მაქვს, ამჟამად იგი უკრაინაშია და ჩემი ძმის კომპანიაში მუშაობს. ახლა დიდ უხერხულობაში ვარ ჩავარდნილი! მივდიოდი ტელევიზიაში, რომ კარგი არხი გაგვეკეთებინა. ახლა გამოდის, რომ ჩემ გამო წაართვეს ტელეკომპანია ამ ხალხს. უხერხულად ვგრძობ თავს, მე რომ არ მივსულიყავი, ხომ დარჩებოდა ტელევიზია სიორიძეებს? ჩემი სურვილი იყო, კარგი ტელევიზია გაგვეკეთებინა. ბევრი ფულიც არ უნდოდა, მაგრამ გეცოდინებათ, როგორი გაპარტახებულია ტელეკომპანია. ჩვენ არავის შემცირებას არ ვაპირებდით, პირიქით, დავუმატებდით კადრებს. არაერთ ტელევიზიაში მიმუშავია და ვერავინ იტყვის, რომ რომელიმე იყო პოლიტიკურად ორიენტირებული ან ოპოზიციური არხი,“** — განაცხადა „გურია ნიუსთან“ საუბარში ელდარ მდინარაძემ.

# რა სიებს ფლობს სამოქალაქო რეესტრი და რა კავშირი აქვს ამ სიებს არჩევნებთან

**რამდენიმე დღეა, გაერთიანებული წყალმომარაგების ჩოხატაურის სერვისცენტრი მოსახლეობაში წყლის გადასახადის ქვითრებს არიგებს. ქვითრებში ოჯახის სულადობა რამდენიმე ერთეულით არის გაზრდილი.**
**არის შემთხვევები, როდესაც ერთ ოჯახში ორი ქვითარი მიაქვთ სხვადასხვა სულადობით.**

ერთ სულზე წყლის გადასახადი 1,77 თეთრს შეადგენს და შესაბამისად, ამ ქვითრების თანახმად, გადასახადის ოდენობა საკმაოდ დიდ ციფრს აღწევს. გაერთიანებული წყალმომარაგების ჩოხატაურის სერვისცენტრის ხელმძღვანელი აკაკი შანიძე „გურია ნიუსთან“ საუბრისას ამბობს, რომ სიები სამოქალაქო რეესტრმა მიაწოდა და ერთადერთი გამოსავალი ამ ვითარებიდან ინდივიდუალური მრიცხველის დადგმაა, რომელიც 60 ლარი ღირს და 1 კუბმეტრ წყალზე 44 თეთრის გადახდას ითვალისწინებს.

საჯარო რეესტრის ჩოხატაურის სამსახურის თანამშრომელი ხათუნა მამალაძე მიიჩნევს, რომ დამნაშავე მოქალაქეცაა და სახელმწიფოც: „ხშირია შემთხვევები, როდესაც დედებს, მამებს, ბებიებს, ბაბუებს საკუთარ მისამართზე ჰყავთ დარეგისტრირებული პიროვნებები, რომლებსაც ამ მისამართზე არ უცხოვრიათ. ეს, ძირითადად, მე-20 საუკუნის რეგისტრაციებია. სამწუხაროდ, მაშინ სამოქალაქო რეესტრის სააგენტო არ არსებობდა. ამიტომ ასეთ შემთხვევაში ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ დავეხმაროთ ბინის მესაკუთრეებს და უპრობლემოდ მოხსნან ეს პიროვნებები მათ მისამართზე რეგისტრაციიდან. ყველანაირი ზედმეტი საბუთის წარდგენის გარეშე, ბინის მესაკუთრეს შეუძლია ჩვენს ტერიტორიულ სამსახურში განაცხადოს იმ პირების შესახებ და ისინიც მოიხსნებიან რეგისტრაციიდან“, — განაცხადეს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ცხელ ხაზზე.

**ჩოხატაურში ახლა ვერ ნახავთ ვერც ერთ ქუჩას და სახლს, რომელსაც ნუმერაცია აქვს მინიჭებული. არადა, ეს უშუალოდ საკრებულოს მოვალეობაა. ჩოხატაურის საკრებულოს თავმჯდომარე ანტონ ხუნდაძე ამბობს, რომ მათ მხოლოდ ახალი აშენებული სახლის ან ობიექტის ნომრის მინიჭების უფლება აქვთ. მისი პასუხებიდან მხოლოდ ის გაირკვა, რომ ჩოხატაურში არ არსებობს ნუმერაცია. პრობლემის მოგვარების ერთადერთ გზად ხუნდაძეს ამ პრობლემების მქონე მოქალაქეების მასთან მისვლა მიაჩნია.**

ექსპერტები და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები ამ ყველაფერს არჩევნებს უკავშირებენ და მიაჩნიათ, რომ რეესტრში არსებული სიები არჩევნებზე არის მორგებული. ჩოხატაურის საოლქო კომისიის თავმჯდომარე თემურ კუტუბიძე გამოცემასთან საუბრისას ამბობს, რომ საოლქო კომისიაში სიები სამოქალაქო რეესტრიდან მოდის. ამასვე ადასტურებს ცენტრალური საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე ზურაბ ხარატიშვილიც, რომელიც ამბობს, რომ პრობლემა იმ შემთხვევაშია საგანგაშო, თუ პირს ბინაში მისთვის უცხო ადამიანები ჰყავს ჩაწერილი.

# მინისტრის მამის განსხვავებული შემოქმედება

**ბაკურ სულაკაურის გამომცემლობამ ნიკო ფიროსმანაშვილზე ახალი წიგნი „ფიროსმანაშვილი 100 კვადრატი“ გამოსცა. წიგნის ავტორი კულტურის მინისტრის, ნიკა რურუას მამა — მხატვარი ვახტანგ რურუაა. წიგნში ფიროსმანის შემოქმედება განსხვავებული კუთხით არის წარმოდგენილი.**

წიგნის ავტორს კვადრატი ინსტრუმენტად აქვს გამოყენებული. სწორედ ამ კვადრატის საშუალებით ხელოვნებისმოყვარულები ნიკო ფიროსმანაშვილის 25 ტილოდან იმ დეტალებს განიხილავენ, რომლებიც დამთვალიერებლისთვის ხშირად შეუმჩნეველია. **„ფიროსმანის ნამუშევრების რეპროდუქციები და თვითონ ალბომები არაერთხელ გამოუციათ, მაგრამ ეს წიგნი თავისი კონცეფციით არის საინტერესო, რადგან მასში წარმოდგენილია 100 კვადრატი, ანუ 100 სხვადასხვა დეტალი მისი 25 ნამუშევრიდან“,** — განაცხადა ბაკურ სულაკაურის გამომცემლობის დირექტორმა თინათინ მამულაშვილმა.

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აშშ ამ ქვეყნიდან საბოლოოდ არ მიდის — მას აქ მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები აქვს. ქვეყნიდან მხოლოდ საბრძოლო ნაწილებს გაიყვანენ, აშშ-ის სამხედრო დასწრება კი კვლავაც გაგრძელდება. ვაშინგტონის ამგვარი გადაწყვეტილება მხოლოდ კიდევ ერთხელ დაამტკიცა სახელმწიფო მდივნის — ჰილარი კლინტონის ცოტა ხნის წინანდელმა ვიზიტმა რეგიონში.



# ავღანეთი, პოლიტიკური მკვლელობების სერია და აშშ

**2009 წლის მარტში აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ 2011-2014 წლებში ავღანეთიდან ჯარების გაყვანის სტრატეგია გამოაქვეყნა. ამავე დროს, ავღანეთში აშშ-ის ჯარების რაოდენობა იზრდებოდა და 2011 წლის გაზაფხულისთვის 100 ათას ადამიანს გაუტოლდა. ჯარების გაყვანისათვის მზადება 2011 წლის თებერვლიდან დაიწყო, როდესაც ქაბულში ოფიციალური ვიზიტით აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი ჯო ბაიდენი ჩავიდა. აშშ-ში ამბობდნენ, რომ ეს ვიზიტი ვაშინგტონის ავღანური პოლიტიკის შემობრუნების წერტილი იქნებოდა.**



**ამერიკის შეერთებული შტატები ქვეყანაში მთელ რიგ გადაუჭრელ პრობლემებს ტოვებს. კერძოდ, გადაუჭრელი რჩება უმთავრესი ამოცანა — ბოლო მოღებოდა ავღანეთსა და მთელ რეგიონში ტერორიზმს**

ჯარების გაყვანისათვის მზადების კამპანია „დააუშნოვა“ 20 მარტს ამერიკელი პასტორის — ტერი ჯონსის მიერ ფლორიდაში ყურანის დაწვის ფაქტმა. ამან ავღანეთსა და სხვა მუსილმანურ ქვეყნებში პროტესტის აფეთქება განაპირობა. ავღანეთისა და აშშ-ის პრეზიდენტები იძულებულნი გახდნენ, ამერიკელი მღვდლის საქციელი საჯაროდ გაეკიცხათ.

უკანასკნელ თვეებში ავღანეთში განვითარდა მოვლენები, რომლებიც ხელს უშლის იქიდან აშშ-ის ჯარების გაყვანას. 2011 წლის 2 მაისს პაკისტანის ქალაქ აბოტაბადში ამერიკულმა სპეცრაზმმა უსამა ბენ ლადენი მოკლა. ამას ავღანელი პოლიტიკოსებისა და საზოგადო მოღვაწეების მკვლელობათა მთელი სერია მოჰყვა. მაგალითად, 28 მაისს შაჰიდმა ტერორისტმა მოკლა გენერალი მუჰამედ დაუდი, შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნარკოტიკებთან ბრძოლის საკითხში. ავღანეთის საგამოძიებო ორგანოების მონაცემებით, მკვლელი იყო „ალ ქაიდასთან“ მჭიდროდ დაკავშირებული უზბეკეთის ისლამური მოძრაობის ბოევიკი.

20 ივლისს პირადმა მცველმა გამოასალმა სიცოცხლეს პრეზიდენტის ძმა, ყანდაგარის პროვინციული საბჭოს მეთაური აჰმად ვალი ყარზაი. მას, რბილად რომ ვთქვათ, საეჭვო რეპუტაცია ჰქონდა: პროვინციას სათავადოსავით მართავდა. ეჭვმიტანილი იყო ნარკომაფიასთან კავშირში, მიწის ნაკვეთების მითვისებასა და დასავლეთის სტრუქტურებისთვის მათ იჯარით გაცემაში, 2009 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბებაში. მართალია, მკვლელობაზე პასუხისმგებლობა თალიბებმა აიღეს, მაგრამ ოფიციალური ვერსია ჯერაც არ გამოქვეყნებულა: ახმად ყარზაის მოშორება ბევრს სურდა.

20 სექტემბერს ავღანეთის ყოფილი პრეზიდენტი, პროფესორი ბურხანუდინ რაბანი მოკლეს. საპარლამენტო ოპოზიციის ლიდერი რაბანი ამავე დროს სათავეში ედგა მშვიდობის უმაღლეს საბჭოს, რომელიც თალიბებთან მოლაპარაკებების საწარმოებლად შეიქმნა. მისი მკვლელობა, რაზეც პასუხისმგებლობა ხაკანის დაჯგუფებამ აიღო, ქვეყანაში მდგომარეობის გამწვავების, მოლაპარაკებების პროცესის ჩაშლის, ტაჯიკებისა და მათი მხარდამჭერი ეროვნული უმცირესობებისა და პუშტუნების დაპირისპირების გაძლიერების მცდელობა იყო. 29 სექტემბერს პრეზიდენტმა ყარზაიმ განაცხადა, რომ თალიბებთან მოლაპარაკებებზე უარს აცხადებს და რომ მოლაპარაკებებში პარტნიორი პაკისტანი იქნება.

თალიბების სამიზნეები გახდნენ ამერიკელებიც. როგორც კი აშშ-ის პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ მზადაა მათთან მოლაპარაკებებისთვის, ვარდაკის პროვინციაში მდებარე ამერიკულ ბაზაზე მძლავრი აფეთქება მოხდა და 77 ამერიკელი სამხედრო მოსამსახურე დაიჭრა. ეს 11 სექტემბერს მოხდა, ორიოდე დღეში, 14 სექტემბერს კი ქაბულში აშშ-ის საელჩოზე თავდასხმა განხორციელდა. ამერიკის ელჩმა კროკერმა მომხდარში ხაკანის დაჯგუფება დაადანაშაულა.

**ყველა ეს მოვლენა იმის მაჩვენებელია, რომ ავღანეთში ანტისახელისუფლებო ძალები ძველებურად ფლობენ სერიოზულ სამხედრო პოტენციალს. ხელისუფლებასა და მის დასავლელ პარტნიორებზე ზეწოლის განხორციელებით ისინი ამ უკანასკნელთ ავღანეთიდან დაჩქარებულად გასვლისაკენ უბიძგებენ და ამზადებენ პირობებს იმისათვის, რომ მომავალშიც უკარნახონ ქაბულს საკუთარი პირობები იმ შესაძლო მოლაპარაკებებზე, რომლებზეც ჯერჯერობით ცივ უარზე არიან.**

ამ ვითარებაში **აშშ-მა დაიწყო ხამიდ ყარზაისთან მოლაპარაკება იმ შეთანხმებაზე, რომელიც 2014 წელს კოალიციის ჯარების გაყვანის დასრულების შემდეგ ავღანეთში ამერიკელი სამხედროების დარჩენისა და მათი სტატუსის ფორმატს დაადგენს.**

**ამერიკული საზოგადოების მხრიდან პრეზიდენტ ობამაზე ზეწოლისა და ავღანეთიდან ჯარების დაუყოვნებლივ გაყვანის მოთხოვნის ფონზე (საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგების თანახმად, ამერიკელთა 56 პროცენტი ავღანეთში ამერიკის ჯარების შემდგომი დარჩენის კატეგორიული წინააღმდეგია), ხამიდ ყარზაიმ და მისი გარემოცვის მთელმა რიგმა წარმომადგენლებმა შეშფოთება გამოხატეს, რომ დასავლეთის სამხედრო მხარდაჭერის გარეშე დარჩენილი ავღანეთი კვლავ სამოქალაქო ომის ასპარეზად და რეგიონში უსაფრთხოებისთვის პრობლემების წყაროდ იქცევა.**

ჯერ კიდევ 2011 წლის მარტში დაწყებულ მოლაპარაკებებზე განიხილებოდა ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობის შესახებ ახალი ხელშეკრულების გაფორმების საკითხი. ხელშეკრულება ითვალისწინებს ამერიკის სამხედრო და სამოქალაქო სპეციალისტების დარჩენას ავღანეთში 2014 წლის შემდეგაც. საუბარი ეხებოდა ამერიკულ სპეცსამსახურებს, დაზვერვასა და ავიაციას.

ქაბულმა განაცხადა, რომ შეთანხმების ამერიკული პროექტი გაფანტულად იყო ფორმულირებული, მის ხელმოწერაზე უარი თქვა და წარმოადგინა საკუთარი, გაცილებით უფრო დეტალური პროექტი. ავღანელი ოფიციალური პირები დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ ქვეყანაში დარჩენილ ამერიკელ სამხედრო მოსამსახურეებს ავღანეთის კანონმდებლობის ფარგლებში ემოქმედათ.

„არ უნდა არსებობდეს არავითარი პარალელური სტრუქტურები, — კატეგორიულად განაცხადა პრეზიდენტ ყარზაის მრჩეველმა საერთაშორისო საკითხებში რ. დ. სპანტამ, — ყველაფერი უნდა შეესაბამებოდეს ჩვენს სუვერენიტეტსა და კონსტიტუციას“.

აპრილში ხამიდ ყარზაიმ განაცხადა იმის შესახებ, რომ ლოია ჯირგას — ავღანეთის უხუცესთა საბჭოს მოწვევას აპირებდა, რათა მათთან ერთად განეხილა ამერიკა-ავღანეთის სტრატეგიული ურთიერთობების საკითხი.

ორი ქვეყნის წარმომადგენლებს შორის მოლაპარაკებები ივნისში განახლდა, მაგრამ ხანგრძლივი დისკუსიების შემდეგაც კი მხარეებმა ვერ მოახერხეს, დოკუმენტის მისაღები ფორმა ჩამოეყალიბებინათ.

**დადგა სამხედრო ბაზების შემდგომი ბედის საკითხი**. ამ ბაზებზე ახლა ამერიკული არმიის ნაწილები არის დისლოცირებული. ამ საკითხთან დაკავშირებით ავღანეთის ზედა ეშელონებში თანხმობა არ არის. მაგალითად, პრეზიდენტის განსვენებული ძმა აჰმად ვალი ყარზაი მიიჩნევდა, რომ ქვეყანაში არსებული სამხედრო ბაზების მუდმივად ამერიკაზე მიმაგრება ავღანეთის შიდა საქმეებში მეზობლების ჩარევის შესაძლებლობებს მოსპობს. ამ იდეას მხარს უჭერდნენ თავდაცვის მინისტრი აბდურაჰიმ ვარდაკი, ყოფილი პირველი ვიცეპრეზიდენტი აჰმად ზია მასუდი, ეროვნული უშიშროების ყოფილი მეთაური ამრულა სალეხი, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი ხანიფ ოტმარი. პირველმა ვიცეპრეზიდენტმა მარშალმა ფახიმმა კი განაცხადა, რომ ეს საკითხი ავღანელ ხალხთან ერთად უნდა იქნას განხილული.

ავღანეთის სამხედრო ბაზების მომავალი სტატუსის განხილვამ ქვეყნის მეზობლების შეშფოთება გამოიწვია. მაგალითად, თეირანმა განაცხადა, რომ კატეგორიულად წინააღმდეგია, ირანის გვერდით ამერიკის სამხედრო ბაზები იყოს განლაგებული. რუსეთმა და ინდოეთმა ასევე გამოხატეს შეშფოთება აღნიშნულთან დაკავშირებით. ქაბულსა და ვაშინგტონს ჩინეთმაც აცნობა, რომ არ მოსწონს საკითხის ამგვარად გადაწყვეტის პერსპექტივა.

ასე და ამგვარად, **ავღანეთიდან აშშ-ის ჯარების გაყვანა რთულ პირობებში დაიწყო. ამერიკის შეერთებული შტატები ქვეყანაში მთელ რიგ გადაუჭრელ პრობლემებს ტოვებს. კერძოდ, გადაუჭრელი რჩება უმთავრესი ამოცანა — ბოლო მოღებოდა ავღანეთსა და მთელ რეგიონში ტერორიზმს. თალიბები და მათი მოკავშირეები აქ კვლავაც სერიოზულ ძალას წარმოადგენენ. მართალია, მნიშვნელოვნად დასუსტებულია, მაგრამ „ალ ქაიდას“ ლიკვიდაცია მაინც ვერ მოხერხდა.**

**სიტუაციის დარეგულირების სამხედრო მეთოდებმა, რაზეც ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ შეაჩერა არჩევანი, არ გაამართლა. ახლა ამერიკის შეერთებული შტატები იძულებულია, თალიბებთან მოლაპარაკებებს დათანხმდეს. ეს გზა კი გაურკვევლობებითაა აღსავსე. არავის შეუძლია იმის წინასწარ განსაზღვრა, თუ რა ელის ავღანეთს აშშ-სა და ნატოს ჯარების ქვეყნიდან გასვლის შემდეგ. საყოველთაო კორუფცია, ნარკოტრაფიკი, ორგანიზებული დამნაშავეობა, უმუშევრობა — ყოველივე ეს დღევანდელი ავღანეთის განუყოფელ ნაწილად რჩება.**

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აშშ ამ ქვეყნიდან საბოლოოდ არ მიდის — მას აქ მნიშვნელოვანი გეოსტრატეგიული, პოლიტიკური და ეკონომიკური ინტერესები აქვს. ქვეყნიდან მხოლოდ საბრძოლო ნაწილებს გაიყვანენ, აშშ-ის სამხედრო დასწრება კი კვლავაც გაგრძელდება. ვაშინგტონის ამგვარი გადაწყვეტილება კიდევ ერთხელ დაამტკიცა სახელმწიფო მდივნის — ჰილარი კლინტონის ცოტა ხნის წინანდელმა ვიზიტმა რეგიონში.

ქალბატონი კლინტონი პაკისტანში, ავღანეთ- ▶



ნატოელი ჯარისკაცი ყაყაჩოს ველზე, ავღანეთში

**სიტუაციის დარეგულირების სამხედრო მეთოდებმა, რაზეც ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ შეაჩერა არჩევანი, არ გაამართლა**

**ახლა ჩვენ წინაშე იგივე კითხვა დაისმება, რაც ერაყში შეჭრამდე იდგა: ან მანჰეტენის ფედერალურმა სასამართლომ არ იცის, რომ ირანის ხელისუფლება, უკვე მრავალი წელია, ებრძვის სუნიტ-ტერორისტებს, რომელთა ბანაკსაც მიეკუთვნება „ალ ქაიდა“, ან ის დარწმუნებულია, რომ რიგითმა ამერიკელმა არაფერი იცის ისლამში იმ სხვადასხვა განშტოებების არსებობის თაობაზე, რომლებიც ერთმანეთთან საერთოდ არ თანამშრომლობენ, განსაკუთრებით კი — ტერორიზმის საკითხებში.**

დაიჯესტი

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



# აშშ-ის ფედერალური სასამართლო, როგორც ჭეშმარიტების წყარო

◀ში, უზბეკეთსა და ტაჯიკეთში 2011 წლის ოქტომბრის მიწურულს ჩავიდა. ძირითადი და ყველაზე რთული ამოცანა სახელმწიფო მდივანმა ისლამაბადში გადაჭრა. პირველ რიგში, მან უსამა ბენ ლადენის მკვლელობის შემდეგ ორ ქვეყანას შორის წარმოქმნილი დაძაბული წინააღმდეგობების შესუსტება სცადა (ისლამაბადმა ამერიკული სპეცნაზის მოქმედება საკუთარ ტერიტორიაზე ქვეყნის სუვერენიტეტის შელახვად შეაფასა). მეორეც, **სახელმწიფო მდივანი იძულებული იყო, ელიარებინა პაკისტანის გადამწყვეტი როლი ავღანეთის კონფლიქტის დარეგულირებაში და მოუწოდა მას, აქტიურად ჩართულიყო საკუთარი ექსტრემისტების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეშიც და საკუთარი წვლილი შეეტანა ავღანეთში სიტუაციის სტაბილიზებაშიც.**

ქაბულში კლინტონის ვიზიტისას საუბარი იყო სტრატეგიული ურთიერთობების ჩარჩოში ორმხრივი შეთანხმების შემუშავებაზე. ამ შეთანხმების გაფორმების შესახებ მიმდინარე წლის მაისში ბარაკ ობამამ და ხამიდ ყარზაიმ უკვე მოილაპარაკეს. მოლაპარაკების პროცესში მხარეებს შორის კვლავ ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება 2014 წლის შემდეგ ავღანეთის სამხედრო ბაზების ამერიკის შეერთებული შტატების მიერ გამოყენების პირობების თაობაზე.

დუშანბესა და ტაშკენტში ვიზიტისას კლინტონი გაცილებით მეტს საუბრობდა ტრადიციულ თემებზე — ავღანეთის ჩრდილოელი მეზობლების აქტიურ მონაწილეობაზე მის აღდგენაში, ადამიანის უფლებათა დაცვაზე და რელიგიური თავისუფლების პატივისცემაზე. მაგრამ **იყო ახალი იდეაც — „ახალი აბრეშუმის გზის“ შექმნა. იდეამ მთავარი ადგილი დაიკავა ხმაურიანი სახელწოდების მქონე კონფერენციაზე „უსაფრთხოება და თანამშრომლობა აზიის გულში“, რომელიც მიმდინარე წლის 2 ნოემბერს სტამბოლში ჩატარდა.** კონფერენციაში მონაწილეობდა 14 ქვეყნის — რუსეთის, თურქეთის, ავღანეთის, ირანის, უზბეკეთის, ყაზახეთის, ყირგიზეთის, თურქმენეთის, ტაჯიკეთის, ჩინეთის, ინდოეთის, პაკისტანის, არაბეთის გაერთიანებული საემიროებისა და საუდის არაბეთის დელეგაციები.

**„ახალი აბრეშუმის გზის“ იდეის მიზანია, გაამყაროს დასავლეთისა და, უპირველეს ყოვლისა, აშშ-ის პოლიტიკური და სხვა სახის დომინირება რეგიონში იმ დროისათვის, როდესაც 2014 წელს ნატოს ჯარების ავღანეთიდან გასვლა დასრულდება.** კიდევ **ერთი მიზანი შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის მზარდი გავლენისათვის შემცველის მოძებნა და რუსეთისა და ჩინეთის შევიწროვებაა.** „ახალი აბრეშუმის გზა“ ჯორჯ ბუშის ეპოქის დროინდელი „დიდი ახლო აღმოსავლეთის“ მოდიფიცირებული ვარიანტია. მიუხედავად სახელწოდებისა, **იდეის მიღმა მკაფიოდ იკვეთება აშშ-ის ჭეშმარიტი მიზნები: რუსეთისა და ირანის გვერდის ავლით შექმნას საკომუნიკაციო ხაზი, რომლის საშუალებითაც პირდაპირი წვდომა ექნება რეგიონის მინერალურ რესურსებთან. აშშ ამავე დროს ცდილობს, ცენტრალურ აზიაში ნატოს პოზიციები უზრუნველყოს.**

მაგრამ, როგორც გაირკვა, იდეა დასაწყისიდანვე წარუმატებლობისთვის იყო განწირული. მის წინააღმდეგ საკმაოდ მკაცრად გამოვიდა პაკისტანი. ახალი მექანიზმების შექმნას ჯობია უკვე არსებული მშვიდობის, უსაფრთხოებისა და განვითარების პროგრამების შესრულება, მიიჩნევენ ისლამაბადში. ანალოგიური შეხედულებები გამოთქვეს რუსეთის, ჩინეთისა და ირანის დელეგაციებმა.

სტამბოლში მიმდინარე კონფერენციის ყველაზე მნიშვნელოვან შედეგად, ალბათ, უნდა ჩაითვალოს შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაცის განზრახვა, დააჩქაროს თავისი რიგების ზრდა — ორგანიზაციაში სრულუფლებიანი წევრების სახით ინდოეთი და პაკისტანი მიიღოს.

უკვე ცხადია, რომ აშშ-სა და ნატოს ჯარების გაყვანა არამც თუ ვერ მოაგვარებს, არამედ კიდევ უფრო გაართულებს ავღანეთისა და მისი მეზობლების უშიშროების პრობლემებს.

**fondsk.ru**

**ამერიკულ თემიდაზე ლეგენდების შექმნა შეიძლება. საღ აზროვნებასა და ბუნებრივ ადამიანურ გრძნობებთან არათავსებადი რა სახის ეგზოტიკა აღარ მოავლინა მან ამ ქვეყანაზე. მაგალითად, ნამდვილად გასაოცარია ამერიკის შეერთებულ შტატებში ცოტა ხნის წინათ დამკვიდრებული წესი — მოაწყონ ნამდვილი სპექტაკლი სასჯელის უმაღლესი ზომის აღსრულებისგან. არადა, ამ სპექტაკლზე ხომ მოდიან მაყურებლები — მთავარი გმირის ნათესავები, ახლობლები, მეგობრები, დაზარალებულები და მისთანანი.**

ამისათვის, ალბათ, საჭიროა, ტრამვირებული თავისა და ნაკლოვანი სულის ქონა, რადგან, ნორმალური ადამიანური მორალის თვალსაზრისით, თვით შურისძიების სურვილიც კი არ უნდა ვლინდებოდეს დამნაშავის სიკვდილით ტკბობაში, უბრალოდ, საყურებლად წასვლა უფრო უარესია.

ხანდახან აბსოლუტურად ფანტასტიკური სპექტაკლიც იდგმება; მაგალითად, ცნობა იმის შესახებ, რომ, მანჰეტენის ფედერალური სასამართლოს 17 დეკემბრის განაჩენის თანახმად, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტულ აქტში წვლილი მიუძღვის ირანის ხელისუფლებას. ამ შემთხვევაში ლეგენდა აღარ გამოდგება, ეს სიუჟეტი უკვე ანეგდოტისთვისაა.

ისე, ეს გასაგებიცაა: 2001 წლიდან აშშ-ში არსებობს ამ ტერორისტული აქტის მსხვერპლთა კლუბი, რომლის ყველა წევრი ეძებს, ვისგან ამოიღოს კომპენსაცია მიყენებული ზარალისა და ნათესავების დაღუპვის გამო. მაგრამ ამ ადამიანებისთვის არახელსაყრელი პირობები იქმნება. მთავარი ეჭვმიტანილი უსამა ბენ ლადენი თავად ამერიკელმა სამხედროებმა გაისტუმრეს საიქიოს, სხვა ბრალდებულები კი ახლომახლო არ იყვნენ. და სწორედ მაშინ იპოვეს ზემოხსენებული კლუბის მოხერხებულმა ადვოკატებმა გამოსავალი — შეეთხზათ სარჩელი ირანის ხელისუფლების წინააღმდეგ, რადგან, მათი რწმენით, ისინიც მუსლიმანები და ამერიკის მტრები არიან და, შესაბამისად, შეუძლებელია, კავშირი არ ჰქონოდათ ამ ტერორისტულ აქტთან.

ეს უკვე ძალიან ჰგავს იმ ანეგდოტს, რომლის თანახმადაც სადამ ჰუსეინი „ალ ქაიდას“ შეთქმულებაში მონაწილეობდა და რომელსაც მთელი ძალისხმევით ავრცელებდა ჯორჯ ბუშ-უმცროსის ადმინისტრაცია. ადმინისტრაციამ ან თავად არ იცოდა, რომ ჰუსეინმა თავის ქვეყანაში ყველანაირი ტერორისტული ელემენტი ამოშანთა, ან დარწმუნებული იყო, რომ რიგით ამერიკელს ამის შესახებ არ შეიძლებოდა სცოდნოდა. აი, ამაში კი არ შემცდარა ადმინისტრაცია — რიგითმა ამერიკელმა ეს არ იცოდა და კიდევ ბევრ სისულელეს დაიჯერებდა.

და აი, ისტორია მეორდება. **ძნელი შესაფასებელია ის ზარალი, რომელსაც სუნიტი ტერორისტები აყენებენ შიიტურ ირანს. ოკუპირებული ერაყის ტერიტორიაზე ისინი ნამდვილ ომს აწარმოებენ შიიტების წინააღმდეგ, ირანის სპეცსამსახურები კი სუნიტ ტერორისტულ იატაკქვეშეთზე ნადირობს. მათ შორის ბრძოლა სასტიკი და დაუნდობელია.**

ამგვარ გარემოებებში იეჭვო, რომ ირანის ხელისუფლება და პირადად აიათოლა ჰამენეი მონაწილეობდნენ ბენ ლადენის მიერ ორგანიზებულ 9/11-ის ტერაქტში, ეს მხოლოდ იმ ადამიანების უპირატესობაა, რომელთაც სრულად აქვთ რეალობასთან კონტაქტი გაწყვეტილი, განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ, რომ ირანი არის ყველა საერთაშორისო ანტიტერორისტული შეთანხმების ხელმომწერი და ამ თვალსაზრისით ორმაგი პოლიტიკა არასდროს უწარმოებია.

**ახლა ჩვენ წინაშე იგივე კითხვა დაისმება, რაც ერაყში შეჭრამდე იდგა: ან მანჰეტენის ფედერალურმა სასამართლომ არ იცის, რომ ირანის ხელისუფლება უკვე მრავალი წელია, ებრძვის სუნიტ-ტერორისტებს, რომელთა ბანაკსაც მიეკუთვნება „ალ ქაიდა“, ან დარწმუნებულია, რომ რიგითმა ამერიკელმა არაფერი იცის ისლამის იმ სხვადასხვა განშტოებების არსებობის თაობაზე, რომლებიც ერთმანეთთან საერთოდ არ თანამშრომლობენ, განსაკუთრებით კი — ტერორიზმის საკითხებში.**




**ამერიკულმა ცნობიერებამ მიაღწია გონების ისეთ გამრუდებას, როდესაც მისთვის ნებისმიერი ფორმის მინიჭება შეიძლება**

ამ კითხვაზე პასუხს ერთადერთ დასკვნამდე მივყავართ — **ამერიკულმა ცნობიერებამ მიაღწია გონების ისეთ გამრუდებას, როდესაც მისთვის ნებისმიერი ფორმის მინიჭება შეიძლება. მაგალითად, შეიძლება სხვა ხალხების მიწების ხელმყოფელი ტერმინატორების გამოყვანა.**

სამწუხაროდ, ამ ანეგდოტურ გარსში ძალზე სერიოზული შიგთავსია გახვეული. საუბარია სუპერსახელმწიფოს ფედერალურ სასამართლოზე. ამ მოუსყიდავი დაწესებულების საშუალებით 9/11-ის ტერაქტთან „ალ ქაიდას“ კავშირის შესახებ მითი ახალი ლეგენდებით იმოსება. აქ საჭიროა, გავიხსენოთ, რომ, **როდესაც ბენ ლადენმა მასმედიიდან შეიტყო, რომ ამ ტერაქტის მამაა, ორი დღით დამუნჯდა. და მხოლოდ მოგვიანებით ძალზე გაურკვევლად და არადამაჯერებლად აღიარა „მამობა“ — აშშ-ის სპეცსამსახურების ამგვარ საჩუქარზე უარის თქმა მას არ შეეძლო.**

მაგრამ ირანის ხელისუფლებას ამგვარი საჩუქარი არაფრად სჭირდება და სასაცილოდ აიგდებს, მაგრამ მანჰეტენის ფედერალური სასამართლოს მოსამართლეებისთვის ეს სულერთია. ისინი ამერიკული დემოკრატიის საუკეთესო ტრადიციების შესაბამისად ასრულებენ ჩვენთვის უცნობი ყოვლისშემძლე დაჯგუფებების დაკვეთას და ნაბიჯ-ნაბიჯ აახლოებენ ისლამური ირანის წინააღმდეგ აგრესიის დასაწყისს. ამ შემთხვევაში ტერაქტით დაზარალებულთა მერკანტილური ინტერესები და ამერიკის ხელისუფლების ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. ანტიირანული კამპანიის წისქვილზე კიდევ ერთი კასრი ნარეცხი წყალი დაასხეს. და ვისზე მოახდინა შთაბეჭდილება იმ ფაქტმა, რომ ნარეცხი წყალი გადმოიღვარა ჭეშმარიტების ყველაზე ავტორიტეტული წყაროდან — ფედერალური სასამართლოდან? როგორც ჩანს, არავისზე.

დასავლეთის არც ერთ სოლიდურ გაზეთს, არც ერთ სააგენტოს, არც ერთ ტელეარხს არ გაუკეთებია ობიექტური კომენტარი ამ სკანდალურ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, უმეტესობამ კი საერთოდ დუმილი არჩია.

ირანის „ატომურ დოსიეს“ „ტერორისტული დოსიეც“ დაემატა და ქვეყანა უკვე საბოლოოდ იქცა განდევნილად. მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის საქვაბეში ტემპერატურამ კიდევ ერთი დანაყოფით მოიმატა.

დაუღალავად მუშაობენ სიძულვილის მეცეცხლურნი და ანტიირანულ ცეცხლში ყრიან ყველაფერს, რაც ხელში მოხვდებათ. ვის არ შეხვდებით ამ მეცეცხლურებს შორის — კალმოსნებს, სამხრეებიანებს, დიპლომატიურ სერთუკებში გამოწყობილებსაც, ახლა სასამართლო მანტიებში გამოწყობილებმაც გაიელვეს. საქვაბის აფეთქებამდე ცოტაღა დარჩა...

**fondsk.ru**

## მხოლოდ აშშ-ის შემდეგ

**ბელარუსის პრეზიდენტი ალექსანდრე ლუკაშენკო აცხადებს, რომ სიკვდილით დასჯის გამოყენების ნორმის არსებობა ქვეყანაში ჯერ კიდევ აუცილებლობას წარმოადგენს.** „ჩემი შეხედულებით, სასჯელის ამ ზომის აქტუალობა ჯერ კიდევ არ შემცირებულა,“ — განაცხადა ლუკაშენკომ. მისი თქმით, ევროპის ქვეყნების ლიდერების მოთხოვნა სიკვდილით დასჯაზე მონატორიუმის შემოღების შესახებ ორმაგ სტანდარტებს შეიცავს. „ოდნავ შებრუნდით იქით, ატლანტიკის გაღმა, იქ თქვენ ძალიან დიდი მეგობარი გყავთ. როგორც კი ისინი შეცვლიან, ჩვენც ამას მათ შემდეგ გავაკეთებთ,“ — განაცხადა ბელარუსის პრეზიდენტმა.

## თურქეთმა საფრანგეთი გენოციდში დაადანაშაულა

**თურქეთის პრემიერ-მინისტრმა რეჯეპ ტაიპ ერდოღანმა საფრანგეთი ალჟირელების გენოციდში დაადანაშაულა.** გენოციდი უწოდა მან საფრანგეთის არმიის მოქმედებებს ალჟირში 1945 წლიდან 1962 წლამდე, ვიდრე ამ ქვეყანამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. მანამდე საფრანგეთის პარლამენტის ქვედა პალატამ მიიღო კანონი, ოსმალეთის იმპერიის მიერ 1915 წელს სომხების გენოციდის უარყოფაზე პასუხისმგებლობის შესახებ. აღნიშნულის სანაცვლოდ თურქეთმა პარიზიდან საკუთარი ელჩი გაიწვია.

მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**აშშ-ის ადმინისტრაციის კრიტიკის სამიზნედ იქცა სანკტ-პეტერბურგის საკანონმდებლო კრების მიერ პირველივე მოსმენით მიღებული კანონპროექტი არასრულწლოვანთა შორის ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. ამგვარი რეაქცია არ მოჰყოლია თვით პრეზიდენტ მედვედევის მკაცრ განცხადებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეთანხმებიდან რუსეთის შესაძლო გასვლის შესახებ. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისთვის პირველხარისხოვანი საკითხია ერთი მუჭა სოდომისტების „უფლება“ — თავს მოახვიონ მთელ რუსეთს საკუთარი აღლუმები.**

# «ცისფერი გაზაფხული»?

**აშშ-ის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ პრიორიტეტად სექს-უმცირესობების უფლებებისთვის ბრძოლა იქცა. ახლახან ჟენევაში, გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭოს სხდომაზე აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ჰომოსექსუალთა უფლებების დასაცავად სიტყვა წარმოთქვა. „უფლება, იყო გეი, ადამიანის ბუნებრივი უფლებაა. არ შეიძლება ეს დანაშაულად ითვლებოდეს“. მან განსაკუთრებულად გაუსვა ხაზი, რომ ქვეყნის კულტურული და რელიგიური ღირებულებები ჰომოსექსუალების დისკრიმინაციის გამართლებად ვერ გამოდგება. მისივე თქმით, დადგა სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის დრო. იქვე დაიმუქრა, რომ აშშ გამოიყენებს თავის გავლენასა და დიპლომატიურ ბერკეტებს ჰომოსექსუალთა დისკრიმინაციასთან საბრძოლველად.**



ქალბატონმა სახელმწიფო მდივანმა ასევე აღნიშნა, რომ პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ შეათანხმა სტრატეგიის რეზოლუცია, რომელიც მიმართულია სექსუალური უმცირესობების დასაცავად მთელ მსოფლიოში. შესაბამისი დირექტივები უკვე დაეგზავნა ყველა სამთავრობო აპარატსა და აშშ-ის დიპლომატიურ წარმომადგენლობებს უცხოეთში. „პრეზიდენტმა მოითხოვა, — თქვა კლინტონმა, — რომ ყველა უცხოური სამთავრობო სააგენტო აქტიურად იბრძოდეს სექსუალური უმცირესობების იურიდიული დევნის წინააღმდეგ და დაუყოვნებლივ და მკაცრად გასცეს პასუხი დისკრიმინაციის ყველა ფაქტს... ასევე მოხარული ვარ, გაცნობოთ, რომ დავაფუძნეთ „მსოფლიო თანასწორობის ფონდი“, რომელიც მხარს დაუჭერს საზოგადოებრივ ორგანიზაციებს“. მოკლედ, „არაბული გაზაფხულის“ შემდეგ აშშ-მა ნებისმიერ „არაგეიზირებულ“ ქვეყანაში ნატოს ჯარების შეყვანის ახალი მეთოდი გამონახა.

დღეს აშშ უდავო ლიდერია იმ ქვეყნების ჩამონათვალში, რომელთაც ეგრეთ წოდებული არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის ყველაზე მეტი მოქალაქე ჰყავს.

ამერიკული კვლევა, რომლის ცალკეული შედეგები მიმდინარე წლის გაზაფხულზე უკვე გამოქვეყნდა, ცხადყოფს, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაახლოებით 9 მილიონი გეი, ლესბოსელი, ბისექსუალი და ტრანსსექსუალი ცხოვრობს.

გამოდის, რომ ყოველ 40-45 ამერიკელზე, ჩვილების ჩათვლით, სქესობრივი გარყვნილებების ერთი ცეცხლოვანი პროპაგანდისტი და აგიტატორი მოდის.

საქმე იქამდე მივიდა, რომ შეიარაღებულმა ძალებმა საკუთარ რიგებში ჰომოსექსუალების მიღება დაიწყეს. 20 სექტემბრიდან ძალაში შევიდა კანონი, რომელიც გეებს ამერიკულ არმიაში მსახურების უფლებას აძლევს. ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის აღსანიშნავად მათ უკვე დააარსეს საკუთარი ბეჭდვითი გამოცემა. მისი დირექტორი, რომელიც ფსევდონიმ ჯ.დ.სმიტის უკან იმალება, აცხადებს: „ჩვენ ასევე გვინდა, ვაცნობოთ ყველა სახის ჯარების წარმომადგენლებს, რომ არსებობენ სამხედრო მოსამსახურე გეები, რომლებიც ღირსეულად მსახურებენ, და რომ ჩვენი ჯარი უფრო ძლიერი გახდება, თუ ჩვენ მივიღებთ ამ ფაქტს და განვაგრძობთ მოძრაობას“.

**რამდენიმე დღის წინ პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ და სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა გამოაცხადეს სექს-უმცირესობების მხარდასაჭერი მასშტაბური კამპანიის დაწყების თაობაზე, კერძოდ კი, იმ საერთაშორისო ფონდისა და სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალური განყოფილების შექმნაზე, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელების უფლებების დაცვას მთელს მსოფლიოში.** ამასთან, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა განაცხადა, რომ ფონდის შესაქმნელად ქვეყნის ბიუჯეტიდან 3 მილიონ დოლარზე მეტია გამოყოფილი — მეტი ვერ მოხერხდა. „ვიმედოვნებთ, რომ სხვა ქვეყნებიც შემოგვიერთდებიან და დაეხმარებიან მას,“ — თქვა სახელმწიფო მდივანმა. პრეზიდენტმა კი, საკუთარი უფლებამოსილების შესაბამისად, უფრო შორს შეტოპა მთელი პლანეტის სოდომიზაციის გზაზე.

„ვავალებ საზღვარგარეთ მომუშავე ყველა უწყებას, თვალყური ადევნონ, რომ ამერიკულმა დიპლომატიამ და უცხოეთში დახმარების აღმოჩენის ორგანიზაციებმა დაიცვან სექსუალური უმცირესობების უფლებები. უცხოეთში მომუშავე უწყებებმა უნდა გააძლიერონ მოღვაწეობა უცხოეთის იმ ხელისუფლებებთან ბრძოლის მიმართულებით, რომლებიც ცდილობენ, ჰომოსექსუალიზმი და ჰომოსექსუალური ქცევა დამნაშავეობასთან გააიგივონ. ამავე უწყებებმა გააფართოონ ზომები სექსუალურ ორიენტაციაზე დამყარებულ დისკრიმინაციასთან, ჰომოფობიასა და შეუწყნარებლობასთან საბრძოლველად,“ — ნათქვამია აშშ-ის პრეზიდენტ ბარაკ ობამას მემორანდუმში.

ამ ამოცანის შერულებაში განსაკუთრებული როლი ობამამ აშშ-ის შიდა უშიშროების სამინისტროს და სახელმწიფო დეპარტამენტს დააკისრა. **სახელმწიფო დეპარტამენტს ასევე ევალება, სათავეში ჩაუდგეს უწყებათაშორის ჯგუფს, რომელიც პასუხისმგებელი იქნება იმაზე, რომ ამერიკის ადმინისტრაციამ მაქსიმალურად სწრაფად მოახდინოს რეაგირება საზღვარგარეთ ჰომოსექსუალებისა და ლესბოსელების უფლებათა შელახვის ფაქტებზე.** როგორც ობამამ აღნიშნა, აშშ **სექსუმცირესობების უფლებების დაცვას საერთაშორისო ორგანიზაციების საშუალებითაც შეეცდება.** მაგრამ აქ უკვე მისაღწევიც აღარაფერია. უკვე ყველა საერთაშორისო სტრუქტურა საფუძვლიანადაა ამერიკის მიერ მოპოვებული.

მიმდინარე წლის ივნისში გაეროს ადამიანის უფლებათა საბჭომ მიიღო რეზოლუცია, რომელიც სექსუალური ორიენტაციის საფუძველზე დისკრიმინაციას კრძალავს. ამგვარი დოკუმენტი ისტორიის მანძილზე პირველად იქნა მიღებული.

**რეზოლუცია ითვალისწინებს იმ სპეციალური ორგანოს შექმნას, რომელიც მთელ მსოფლიოში სექსუალური უმცირესობების უფლებების დაცვას გააკონტროლებს.** გარდა ამისა, დოკუმენტი ითვალისწინებს იმ კომისიის შექმნას, რომელსაც დაევალება ქვეყნების კანონმდებლობების გადამოწმება, ხომ არაა მათში სექსუალური უმცირესობების დისკრიმინაციის შემცველი რაიმე კანონი. დოკუმენტის მხარდამჭერ ქვეყნებს შორის არიან ამერიკის შეერთებული შტატები, ევროკავშირის ქვეყნები და ბრაზილია. რეზოლუციის წინააღმდეგ ხმა მისცეს აფრიკისა და მუსლიმანური ქვეყნების წარმომადგენლებმა.

უნდა აღინიშნოს, რომ აფრიკულმა და ისლამურმა ქვეყნებმა ნიგერიისა და პაკისტანის მეთაურობით მკაცრად გააკრიტიკეს რეზოლუცია და განაცხადეს, რომ ამას არაფერი აქვს საერთო ადამიანის ძირითად უფლებებთან.

**რეზოლუციას ობამას ადმინისტრაციამ „ისტორიული“ უწოდა. სახელმწიფო მდივანი ჰილარი კლინტონი წერილობით განცხადებაში მიესალმა რეზოლუციას, როგორც ინტიმურ სფეროში ყველა ადამიანის უფლებების საერთაშორისო აღიარების გზაზე გადადგმულ მნიშვნელოვან ნაბიჯს.**

ეს, ალბათ ასეცაა, მაგრამ არსებობს გაეროს სხვა მსგავსი რეზოლუციებიც, რომლებიც იმდენად „ინტიმურ სფეროს“ არ ეხება, მაგრამ აშშ-ს უფლებას აძლევს, ომი წამოიწყოს, ვთქვათ, ავღანეთში, ნატო-ს კი — დაბომბოს ლიბია...

ახლა ამერიკის ადმინისტრაციას ავალია, „სწრაფად და გარკვევით“ მოახდინოს რეაგირება სერიოზულ ინციდენტებზე, რომლებიც სექსუალური უმცირესობების უფლებებს ეჭვქვეშ დააყენებს. როგორც აშშ-ის პრეზიდენტის მემორანდუმშია აღნიშნული, ასეთი შემთხვევები მრავლადაა: ადამიანები სისხლის სამართლის დევნის ობიექტები ხდებიან საკუთარი სექსუალური ორიენტაციის გამო, სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებს სცემენ მშვიდობიან სადღესასწაულო ღონისძიებებში მონაწილეობისთვის და ხანდახან საქმე მათ მკვლელობამდეც მიდის. როგორც ობამა აღნიშნავს, საჭიროა სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელი დევნილებისა და პოლიტიკური თავშესაფრის მაძიებლების დაცვა.

უცხოეთის ქვეყნებში ადამიანთა უფლებების დაცვის სიტუაციის ყოველწლიურ შეფასებებში, რომლებსაც სახელმწიფო დეპარტამენტი აქვეყნებს, უკვე გათვალისწინებულია სექსუალური უმცირესობებისადმი დამოკიდებულება. ამრიგად, **პრეზიდენტის დირექტივას ეს საკითხი უკვე საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტის რანგში აჰყავს.**

ახლა ამერიკის მიერ სხვადასხვა ქვეყნისთვის ფინანსური დახმარების გაწევა იმაზეც იქნება დამოკიდებული, თუ როგორ იცავენ ეს ქვეყნები სექსუალური უმცირესობების უფლებებს. ობამას ზემოხსენებულ მემორანდუმში აღინიშნება, რომ „სექსუალური უმცირესობების წარმომადგენელთა დისკრიმინაციის შეწყვეტისთვის ბრძოლა გლობალური გამოწვევაა(!). ის ერთ-ერთ ცენტრალურ როლს ასრულებს აშშ-ის მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის ვალდებულებების შესრულებაში“.

და აი, ევროპარლამენტიც მოითხოვს ევროკავშირის იმ დირექტივის მიღებას, რომელიც ევროკავშირის ყველა წევრ ქვეყანაში სექსუალური ორიენტაციის ფონზე დისკრიმინაციას კრძალავს. დირექტივის პროექტი ითვალისწინებს დისკრიმინაციის აკრძალვას მრწამსის, ინვალიდობის, ასაკის ან სექსუალური ორიენტაციის მიხედვით საქონლის, მომსახურების, განათლებისა და სოციალური შეღავათების ხელმისაწვდომობის მხრივ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, **ევრომოღვაწეებს სურთ, „ცისფერები“ ინვალიდებს გაუთანაბრონ.** არც ისე მნიშვნელოვანია, რა სოციალურ სტატუსს მიიღებენ ევროპაში სოდომისტები. გაცილებით მნიშვნელოვანია ის, რომ ისინი ოფიციალურ ნებართვას მიიღებენ არა მხოლოდ გარყვნილებაზე, არამედ მის ღია პროპაგანდაზეც. მაგრამ **ევროკომისიამ შენიშნა, რომ „მხოლოდ ჰომოსექსუალიზმის ლეგალიზება არ კმარა და შეშფოთება გამოხატა მოსახლეობის უკიდურესად ნეგატიური რეაქციის გამო. ამიტომ, მისი აზრით, აუცილებელია საგანმანათლებლო პროპაგანდაც“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა დაიწყოს მოსახლეობისთვის საბავშვო ბაღიდანვე ტვინის გამორეცხვა, როგორც ახლა კეთდება ეს, ვთქვათ, გერმანიაში. ოპტიმიზმს ერთადერთი რამ ბადებს: დეფოლტის ზღვარზე მყოფ და ვალებში ჩაფლულ ევროკავშირში შესვლას აღარავინ მოინდომებს უკრაინისა და საქართველოს მეტი. მათ, ვინც წესებს არ დაემორჩილება, ისევე მოექცევიან, როგორც მათი უფროსი ძმა აშშ იქცევა.**

მაგალითად, **ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრმა დევიდ კემერონმა დაიმუქრა, რომ განვითარებად ქვეყნებს დახმარებას შეუწყვეტს, თუ ისინი ჰომოსექსუალიზმის ამკრძალავ კანონმდებლობას არ გააუქმებენ.**

კემერონმა ეს საკითხი წამოჭრა ავსტრალიელ პერტსათან თანამეგობრობის ქვეყნების ლიდერებთან შეხვედრისას. სხვათა შორის, 5 დეკემბრიდან ბრიტანეთის ▶



მსოფლიო
საქართველო და მსოფლიო
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**ევროკომისიამ შენიშნა, რომ „მხოლოდ ჰომოსექსუალიზმის ლეგალიზება არ კმარა და შეშფოთება გამოხატა მოსახლეობის უკიდურესად ნეგატიური რეაქციის გამო. ამიტომ, მისი აზრით, აუცილებელია საგანმანათლებლო პროპაგანდაც“. სხვაგვარად რომ ვთქვათ, უნდა დაიწყოს მოსახლეობისთვის საბავშვო ბაღიდანვე ტვინის გამორეცხვა, როგორც ახლა კეთდება ეს, ვთქვათ, გერმანიაში. ოპტიმიზმს ერთადერთი რამ ბადებს: დეფოლტის ზღვარზე მყოფ და ვალებში ჩაფლულ ევროკავშირში შესვლას აღარავინ მოინდომებს უკრაინისა და საქართველოს მეტი. მათ, ვინც წესებს არ დაემორჩილება, ისევე მოექცევიან, როგორც მათი უფროსი ძმა — აშშ იქცევა.**

◀ რელიგიურმა თემებმა ქვეყნის ხელისუფლებისაგან მიიღეს ნებართვა, სოდომისტების კავშირები „აკურთხონ“. დღეს ბრიტანეთში ორი ათასამდე ერთსქესიანი წყვილია, რომელთაც დაქორწინება სურთ. საერთო ჯამში ქვეყანაში დაახლოებით 10 000 გარყვნილი ყოველწლიურად აკანონებს საკუთარ ურთიერთობებს. მაგრამ თანამეგობრობის წევრი 54 ქვეყნიდან 41-ში მოქმედებს კანონები, რომლებიც ჰომოსექსუალიზმის სხვადასხვა გამოვლინებისთვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. კემერონმა ბრძანა, რომ ამ კანონების უმეტესობა ბრიტანული იმპერიის მემკვიდრეობაა. „ჩვენ გვინდა, დავინახოთ, რომ ქვეყნები, რომელთაც დახმარებას ვუწევთ, იცავენ ადამიანის უფლებებს,“ — განაცხადა პრემიერმა. მან ხაზი გაუსვა, რომ განვითარებადი ქვეყნებისათვის დახმარება უნდა გაიცემოდეს უფრო მეტი პირობებით, ვიდრე ახლაა, მაგრამ იქვე დასძინა, რომ ქვეყნების ერთ ღამეში შეცვლას არ უნდა ველოდეთ.

ჰომოსექსუალური ტრანსფორმაციის ვადებთან დაკავშირებით პრემიერი არ ტყუის. ევროპას უმალ არ უქცევია ზურგი ქრისტიანული ღირებულებებისათვის და უმალ არ მიუღია სოდომისტობა. დარეგისტრირებულ პარტნიორობაზე კანონი მსოფლიოში პირველმა დანიამ მიიღო 1989 წელს. დანიელ ჰომოსექსუალ წყვილებს ჰეტეროსექსუალების მსგავსი უფლებები მიენიჭათ, გარდა შვილის აყვანისა და ეკლესიური ჯვრისწერისა. მაგრამ **გარყვნილი ჯინის ბოთლიდან გამომშვები მაინც ამერიკა იყო. კალიფორნიის ქალაქ ბარკლიში 1984 წლის 1 სექტემბერს პირველად მიიღეს კანონი „საშინაო პარტნიორობის“ შესახებ ერთსქესიანი ოჯახებისათვის.** აი, რამდენიმე საინტერესო მაგალითი აშშ-ის მიერ წამოწყებული „ცისფერი“ მარათონიდან, რომელშიც კავბოური მათრახით მიერეკებიან 40-ზე მეტ ქვეყანას, რომლებიც მეტ-ნაკლებად და თითქოსდა საკუთარი ნებით მონაწილეობენ ამ ყველაფერში.

1996 წელს უნგრეთში, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, თანაცხოვრების შესახებ კანონი გავრცელდა ერთსქესიან წყვილებზეც. **უნგრეთი გახდა პირველი სახელმწიფო ყოფილი სოციალისტური თანამეგობრობიდან, რომელმაც ერთსქესიანი ოჯახების აღიარებას დაუდო სათავე.**

იმავე წელს ჰამბურგში მიღებულ იქნა გერმანიაში პირველი კანონი სამოქალაქო პარტნიორობის შესახებ, რომელსაც ხალხმა „ჰამბურგული ქორწინება“ უწოდა. 2001 წელს ნიდერლანდებში ძალაში შევიდა მსოფლიოში პირველი კანონი ერთსქესიანი ქორწინებების შესახებ. ისეთმა პატარა ქვეყანამაც კი, როგორიც ანდორაა, 2005 წელს მიიღო კანონი ერთსქესიანი სამოქალაქო პარტნიორობის შესახებ. ამჟამად ჰომოსექსუალური კავშირების გამყარებით დაკავებულნი არიან არგენტინაში, ჰოლანდიაში, შვედეთში, ნორვეგიაში, დანიაში, პორტუგალიაში, ავსტრალიაში, ისლანდიაში, ესპანეთში, ბელგიაში. უახლოეს მომავალში ერთსქესიანი ქორწინების ლეგალიზებას აპირებენ ალბანეთში. აშშ-ში ერთსქესიანი ქორწინებების შესახებ კანონები მოქმედებს კონექტიკუტის, აიოვას, მენის, მასაჩუსეცის, ვერმონტის და ნიუ-გემპშირის შტატებში. გარდა ამისა, ნიუ იორკი აღიარებს სხვა შტატებში გაფორმებულ ამგვარ ქორწინებებს.

ღია სატანიზმმა გლობალური ხასიათი მიიღო, მიუხედავად ამისა, სოდომისტები განუწყვეტლივ გაჰყვირიან საკუთარი უფლებების დარღვევის შესახებ, მაგრამ რომელი უფლებების? ერთადერთის — გამოვიდნენ აღლუმებზე და საკუთარი სექსუალური კუთვნილების პროპაგანდა გასწიონ. იმ ქვეყნებშიც კი, სადაც სქესობრივი გარყვნილებები დაკანონებულია, გეიაღლუმები არ შეწყვეტილა. დამახასიათებელია ისიც, რომ მოსკოვში სექსუალური უმცირესობების არასანქცირებული მიტინგის დაშლის ფაქტზე უმალ გამოხატა უდიდესი შეშფოთება აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტმა (სხვათა შორის, რატომაც არ გამოდგება ეს მიზეზად, რომ რუსეთის ტერიტორიაზე ნატოს ჯარები შეიყვანონ?).

**დღეს უკვე სავსებით ნათელია, რომ დასავლეთი წარმატებით ახორციელებს სოდომისტების იდეოლოგიის იმპორტირებას. ევროკავშირისა და აშშ-ის ხელმძღვანელობა სავსებით შეგნებულად ანგრევს სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებას, გამოყოფს რა დიდძალ ფულს შესაბამისი პროგრამებისთვის.** ამ ზეწოლის ძალაზე შეიძლება იმ სიტუაციის მიხედვითაც ვიმსჯელოთ, რომლის დროსაც **აშშ-ის ადმინისტრაციის კრიტიკის სამიზნედ იქცა სანკტ-პეტერბურგის საკანონმდებლო კრების მიერ პირველივე მოსმენით მიღებული კანონპროექტი არასრულწლოვანთა შორის ჰომოსექსუალიზმის პროპაგანდისათვის პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. ამგვარი რეაქცია არ მოჰყოლია თვით პრეზიდენტ მედვედევის მკაცრ განცხადებას სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეთანხმებიდან რუსეთის შესაძლო გასვლის შესახებ. აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტისთვის პირველხარისხოვანი საკითხია ერთი მუჭა სოდომისტების „უფლება“ — თავს მოახვიონ მთელ რუსეთს საკუთარი აღლუმები.**

უცნაურია, რომ დასავლეთს ჯერ არ შემოუთავაზებია ზოოფილური „ოჯახების“ დაკანონება, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, ამის დროც დადგეს. დოსტოევსკის თანახმად, ღმერთის დავიწყებით მძაფრი შეგრძნებების ძიებაში კანიბალიზმამდეც მივლენ.

**არაა გამორიცხული, რომ დასავლეთის მიერ მოწყობილი მართვადი ქაოსის „არაბულ გაზაფხულს“ კიდევ ერთი გაზაფხული მოჰყვეს, ოღონდ ამჯერად — „ცისფერი“. შესაძლოა, იარაღიც იქნეს გამოყენებული — აშშ-მა ხომ საკუთარ ტერიტორიაზე გარყვნილთა უზარმაზარი არმია შექმნა.**

stoletie.ru





# VIVA დემოკრატიას — ქრისტიანები დახოცეს, თეატრი აკრძალეს, ნავთობს 16 ათასი დაქირავებული იცავს

**აშშ-მა ოფიციალურად დაასრულა ერაყში ცხრა წლის წინ დაწყებული სამხედრო ოპერაცია. ამასთან დაკავშირებით ბარაკ ობამამ, რომელმაც ასეც ვერ გარისკა „მშვიდობიანი“ ქვეყნის მონახულება, ჩრდილოეთ კაროლინაში მდებარე სამხედრო ბაზაზე ამერიკელ ჯარისკაცებს სიტყვით მიმართა.**

„კეთილი იყოს თქვენი შინ დაბრუნება,“ — მიესალმა პრეზიდენტი ჯარისკაცებს, მაგრამ ამგვარი შემთხვევებისთვის დამახასიათებელი სიტყვა მოპოვებული გამარჯვების შესახებ ამ მისალმებას არ მოჰყოლია. ობამა იძულებული იყო, ელიარებინა, რომ ერაყი „იდეალური ადგილი არაა“, მაგრამ, მიუხედავად ამისა, „სამხედროები მას თავაწეულნი ტოვებენ“.

„ჩვენ ვტოვებთ დამოუკიდებელ, სტაბილურ და საკუთარ თავში დარწმუნებულ ქვეყანას ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლების წარმომადგენლით,“ — ასე ჩამოაყალიბა ბარაკ ობამამ თავისი „უდიდესი მიღწევა“.

მაგრამ აშშ-ის „მიღწევებს“ ცოტა სხვაგვარად აფასებენ თავად ერაყელები. ქალაქ ფალუჯას ასობით მცხოვრებმა ჯარების გაყვანა ამერიკული დროშის ტრადიციული დაწვით აღნიშნა.

„ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ გავთავისუფლდით ოკუპანტებისაგან მრავალრიცხოვანი მსხვერპლის ფასად,“ — ამბობდა ერთ-ერთი დემონსტრანტი, ტრანსფარატებზე ეწერა „ახლა თავისუფალნი ვართ“ და „ფალუჯა — სამართლიანობის კერა“.

იმას, რომ ერაყი ვერა და ვერ გახდა „იდეალური ადგილი“, ამას ორიოდე დღის წინ ტელ-აფარში მომხდარი ის აფეთქებებიც მოწმობს, რომლებმაც სამი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა და კიდევ 35 მშვიდობიან მოქალაქეს მიაყენა ზიანი. ამ ამბამდე ერთი დღით ადრე ქალაქ ბასრასთან ახლოს ტერორისტებმა გაზსადენი ააფეთქეს. მინიმუმ, კვირაში ორი და მაქსიმუმ, დღეში რამდენიმე ტერაქტი ერაყში ჩვეულებრივი მოვლენაა. ფაქტობრივად, პოლიტიკურად ქვეყანა გაყოფილია შიიტი და სუნიტი არაბებისა და ქურთების მიერ სამ ოლქად და მათ ერთმანეთთან მხოლოდ „საოკუპაციო საწვავის არტერიები“ აკავშირებს. ამ არხებით ყოფილი სახელმწიფოსათვის ომით წართმეული ნავთობი გამარჯვებულთა სასურველი მარშრუტებით მიედინება.

**ამერიკელები მიდიან ერაყიდან, მაგრამ მათ შემცვლელებად მოდის 16 ათასი დაქირავებული კერძო სამხედრო კომპანია, რომლებიც ამერიკელ დიპლომატებსა და ნავთობკორპორაციებს დაიცავენ**

სხვა მხრივ ერაყი ახლა „არაბული შემოდგომის“ ტიპიური მაგალითია. მოსახლეობის განათლების დონე ათწლიანი ოკუპაციის შედეგად „მესამე მსოფლიოს“ საშუალო მაჩვენებელს მიუახლოვდა, არადა, აშშ-თან კონფლიქტის დაწყებამდე ერაყი საფუძვლიანად ითვლებოდა „არაბული სამყაროს მანათობლად“. მუზეუმების უმეტესობა ამერიკელებმა ჯერ კიდევ 2003 წელს გაძარცვეს. ბაღდადის უნივერსიტეტებში აკრძალულია თეატრის, სახვითი ხელოვნების ფაკულტეტები და სხვა სატანისტური გასართობები. დაახლოებით მილიონი ადამიანისაგან შემდგარი ქრისტიანული უმცირესობის ნახევარი მაინც სადამ ჰუსეინის რეჟიმის დამხობის შემდეგ იძულებული გახდა, მიეტოვებინა ისტორიული სამშობლო და მეზობელ ქვეყნებში დამალულიყო. მათ, ძირითადად, სირიას შეაფარეს თავი, მაგრამ მალე, შესაძლოა, ეს უკანასკნელიც დაეცეს.

**ამერიკელები მიდიან ერაყიდან, მაგრამ მათ შემცვლელებად მოდის 16 ათასი დაქირავებული კერძო სამხედრო კომპანია, რომლებიც ამერიკელ დიპლომატებსა და ნავთობკორპორაციებს დაიცავენ.**

**1 ტრილიონი დოლარის, 4500 ამერიკელისა და გაურკვეველი რაოდენობის დაქირავებული ჯარისკაცის, ასევე 100-270 ათასი ერაყელის სიკვდილის ფასად ამერიკამ რეგიონში ეკონომიკურად დაიმკვიდრა თავი.**

ამ სამსახურის სანაცვლოდ, ამერიკას ერაყის ხელისუფლების მხარდაჭერის იმედი აქვს ირანთან დაპირისპირებაში. ამისათვის პენტაგონი ერაყში 18 გამანადგურებლის — „F-16“-ის განთავსებას აპირებს ადრე უკვე განთავსებული კიდევ 18 ასეთივე გამანადგურებლის გვერდით. გარდა ამისა, ერაყში თანამედროვე შეიარაღების სპეცსაშუალებების მნიშვნელოვანი რაოდენობა განთავსდება.

odnako.org

## კიმ ჩენ ირს პატივი არ მიაგეს



**გაეროს გენერალურ ასამბლეაზე პატივი მიაგეს ჩრდილოეთ კორეის ლიდერის კიმ ჩენ ირის ხსოვნას, თუმცა ევროპის ქვეყნების, ასევე აშშ-ისა და იაპონიის წარმომადგენლებმა ამის გაკეთებაზე უარი განაცხადეს.** როდესაც გენერალური ასამბლეის ხელმძღვანელმა გააკეთა მოწოდება, პატივი მიეგოთ კიმ ჩენ ირის ხსოვნისთვის, ასამბლეის სხდომათა დარბაზი ნახევრად დაცარიელდა. კიმ ჩენ ირი ჩრდილოეთ კორეას 17 წელი მართავდა, იგი 17 დეკემბერს 69 წლის ასაკში გარდაიცვალა. ქვეყანაში 13-დღიანი გლოვაა გამოცხადებული. ჩრდილოეთ კორეის ლიდერის დაკრძალვა 28 დეკემბერს არის დაგეგმილი. მის მემკვიდრედ უკვე ოფიციალურად აღიარეს მისი უმცროსი შვილი კიმ ჩე ინი.

ისტორია

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როცა გადავხედავ ჩვენს ისტორიას, იქ მე ღვთის ხელს ვერ ვნახულობ. ჩვენი არსებობა დაცინვაა განგებისა ჩვენს თავზე. ჩვენშია ჩამჯდარი ლომი და რწყილი, ეშმაკი და ანგელოზი, ნიჭი და ყიყვი... არის რაღაცა შეკოწიწებული და გადაყრილი, მიბნეულ-მობნეული. ხერხემალს ქართულის იდეისა მე ვერ ვპოულობ და ვერც აზრს საქართველოისას წარსულში.**

ნიკოლო მიწიშვილი

# ფიქრები საქართველოზე

**...მე არ ვიცი, ვის უყვარს საქართველო ჩვენზე მეტად. დღეს ყოველ გაკოტრებულ პოლიტიკოსს თავისი თავი წმინდა სებასტიანე ჰგონია, რომელიც დაისრულია სამშობლოთი და სამშობლოსათვის. ყოველი მეშჩანინი, რომელიც ვერ ახერხებს ნამდვილი საქონლით სპეკულაციას, სპეკულანტობს დღეს საქართველოს სიყვარულით.**

საქართველო და პატრიოტობა დღეს ჩვენში შეიქნა ყოველი კარიერაშერყეული ქართველის ჯაგლაგათ, რომელიც მიაჩანჩალებს დონ კიხოტივით.

მე არ ვიტყვი აქაურებზე, რადგანაც, გერცენის არ იყოს, ემიგრანტობა თავისთავად მეტად ცუდი ავადმყოფობაა, და ქართველ ემიგრაციას რომ განსაკუთრებული ტკივილი მართებს, ცხადია.

მაგრამ მე ვიცი ხალხი, რომელიც აქაურებში მიწასთან ასწორებს ქართველ ბოლშევიკებს და საქართველოში კი იმავე ბოლშევიკურ ხელისუფლების ქვეშ მილიარდებს აკეთებენ. საქართველოში ბოლშევიკებს უძვრებიან უკანა კარებიდან და, ყოველ შემთხვევისათვის,რომელიმე რესტორანში მენშევიკებსა და ნაც.-დემ. -თან მაინც მოიწმენდენ ხოლმე კეთილშობილ ცრემლს.

და ყველა ასეთებს, ალბათ, ჩვენზედ მეტად „უყვართ“ საქართველო.

თქვენ იცით ბევრი ქართველი, რომელიც ტკბილად ემსახურება საბჭოთა ხელისუფლებას, შერიგებით და მორიგებით, „არ იკლებს არაფერს“, მაგრამ „დღიური წესრიგის“ ამოსაწურავად ყოველ შემთხვევისათვის მაინც გააჩერებს მოსახვევში თავისიანს, ჰკითხავს „თუ რა ისმის“, და დამშვიდებული სინდისით წავა შინისაკენ.

თქვენ იცით, ასეთი ხალხი და ამგვარი „ტიპები“ ყველაზე მეტს გვიყვიროდნენ ჩვენ და წრიპინებდნენ ჩვენს ბოლშევიკობასა და კომუნისტობაზე (რამაც სტამბოლამდე და პარიზამდეც კი ჩააღწია).

ეს ქართული „თილისმობაა“, ეს ყოველთვის ქართული ჩვეულება იყო და, თუ ეხლაც ჩვენში ეროვნული მორალი და კეთილშობილება ამ ხაზით უნდა წავიდეს, დეე ღმერთმა ხელი მოუმართოთ და ხეირი ანახოთ. მე ამ გზით ვერ ვიარ.

**დღევანდელ ხანაში ეს უსინდისო, სპეკულანტური, გაიძვერული ფსიხოლოგია, რომელიც წაღმა-უკუღმა „ეტორღიალება“ საქართველოს სხეულს, განსაკუთრებით ძლიერია.**

ასეა აქაც.

და როცა ფიქრობ ასეთ ფიქრებს, როცა თვალწინ გიდგება ასეთი ხალხი და საქართველო, მე ვერ ვპოულობ ვერც ერთ სახეს, რომელიც ღირსი იყოს საქართველოსი და მინდა ვიყვირო:

„Тъфу сволочи!“

თქვენ იცით ეს თავდასხმა ჩვენზე, რომელიც, ალბათ, გაგრძელდება, რომ ჩვენ არ გვიყვარს სამშობლო, რომ არ ვართ პატრიოტები. ამას ყრანტალობს ხოლმე ერთიანად როგორც ვინმე ფილისტერი, ისე „პატრიოტი’“, უკმაყოფილო და გულმოსული იმით, რომ ჩვენ არ დავდივართ ქუჩა-ქუჩა და სიმონა ჯღამაძესავით არ ვყვირით „მზეო, ამოდი, ამოდი“-ს.

გამიგრძელდა ამაზე წერა, მაგრამ აქეთ წამომიყვანა სიტყვებმა, საცა გავჩერდი ჩვენს შემოქმედებაზე, ჩემს იჭვზე და საქართველოზე და განვაგრძობ.

დიახ, მე ვამბობ, რომ ჩვენმა ჯგუფმა, მიუხედავად იმისა, რომ მასშია დიდი გრძნობა პოეზიის გაგებისა და ათვისებისა, ვერ აიმაღლა თავი შემოქმედებაში იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო თვითეული ჩვენი ამხანაგის პოტენციის მიხედვით. ამას ვუწოდე მე ჩვენი კრიზისი და არა თავის გასამართლებლად ვახსენე მე საქართველო და მისი სიმშრალე.

ჩვენი მტრები იტყვიან, რომ ჩვენ „ამოვიწურეთ“, ან რომ ჩვენ ვართ ზარმაცები, ან კიდევ სხვა რამეს. მაგრამ ეს არ მიმაჩნია საყურადღებოდ და ამაზე არ გავჩერდები.

ჩემი ფიქრები ებჯინება საქართველოს და იგრიხება ასე:

ჩემ წინ სდგას კითხვა: კითხვა „დედა-შვილობის“ და ვკითხულობ: სამშობლო პოეტისათვის (ხელოვანისათვის), თუ პოეტი სამშობლოსათვის?

საზრდოობა სამშობლოსაგან თუ „რჩენა“ სამშობლოსი?

იმ სახით, როგორც მე ამას ვკითხულობ, ეხლა ევროპაში ეს საკითხი არ დაისმის. შეიძლება რუსეთში დაისვას ეს კითხვა.

ეს იქ მართლაც არის, მაგრამ განსაკუთრებით კი ეს ჩვენი ქართული საკითხია.

და მე მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ „სამშობლო — პოეტისათვის“ (ხელოვანისათვის), ე. ი. რომ სამშობლოში (არა მარტო ზოოლოგიურ ცნებებსა და ეტნოგრაფიულ ფერებში) უნდა არსებობდეს ის ენერგია, ის სხვადასხვაობა, რომელიც ბადებს დიდ შემოქმედებას. სამშობლოში უნდა იყოს სტიქია, ატმოსფერო, ნოყიერება, რომელიც აღმოაცენებს შემოქმედებას.

სწორედ აქ მეეჭვება მე საქართველო. აქ მეჩვენება მე ის იმგვარ ქალად, რომელსაც, სოფელში რომ იტყვიან, „უშვილობის წამალი აქვს დალეული“.

ბოლოს და ბოლოს, ეს სიტყვა უნდა ითქვას და მისი არ უნდა გვეშინოდეს. თუმცა დღეს გახარებულ ქართულ ატმოსფეროში ძნელია ამის თქმა...

აქ გვეტყვიან, რომ შეიძლება ეს არის თვითმკვლელობა ჩვენი და მოიყვანენ ძველ ჩექმასავით გაცვეთილ მაგალითს იმ შტოს გადაჭრის შესახებ, რომელზედაც კაცი ზის. რა გაეწყობა!

**და მე ვფიქრობ, დიახ, ჩვენ და დღევანდელი საქართველო (და შეიძლება საქართველო საზოგადოდ) ვართ ორი ანდროგინი და ჩვენგან არ შეიქმნის შთამომავლობა. და თუ საქართველოს წარმოვიდგენთ სულიწმინდის მიერ დაორსულებულ არსებად, რომელსაც „ბებია“ სჭირდება, რათა მიიღოს ხელთ „ნაყოფი მუცლის მისისა“, მაშინაც ჩვენ ვერ გამოვდგებით ასეთ ბებიად, ვინაიდან ნაყოფი იგი არ არის და არც იქნება გამართლება ჩვენი წარმოდგენის, ჩვენი სურვილების, ჩვენი შეგნებისა და იმ დიდი სიყვარულის, რომლითაც გვიყვარს საქართველო.**

ჩვენი მოწინააღმდეგები აქ ახსენებენ სხვა სახელებს ჩვენს გარშემო, იტყვიან, რომ ეს მარტო ჩვენა ვართ უვარგისი, რომ არიან სხვებიც. კი, ბატონო.

— რაა? ვინაა?

აქ იტყვიან, რომ პოეტი, მაგალითად, „დახეული დროშის“ ლექსით სამშობლოს ემსახურება. როგორ? განა მასზე ნაკლებად ემსახურება სამშობლოს უცხო ვინმე რუსთაველის პროსპექტიდან, რომელიც „ანტანტის ფლოტის“ შესახებ გავრცელებული ჭორებით ნაკლებ კი არა, უფრო მეტად აღელვებს „პატრიოტების“ გულსა და „ემსახურება“ ქვეყანას?! ეს მეჭორე და ეს პოეტი ერთნაირად ღელდებიან და აღელვებენ, მაგრამ რა შუაშია აქ პოეზია?



ნიკოლო მიწიშვილი

ესაა, ჩემი ფიქრით, ის უკუღმართი მოვლენა, რომელზედაც ზევით ვლაპარაკობდი, როცა სამშობლო არ აძლევს პოეტს რასმეს და, პირიქით, პოეტი ცდილობს მისცეს მას.

პოეზიაში და, საზოგადოდ, ეს დამარცხების ამბავია და ჩვენ ვიცით, რომ ეს სიყალბეა, გაუგებრობაა და მართლა სირცხვილი იმ პოეტს, რომელსაც შეეხარბება ასეთ გაუგებრობაზე აშენებული ძეგლი.

**საქართველო და პატრიოტობა დღეს ჩვენში შეიქნა ყოველი კარიერაშერყეული ქართველის ჯაგლაგათ, რომელიც მიაჩანჩალებს დონ კიხოტივით**

ჩვენში დღეს ვერც ერთ პოეტზე „კვანჭს ვერ მოკიდებ“ და ვერ ნახავ მასში ვერც პოეზიას და ვერც საქართველოს.

ასეთი ყუმი და უმია ჩვენი პროზაც. აძიგძიგებული, როგორც ციებიანი ქათამი სამეგრელოში.

მე მეშინია ამაზე ფიქრი.

კი, ბატონო, ჩვენ ვიყვეთ დეგენერატები; დეე, საქართველო არ გვიყვარდეს; დეე, ჩვენ გაგვრიყოს საქართველომ და ეთაყვანოს თუნდაც რწყილს. კი, მაგრამ სხვები სადაა? სხვებს რაღა დაემართა? რომ არც სხვა სჩანს?

და შემდეგ. ჩვენთვის, ჩვენნაირად ხომ გვიყვარს საქართველო, ხომ გვინდა ის ჩვენი საქართველო, რომელიც ჩვენს ოცნებაში ზის, მუდამ ვეალერსებით და სხვანაირია. რომ არც ამ საქართველოზე გვაქვს ჩვენ კონკრეტული წარმოდგენა?

ჩვენს ოცნებას საქართველოზე ელაპარაკება მხოლოდ ჩვენი გული და სიყვარული, ჩვენი სურვილი, მაგრამ არის სურვილი, ნდობა და არ არის რეალობა...

ჩვენ საქართველოს მზე არ გაგვანათებს, მაგრამ, როგორც ვთქვი, ის ვერც სხვამ ნახა და, თუ მარტო ჩოხა-ახალუხია საქართველო, უტიეთ მას, წამოდით აქეთ, დავიკარგოთ, წყალში გადავვარდეთ!!

ჩვენ, ამხანაგებო, დიდი დეფექტები გვაქვს, მაგრამ ერთი ცხადია, რომ პოეზია უსათუოდ გვესმის, ვგრძნობთ მას სხვაზე მეტად. ამას მიმტკიცებს მე მთელი ის თანამედროვე ლიტერატურა, რომელშიაც ვბუნაგობ აქ და სწორედ ამიტომ ჩვენ ყველაზე ადრე უნდა მივსულიყავით საქართველოს მიგნებამდე.

ეს ჩვენ ვერ ვქენით, ვერ შევძელით. აქაა ჩვენი საფრთხე და ჩვენი უბედურება. ამის მეშინია მე და აი, რატომ:

როგორი ინტერნაციონალურიც არ უნდა იყოს პოეზია და ხელოვნება, ის, ჩემის ფიქრით, მაინც ატარებს ეროვნულ სახეს. თვით ვერლენი, რომელსაც ნაკლებად ახსენდება სამშობლო და რომელიც ამბობს: „Я равнодушен к судьбе народа“-ო (ჯერ კიდევ ვერ მომყავს ფრანგული ციტატები), ეროვნული მოვლენაა, შექსპირიც, დანტეც. ეროვნულია„ომი და ზავი“, „ჟან კრისტოფი“ (რომელიც მხოლოდ ეხლა გადვიკითხე), მაგრამ ამ ერის და ეროვნების სახე იმდენად ძლიერია შემოქმედში, რომ მას სრულიად არ სჭირდება ლაპარაკი: „გაუმარჯოს საფრანგეთსო!“ და სხვა. ამას ყვირის თითეული სტრიქონი ყოველი ავტორისა. ეს წვრილმანი არ სჭირდება ავტორს, რადგან მის ერს იმდენი ქონი აქვს, იმდენი სხვადასხვაობაა მასში, იმდენათ თვალსაჩინოა და გრანდიოზულია ის, როგორც ერი, რომ რაც უნდა არაეროვნული ხასიათის იყოს ნაწარმოები, მისი ქვეყანა მაინც შიგაა. ის ყვირის და იძახის.

ამის წინათ აქ იყო კლოდ ფარერი, რომელსაც სტამბოლმა დიდი ზეიმი გაუმართა. ოსმალეთს ეძახიან „პიერ ლოტისა და ფარერის ქვეყანას“ — სულ ამ თათრებზე სწერენ, მაგრამ ისინი მაინც საფრანგეთის ლიტერატურაში არიან, საფრანგეთის ხალხი არიან.

აიღეთ რუსეთი. რუსის ხელოვნებამ მთელი ევროპა დაიპყრო, არსად იმდენი ხალხი არ დადის, როგორც რუსების გამოფენაზე პარიზში. არც ერთი ლიტერატურა ისე არ აინტერესებთ, როგორც რუსული. პირდაპირ შურით ივსები, როცა ხედავ წიგნის მაღაზიებს ავსებულს მერეჟკოვსკით, ბუნინით, დოსტოევსკით და სხვ. ფრანგულ ენაზე. სუდეიკინი ვერ აუდის თეატრების შეკვეთებს და მისი სურათები მიაქვთ ამერიკაში. ერენბურგი გამოდის რუსულად, ფრანგულად, გერმანულად. ესენინი და კლიუევი ყვირიან ბარბიუსის „კლარტე“-ში. ბევრი ჩვენი ნაცნობი რუსი მწერალი იბეჭდება თითქმის ყოველთვიურ „მერკურ დე ფრანს“—ში და სხვ.

რა არის ეს?

ეს არის რუსეთი, რომელიც ნახა რუსის შემოქმედმა. ესაა რუსეთი, რომელიც მონახეს კირეევსკებმა და აქსაკოვმა; რომელიც აკურთხა „რაინდმა ბერმა“ სოლოვიოვმა, რომელსაც მიახეთქა თავისი გამსკდარი თავი ჩადაევმა; რომელზედაც სტიროდა გერცენი — ეს ბაყბაყ-დევი რევოლუციის პათოსისა; რომელმაც დაარწმუნა ბელლი თავის მესსიანობაში და სხვა და სხვა. ეს რუსეთი აყვირებს და ასაზრდოებს თავის პოეტებს, შემოქმედებს...

აქ არის ხაზიც — ძიებისა და განდგომისა, ტირილისა და ძაგვის. მაგრამ ტირის პოეტი, რომელსაც აწევს რაღაც გრანდიოზული, რომელსაც ახრჩობს თავისი ქვეყნის სიდიდე, სხვანაირობა, საკვირველობა, თავისი სამშობლოს ღმერთი.

მოიგონეთ დოსტოევსკის მსჯელობა ერებზე და სახელმწიფოებზე: ხომ არარაა ის ერი, რომელსაც არა ყავს და არა სწამს საკუთარი, თავისი ღმერთიო.

ეს ღმერთი ყველას ყავს, მართლა. ეს ღმერთი ყავს საფრანგეთს, რომელიც კურთხევადა სდგას მარნაზე და ელენეს კუნძულზე, ბასტილიაზე და მარსელიეზაში; ეს ღმერთი ყავს გერმანეთს (და მარტო ამ ღმერთს ეხებოდა ის შტამპი, რომელიც დაკრული ქონდა სამხედრო საგნებს ომის დროს — „ღმერთო, დასაჯე ინგლისიო“); ინგლისს, რომლის ღმერთი ვენერასავით ამოდის ზღვიდან, შემდეგ იქცევა ოფელიად, რომ გაცოცხლდეს ინდოეთში...

ჩვენ ყველა ვხედავთ სკვითების ღმერთს...

და ასე ყველგან.

სხვებსაც ყავს და თუ არ ყავთ, შედიან სხვის საყდარში. ეს ღმერთები აკურთხებენ მათ პოეზიას, მათ ხელოვნებას, ასუქებენ და ანავარდებენ მას.

**და ჩვენც, თუ გავშლით ფრთებს, გავშლით, როგორც ეროვნული მოვლენა, თუ გავალთ ევროპაში, გავალთ, როგორც და მარტო ქართველები, რომელნიც გავიტანთ და გამოვაჩენთ საქართველოს სახებას.**

**და როცა კვლავ ვუბრუნდები საქართველოს, მე მას ვერ ვხედავ, ვერ ვნახულობ და მეშინია; ნუთუ საქართველო მარტო ეთნოგრაფიული მოვლენაა, თანდათან გადაგვარებაში გადასული?**

**როცა გადავხედავ ჩვენს ისტორიას, იქ მე ღვთის ხელს ვერ ვნახულობ. ჩვენი არსებობა დაცინვაა განგებისა ჩვენს თავზე. ჩვენშია ჩამჯდარი ლომი და რწყილი, ეშმაკი და ანგელოზი, ნიჭი და ყიყვი... არის რაღაცა შეკოწიწებული და გადაყრილი, მიბნეულ-მობნეული. ხერხემალს ქართულის იდეისა მე ვერ ვპოულობ და ვერც აზრს საქართველოისას წარსულში.**

**იქნება საქართველო წარსულში გაამრთელოს ჯვარმა, რომლისთვისაც ის იგლიჯებოდა ყოველი მხრიდან. მაგრამ ჯვარისაგან ხომ კურთხევა უნდა გამოდიოდეს და სადაა ეს კურთხევა? ნუთუ ჩვენი აწიოკებული ისტორია კურთხევაა? ნუ-** ▶

**იქნება საქართველო წარსულში გაამრთელოს ჯვარმა, რომლისთვისაც ის იგლიჯებოდა ყოველი მხრიდან. მაგრამ ჯვარისაგან ხომ კურთხევა უნდა გამოდიოდეს და სადაა ეს კურთხევა?**

www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

**როდესაც იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი მთელი კატეგორიულობით სვამდნენ კითხვას — „რანი ვიყავით გუშინ?“, მათ სწორედ ის თვისებანი და ის რაობა ეიმედებოდათ, რამაც საქართველოს სრული ზეობა მოუტანა წარსულის რამდენიმე ეპოქაში**

ჯანსუღ ღვინჯილია

# ისტორიული კითხვები

**რანი ვართ ქართველები?! რანი ვიყავით გუშინ?! რანი ვიქნებით ხვალ?! — აი, კითხვები, რომლებიც სამსჭვალივით ბურღავდა დროსა და სივრცეში წონასწორობადაკარგული ქართველის ტვინს. იგი იყო არჩილ მეფის შემაწუხებელი კითხვა, იგი აშფოთებდა დავით გურამიშვილს, იგი აწამებდა ვახუშტის, ნიკოლოზ ბარათაშვილს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკი წერეთელს, იაკობ გოგებაშვილს, ვაჟა ფშაველას... აწუხებდა მეოცე საუკუნის ქართველ მწერლებსა და მეცნიერებს, გვაწუხებს მეოცე საუკუნის დასასრულს ჩვენც — დღევანდელ ქართველობას. ორი ათასი წლის შესაყარს მიახლოებულ საქართველოს, ცხადია, არ შეუძლია სუნთქვა გარკვეულობის გარეშე. იგი უნდა გაერკვეს!**

**თუ ორიათასი წლის განმავლობაში ამ ჯვრის ძალამ ვერ შვა მოვლენა, რომელიც გამოირკვევდა საქართველოს, როგორც მოწოდებას, საკუთარის აზრით და დანიშნულებით? ნუთუ საბოლოოდ და სამუდამოთ მოკლებულია საქართველო იმ „ნათლის სვეტს“, რომელიც წინ მიუძღვის ყოველს ხალხს ახალი სიტყვისა და შემოქმედებისაკენ?**

**ორი ათასი წლის განმავლობაში მე ვერ ვხედავ ამას და მეეჭვება თვით რუსთაველიც: თუ ის ჩვენი ცხოვრებისაგანაა - უსათუოდ გაუგებრობაა ის; თუ არადა, ან რუსთაველი არაა ქართველი, ანდა მისი პოემა ადვილად ნაშოვნია სადმე.**

მე ვიბნევი და მეშინია ასეთი კითხვების; მაწუხებს ეს აქ, ისე როგორც არასოდეს და ირყევა ჩემი სიმტკიცე და გული.

მე არ მინდა უარვყო საქართველო წარსულში და მომავალში. მაგრამ ესე ხდება ეს. თუ ერის სახე იხატება მის შემოქმედებაში, საქართველოს სახე დღეს განსაკუთრებით ძნელი სანახავია, ხოლო ჩვენს შემდეგ რა მოდის ხელოვნებაში და პოეზიაში, ეს თქვენ იცით. ეს საუკუნე ვერ მისცემს საქართველოს ვერც ერთ პოეტს, ვერც ერთ ჭეშმარიტ მწერალს...

შეიძლება ვერც ჩვენ ავიმაღლოთ ხმა, როგორც შემოქმედმა. შეიძლება ჩვენც ჩაგვყლაპოს იმ არარაობამ, რომელიც სვამს საქართველოს ბედს, მის სულსა და სისხლს საუკუნეთა განმავლობაში.

მე მგონია, რომ ყველა ჩვენგანი ამას ვგრძნობთ.

ჩვენ რომ ვეძებდეთ დაფასებას დღევანდელს, სახელს იაფს — ამას ყოველი ჩვენგანი შეძლებდა. ეს ადვილია, მაგრამ ეს იქნება ღალატი სინდისისა და პოეზიისა. და ის, რაც მარადიულია ყველგან, რასაც უხვად აძლევს სხვა ხელოვნებას სხვა სამშობლოები, ჩვენ საქართველოში მას ვერ ვხედავთ და ვვარდებით სკეპტიციზმში, რომელიც, ალბათ, მიგვიყვანს ცინიზმამდე.

სადაც არ უნდა წავიდეთ, ამ მიზეზის გამო ჩვენ თავს მაღლა ვერ ავწევთ და ვერც ერთ ჩვენთაგანში დღეს ვერ ალაპარაკდება საქართველო ისე, როგორც ალაპარაკდა იტალია მარინეტის ინტერნაციონალურ მანიფესტებში.

ისეთი ინტერნაციონალური მოვლენა, როგორიცაა რევოლუცია, უაღრესად ეროვნულ სახეს ამოისვრის ხოლმე პოეტში. საუკეთესო პოეტები რუსეთის რევოლუციისა, რომელიც იშვენ რევოლუციით და მესამე ინტერნაციონალის ვარსკვლავსაც უგალობენ, ყველაზე მეტად ეროვნული არიან.

მაიაკოვსკი. ესენინი. კლიუევი.

ტატლინის ძეგლი მესამე ინტერნაციონალისათვის ეროვნული პოტენციის შედეგია, რომელიც გააქანა, აამოძრავა და გამოაჩინა რევოლუციამ.

დროა გავათავო წერილი!

ჩვენი გემი, რომელზედაც მე ვცხოვრობ, დგას „ოქროს რქაზე“. ღამეა და ამ სიწყნარეში უკვე მესამედ ყივის თათრის მამალი ნაპირიდან.

მეც დავიღალე.

სტამბოლი ხომ ისტორიული პუნქტია, სადაც სტიროდნენ ქართველები. ეს წყლები „ბაბილონის მდინარეებია“ და იქნებ ოდესმე ქართველი პოეტიც დასტიროდა აქ თავის ბედს და სამშობლოს ისე, როგორც მე. იქნებ ისიც ეძებდა საკუთარ ვარსკვლავს ამ მინარეთების წვეტიან თავებში და ეს მთვარიანი მინარეთები მასაც უფარავდნენ სამშობლოს სახეს ისე, როგორც ჩემთვისაა ის დაფარული და მიუგნებელი...

ვინ იცის.

ვიჩქარი დასკვნებს. მეშინია ამ „ერესი“-ს, მაგრამ ესაა და რა ვქნა.

**საქართველო პასიური მოვლენაა.**

**მისი ენერგია გამოწვეული იყო სხვა, მისი გარეშე მყოფ მოვლენისაგან (ენერგია ჭიის, როცა მას ფეხს აჭირებენ).**

**საკუთარ შინაგან აქტივობას მოკლებული იყო საქართველო და მოკლებული იყო, მაშასადამე, შემოქმედების გენიასაც.**

**მოკლებულია აქედან გამართლებას, მსოფლიო გამართლებას, საკუთარ რელიგიას, მოწოდებას, აზრს, შინაარსს.**

ამითაა, რომ მშრალია და ფუყე საქართველო. აქედანაა მისი „უშვილოსნობა“ თუ ბერწობა.

ამის შედეგია, ჩემის ფიქრით, სიმჩატე ქართველი არსებისა, ქართული ჭკუისა, განწირვა ქართული ხელოვნების, პოეზიის.

მე მგონია, ესაა მიზეზი იმისა, რომ ყველაფერი ქართული უდღეოა, რომ ქართული ბედი სწყდება და ტყდება ყოველთვის შუა გზაზე, დაუმთავრებელი, მიუღწეველი“...

ამიტომ სჭირდება სრული, გამოწვლილვითი ანალიზი ჩვენს რაობას, მეცნიერული სიზუსტითა და სისრულით ფლობა ჩვენსავე მდგომარეობას, ჩვენი სულის პოზიციას, ჩვენი ხასიათის შედგენილობას, ჩვენი თვისებების დღევანდელ განლაგებას, რათა დაფლული ენერგიის ერთიანი ამოძრავება შევიძლოთ.

თუ ღრმად დავაკვირდებით, ნათლად დავინახავთ, რომ ეროვნული ხასიათის რაობა ვახუშტის მიერ შეუმცდარად და სრულად არის განსაზღვრული. ხასიათის რაობა ყველა ნიშან-თვისებით არის წარმოდგენილი.

სხვისთვის არ ვიცი, პირადად ჩემთვის კი აღმოჩენაა ვახუშტი ბაგრატიონის მიერ საგულდაგულოდ მოწვდილი ინფორმაცია-მოსაზრება სწორედ იმ თავში, სადაც საქართველოს „ზნესა და ჩვეულებანზეა“ ლაპარაკი. უშუალოდ იმ ქვეთავს კი, სადაც მოთავსებულია ეს „ინფორმაცია-მოსაზრება“, ეწოდება „ზნეთათვის“.

განსაკუთრებულ მნიშვნელობას ჩვენთვის ეს ქვეთავი იძენს არა იმის გამო, რომ საერთოდ საქართველოს ზნეზეა საუბარი! სულ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. მე პირადად მიმაჩნია, რომ საქართველოს ისტორიისათვის ამ ქვეთავს ახლადაღმოჩენილი მატერიკის დანიშნულება აქვს. ვახუშტი ბაგრატიონი აღნიშნულ ქვეთავში ლაპარაკობს ერთ უაღრესად წონიან მოვლენაზე, მოვლენაზე, რომელიც შესაძლოა, ფარდას ხდიდეს ქართველობის არსებობის მთელს საიდუმლოს. იგი საგანგებოდ გამოაცალკევებს და შემდგომ ახასიათებს ქართველთა ოდინდელ ზნეს, კერძოდ, უძველესი წინაპრების, სხვა ერებთან შეურევნელი ჩვენი წინაპრების, ზნეს. წარმოგვიდგენს იმ რაობას, რაც იყო თავდაპირველი, თვითნაბადი არსი ქართველობისა, ის არსი, რითაც ამქვეყნად გააჩინა მაღალმა ღმერთმა ქართველობა. მოვიხილოთ და განვიჩხრიკოთ ამ არსის შინაარსი:

„სარწმუნოება მათი იყო ერთისა დამბადებელის ღვთისა თაყვანისცემა, და ფუცვიდიან ქართლოსის საფლავსა. ზნენი აქუნდათ პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მხნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთვის, ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა შენება, მაგრება ქუეყანისა, ერთის-ცოლის ქმრობა, რამეთუ მოიყვანიან თვისთვისთა თანასწორთა: მთავარნი მთავართა, აზნაურნი აზნაურთა და უმცირესნი უმცირესთა; და ამის მიერ არა იყო მრავალცოლობა, ვითარცა ვიხილავთ ქართლოსისა და სხუათაცა. არამედ, გარნა თუ მრავალ მთავარ იყვნენ და ოდესმე განდგიან თვის-თვისად, გარნა მარადის გარე მტერთა თვისთა ზედა ერთობდნენ და მორჩილებდენ მცხეთელ მამასახლისს და შეერთბამებულნი, თვისთა ქუეყანისათვის მხნედ იბრძოდიან. და იყვნენ მრავალთა წელთა წესთა ამათ ზედა“ (ვახუშტი ბაგრატიონი).

სწორი ორიენტაცია ჰქონიათ ქართველებს ოდითგანვე: ისინი — ქართლოსის შთამომავალნი — „ქართლოსის საფლავს რომ ფუცვიდიან“, გონებაგანათებულნი ჭვრეტდნენ ღვთაებრივი საიდუმლოს უმთავრეს შინაარსს: „ერთისა დამბადებელისა ღვთისა თაყვანისცემას“; რელიგიურად სწორი ორიენტაციის მფლობელნი, პირნათელნი მაღალი ღმერთის წინაშე, უნიკალური თვისებებით იყვნენ აღჭურვილნი. გავიხსენოთ: „პირმტკიცობა, მტერთა ზედა ერთობა, თავისუფლებისათვის მხნედ ბრძოლა, მაგრად დგომა მისთვის. ციხე-სიმაგრეთა და ქალაქთა შენება. მაგრება ქუეყნისა“. ახლა ოჯახურ არქიტექტონიკასაც დავაკვირდეთ: „ერთის ცოლისა ქმრობა“. თანაც თავისი სწორი მოჰყავდათ: მთავარს — მთავარი, აზნაურს — აზნაური, მცირეს — მცირე, არ იყო მრავალცოლიანობა. მთავრებს ჰქონდათ დამოუკიდებლობა, მაგრამ „მტერსა ზედა ერთობდენ“, დგებოდნენ მცხეთელი მამასახლისის დროშის ქვეშ და „შეერთბამებულნი“, „თვისთა ქვეყნისათვის“ „მხნედ იბრძოდიან“.

ეს გახლავთ ალმასის სიმკვრივის ხასიათი! დიახ, როგორი გადაჭარბებულიც არ უნდა მოგვეჩვენოს დღეს წონასწორობადარღვეულ ქართველობას, ეს ისტორიული სინამდვილეა და გვაწვდის მის შესახებ ცნობას დიდი ვახუშტი ბაგრატიონი, ხოლო ვახუშტი შემლამაზებელი რომ არ არის თავისი ქვეყნის ისტორიისა, ეს დავას არ უნდა იწვევდეს. შემლამაზებელი კაცი მიჩქმალავდა თავისი წინაპრების შესახებ თქმულს — „მკვდარსა შესჭამდიანო“, მიჩქმალავდა უამრავ სამარცხვინო ფაქტს და ქმედებას, რასაც იგი პირუთვნელად აღნუსხავს ისტორიულ პიროვნებათა წარმოჩენისას, არ ამხელდა მეფეებისა და სახელმწიფო მოღვაწეთა სერიოზულ ზადს, ამხელს კი დაუნდობლად, მწარედ, დაუზოგავად.

როდესაც იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი მთელი კატეგორიულობით სვამდნენ კითხვას — „რანი ვიყავით გუშინ?“, მათ სწორედ ის თვისებანი და ის რაობა ეიმედებოდათ, რამაც საქართველოს სრული ზეობა მოუტანა წარსულის რამდენიმე ეპოქაში, თუმცა ყურადღება არ გაუმახვილებიათ ვახუშტი ბაგრატიონის მიერ მოწვდილ ამ „ინფორმაცია-მოსაზრებაზე“.

ქართულ ეროვნულ ხასიათში დიდი ძვრა მოხდა. ძვრა მოხდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე, რის შესახებაც იქვე მიუთითებს ვახუშტი ბაგრატიონი, თითქოს ნათელი და ბნელი ერთი ღრმა ზოლით გაჰყო შემოქმედის ხელმაო:

„ხოლო შემდგომად დაივიწყეს ღმერთი დამბადებელი თვისი და თაყვანს სცემდნენ მზესა, მთვარესა, ვარსკულავთა და ნივთიერთა და პირუტყვთა, და შემოერიათ გარეგანნი წარმართნი: სპარსნი, თურქნი, ასურნი და ბერძენნი და შემდგომად ურიანი, და იტყოდიან ესეოდენით — ენითა; და უმეტეს დაივიწყეს დამბადებელი თვისი და წესნი და ჩვეულებანი თვისნი და იქმნეს ყოველთა წარმართთა უწარმართესნი და უუსჯულოესნი, რამეთუ არღარა უწყოდიან ნათესაობანი“.

ჟურნალი „ისტორიული მემკვიდრეობა“

**ვახუშტი შემლამაზებელი რომ არ არის თავისი ქვეყნის ისტორიისა, ეს დავას არ უნდა იწვევდეს. მაშინ მიჩქმალავდა უამრავ სამარცხვინო ფაქტს და ქმედებას, რასაც იგი პირუთვნელად აღნუსხავს ისტორიულ პიროვნებათა წარმოჩენისას.**




## გამოვიდა სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის «ისტორიული მემკვიდრეობა» ოცდამეხუთე ნომერი

ჟურნალი დღევანდელობის აქტუალურ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს.

ჟურნალის რედაქტორია თემურ ქორიძე.



არასამთავრობო ორგანიზაციამ — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერია, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ეხება. კრებულები გამიზნულია მკითხველთა ფართო წრისათვის, რამეთუ პოლიტიკური კონიუნქტურის გარეშე, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებზე დაყრდნობით ასახავს წარსულ სინამდვილეს. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მანიპულირების მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოცემა ფრიად დროული და აქტუალურია. მსურველებს კრებულების შეძენა შეუძლიათ წიგნის მაღაზიებში. დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 34-32-95.

ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95



## ასტრონომებმა ანგელოზი იპოვეს

**ასტრონომებმა ტელესკოპ Hubble-ის წყალობით კოსმოსში ნისლიანობა იპოვეს, რომელიც ანგელოზს წააგავს.** ნისლიანობა „Sharpless 2-106"-ს ჩვენგან 2 ათასი სინათლის წელიწადი აშორებს. ის საკმაოდ ვრცელია და სიგრძეში რამდენიმე სინათლის წელიწადს აღწევს. ნისლიანობის დაფიქსირება მასიური ახალგაზრდა ვარსკვლავის — „IRS 4"-ის წყალობით გახდა შესაძლებელი. იგი გავარვარებული გაზის ნაკადებს ანთხევს, რომელიც შორიდან, სინათლის გარდატეხის წყალობით, ანგელოზის ფრთებს ჰგავს.

# მისტიკურად გადაშენებული ცივილიზაციები

**კაცობრიობის ისტორიაში არსებობდა უამრავი ცივილიზაცია, რომელთაგან ზოგიერთი მსოფლიო ბატონობასაც აღწევდა, ზოგიერთი კი მშვიდობიანი ცხოვრებით ცხოვრობდა. დღეს ამ ცივილიზაციებიდან უმრავლესობა გადაშენდა — დაიკარგა მათი კულტურა, მოსახლეობა კი სხვა ხალხებს შეერია და დაკარგა ეროვნული იდენტობა. ზოგის გადაშენების მიზეზი თანამედროვე კაცობრიობისთვის ცნობილია, მაგრამ ზოგის გაქრობის თაობაზე მხოლოდ ლეგენდები შემორჩა.**

## ოლმეკები



**ოლმეკებმა შექმნეს ერთ-ერთი პირველი მესოამერიკული საზოგადოება. ისინი დასახლებულნი იყვნენ ცენტრალური და სამხრეთ მექსიკის ტროპიკულ დაბლობებზე.** ოლმეკების არსებობის პირველი ნიშნები აღმოაჩინეს ქალაქ სან ლორენცოში. ეს იყო ოლმეკების მთავარი დასახლება, რომელიც მხარს უჭერდა ორ ძლიერ ცენტრს: ტენოჩტიტლანს და პოტრერო ნუევოს. ეს ხალხი შესანიშნავი მშენებლები იყვნენ, რაც აისახა მათ გადარჩენილ სარიტუალო სასამართლოების, სახლების, ფართო კონუსისებრი პირამიდების და ქვის კოლოსალური მონუმენტების (რომელსაც უზარმაზარი თავები აქვთ და ყველაზე მეტადაა ცნობილი) არქიტექტურაში. ოლმეკების ცივილიზაცია ვაჭრობას ეყრდნობოდა. ისინი ვაჭრობდნენ როგორც სხვა რეგიონში დასახლებულ ოლმეკებთან, ისე სხვა ცივილიზაციებთან. ოლმეკების კულტურა სიძველისა და მაღალგანვითარებულობის გამო მიიჩნეოდა სხვა მრავალი მესოამერიკული ცივილიზაციის დედად.

დაახლოებით 400 წელს სამხრეთის ოლმეკები გაქრნენ ამ ადგილებიდან. ამ მოვლენის ამხსნელი სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ერთი მოსაზრების თანახმად, მათ ეს ტერიტორია ბუნებრივი პირობების გაუარესების გამო დატოვეს ან ამ ადგილას გააქტიურდა ვულკანი, ხოლო მეორეთა მოსაზრებით, ეს ხალხი დაიპყრეს, თუმცა დამპყრობლის ვინაობა ცნობილი არაა. ფაქტი ერთია, აღნიშნული თარიღის შემდეგ ამ ცივილიზაციის კვალი სრულად გაქრა. თუ ოლმეკები კატაკლიზმების გამო აიყარნენ, მაშინ სადმე სხვა რეგიონში უნდა დასახლებულიყვნენ და კვლავ აეღორძინებინათ თავიანთი კულტურა. თუ ისინი ვინმე სხვა ხალხმა დაიპყრო, მაშინ ყველაზე ცუდ შემთხვევაში ასიმილაციაც რომ მომხდარიყო, სადღაც მაინც გამოჩნდებოდა ამ ხალხის დიდებული კულტურის კვალი.

## ნაბატინები



**ნაბატინები სემიტური მოდგმის ხალხი იყვნენ. მათმა სამეფომ ძლიერებას მიაღწია მეექვსე საუკუნეში და მოიცავდა არაბეთის, იორდანიისა და ქანაანის ნაწილს.** ნაბატინები განსაკუთრებით ცნობილნი არიან ქალაქ პეტრას მშენებლობით, რომელიც მათი დედაქალაქი იყო. აზიაში გამავალი გზების მარშრუტების მთავარი გაჩერება იყო ნაბატინების სამეფო, სადაც შეძლებოდა აბრეშუმით, ძვირფასი ქვებითა და ლითონებით, სპილოს ძვლით, სანელებლებით, შაქრით, პარფიუმერიით ვაჭრობა. ეს ადგილი ყველაზე ხელსაყრელი იყო ვაჭრობისთვის, რადგან ნაბატინების სამეფოზე კულტურული გავლენა ჰქონდა ელინისტურ საბერძნეთსაც, არაბეთსაც, რომსაც და ასირიასაც.

სხვა იმდროინდელი ხალხებისგან განსხვავებით, ნაბატინებში მიუღებელი იყო მონობა და ჩვეულებრივ იქირავებდნენ ნებისმიერი ეროვნების ადამიანს რაიმე სამუშაოს შესრულების დროს.

მეოთხე საუკუნის განმავლობაში ნაბატინებმა პეტრა მიატოვეს, რისი ზუსტი მიზეზიც არავინ იცის. გასაკვირი ის არის, რომ ამ ხალხმა პეტრა ორგანიზებულად და სხვადასხვა დროს დატოვა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ნაბატინები არა რომელიმე ხალხმა გამოაძევა პეტრადან, არამედ თავისი ნებით წავიდნენ, თუმცა სად, არავინ იცის. ყველაზე მისაღები მოსაზრების თანახმად, მას შემდეგ, რაც სავაჭრო გზებმა ჩრდილოეთით გადაინაცვლა, ნაბატინების სამეფომ არსებობის საშუალება დაკარგა.

## ხმერის იმპერია

**ხმერის იმპერია აღმოცენდა ჩენლას სამეფოს დაცემის შემდეგ. ის მდებარეობდა დღევანდელი კამბოჯას ტერიტორიაზე და მე-9 საუკუნეში გახდა ერთ-ერთი ყველაზე ძლევამოსილი იმპერია სამხრეთ აზიაში.**

ხალხის უმრავლესობა იმპერიას იცნობს იმ ცივილიზაციად, რომელმაც ააშენა ანგკორი — კამბოჯას დედაქალაქი. ხმერი იყო დაუჯერებლად ძლევამოსილი და მდიდარი კულტურა, რომელმაც შეითვისა რამდენიმე რელიგიური სისტემა — ინდუიზმი, მაჰაიანა ბუდიზმი და ხანაინა ბუდიზმი. ყველა ეს რელიგია სახელმწიფო რელიგიის რანგში იყო აყვანილი. იმპერიას ასევე საკმაოდ ძლიერი არმია ჰყავდა, რადგან მას უხდებოდა ხშირი ომები ანამესესთან და ჩამებთან.

ხმერის იმპერიის დაცემა შეიძლება აიხსნას რამდენიმე ფაქტორის გაერთიანებით. იმპერიას განაგებდა დევარაჯო, ანუ მეფე-ღმერთი (რომელიც იღებდა მთელი იმპერიის პროდუქტების უდიდეს ნაწილს), მაგრამ ის იყო ხანაინა ბუდიზმის განსახიერება, რომელიც ასწავლის ადამიანს თვითმმართველობას, სახელმწიფო გადატრიალებას. სწორედ აქედან დაიწყო იდეოლოგიური გადატრიალების მომზადება. ჯაიავარმან VII-ის მმართველობის დროს აიგო გზები, რათა გაადვილებულიყო პროდუქტების გადატანა მთელი იმპრიის შიგნით. მაგრამ, მეცნიერების აზრით, ეს გზები კეთდებოდა იმპერატორის საწინააღმდეგოდ, რათა გაადვილებულიყო სამხედროთა მოძრაობა და მართლაც, აიუსაია პირდაპირ ანგკორში მოხვდა და დაამხო დევარაჯოს ხელისუფლება, მასთან ერთად დაემხო ხმერის კულტურაც.



## აქსუმიტების იმპერია



**აქსუმიტების იმპერია აღორძინდა ახალი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეში დღევანდელი ეთიოპიის ტერიტორიაზე და, როგორც ვარაუდობენ, აქედან იყო წარმოშობით დედოფალი შება.** აქსუმიტების იმპერია სპილოს ძვლის, ოქროსა და სამეურნეო ნაწარმის ძირითადი სავაჭრო ცეტრი იყო. აქ გზები მოემართებოდა რომის იმპერიიდან, წითელი ზღვიდან და სამხრეთ ინდოეთიდან, ამიტომ აქსუმიტების საზოგადოება ძალიან მდიდარი იყო. აქსუმიტები პირველი აფრიკული კულტურა იყო, რომელიც ჭრიდა თავის ფულს (ძველ ეგვიპტეს ფული არასდროს მოუჭრია და სხვა ქვეყნის ფულის გამოყენებაც აკრძალული იყო, ვაჭრობა ნატურით მიმდინარეობდა), ეს ფაქტი ქვეყნის სიძლიერესა და მნიშვნელობაზე მიუთითებს. აქსუმიტების არქიტექტურის განსაკუთრებული ნიმუში იყო ერთგვარი სტელები, გიგანტური ობელისკები, რომლებზეც გამოსახული იყვნენ აქსუმიტთა მეფეები და დიდგვაროვნები. თავდაპირველად ეს ხალხი თაყვანს სცემდა რამდენიმე ღმერთს, მაგრამ მთავარი ღვთაება იყო ასტარი. 324 წელს იმპერატორმა ეზენა II-მ სახელმწიფო რელიგიად ქრისტიანობა გამოაცხადა.

ლეგენდის თანახმად, ებრაელმა დედოფალმა იოდიტმა დაამარცხა აქსუმიტების იმპერატორი, დაანგრია ეკლესიები და დაწვა ამ ხალხის ლიტერატურა. სხვა ვერსიის თანახმად, აქსუმიტების იმპერია დაიპყრო სამხრეთ აფრიკის ტერიტორიაზე მდებარე სახელმწიფოს წარმართმა დედოფალმა ბანი ალ-ჰამვიაშმა (რომელიც აგრესიულად იყო განწყობილი ქრისტიანობის მიმართ) და გაანადგურა აქსუმიტების კულტურა. კიდევ ერთი მოსაზრებით, ბუნებრივმა კატაკლიზმებმა, შემდეგ შიმშილმა და ბოლოს სავაჭრო იზოლაციაში მოხვედრამ მოსპო აქსუმიტთა კულტურა და ცივილიზაცია.

## მიკენაელები



**მიკენაელები ძველი წელთაღრიცხვის დაახლოებით 1600 წელს გამოჩნდნენ და დასახლდნენ ეგეოსის ზღვის ორ კუნძულსა და სამხრეთ საბერძნეთში. მათ ააშენეს და დალაშქრეს ბევრი მთავარი ქალაქი, როგორიც იყო მიკენე, ტირინსი, პილოსი, ათენი, თებე, ორქომენუსი, ლოლკოსი და კნოსოსი.**

ბევრი ბერძნული მითი აღწერს მიკენებს. ტროას ომის დროს ისინი ბერძნების მხარეს იბრძოდნენ და მთავარ საზღვაო ძალას წარმოადგენდნენ. მათ, სამხედრო მიზნების გარდა, იყენებდნენ საჭირო პროდუქტების იმპორტირებისთვის ბერძნების ჯარში. მიკენაელები საუკეთესო ხელოსნები იყვნენ ბერძნულ სამყაროში და იარაღებითა და სამკაულით გაითქვეს სახელი.

არავინ იცის, თუ სად წავიდნენ მიკენაელები, მაგრამ ერთი თეორიის თანახმად, გლეხების და მმართველთა კლასის დაპირისპირებამ და არეულობამ გაანადგურა ცივილიზაცია. სხვა თვალსაზრისით, გადაშენების მიზეზი გახდა სავაჭრო გზების დარღვევა ან ბუნებრივი ფაქტორები, მაგალითად, მიწისძვრა. მაგრამ ყველაზე პოპულარული თეორიის მიხედვით, ისინი დაიმორჩილეს ჩრდილოეთიდან შემოსულმა ხალხებმა, მაგალითად, დორიანებმა, რომლებიც განსახლდნენ იმ ადგილას, სადაც სახლობდნენ მიკენები.

## სვაროვსკის უნიტაზი

**იაპონელმა იუველირმა განზა ტანაკამ უჩვეულო უნიტაზი შექმნა. ის მთლიანადაა დაფარული სვაროვსკის კრისტალებით. უნიტაზის ღირებულება 128 390 აშშ დოლარია.** მასზე იუველირი მთელი თვის განმავლობაში მუშაობდა, უნიტაზის მთლიანად მოსართავად 72 000 სვაროვსკის თვალი გახდა საჭირო. გარდა ამისა, განზა ტანაკა მსოფლიოში ყველაზე ძვირი ოქროს ნაძვის ხის ავტორიც არის. სვაროვსკის თვლებით გაფორმებული უნიტაზი დღემდეც არსებობდა, თუმცა მისი დიზაინი ძველმოდური იყო და ის სულ რაღაც 75 000 დოლარად გაიყიდა, რაც ახალი დიზაინის ღირებულების ნახევარია. ცოტა ხნის წინ უნიტაზების მე-11 საერთაშორისო გამოფენაზე ოქროს უნიტაზიც გამოიტანეს.




ქრონოგრაფი
www.geworld.net
თბილისი, დ. ბაქრაძის №6, ტელ: 234-32-95

# ყველაზე დიდი ნაყინის ტორტი

ნაყინის კაფეების პოპულარულმა კანადურმა ქსელმა „Dairy Queen"-მა თავისი არსებობის 30 წლის იუბილე იზეიმა და ამ დღის აღსანიშნავად დაუნთაუნის ერთ-ერთ ცენტრალურ მოედანზე სტუმრებს უზარმაზარი ნაყინის ტორტით უმასპინძლა. ტორტის შექმნაზე ათეულობით მზარეული დღედაღამ მუშაობდა. გამოყენებულ იქნა 9000 კილოგრამზე მეტი ნაყინი, 91 კილოგრამი ბისკვიტი, დაახლოებით 136 კილოგრამი ყინული. ტორტი, ცხადია, შევიდა გინესის რეკორდების წიგნში, როგორც მსოფლიოში ყველაზე დიდი ნაყინის ტორტი.








# EleMMent PALAZZO — სასახლე ბორბლებზე



**ავსტრიულმა კომპანიამ Marchi Mobile-მა, რომელიც საბურავებით გადაადგილდება, ბორბლებზე ნამდვილი სასახლეააშენა.**

ეს არის სიახლე მანქანათმშენებლობაში, რადგან ავტოს, ავიასა და იახტურ სპორტულ ნიშან-თვისებებს აერთიანებს. EleMMent PALAZZO-ს აქვს სპორტული ტიპის გამომფრქვევი მილები, ბიზნეს ჯეტას ტრაპი, ძრავიანი იახტის ფლაიბრიჯი.

ეს მართლაც ყველანაირი კომფორტით აღჭურვილი მთლიანი სახლია. ძირითადი ფართი 12 მეტრი სიგრძისაა, დამატებითი 20 მეტრი კი განკუთვნილია ეგრეთ წოდებული დასვენების ზონისათვის, სადაც განლაგებულია ბარი, იატაკი თბება და სავარძლები მასაჟორის ფუნქციას ასრულებენ.

**ზედა ნაწილის აწევა შესაძლებელია 80%-ით, რაც ავტოსახლის ცალ მხარეს მდებარე გამოსაწევმექანიზმიანი განყოფილების მანიპულირებით ხდება.**

**რაც შეეხება EleMMent PALAZZO-ს საფასურს, ის ნამდვილად შთამბეჭდავია და 3 მილიონ აშშ დოლარს უდრის.**

**შიდა სივრცეში მოხვედრა ტრაპის მეშვეობითაა შესაძლებელი.**







უამრავი ორიგინალური დეტალით აღჭურვილი EleMMent PALAZZO კომპორტისა და უსაფრთხოების უმაღლეს დონეს ითვალისწინებს. კომპლექსური კონტროლისა და მართვის ცენტრალური სისტემა შესაძლებლობას იძლევა, ერთ წამში შემოწმდეს ნებისმიერი ინფორმაცია.

ავტმობილის კონფიგურაცია გრაფიკულ ინტერფეისში იცვლება, რაც სენსორული ეკრანის მეშვეობით ხორციელდება.

**მანქანა 93 კმ/სთ-მდე სიჩქარით მოძრაობს.** გადაადგილებისას იგი 20%-ით ნაკლებ საწვავს მოიხმარს, ვიდრე შესაბამისი ზომისა და წონის სხვა ავტოტრანსპორტი, რაც მისი აეროდინამიური ფორმების დამსახურებაა.









## ვაშლების წვიმა

**ინგლისის ქალაქ ქოვენთრის მოსახლეობა უჩვეულო მოვლენის მომსწრე გახდა — ქალაქში ვაშლების წვიმა მოვიდა. ქოვენთრის ერთ-ერთი რაიონი ღამით ასეულობით ვაშლით დაიფარა, რამაც ადგილობრივი მოსახლეობა ძალიან შეაშინა. არავინ დაშავებულა, თუმცა რამდენიმე ავტომობილი დაზიანდა.**

მეტეოროლოგთა ვარაუდით, ამ მოვლენის მიზეზი ქარიშხალია, რომელმაც დიდი ბრიტანეთის ჩრდილოეთ ნაწილს გადაუარა. ვაშლები ჰაერის ნაკადმა აიტაცა და რამდენიმე ათეული კილომეტრის დაშორებით, ქოვენთრიში გადაისროლა. თვითმხილველები ყვებიან, რომ ვაშლების გარდა, ციდან სტაფილოები და კომბოსტოებიც ცვიოდა. უჩვეულო ნალექი დროდადრო სხვა ქვეყნებშიც მოდის. 2002 წელს საბერძნეთის ჩრდილოეთით, კორონის დასახლებაში ცოცხალი თევზის წვიმა მოვიდა. 2004 წელს ხორვატიაში ციდან ბაყაყები ჩამოცვივდა, ერთი წლის შემდეგ კი იგივე მოვლენა სერბეთში განმეორდა.

ზოგჯერ უჩვეულო წვიმას თავად ადამიანები იწვევენ. ინდოეთის ქალაქ მუმბაიში, სადაც ივლისში სამმაგი ტერაქტი მოხდა, ციდან ბრილიანტების წვიმა მოვიდა. ერთ-ერთი ბომბი საიუველირო ბაზრობაზე აფეთქდა, რის შედეგადაც 5,6 მილიონი დოლარის ღირებულების ძვირფასეულობა ქალაქის მთელ რაიონში მიმოიფანტა.



# 2011 წლის კურიოზები

## სააგენტო FRANCE PRESS-მა 2011 წლის კურიოზების სია გამოაქვეყნა

**ყველაზე თავშესაქცევი აღმოჩნდა კლეპტომანი კატის დაჭერა. ამერიკის შტატ კალიფორნიაში ღამის სათვალთვალო კამერამ კატა დააფიქსირა, რომელიც ღამ-ღამობით მეზობლებს ქურდავდა. კატამ, სახელად დესტი, კლეპტომანის სახელი დაიმსახურა, რადგან იგი ეზოებიდან განურჩევლად ყველაფერს იპარავდა. მის კოლექციაში აღმოჩნდა დეკორატიული სოკოები, სათამაშოები, წინდები, ცხვირსახოცები, საცურაო კოსტუმები და ბიუსტჰალტერებიც კი. მეზობლებმა იცოდნენ კატის ქურდბაცაცობის შესახებ, მაგრამ არ უჩივლეს.**
**თუ რამეს კარგავდნენ, კატის პატრონთან მიდიოდნენ და იბრუნებდნენ.**

● **ლოს ანჟელესში** ქალი იმდენად მონდომებული იყო, სადღესასწაულო ფასდაკლებისას რაც შეიძლება მეტი რამ შეეძინა, რომ კონკურენტების მოშორება გაზის ბალონით გადაწყვიტა. მაღაზიის გახსნისას მან გაზი ხალხში გააფრქვია. ოცამდე ადამიანს სამედიცინო დახმარება დასჭირდა, მათ შორის — ბავშვებსაც. ხულიგანმა ქალბატონმა კი ამასობაში საჭირო ნივთები შეიძინა და მიიმალა.

● **ფირმამ Eternal Earth-Bound Pets-მა** დიდი ფული იშოვა იმის წყალობით, რომ ადამიანებს სამყაროს დასასრულის შიში აქვთ. მათ, ვინც აღსასრულის დღეს ელის, მაგრამ შინაური ცხოველების უპატრონოდ დატოვება არ სურს, კომპანიამ მათი მეთვალყურეობა შესთავაზა. ორასზე მეტი ადამიანი მოტყუვდა და 135 დოლარი გადაიხადა შინაური ცხოველის უზრუნველყოფილი მომავლისთვის.

● **ინდოეთის ქალაქ ამრიტსარადან** ბრიტანულ ბირმინჰემში თვითმფრინავით გამგზავრებულ მგზავრებს ბედმა უმუხთლა: გარდა ბილეთებში გადახდილი თანხისა, მათ დამატებით 20 ათასი ფუნტი სტერლინგის შეგროვება მიუწიათ, რათა ფრენა გაეგრძელებინათ. თვითმფრინავი საწვავის მარაგის შესავსებად ვენაში დაეშვა, მაგრამ იქ საწვავის ჩასხმაზე უარი უთხრეს მისი საფასურის გადაუხდელობის გამო. მგზავრებმა აეროპორტში ექვსი საათი გაატარეს და იძულებული გახდნენ, ფული შეეგროვებინათ, რათა თვითმფრინავიდან არ ჩამოესვათ.

● **კურიოზული შემთხვევა მოხდა თებერვალში ნიუ იორკში, გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე.** ინდოეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სომანაჰალი მალაია კრიშნამ სიტყვით გამოსვლისას საკუთარი ტექსტის ნაცვლად მისი პორტუგალიელი კოლეგის მიმართვის კითხვა დაიწყო. შეცდომას ის მხოლოდ სამი წუთის შემდეგ მიხვდა. მან იქვე მოძებნა გამოსავალი; სიამაყე გამოხატა იმასთან დაკავშირებით, რომ გაეროს უშიშროების საბჭოში ერთბაშად ორი პორტუგალიურენოვანი ქვეყანა შევიდა. ამის შემდეგ მან მოხსენება თავიდან დაიწყო, მოგვიანებით კი აღიარა, რომ შეცდომით სხვა ტექსტი ამოიღო.

● **უკრაინის მოქალაქემ რუსეთიდან ხვადი დათვის გაყვანა სცადა.** იგი საზღვარზე დააკავეს. მისი ავტომობილის დათვალიერებისას ცოცხალი დათვი აღმოაჩინეს. მამაკაცი იძულებული გახდა, მესაზღვრეებისთვის აეხსნა, რომ ცირკში მომთვინიერებლად მუშაობს და დათვი მისთვის იგივეა, რაც ოჯახის წევრი.

● **ვიეტნამის საგზაო პოლიცია** მოტოციკლეტისტებს სათევზაო ბადით იჭერს. ამ ზომაზე წასვლა მათ იმან აიძულა, რომ დიდ ქალაქებში პოპულარული გახდა მოტოციკლეტებზე ისეთი ტრიუკების შესრულება, რომლებიც გამვლელებს საფრთხეს უქმნის.

● **იტალიურ ქალაქ პალერმოში** მოხერხებულმა მეეზოვემ ადგილობრივ ხელისუფლებას თოვლის გატანისთვის დამატებითი ანაზღაურება მოსთხოვა. იგი ირწმუნებოდა, რომ მარტიდან აგვისტოს ჩათვლით თოვლი გაჰქონდა. ასე მაგალითად, აპრილში (საშუალო ტემპერატურა +10 გრადუსი) ამ საქმეს 17 საათი მოანდომა, მაისში — 50, ივნისსა და ივლისში — 38 და 44 საათი, შესაბამისად. აგვისტოში კი, როცა თერმომეტრი 30 გრადუსზე ზემოთ ადის, მეეზოვეს 200 საათი უმუშავია თოვლის გატანაზე. ყველაზე საოცარი მისი თავხედობა კი არ არის, არამედ ის, რომ მისი მოთხოვნების ნაწილი დააკმაყოფილეს. 350-დან 45 საათის საზღაური მას მაინც გადაუხადეს.

# 2012 წელს გლობალური ეკონომიკა და მთელი მსოფლიო მკვეთრად შეიცვლება



**ექსპერტები მომავალი წლისთვის მსოფლიო ეკონომიკის პროგნოზებს აკეთებენ. ისინი თანხმდებიან, რომ 2012 წელს გლობალური ეკონომიკა და ზოგადად, მთელი მსოფლიო რადიკალურად შეიცვლება.**

commersant-ის ინფორმაციით, მსოფლიოს 2011 წელი ევროზონის ლიდერების უუნარობით დაამახსოვრდა, წინააღმდეგობა გაეწიათ დავალიანების კრიზისისათვის. მნიშვნელოვან მოვლენებს შორის იყო აქცია „დაიკავე უოლ სტრიტი“, პანიკა საფონდო ბაზრებზე, მსოფლიოს ყველაზე სტაბილური ქვეყნებისა და ბანკების რეიტინგების შემცირება, ჩინეთის ეკონომიკის ზრდის ტემპების შენელება, აშშ-ის სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარის აწევა და სხვ.

# წლის აღმოჩენად შიდსის წამალი და ახალგაზრდობის ელექსირი დასახელდა



**ჟურნალ Science-ს ექსპერტებმა 2011 წლის საუკეთესო სამეცნიერო აღმოჩენების სია შეადგინეს.**

წლის საუკეთესო ხუთეულში ყველაზე წარმატებულად, vesti.ru-ს ცნობით, შიდსისგან განსაკურნებელი წამალი და ახალგაზრდობის შესანარჩუნებელი ელექსირი დასახელდა.

# 2011 წლის ყველაზე სულელური აკრძალვები

**ამერიკულმა ინტერნეტგამოცემა Shine-მ 2011 წლის ყველაზე სულელური აკრძალვების რეიტინგი გამოაქვეყნა.**



● **ამერიკის შტატ მერილენდის საავადმყოფოში ახალშობილების ფოტოგრაფირება პირველი ხუთი წუთის განმავლობაში აკრძალულია.** ექიმები ამტკიცებენ, რომ ამგვარად მშობიარეებს სტრესისგან იცავენ. სკეპტიკოსებს კი მიაჩნიათ, რომ ამ აკრძალვით საავადმყოფო თავს იცავს მოსალოდნელი სასამართლო დავებისგან, თუკი მშობიარობის შემდეგ რაიმე პრობლემა წარმოიშობა.

● **არკანზასის შტატში სუპერმარკეტის მფლობელებმა უარი თქვეს ჟურნალ US Magazine-ს იმ ნომრის გაყიდვაზე, რომლის გარეკანზეც ელტონ ჯონი იყო გამოსახული მის პარტნიორ დევიდ ფერნიშთან და ნაშვილებ ბავშვთან ერთად.** მაღაზიის პატრონებმა მიიჩნიეს, რომ ეს არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის პროპაგანდაა და მყიდველებისთვის საფრთხეს შეიცავს.

● **აზიურმა კომპანია Malaysia Airlines-მა თავის მგზავრებს პატარა ბავშვებით პირველი კლასით ფრენა აუკრძალა.** ახალი ზელანდიის სასამართლომ კი ქვეყნის მოქალაქეებს საკუთარი შვილისთვის ლუციფერის დარქმევა აუკრძალა.

● **ბრიტანეთში პარფიუმერული კომპანია LOreal-ის ორი სარეკლამო პლაკატი აკრძალეს, რომელზეც ჯულია რობერტსი იყო გამოსახული.** მოხელეების განცხადებით, კინოვარსკვლავის სურათი იმდენად დამუშავებული იყო ფოტოშოფში, რომ მყიდველები შეცდომაში შეჰყავდა.

● **კალიფორნიის ქალაქ ვაკავილის სკოლაში მასწავლებელმა მოსწავლეებს გრიპის ეპიდემიისას აუკრძალა ერთმანეთისთვის „იცოცხლე“ ეთქვათ, როცა ბავშვები წამდაუწუმ აცემინებდნენ.** ბრიტანეთში კი მშობლებმა მოითხოვეს მასწავლებლისგან ასეთივე აკრძალვა. ინგლისურად ეს ფრაზა ასე ჟღერს: God bless you! (ღვთის წყალობა!). ეს უწყინარი გამოთქმა მეტად უჩვეულოა იმ ბავშვებისთვის, რომლებიც ათეისტურად იზრდებიან.

● **აიდაჰოს შტატის ბრიგამ იანგის უნივერსიტეტში სტუდენტებს გამოცდაზე მოტკეცილი ჯინსებით მისვლა აუკრძალეს.** უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის აზრით, ეს არამარტო უხამსობაა, არამედ მავნეცაა გოგონებისთვის, რომელთაც თეძოების დავიწროება სურთ.

● **ფლორიდისა და პენსილვანიის სკოლებში კი პირიქით, მოზარდებს ჩაფართხუნებულ ჯინსებში სიარული აუკრძალეს.**

საგანგებო დადგენილებაც კი მიიღეს, რომელშიც განსაზღვრულია, რომ ჯინსებს ქვემოდან საცვლები და სხეულის ნაწილი არ უნდა ჩანდეს. დამრღვევებს სახლში უშვებდნენ ტანისამოსის გამოსაცვლელად.

● **შვეიცარიის სასამართლომ ტურისტებს ალპებში გახდა აუკრძალა,** ხოლო ლოს ანჟელესის სასამართლომ ძაღლის ყეფაზე დააწესა აკრძალვა. ახლა მათ ათ წუთზე მეტხანს ყეფა ეკრძალებათ.

დიდი სამამულო ომის ვეტერანებს!
გილოცავთ დამდეგ 2012 წელს!
გისურვებთ ჯანმრთელობას,
მხნეობას და დიდხანს სიცოცხლეს!
არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა“

მედია-კავშირი „ობიექტივი“ ღრმა მწუხარებით იუწყება მედია-კავშირის ხელმძღვანელის — ირმა ინაშვილისა და ამავე კავშირის თანამშრომლის — კოტე ინაშვილის მამის
ჯემალ ინაშვილის
გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახის წევრებსა და ახლობლებს.
დაკრძალვა 29 დეკემბერს,
2 საათზე დუშეთში.

გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ რედაქცია მწუხარებით თანაუგრძნობს მედია-კავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელს — ირმა ინაშვილს მამის
ჯემალ ინაშვილის
გარდაცვალების გამო.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ისტორიული მემკვიდრეობა“ მწუხარებით თანაუგრძნობს მედია-კავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელს — ირმა ინაშვილს მამის
ჯემალ ინაშვილის
გარდაცვალების გამო.

ბონდო მძინარაშვილი ღრმა მწუხარებით თანაუგრძნობს მეგობრებსა და კოლეგებს: ირმა ინაშვილსა და კოტე ინაშვილს მამის
ჯემალ ინაშვილის
გარდაცვალების გამო.

საქართველო და მსოფლიო
ეწვიეთ ჩვენს საიტს
http://www.geworld.ge

მთავარი რედაქტორი ირაკლი თოდუა
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 234-32-95; e-mail:info@geworld.net